


ფიქტურა ფოსტოვანი

ფიქტურა ფოსტოვანი

იქნას ჩვეულებრივ
ჩანახევნი

www.PDF.ChiaturaINFO.GE



წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა
საიტმა: www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფიოდორ დოსტოევსკი

იატაკვეშეთის ჩანაწერები

რუსულიდან თარგმნა გივი კივილაშვილმა

რედაქტორი: ნინო დგვარელი

ყდის დიზაინი: გიორგი ახუაშვილი

© გივი კივილაშვილი, 2013

ყველა უფლება დაცულია

*

ფიოდორ დოსტოევსკის შემოქმედებაში „იატაკვეშეთის ჩანაწერები“^[1] საეტაპო ნაწარმოებია. ამ თხზულებამ ბევრად განსაზღვრა მწერლის უკანასკნელი რომანების თემატიკა. იგი გამოირჩევა ყველა სხვა მოთხრობისგან იმით, რომ მკითხველი რაიმე ამბავს კი არ ამოიკითხავს, არამედ ადამიანის სულის სიღრმეში ჩაიხედავს... სიღრმეში, რომელიც თავდაპირველად შემადრწუნებლად მოგვეჩვენება, ხოლო მცირეოდენი ფიქრის შემდეგ ბევრ საერთოს ვნახავთ და აღმოვაჩინთ, რომ ჩვენც გაგვაჩნია საკუთარი „იატაკვეშეთი“ - ყველასგან დაფარული და დაგმანული...

„იატაკვეშეთის ჩანაწერები“ მინიშნებაა, რომ ყოველი ადამიანი საიდუმლოთა დაფარული ოკეანეა. ბოლომდე გულწრფელი არავისთან, თავის თავთანაც კი არ არის. ამის თაობაზე დიდი მწერალი ჯერ კიდევ რომანში „დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი“ მიაწინებდა. ეს თემა კი საგანგებოდ წარმოაჩინა ხსენებული რომანის შექმნიდან სამი წლის თავზე დაწერილ ამ დიდებულ მოთხრობაში.

„იატაკვეშეთის ჩანაწერები“ რუსული ეგზისტენციალიზმის უდიდეს წარმომადგენელს - ლ. მესტოვს დოსტოევსკის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებად მიაჩნდა, ხოლო თომას მანი ყველაზე დიდი ყურადღების ღირსად მიიჩნევდა მწერლის შემოქმედებაში. ამ ნაწარმოებით აღფრთოვანებას თვით დოსტოევსკის კრიტიკოსებიც ვერ ფარავდნენ.

„იატაკვეშეთის ჩანაწერების“ ქართულად გამოცემით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მშობლიურ ენაზე უკვე თარგმნილია მწერლის ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები. ამ მოთხრობის გამოქვეყნება დიდი შენაძენია ქართული საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისთვის, რომელსაც საშუალება ეძლევა ამიერიდან ქართულ ენაზე გაეცნოს რუსი მწერლის შესანიშნავ პროზაულ ქმნილებას.

ეს განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როდესაც უკანასკნელი გამოკითხვით დოსტოევსკი მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე გავლენიანი მწერლების ათეულში დასახელდა.

დეკანოზი თეიმურაზ თათარიშვილი (შიობრიშვილი)

იატაკვეშეთი

[2]

|

მე სწეული ვარ... ანჩხლი ვარ. თვალგულმიუსვლელი ვარ. მგონი ღვიძლი მტკივა. თუმცაღა, ჩემი სენისა არაფერი გამეგება და არ ვიცი, ნამდვილად რა მჭირს. არ ვმკურნალობ და არც არასოდეს მიმკურნალია, თუმცა მედიცინასა და ექიმებს პატივს ვცემ.[3] ამასთანავე, უკიდურესად ცრუმორწმუნე ვარ, იმდენად მაინც, რომ მედიცინის

პატივისმცემელი ვიყო (საკმაოდ განათლებული გახლავართ და ცრუმორწმუნე არ უნდა ვიყო, მაგრამ ცრუმორწმუნე ვარ). მკურნალობა გულღრძობის გამო არ მსურს. თქვენ ალბათ არ ინებებთ, რომ მიმიხვდეთ. გასაგებია. რა თქმა უნდა, ვერ მოგახსენებთ, ჩემი სიანჩხლით ვინ შეიძლება რომ გავანაწყენო, ძალიან კარგად ვუნცი, რომ ექიმებს ვერაფერს დავაკლებ იმით, რომ მათთან არ ვიმკურნალებ. ყველაზე უკეთ თავად ვიცი, რომ ამით მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს ვავნებ. დიახ, გულღრძობის გამო არ ვმკურნალობ. ღვიძლი მტკივა ხომ, მამ, დაე, უფრო მაგრად ამტკივდეს.

დიდი ხანია, რაც ასე ვცხოვრობ - ოცი წელი. ახლა ორმოცი წლის ვარ.[4] ადრე ვმსახურობდი, ახლა აღარ ვმსახურობ. ავგული მოხელე ვიყავი, ვუხემობდი და ეს სიამოვნებას მანიჭებდა. ქრთამს არ ვიღებდი და თავი ამით ხომ მაინც უნდა დამეჭილდოებინა. (უხეირო ენამახვილობაა, მაგრამ არ ამოვშლი. მეგონა, რომ მოსწრებულად ნათქვამი იქნებოდა, მაგრამ ახლა თავადაც ვხედავ, რომ საძაგლად წავიბაქიბუქე. განზრახ არ ამოვშლი!). როცა იმ მაგიდასთან, რომელსაც ვუჭექი, ცნობათა მთხოვნელები მოდიოდნენ, კბილებს ვუკრაჭუნებდი და როცა ვინმეს გავანაწყენებდი, უსაზღვრო სიამოვნებას ვგრძნობდი. მათ განაწყენებას კი თითქმის ყოველთვის ვახერხებდი - ისინი ხომ მოკრძალებული მთხოვნელები იყვნენ. ხოლო სამხედროთაგან ერთ ოფიცერს ვერ ვიტანდი. მას დამორჩილება არა და არ უნდოდა და ხმაღს საზიზღრად აუღარუნებდა. ამ ხმლის გამო წელიწადნახევარი ვეომებოდი. ბოლოს მაინც დავამარცხე. იგი ხმლის უღარუნს მოეშვა. თუმცაღა, ეს ჩემს ახალგაზრდობაში მოხდა. მაგრამ, ბატონებო, თუ იცით, ჩემი სიანჩხლის მთავარი პუნქტი რა იყო? დიახ, მთავარი ოინი ის გახლდათ, უპირატესი სისაძაგლე ის იყო, რომ ყოველ წუთას, უძლიერესი ღვარძლიანობის დროსაც კი, გულში სამარცხვინოდ ვაღიარებდი, რომ არათუ ანჩხლი, ოღნავ ბრაზიანიც კი არ ვიყავი, მხოლოდ ბელურებს ვაფრთხობდი[5] და ამით გულს ვიოხებდი. პირზე ქაფი როცა მქონდა მომდგარი, რაიმე თოჯინას თუ მომიტანდით, ანდა დამაქრულ ჩაის დამალევიანებდით, ალბათ დავწყნარდებოდი, გული მომიღებოდა, მაგრამ მერე საკუთარ თავს უთუოდ რისხვას დავატეხდი და რამდენიმე თვეს სირცხვილისგან ძილგამტყდარი ვიქნებოდი. ასეთი ჩვეულების მქონე ვარ.

წელან ვიცრუე, როცა ვთქვი ანჩხლი ვარ-მეთქი. ჯიბრზე ვიცრუე. მთხოვნელებსაც და ოფიცერსაც ასე მხოლოდ თავის შესაქცევად ვეპყრობოდი, სინამდვილეში კი ბრაზმორეული არასოდეს ვყოფილვარ. ჩემს გულ-გონებაში ყოველ წუთს ამის სრულიად საპირისპირო მრავლისმრავალ ელემენტს შევიცნობდი. ეს საპირისპირო ელემენტები მთელს არსებაში მიფუტფუტებდა. ვიცოდი, რომ ეს ელემენტები, რაც თავი მახსოვს, გულს ერთთავად მივსებდა და გარეთ გამოჭრას ლამობდა, სამარცხვინოდ მტანჯავდა, ლამის კრუნჩხვები მემართებოდა და ყოველივე ამან ბოლოს თავი მომაბეზრა, ოჰ, როგორ მომაბეზრა! ბატონებო, ხომ არ გეჩვენებათ, რომ ახლა თქვენს წინაშე რაღაც მიწადა მოვინანიო, რაღაცის მიტევებას გთხოვთ?.. დარწმუნებული ვარ, რომ ეს გეჩვენებათ... თუმცაღა, გარწმუნებთ, რომ ჩემთვის სულერთია, გეჩვენებათ თუ არ გეჩვენებათ...

მე არა მართო ის ვერ შევძელი, რომ ანჩხლი გავმხდარიყავი, არამედ სხვაც ვერაფერი გავხდი: ვერც ბოროტი, ვერც კეთილი, ვერც უსინდისო, ვერც პატიოსანი, ვერც გმირი, ვერც მწერი. ახლა ჩემს კუთხეში ვცხოვრობ და თავს ღვარძლიანად ვინუგეშებ არაფრის მაქნისი აზრით, რომ ჭკვიან კაცს სერიოზულად არც შეუძლია რაიმე გახდეს და რაიმე მხოლოდ ბრიყვი გახდება. დიახ, მეცხრამეტე საუკუნის ჭკვიანი კაცი ზნეობრივად მოვალეა, რომ უპირატესად უნებისყოფო არსება იყოს, ხოლო ნებისყოფიან, მოღვაწე ადამიანს მეტწილად გონებაშემღუდულობა მართებს. ეს ჩემი ორმოცწლოვანი მრწამსია. ახლა ორმოცი წლის ვარ, ხოლო ორმოცი წელი ხომ მთელი ცხოვრებაა. ეს ხომ ღრმა მოხუცებულობაა. ორმოც წელზე მეტ ხანს სიცოცხლე უმსგავსობა, უხამსობა, უზნეობაა! ორმოც წელზე მეტ ხანს ვინ ცოცხლობს? გულწრფელად, პატიოსნად მიპასუხეთ. მე გეტყვით ვინც ცოცხლობენ: ბრიყვები და არამზადები. ამას პირში ვეტყვი ყველა მოხუცს, ყველა ღირსეულ მოხუცს, ყველა თმაშვერცხლილ და კეთილსურნელოვან მოხუცს! მთელ ქვეყნიერებას პირდაპირ მოვახსენებ! ამის თქმის უფლება მაქვს, რადგან თავადაც სამოც წელს ვიცოცხლებ. სამოცდაათ წელს მივადწევ! ოთხმოც წელს მივადწევ!.. მოიცათ! მაცალეთ, სული მოვითქვა...

ბატონებო, ალბათ გგონიათ, რომ მწაღია, გაგაცინოთ? ამჯერადაც შეცდით. მე არც ისეთი

მხიარული ვარ, როგორადაც გეჩვენებით, ანდა როგორადაც, შესაძლოა, გეჩვენებოდეთ. თუმცაღა, თუ ამ ლაყობით გაღიზიანებულნი (ხოლო მე უკვე ვგრძნობ, რომ გაღიზიანებულნი ხართ) შემეკითხებით: სახელდობრ ვინა ვარ? - გიპასუხებთ: კოლეგიის ასესორი[6] გახლავართ. ვმსახურობდი, რათა თავი დამეპურებინა (თანაც მხოლოდ და მხოლოდ ამისთვის) და როცა შარშან ერთმა ჩემმა შორეულმა ნათესავმა ანდერძის წერილით ექვსი ათასი რუბლი დამიტოვა, სამსახურიდან უმაღლვე გადავდექი და ჩემს კუთხეში დავბინავდი. ადრეც ამ კუთხეში ვცხოვრობდი, მაგრამ ახლა დავბინავდი ამ კუთხეში. ჩემი უვარგისი, საძაგელი ოთახი ქალაქის განაპირასაა. ჩემი მოახლე, სოფლელი დედაკაცი, გამოჩერჩეტებულობისგან გაავებული დედაბერია, თანაც მუდამ ცუდი სუნი უდის. მეუბნებიან, პეტერბურგის კლიმატი სულ უფრო მეტად გვნებს, ამასთანავე, მცირე სახსრების მქონეს, პეტერბურგში ცხოვრება ძვირი გიჯდებაო. მე ეს ყოველივე ამ გამოცდილ მრჩევლებზე, თავის გამქნევ-გამომქნევლებზე[7] უკეთ ვიცი, მაგრამ პეტერბურგში ვრჩები. პეტერბურგიდან არსად წავაღ! იმიტომ არ წავაღ, რომ... ეჰ! ეს ხომ სავსებით სულერთია - წავაღ თუ არ წავაღ.

ახლა ეს ვთქვათ: წესიერი კაცი ყველაზე უფრო მეტი სიამოვნებით რაზე ილაპარაკებს? პასუხი: საკუთარ თავზე.

ჰოდა, მეც ჩემს თავზე ვილაპარაკებ.

II

ბატონებო, მოსმენას იწებებთ თუ არ იწებებთ, ახლა მსურს, მოგიყვებ, რატომ ვერ შევძელი თუნდაც მწერი გავმხდარიყავი. საზეიმოდ მოგახსენებთ, მწერად გადაქცევა მრავალჯერ მსურდა. მაგრამ ესეც კი არ მეღირსა. ბატონებო, გეფიცებით, მრავლის მეცნობა სწეულებაა, ნამდვილი, სრული სწეულება. ადამიანთა ყოველდღიურობისთვის სავსებით იკმარებდა ჩვეულებრივი ადამიანური ცნობიერება, ანუ ის, რაც ორჯერ მცირეა, ოთხჯერ მცირეა იმ წილზე, რაც ერგუნა ჩვენი ბედკრული მეცხრამეტე საუკუნის ადამიანს, თანაც თუ იგი, თავისდა საუბედუროდ, პეტერბურგის, ამქვეყნად ყველაზე განზრახვნილი ქალაქის ბინადარია. (არსებობს განზრახვნილი და არაგანზრახვნილი ქალაქები.) სავსებით იკმარებდა, მაგალითად, ცნობიერება, რითაც ეგრეთ წოდებული უშუალო ადამიანები და მოღვაწენი არსებობენ. თუ გინდათ დაგენაძლევედებით, რომ გგონიათ ყოველივე ამას საბაქიბუქოდ ვწერ, რათა მოღვაწეებზე წავიმასხრო, ამასთანავე ცუდ ტონს ვამჟღავნებ იმ ჩემი ოფიცერივით ხმლის ჟღარუნით. კი მაგრამ, ბატონებო, თავისი სწეულებით თავს ვინ მოიწონებს? ამით ვინ იბაქიბუქებს?

თუმცაღა, რას ვამბობ? - ყველანი ამას სჩადიან, სწეულებით თავს იწონებენ, ხოლო მე ყველაზე მეტად ვბაქიბუქობ. სადავო არ არის, რომ უაზროდ ვპაექრობ, მაგრამ მაინც მყარად მწამს, რომ არათუ ძალზე დიდი ცნობიერება, არამედ ყოველგვარი ცნობიერება სწეულებაა. ამ აზრს მტკიცედ ვადგავარ. ამასაც წუთით თავი ვანებოთ და ეს მითხარით: რატომ ხდებოდა, რომ თითქოს განზრახ, სწორედ იმ, დიახ, სწორედ იმ წუთებში, როცა ყველაზე უფრო მეტად შემეძლო ძირისძირობამდე აღმექვა არსი „ყოველივე მშვენიერისა და ამაღლებულისა“[8], როგორც ჩვენში ოდესღაც ამბობდნენ, კი არ აღვიქვამდი, არამედ ჩავიდენდი ხოლმე ისეთ უხერო რაღაცას, რასაც... დიახ, ერთი სიტყვით, რასაც უთუოდ ყველანი სჩადიან, მაგრამ მე ამას, თითქოს განზრახ, სწორედ მაშინ ჩავიდენდი ხოლმე, როცა ყველაზე მეტად მქონდა შეგნებული, რომ ასეთი რამის ქმნა არაფრის დიდებით არ შეიძლებოდა? რაც უფრო სრულად აღვიქვამდი სიკეთისა და ყოველივე „მშვენიერისა და ამაღლებულის“ არსს, მით უფრო ღრმად ვეფლობოდი ჩემს კუთვნილ ტალახში და მით უფრო მეტად შემეძლო, ამ ტალახით ამოვითხნილიყავი. მაგრამ, რაც მთავარია, ეს ყოველივე შემთხვევით კი არ მემართებოდა, არამედ თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო. თითქოს ეს ჩემი სრულიად ნორმალური მდგომარეობა გახლდათ და არა სწეულება და წახდენა, ისე რომ, ბოლოს წახდენასთან შებრძოლების სურვილიც გამიქრა. ეს იმით დასრულდა, რომ ლამის ვირწმუნე (იქნებ მართლაც ვირწმუნე), რომ ჩემი ნორმალური მდგომარეობა სწორედაც ასეთი ყოფა იყო. თავიდან კი ამ ბრძოლისას რაოდენი სატანჯველი გამოვიარე! არ მეგონა, თუ ასეთი რამ სხვასაც ემართებოდა და მთელი სიცოცხლე ამას გულში საიდუმლოდ ვინახავდი. სირცხვილი მეუფლებოდა (იქნებ ახლაც კი მრცხვინია), იქამდე მივდიოდი, რომ ერთგვარ, იღუმალ, არანორმალურ, ფლიდურ სიამეს ვგრძნობდი, როცა რომელიმე პეტერბურგული, უსაზიზღრესი ღამით ჩემს კუთხეში

ვბრუნდებოდი და მძაფრად ვაცნობიერებდი, რომ სისაძაგლე დღესაც ჩავიდინე, რომ ჩანადენს ახლაც ვერანაირად წარვხოცავდი და ამის გამო შინაგანად, იღუმალად გულს ვიძიძვნიდი, სისხლს ვინუნნიდი იქამდე, სანამ ბოლმა, ბოლოს და ბოლოს, სამარცხვინო, წყეულ სიტკბოებად და, დასასრულ, ურყევ, აშკარა სიამოვნებად არ გადამეცეოდა! დიახ, სიამოვნებად, სიამოვნებად! ამ აზრს მტკიცედ ვადგავარ. ეს ლაპარაკი იმიტომ წამოვიწყე, რომ მიხდა, დანამდვილებით შევიტყო, ამგვარი სიამოვნება სხვასაც თუ განუცდია? ახლა განვიმარტავთ: სიამოვნებას, სახელდობრ, ინვევდა თავის დამცირების ძალზე აშკარა აღქმა, იმის შეგრძნება, უკანასკნელ ზღვართან რომ ხარ მიმდგარი, იმის შეგრძნება, ეს სისაძაგლე რომ არის, მაგრამ სხვაგვარად არც შეიძლება რომ იყოს, გამოსავალი რომ არ გაქვს, სხვა ადამიანად ვერასოდეს რომ ვერ გადაიქცევი, თუნდაც დრო ჯერ კიდევ გქონდეს და რწმენაც გაგაჩნდეს, სხვა რაიმედ გადაქცევა რომ ძალგიძს, ამას თავად მაინც არ ისურვებდი და თუ ისურვებდი, მაინც არაფერს მოიმოქმედებდი, რამეთუ სინამდვილეში ვერაფრადაც ვერ გადაიქცეოდი. ხოლო მთავარი, ბოლოს და ბოლოს, ის გახლავთ, რომ ეს ყოველივე ხდება ჭარბი ცნობიერების ნორმალური და ძირითადი კანონებით და ამ კანონებიდან გამომდინარე ინერციით. მაშასადამე, არათუ რაიმედ ვერ გადაიქცევი, საერთოდაც ვერაფერს გახდებით. ჭარბი ცნობიერებიდან, მაგალითად, აი, რა გამომდინარეობს: თუ არამზადა თავადვე გრძნობს, რომ ნამდვილი არამზადაა, ეს თითქოს მისი მანუგეშებელი უნდა იყოს. მაგრამ კმარა... ეჰ, ბევრი რამ მოვიჩმახე, თუმცა რა განვიმარტე?.. სიამოვნება რით აიხსნება? მაგრამ მაინც უნდა განვიმარტო! ამას მაინც დავასრულებ! კალამს ხელი ამიტომაც მოვკიდე...

მე, მაგალითად, უკიდურესად თავმოყვარე გახლავართ. ეჭვიანი ვარ და კუბიანივით, ანდა ჯუჯასავით მალე გავნანყენდები ხოლმე. მაგრამ, მართალი გითხრათ, ისეთი ნუთებიც მქონია, ვთქვათ და, ვინმე სილას თუ გამანწავდა, იქნებ გამხარებოდა კიდევაც. სერიოზულად გეუბნებით, ამ დროს გულში ერთგვარ სიამოვნებას გამოვიჩიჩქნიდი ხოლმე, რა თქმა უნდა, სასონარკვეთით სიამოვნებას. დიახაც, ყველაზე მძაფრი სიამოვნება სწორედ სასონარკვეთის ჟამს გეუფლება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ძალზე ძლიერად აცნობიერებ, რომ გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფები, ხოლო სილის განზნისას იმის შეგრძნება გემატება, რა სირცხვილი გაჭამეს. რაც მთავარია, როგორადაც არ უნდა ავიღო-დავიღო, ყველაფერში ყოველთვის დამნაშავე უპირველესად მე გამოვდივარ ხოლმე და, რაც ყველაზე უფრო სანყენია, ბუნების კანონებით, უდანაშაულოდ დამნაშავე ვხდები. დამნაშავე, ჯერ ერთი, იმიტომ ვარ, რომ ჩემს ირგვლივ მყოფთა შორის ყველაზე ჭკვიანი გახლავართ. (მე ჩემს ირგვლივ მყოფთა შორის თავი ყოველთვის ყველაზე ჭკვიანად მიმაჩნდა და თუ დამიჯერებთ, ამისი ზოგჯერ მრცხვენოდა კიდევაც. ყოველ შემთხვევაში, მთელი სიცოცხლე გვერდზე პირმიქცეული ვიყავი და ადამიანებს თვალს ვერ ვუსწორებდი.) დაბოლოს, დამნაშავე იმიტომ ვარ, რომ თუნდაც დიდსულოვანი ვყოფილიყავი, მისი გამოუსადეგარობის გაცნობიერება მხოლოდ სატანჯველს მომიმატებდა. მე ხომ ჩემს დიდსულოვნებას უთუოდ ვერაფერში გამოვიყენებდი: ვერ მივუტევებდი, რამეთუ ჩემი შეურაცხმყოფელი სილას ალბათ ბუნების კანონებით გამანწავდა, ხოლო ბუნების კანონთა მიტევება შეუძლებელია. ვერც დავივინყებდი, რადგან ბუნების კანონები კი არის, მაგრამ მაინც სანყენია. დასასრულ, თუნდაც მომესურვებინა, რომ დიდსულოვნება[9] საერთოდ არ გამომეჩინა და, პირიქით, შეურაცხმყოფლისთვის სამაგიეროს მიზღვას თუ მოვინდომებდი, სამაგიეროს ვერავის მაინც ვერაფრით მივუბღავდი, იმიტომ რომ რაიმეს ქმნას ვერ გავბედავდი, თუნდაც ეს შემძლებოდა. რატომ ვერ გავბედავდი? ამის თაობაზე ორიოდე სიტყვა განსაკუთრებულად მიხდა რომ ვთქვა.

III

ის ადამიანები, რომელთაც სამაგიეროს მიზღვის უნარი აქვთ, რომელნიც, საერთოდ, თავს არავის დააჩაგვრინებენ, ამას რანაირად სჩადიან? შურისძიების გრძნობა როცა დაეუფლებათ, მათ არსებაში ხომ ამ დროს ამ გრძნობის გარდა აღარაფერი ბოგინობს. ასეთი ბატონი სამიზნისკენ თავდადუნული, გაშმაგებული ხარევით მიიწევს და კედელი თუ შეაჩერებს. (სიტყვამ მოიტანა და ეს ბატონები, ანუ უშუალო ადამიანები და მოღვაწენი, კედელს როცა მიადგებიან, უმალ ფარ-ხმალს ყრიან. მათთვის კედელი მიმართულების შემცვლელი არ არის, როგორც, მაგალითად, ჩვენთვის, მოფიქრალთათვის და, მაშასადამე, არაფრის მკეთებელთათვის: არ არის საბაბი უკან გაბრუნებისა, საბაბი, რისაც

ჩვენისთანებს, ჩვეულებრივ, თავადაც არ სჯერათ, მაგრამ რაც ყოველთვის ახარებთ. არა, ისინი ფარ-ხმალს სავსებით გულწრფელად ყრიან. კედელი მათთვის ერთგვარად დამამშვიდებელი, ზნეობრივად ნების დამრთველი და საბოლოო, იქნებ მისტიკურიც კი არის... თუმცადა, კედელზე შემდგომში მოგახსენებთ.) მამ ასე, ასეთი უშუალო ადამიანი მე ნამდვილ, ნორმალურ ადამიანად მიმაჩნია, როგორადაც მის ხილვას ისურვებდა თვით ნაზი დედა-ბუნება, რომელმაც იგი ამქვეყნად სიამტკბილობით შვა. ასეთი ადამიანისა უკიდურესი ბოლმამორევით მშურს. იგი უგუნურია, ამაზე არ გედავებით, მაგრამ ნორმალური ადამიანი იქნებ სწორედაც უგუნური უნდა იყოს, რა გგონიათ? ეგების ეს ძალიან ლამაზიც არის. მე ამ, ასე ვთქვათ, გუმანის სისწორეში მით უმეტეს ის მარწმუნებს, რომ თუ, მაგალითად, ავიღებთ ანტითემას ნორმალური ადამიანისას, ანუ ჭარბი ცნობიერების მქონე ადამიანისას, რომელიც, რა თქმა უნდა, ბუნების წიაღიდან კი არა, რეტორტიდან[10] არის მოვლენილი (ეს კი, ბატონებო, თითქმის მისტიციზმია, მაგრამ მე ამის გუმანიც გამაჩნია), ეს რეტორტის ადამიანი თავისი ანტითემის წინაშე ზოგჯერ ფარ-ხმალს ისე ყრის, რომ ჭარბი ცნობიერების მქონე საკუთარ თავს ადამიანად კი არა, თავვად მიიჩნევს კეთილსინდისიერად. დაე, ეს ჭარბი ცნობიერების მქონე თავვი, მაგრამ მაინც თავვი, აქ კი ადამიანი, მაშასადამე... და ასე შემდეგ. ახლა კი ამ თავვს ქმედებისას შევხედოთ. მაგალითად, ვივარაუდოთ, რომ ისიც განაწყენებულია (ხოლო ის თითქმის ყოველთვის განაწყენებულია) და მასაც სურს, გამანაწყენებელს სამაგიერო მიუზღას. მის არსებაში იქნებ უფრო მეტი ღვარძლი დაგროვდა, ვიდრე l'homme de la nature et de la verite-ში[11]. უხამსი, მდაბალი წადილი, რომ შეურაცხყოფელს ისეთივე ბოროტებით მიუზღას, მის გულ-გონებაში იქნებ უფრო შესაზიზღად გროვდებოდა, ვიდრე l'homme de la nature et de la verite-ში, რამეთუ l'homme de la nature et de la verite-ს, თავის მხრივ, სამაგიეროს მიზღვა თანდაყოლილი უგუნურების გამოისობით სამართლიანად მიაჩნია. ხოლო თავვი ჭარბი ცნობიერების გამო აქ სამართლიანობას უარყოფს. ბოლოს თვით სამაგიეროს მიზღვის აქტამდე მიდის. უბედურმა თავვმა თავდაპირველი ერთი სიბილწის გარდა საკითხთა და ეჭვთა სახით ირგვლივ უკვე იმდენი სხვა სიბილწენი დაიგროვა, ერთ საკითხს იმდენი გადაუჭრელი საკითხი მიუსადაგა, რომ მის გარშემო უნებურად ერთგვარი საბედისწერო თხლე, მყრალი სიბინძურე დაგროვდა, რომელიც შეიცავდა მის ეჭვებს, მღელვარებას და, ბოლოს, მინაფურთხს, რაც ეფრქვეოდა უშუალო მოღვანეთაგან, გარს რომ ეხვივნენ მოსამართლეთა და დიქტატორთა სახით და ჯანსაღი ხორხით დაჰხარხარებდნენ. მას, რა თქმა უნდა, სხვა გზა აღარა აქვს, ყველაფერზე თათი უნდა ჩაიქნიოს და ზიზღის გამომხატველი მოჩვენებითი ღიმილით, რისაც თავადაც არ სჯერა, თავის ღრიჭოში სამარცხვინოდ შესხლტეს. იქ, საზიზღარ, მყრალ იატაკქვეშეთში[12] ჩვენი შეურაცხყოფილი, ნაგვემი და გამასხრებული თავვი უმაღ ყინულოვანი, გესლიანი და, რაც მთავარია, სამარადჟამო ბოლმით განიმსჭვალება. ერთი მეორეზე წაწყობილი ორმოცი წლის განმავლობაში შეურაცხყოფის თავლაფდამსხმელ წვრილმანებს ძირიძირობამდე გაიხსენებს და, ამასთანავე, ყოველი შეურაცხყოფის გახსენებისას თავის მხრივ კიდევ უფრო მეტად შემარცხვენელ წვრილმანებს დაუმატებს და თავს ბოლმამორევით გაიღიზიანებს საკუთარი ფანტაზიის ნაყოფით. თავისი ფანტაზიისა თავადვე შერცხვება, მაგრამ მაინც ყველაფერს გაიხსენებს, სათითაოდ გადასინჯავს, არყოფილს თავად შეთხზავს იმ საბაბით, რომ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო და არაფერს მიუტევებს. ალბათ სამაგიეროს მიზღვასაც დაინყებს, მაგრამ შიგადაშიგ, წვრილ-წვრილად, მალულად, ინკოგნიტოდ, რამეთუ თავად არც იმისი სჯერა, სამაგიეროს მიზღვის უფლება რომ აქვს, არც იმისი, სამაგიეროს წარმატებით რომ მიუზღავს, ამასთანავე, წინასწარ იცის, სამაგიეროს მიზღვის ყველა მცდელობისას, თვითონვე ასჯერ მეტად რომ გამწარდება, ვიდრე ის, ვისაც სამაგიეროს მიზღვას უპირებს, ის კი ალბათ თავსაც არ მოიქეფავს. სასიკვდილო სარეცელზე მყოფი ყველაფერს გაიხსენებს პირველიდან ბოლო დღემდე დაგროვილ პროცენტებიანად და... მაგრამ სწორედ ამ ცივ, საზიზღარ, სანახევროდ სასონარკვეთაში, სანახევროდ რწმენაში, იატაკქვეშეთში შეგნებულად, ბოლმით, საკუთარი თავის ორმოცი წლით ცოცხლად დამარხვაში, ამ ძალით შექმნილ, მაგრამ მაინც ნაწილობრივ საეჭვო გამოუვალობაში საკუთარი მდგომარეობისა, მთელ არსებაში ჩაღვრილ, დაუკმაყოფილებელ სურვილთა გესლში, ციებ-ცხელებიან ყოყმანში, სამარადისოდ მიღებულ გადაწყვეტილებებში, ხოლო ერთი ნუთის შემდეგ კვლავ წამოწყებულ მონანიებაში არის ამ უცნაური სიამოვნების არსი, რაზედაც ვლაპარაკობდი. ეს იმდენად ნატიფი რამ არის, შეცნობას ზოგჯერ იმდენად არ ექვემდებარება, რომ ცოტათი შეზღუდული ადამიანები, ან თუნდაც მაგარი ნერვების მქონენი ამისას ერთი

ბენოსაც ვერაფერს შეიმეცნებენ. „ეგებ იმათაც ვერ შეიმეცნონ, - თქვენის მხრივ დაუმატებთ კბილთა ღრჭენით, - ვისთვისაც სილა არასოდეს გაუნწავთ“, - და ბრდილობიანად სიტყვის გადაკვრით ამგვარად მიქარაგმებთ, რომ სილა ოდესღაც ალბათ ჩემთვისაც გაუნწავთ და ამიტომაც როგორც მცოდნე ისე ვლაპარაკობ. დაგენაძლევებით, რომ ამას ფიქრობთ. მაგრამ დამშვიდდით, ბატონებო, ჩემთვის სილა არასოდეს გაუნწავთ, თუმცაღა ჩემთვის სულერთია, ამის თაობაზე რასაც არ უნდა ფიქრობდეთ. იქნებ თავად ვნანობ, რომ ჩემს სიცოცხლეში სილა ცოტაჯერ გამიწვნია. მაგრამ კმარა, ამ ჩვენთვის ფრიად საინტერესო თემაზე სიტყვას ნულარ დავძრავთ.

საუბარს მშვიდად განაგრძობ მაგარი ნერვების მქონეებზე, რომელთაც სიამოვნების ცნობილი სინატიფისა არაფერი გაეგებათ. ეს ბატონები, მაგალითად, რაიმე ვაზუსისას თუმცა ხარებივით ბლავიან, რის გამოც, უნდა ითქვას, უდიდეს პატივისცემას იმსახურებენ, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, შეუძლებლობის წინაშე უმაღვე თვინიერდებიან. შეუძლებლობა – ესე იგი ქვითკირის კედელი? რა ქვითკირის კედელი? ჰო, რა თქმა უნდა, ბუნების კანონები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დასკვნები, მათემატიკა. როცა, მაგალითად, დაგიმტკიცებენ, რომ მაიმუნისგან ხარ წარმოშობილი[13], ისე დაიჯერე, შუბლს ნუ შეიჭმუხნი. როცა დაგიმტკიცებენ, რომ შენი ქონის ერთი ნამცეცი, არსებითად, შენტვის ასი ათას შენნაირზე უფრო ძვირფასია და, დასასრულ, ამ შედეგით გადაიჭრება ყველა ეგრეთწოდებული სათნოებანი, მოვალეობანი და სხვა ბოდვანი და ცრურწმენანი, რა გაეწყობა, ასევე დაიჯერე, რამეთუ ორჯერ ორი მათემატიკაა. აბა, შეკამათებას შეეცადეთ.

„მოგვიტევეთ, - ყვირილს დაგინწყებენ, - ნუ ამბობდებით: ეს ორჯერ ორი ოთხია! ბუნება არაფერს გეკითხებათ. მას არ ანალვლებს თქვენი სურვილები და არც ის, მისი კანონები მოგწონთ თუ არ მოგწონთ. თქვენ მოვალენი ხართ მის კანონებს და, მაშასადამე, ამ კანონთა შედეგებსაც დაჰყვებით. კედელი, მაშასადამე, კედელია... და ა.შ. და ა.შ.“, ღმერთო ჩემო რას მიქვია ბუნების კანონები და არითმეტიკა, თუ ეს კანონები და ორჯერ ორი ოთხია, რატომღაც არ მომწონს? ასეთ კედელს, რა თქმა უნდა, შუბლით ვერ გავანგრევ, თუ გასანგრევად საჭირო ძალა ნამდვილად არ მექნება, მაგრამ ამას ვერ შევეგუები, მხოლოდ იმიტომ, რომ კედელი ქვითკირისაა, ხოლო მე ძალა არ მყოფნის.

თითქოს ასეთი ქვითკირის კედელი მართლაც არის და დამშვიდების შემცველია თუნდაც რაიმე სიტყვა მშვიდობისმყოფელობისა, მხოლოდ იმის გამო, რომ ორჯერ ორი ოთხია. ო, უაზრობათა უაზრობავ! სულ სხვაა ყველაფრის გაგება, ყველაფრის შეცნობა, ყოველგვარი შეუძლებლობანი და ქვითკირის კედლები, შეურიგებლობა ყველა იმ შეუძლებლობებთან და ქვითკირის კედლებთან, როცა შემრიგებლობა გძაგს, როცა გარდუვალ, ლოგიკურ კომბინაციათა საშუალებით მიდიხარ უკიდურესად შესაზიზღ დასკვნამდე სამარადჟამო თემის თაობაზე, რომ ქვითკირის კედლის გამოც კი თავად ხარ დამნაშავე, თუმცაღა, მაინც აშკარად ცხადია, რომ დამნაშავე სრულებით არა ხარ და ამის შედეგად, მდუმარედ და კბილთა უძლური ღრჭენით, იმაზე ოცნებით, რომ, მაშადასამე, არავიზე განსარისხებელი საბაბი არცა გაქვს, რომ თვით საგანი არ არსებობს და არც არასოდეს იარსებებს, რომ აქ მოტყუება, გადასხვაფერება, შულერობაა, რომ აქ უბრალოდ თხლეა, უცნობია რისგან და ვისგან, მაგრამ ამ შეუცნობლობისა და გადასხვაფერების მიუხედავად, ტკივილს მაინც გრძნობთ და უფრო მეტი შეუცნობლობის ჟამს მით უფრო მეტ ტკივილს იგრძნობთ!

IV

- ხა-ხა-ხა! ამის შემდგომ კბილის ტკივილშიც სიამოვნებას მოიძიებთ! - შესძახებთ სიცილით.

- მერედა რაო? სიამოვნება კბილის ტკივილშიც არის, - გიპასუხებთ მე, - კბილები მთელი თვე მტკიოდა და ვიცი, რომ სიამოვნება აქაც არის. ამ ღროს, რა თქმა უნდა, მდუმარედ კი არ ბრაზობენ, არამედ გმინავენ. მაგრამ ეს გულწრფელი გმინვა კი არ არის, ღვარძლიანი გმინვაა, ხოლო არსი სწორედ ღვარძლიანობაშია. განამებულის სიამოვნება ამ გმინვით გამოიხატება. სიამოვნებას რომ არ გრძნობდეს, გმინვასაც არ მოჰყვებოდა. ბატონებო, ეს კარგი მაგალითია და განვაჯივითარებ. გმინვით, ჯერ ერთი, გამოიხატება სრული უმიზნობა ტკივილისა, რაც თქვენი ცნობიერების დამამცირებელია, მთელი კანონიერება ბუნებისა, რასაც, რა თქმა უნდა, არაფრად აგდებთ, მაგრამ მისგან მაინც ეწამებით, თავად მას კი

არაფერი ემართება. გამოითქვა აზრი, რომ მტერი არა გყავთ, ხოლო ტკივილს განიცდით. იმის შეცნობა, რომ ნაირგვარ ვაგენგეიმთა მეშვეობით[14] თქვენმავე კბილებმა ერთიანად დაგიმონათ, ვინმე თუ მოისურვებს კბილის ტკივილი რომ გაგივლით, ხოლო თუ არ ისურვებს, სამი თვე კიდევ გეტკიებათ, და ბოლოს, თუ თანახმა არა ხართ და პროტესტს მაინც გამოთქვამთ, სხვა გზა აღარ დაგრჩენიათ, თავის სანუგეშებლად თავი თავადვე უნდა გაიწკვულოთ, ანდა ვედელს მუშტი უბაგუნოთ და უბაგუნოთ, ამის მეტს კი ვერაფერს შეძლებთ. ჰოდა, ამ სისხლგამმრობ შეურაცხყოფათა, ამ გამასხარებათა შედეგად ვინ იცის, ვისგან რომ მომდინარეობს, ბოლოს სიამოვნება იწყება, ზოგჯერ უმაღლეს სიტკბოებას რომ აღწევს. ბატონებო, გთხოვთ, როდისმე ყური მიუგდოთ მეცხრამეტე საუკუნის განათლებული ადამიანის გმინვას, რომელიც კბილის ტკივილით არის განამებული. ასე მეორე-მესამე დღეს იგი ისე აღარ გმინავს, როგორც პირველ დღეს გმინავდა, ანუ ახლა არა იმის გამო, კბილი რომ სტკივა. იგი ისე კი არ გმინავს, როგორც რომელიმე უხეში გლეხკაცი, არამედ ისე, როგორც განვითარებულ და ევროპულ ცივილიზაციას ზიარებულ, როგორც ახლა ამბობენ, „ნიადაგსა და ხალხის მასებს მოწყვეტილ“ ადამიანს შეეფერება. მისი გმინვა სულ უფრო ბილწი, ამაზრზეი და ბრაზიანია, არც დღისით წყდება და არც ღამით. თანაც თავადვე იცის, რომ საკუთარ თავსაც და სხვებსაც ამაოდ აღიზიანებს. იცის, რომ ირგვლივ მყოფნი, ვის წინაშეც თავგამოდებით გმინავს, აგრეთვე ოჯახის წევრები, ზიზღით უსმენენ, მისი ოდნავადაც არ სჯერათ და გულში ამბობენ, ხომ შეუძლია სხვანაირად, უფრო უბრალოდ, ურულადებოდ, ჩაუხიხინებლად იგმინოს და ამას მხოლოდ ბოღმითა და ღვარძლიანობით სჩადისო. ამგვარად, სიტკბოებას ეს აღიარებანი და თავლაფდასხმანი ქმნის. აი, რას გეტყვით: „მე თქვენ განუხებთ, გულს გიღონებთ, არ გაძინებთ. ჰოდა, ნუ იძინებთ, ყოველ ნუთას თქვენც იგრძენით, კბილი რომ მტკივა. თქვენს თვალში გმირი კი აღარ ვარ, რადაც ადრე მსურდა, რომ წარმოგსახოდით, არამედ უსაძაგლესი ადამიანი, შენაჰანი[15] ვარ. დაე, ასე იყოს! დიდად მიხარია, რომ მიხვდით. ჩემი უხამსი გმინვის გაგონება ზიზღს გგვრით? მამ შეგზიზღდეთ. აი, ახლა უფრო უხამს რულადას მოგასმენინებთ...“ ბატონებო, ახლაც ვერ მიხვდით? არა, როგორც ჩანს, სიღრმისეული განვითარება და გაცნობიერებაა საჭირო ამ სიტკბოების ყველა კლაკნილობის მისახვედრად! გეცინებათ? ძალზე მიხარია. ჩემი ხუმრობანი, ბატონებო, რა თქმა უნდა, ცუდი ტონისაა, უსწორმასწორო და უთავბოლოა, თავდაჯერებულობის უქონლობის გამო. მაგრამ ეს ხომ იმიტომ ხდება, რომ ჩემს თავს მე თვითონ პატივს არა ვცემ. განა შეგნებულ ადამიანს შეუძლია, საკუთარი თავის ოდნავი პატივისმცემელი მაინც რომ იყოს?

V

განა შესაძლებელია, განა შესაძლებელია, საკუთარ თავს ოდნავ მაინც სცემდეს პატივს ის ადამიანი, ვინც თავის დამცირების შეგრძნებაშიც კი სიამოვნებას ეძიებს? ამას ახლა დათაფლული მომნანიებლობა არ მალაპარაკებს. საერთოდ ვერ ვიტანდი ამგვარ გამოთქმას: „მამილო, მომიტევეთ, ამას აღარასოდეს ჩავიდენ“, – იმიტომ კი არა, ამის თქმა რომ არ შემეძლო, არამედ, პირიქით, იქნებ სწორედ იმიტომ, რომ ამის ნამეტნავად შემძლებელი გახლდით, თანაც რაოდენად გახლდით! თითქოს განზრახ ისეთ რამეში შევეჩხირებოდი ხოლმე, რაშიაც დამნაშავე ოდნავადაც არ ვიყავი. სწორედ ეს იყო მეტისმეტი სისაძაგლე. თანაც გულის ამაჩუყებლად ვინანიებდი, ცრემლად ვიღვრებოდი და, რა თქმა უნდა, თავს ვიტყუებდი, თუმცაღა, სრულებით არ ვთვალთმაქცობდი. სისაძაგლე გულის შიგნიდან მოედინებოდა... აქ ბუნების კანონებსაც კი ველარ დავადანაშაულებდი, თუმცაღა, მთელი სიცოცხლე გამუდმებით და ყველაზე უფრო მეტად ბუნების კანონები მჩაგრავდა. ამაზრზენია ამის გახსენება, თუმცა მაშინაც ამაზრზენი იყო. სულ ერთი ნუთის შემდეგ ხომ ბოღმამორევით გავიაზრებდი ხოლმე, რომ ეს ყოველივე, ანუ მონანიებანი, გულის ამაჩუყებლობა, აღორძინების აღთქმანი სიცრუე იყო, საზიზღარი, ნაძალადევი სიცრუე. აბა, შემეკითხეთ, თავს ასე რატომ ვიტანჯავდი და ვისახიჩრებდი? პასუხი ეს გახლავთ: იმიტომ, რომ გულხელდაკრევით ჯდომა მბებრდებოდა. ჰოდა, ამ უკუღმართობას ვხლართავდი. ბატონებო, მერწმუნეთ, როცა ამგვარ რამეს საკუთარ თავს შეამჩნევთ, მიხვდებით, რომ ეს ასეა. ჩემივე თავისთვის თავგადასავლებს ვიგონებდი, სიცოცხლის მდინარებას ვთხზავდი, რომ ასე თუ ისე მეარსება. ასეთი რამ რამდენჯერ დამმართვია: ვთქვათ, ისე, არაფრის გამო, განზრახ გავზანწყენებულვარ. თავადვე ხომ ვიცოდი, რომ არაფრის გამო გავზანწყენდი, თავს რაღაც მოვეუგონე, მაგრამ იმდენს ვიტანჯებდი, რომ ბოლოს მართლა გავზანწყენდებოდი ხოლმე. მთელი სიცოცხლე გული

ასეთი ოინების ქმნისკენ მიმინევდა, ისე რომ, ბოლოს, თავს ვედარ ვიმორჩილებდი. ერთხელაც, ერთხელ კი არა, ორჯერ, თავი ვაიძულე, რომ შეყვარებული გავმხდარიყავი. ბატონებო, გარნმუნებთ, რომ ვიტანჯებოდი. გულის სიღრმეში არ მჯეროდა, რომ ვიტანჯებოდი, დამცინავად მეღიმებოდა, მაგრამ მაინც ვიტანჯებოდი, თანაც ნამდვილად, უკიდევანოდ. ვეჭვიანობდი, ჭკუა-გონებას ვკარგავდი... ხოლო ეს ყოველივე, ბატონებო, მონყენილობის შედეგი, ინერციით გამოწვეული გახლდათ. ცნობიერების პირდაპირი, კანონიერი, უშუალო შედეგი ხომ ინერცია, ანუ შეგნებულად გულხელდაკრევით ჯდომაა. ეს ხომ ზემოთაც მოგახსენეთ. გიმეორებთ, დაბეჯითებით გიმეორებთ: უშუალო ადამიანები და მოღვაწენი იმიტომ მოღვაწეობენ, რომ ჩლუნგნი და გონებაშეზღუდულნი არიან. ეს როგორ განვმარტოთ? აი, ასე: ისინი გონებაჩლუნგობის გამო უახლოეს და მეორეხარისხოვან მიზეზებს პირველადად მიიჩნევენ, რის შედეგადაც სხვებზე უწინარეს და იოლად რწმუნდებიან, რომ თავიანთი საქმიანობის უცილობელ საფუძველს მიაგნეს და მშვიდდებიან. უმთავრესიც ხომ ეს გახლავთ. ქმედების დანყებას ხომ ეს ესაჭიროება, რომ წინასწარ სრულიად დამშვიდებული იყოთ და არავითარი ეჭვი არა გქონდეთ. მე, მაგალითად, თავს როგორ დავიმშვიდებ? სად გამაჩნია პირველადი მიზეზები, რასაც დავყვრდნობი, სად არის საფუძველები? როგორ მოვიძიებ? მე აზროვნებას ვავარჯიშებ და, მაშასადამე, ყოველი პირველადი მიზეზი ჩემს გონებაში სხვა, უფრო პირველად მიზეზს იწვევს და ასე შემდეგ, უსასრულოდ. ყოველგვარი შემეცნებისა და აზროვნების არსი, სახელდობრ, ასეთია. მაშასადამე, ეს უკვე ბუნების კანონია. ბოლოს შედეგი რა არის? რა არის და, იგივეა. გაიხსენეთ: ცოტა ხნის წინ სამაგიეროს მიზღვაზე გელაპარაკებოდი. (ალბათ ვერ ჩასწვდით.) ნათქვამი გახლდათ: ადამიანი სამაგიეროს იმიტომ მიუზღავს, რომ ეს სამართლიანად მიაჩნია. მაშასადამე, პირველად მიზეზს მიაგნო, საფუძველს მიაგნო, სახელდობრ, სამართლიანობას. ესე იგი, ყოველმხრივ დამშვიდებულია და, მაშასადამე, სამაგიეროს მშვიდად და შედეგიანად მიუზღავს, რადგან დარწმუნებულია, რომ პატიოსნად და სამართლიანად მოქმედებს. ხოლო მე აქ სამართლიანობას ვერ ვხედავ, ვერც ზნეობრიობას ვამჩნევ, ჰოდა, თუ სამაგიეროს მიზღვას შევუდგები, ამას მხოლოდ ბოღმით ვიქმ. ბოღმა, რა თქმა უნდა, ყველაფერს დაძლევა, ჩემს ყველა ეჭვს გააქარწყლებდა და, მაშასადამე, პირველადი მიზეზის მაგიერობას სრული წარმატებით გასწევდა, სწორედ იმიტომ, რომ იგი მიზეზი არ არის. მაგრამ რა უნდა ვქნა, თუკი ბოღმაც არ გამაჩნია (ცოტა ხნის წინ ხომ ამით დავინყე). შემეცნების წყეული კანონები კვლავ და კვლავ ჩემი ბოღმის ქიმიურ დაშლას იწვევს. საგანი თვალწინ გაუჩინარდება, საბუთები განქარდება, დამნაშავე ვერ მოიძებნება, შეურაცხყოფას სხვა რამ, ვთქვათ, კბილის ტკივილი ჩაენაცვლება, რაშიაც დამნაშავე არავინ არის და, მაშასადამე, კვლავ მხოლოდ იგივე გამოსავალი გრჩება – ანუ კედელს მუშტი უნდა უბაგუნო და უბაგუნო, ჰოდა, ხელს ჩაიქნევ, რამეთუ პირველად მიზეზს ვერ მიაგნე. აბა, ცადე და შენს გრძნობას ბრმად, მსჯელობის, პირველადი მიზეზის გარეშე გაეტაცებინე, ცნობიერებას თუნდაც მხოლოდ ამ დროს გაემიჯნე, შეიძულე, ან შეიყვარე მხოლოდ იმიტომ, გულხელდაკრებილი რომ არ იჯდე. ზეგ, ყველაზე უგვიანეს ვადაში, საკუთარი თავის შეძულებას დაიწყებ იმის გამო, რომ თავი კუდაბზიკურად აცდუნე. შედეგი საპნის ბუშტი და ინერცია იქნება. ღმერთო ჩემო, მე ხომ თავი ჭკვიან ვაცად იქნებ მხოლოდ იმიტომ მიმაჩნია, რომ არასოდეს არაფერი არც დამინყია და არც დამისრულებია. ჰო, კარგი, ყბედი ვარ, უვნებელი, მაგრამ უჟმური მოლაყბე, როგორნიც ყველანი ვართ. მაშ რა ვქნათ, თუკი ყოველი ჭკვიანი ვაცის უშუალო და ერთადერთი დანიშნულება ლაყბობა, ანუ ცარიელიდან ცარიელში გადაყრა-გადმოყრაა.

VI

ო, რა იქნება, არაფერი მხოლოდ სიზარმაცის გამო არ მაკეთებინა. ღმერთო ჩემო, როგორი პატივისმცემელი ვიქნებოდი საკუთარი თავისა. პატივისმცემელი ვიქნებოდი, რადგან უმაქნისობას მაინც გავითავისებდი, ჩემს არსებაში ერთი თვისება მაინც იქნებოდა თითქოს დადებითი, რასაც თავადვე ვირწმუნებდი. მაშ ვიკითხოთ: ვინა ვარ მე? პასუხი ეს გახლავთ: უმაქნისი. ამ სახელით თუ მომიხსენიებენ, ეს ხომ უაღრესი სიამოვნების მომნიჭებელი იქნება. მაშ დადებითად განვისაზღვრე, მაშ ეს მაინც შეიძლება, რომ მეწოდოს: „უმაქნისი!“ – ეს ხომ წოდება და დანიშნულებაა, ეს ხომ კარიერაა. ხუმრობაგამწვევით ასეა. მაშინ უპირველესი კლუბის წევრობის უფლება მექნება და მხოლოდ იმას ვიქმდი, რომ თავს განუწყვეტლივ პატივს მივაგებდი. მე ერთ ბატონს ვიცნობდი, რომელიც მთელი სიცოცხლე იმით ამაყობდა, რომ ლაფიტის[16] გემო იცოდა.

ეს თავის დადებით ღირსებად მიაჩნდა და ამ ღირსეულობაში ეჭვი არასოდეს შეჰპარვია. იგი არათუ დამშვიდებული, არამედ მოზეიმე სინდისით გარდაიცვალა და მართალიც გახლდათ. მე კი ასეთ კარიერას ავირჩევდი: უმაქნისისას, ღორმუცლისას, მაგრამ უბრალო უმაქნისის და ღორმუცლის კი არა, არამედ, მაგალითად, ყოველივე მშვენიერისა და ამაღლებულის თანამგრძობელისას. როგორ მოგწონთ? ეს დიდი ხნის წინვე მეღანდებოდა. „მშვენიერი და ამაღლებული“ კისერზე მძიმედ მანვა ორმოცი წლისას; ოღონდ ორმოცი წლისას, ხოლო მაშინ - ო, მაშინ სულ სხვაგვარად გახლდათ! მაშინვე მოვიძიებდი შესაბამის საქმიანობას, - სახელდობრ, ყოველივე მშვენიერისა და ამაღლებულის სადღეგრძელოს შევსვამდი. ყოველგვარ შემთხვევას მოვიმიზნებდი, რომ ფიალაში თავდაპირველად ცრემლი ჩამედვარა და ყოველივე მშვენიერისა და ამაღლებულის სადღეგრძელო მერე დამელია. მაშინ ამქვეყნად ყოველივეს მშვენიერად და ამაღლებულად გადავაქცევდი. უსაძაგლეს, უკიდურეს ნაყარ-ნუყარშიც კი მშვენიერსა და ამაღლებულს გამოვჩხრევდი. გაჟღენთილი ღრუბელივით ცრემლმდინარი გავხდებოდი. მხატვარმა, მაგალითად, გეს სურათი დახატა.[17] მე უმაღვე ვსვამ იმ მხატვრის სადღეგრძელოს, ვინც გეს სურათი დახატა, რადგან ყოველივე მშვენიერი და ამაღლებული მიყვარს. ავტორმა დაწერა „როგორც გენებოთ“; მე უმაღ ვსვამ ამ გამონათქვამის სადღეგრძელოს, რადგან „ყოველივე მშვენიერი და ამაღლებული“ მიყვარს. ამის გამო მოვითხოვ, რომ პატივი მცეთ და მოსვენებას არ მივცემ იმას, ვინც ჩემს მიმართ პატივისცემას არ გამოხატავს. მშვიდად ვცხოვრობ და საზეიმოდ ვკვდები - ეს ხომ დიდებულია, უაღრესად დიდებული! იმხელა ღიჰს და სამკეც ღაბაბს წამოვიზრდიდი, ისეთ ცხვირს ჩამოვიგრძელებდი, რომ ვინც კი გზად შემომეყრებოდა, ყველა იტყოდა: „აი, ვინ არის ნამდვილად დადებითი!“ ბატონებო, რაც გინდათ ის იფიქრეთ, მაგრამ ჩვენს უარყოფით საუკუნეში ამგვარ შეფასებათა გაგონება უაღრესად საამოა.

VII

მაგრამ ეს ყოველივე ნეტარი ოცნებებია. ო, მითხარით, პირველად ვინ განაცხადა, პირველად ვინ წარმოთქვა, რომ ადამიანი სისაძაგლეს მხოლოდ იმიტომ სჩადის, თავისი ნამდვილი ინტერესები რომ არ უწყის, ხოლო თუ გაანათლებთ, თვალს აუხელთ და თავის ნამდვილ ინტერესებს დაანახვებთ, სისაძაგლეთა ჩადენას უმაღვე შეეშვება, უმაღვე კეთილი, კეთილშობილი გახდება, რამეთუ როგორც კი განათლდება და ეცოდინება, რა არის მისი ნამდვილი სარგებელი, სწორედაც სიკეთეს მიიჩნევს თავის სარგებლად და რაკილა საკუთარი სარგებლის საწინააღმდეგოდ არავინ მოქმედებს, მაშასადამე, ასე ვთქვათ, აუციელებლობის გამო სიკეთეს იქმს? ო, თოთო არსებავ! ო, უმნიკვლო, უმანკო ყრმავ! ჯერ ერთი, ამ მრავალ ათასწლეულში როდის იყო, რომ ადამიანი მხოლოდ საკუთარი სარგებლისთვის მოქმედებდა? რა ვუყოთ მილიონობით ფაქტს, რაც იმას მოწმობს, რომ ადამიანებმა სავსებით იცოდნენ, თავიანთი ნამდვილი სარგებელი რა იყო, მაგრამ ამ სარგებელს ბურგი ამპარტავნულად შეაქციეს და სხვა, სათუო, სარისკო გზას დაადგინენ, რასაც არავინ და არაფერი აიძულებდათ, თითქოს მითითებულ გზაზე დგომა სწორედაც არ ეწადათ და საძნელო, უაზრო გზაკვალს ლამის წყვილიაღში ჯიუტად, თვითნებურად მიიკვლევდნენ. მაშასადამე ეს სიჭიუტე და თვითნებობა ყოველგვარ სარგებელზე მეტ სიამეს ანიჭებდათ... სარგებელი! რა არის სარგებელი? განა თავს იდებთ იმის სავსებით ბუსტად განსაზღვრას, ადამიანისთვის სასარგებლო, სახელდობრ, რა არის? ვთქვათ, ასეთი რამ მოხდეს, რომ ადამიანმა მომგებიანად თავისთვის სასარგებლო კი არა, საზიანო რამ მიიჩნიოს. ეს თუ მოხდება, მაშინ ხომ მთელი წესი გაცამტვერდება. რა გგონიათ, ასეთი რამ მოხდება? ბატონებო, გეცინებათ, მაგრამ მიჰასუხეთ, სრულყოფილად თუ არის გაანგარიშებული, რაც ადამიანისთვის სასარგებლოა? ხომ არ დარჩენილა ზოგი რამ, რაც არანაირ ცირკულარში არა მარტო არ არის მოთავსებული, არამედ ვერანაირად ვერ მოთავსდება? ბატონებო, თქვენ ხომ, როგორც ვუწყი, ადამიანისთვის სარგებლიანობათა მთელი რეესტრი სტატისტიკურ ციფრთა საშუალო რიცხვისა და მეცნიერულ-ეკონომიკურ ფორმულათა მიხედვით აიღეთ. თქვენი სარგებლიანობანი ხომ ამგვარი ჩამონათვალია: კეთილდღეობა, სიმდიდრე, თავისუფლება, სიმშვიდე და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ხოლო ვინც, ვთქვათ, მთელ ამ რეესტრს აშკარად და მედიდურად შეწინააღმდეგება, თქვენი აზრით, და, რა თქმა უნდა, ჩემი აზრითაც, ობსკურანტი, ანდა მთლად შეშლილია. ოღონდ საოცარი, აი, რა არის: რატომ ხდება, რომ ეს სტატისტიკოსები, ბრძენთაბრძენნი და ადამიანთა მოდგმის მოყვარულნი სარგებლიანობის ჩამონათვალში ერთ სარგებელს ყოველთვის

გამოტოვებენ ხოლმე? ჩამონათვალში შესატანად არც ითვალისწინებენ იმ სახით, რა სახითაც უნდა იქნას შეტანილი; არადა მთელი ჩამონათვალი ამაზება დამოკიდებული. მერედა, ეს რა უსაშველოა? ავიღოთ ეს სარგებელი და ჩამონათვალში შევიტანოთ. მაგრამ უბედურება სწორედ ეს არის, რომ ეს სახათაბალო სარგებელი ვერცერთ კლასიფიკაციაში ვერა და ვერ მოხვედრილა, ვერცერთ ჩამონათვალს ვერ მორგებია. მე, მაგალითად, ერთი ნაცნობი მყავს... ეჰ, ბატონებო! ის ხომ თქვენი ნაცნობიც არის. ანდა, ვისი ნაცნობი არ არის! ეს ბატონი როცა საქმეს შეუდგება, უმაღლესი ენაწილიანად და ნათლად მოგახსენებთ, სახელდობრ, როგორ უნდა იმოქმედოს გონიერებისა და ჭეშმარიტების კანონებით. გარდა ამისა: მღელვარედ და მგზნებარედ დაგინწყებთ ლაპარაკს ადამიანთა ნამდვილ, ნორმალურ ინტერესებზე, დამცინავად გააკიცხავს უგუნურთა სიბედვეს, ვისაც ვერ შეუცვნია ვერც თავისი სარგებლიანობა და ვერც სათნოების ჭეშმარიტი მნიშვნელობა, ხოლო თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ, ყოველგვარი უცაბედი და გარეგანი საბაბის გარეშე, დიახაც, სწორედ ერთგვარი შინაგანი საბაბით, რაც მის ყველა ინტერესზე ძლიერია, სრულიად სხვანაირ ოინს გამოიგონებს, ანუ იმას დაუპირისპირდება, რასაც თავად ამბობდა: გონიერების კანონებსაც, თავის სარგებლიანობასაც, ერთი სიტყვით, ყველაფერს... გაფრთხილებთ, ჩემი ნაცნობი კრებითი პიროვნებაა და ამიტომ მხოლოდ მისი დადანიშნულება ერთობ ძნელია. ბატონებო, საქმეც სწორედ ეს არის, მართლაც ხომ არ არსებობს ისეთი რამ, რაც ყველა ადამიანისთვის საუკეთესო სარგებლიანობებზე უძვირფასესია, ანდა (ლოგიკა რომ არ უკუვაგდოთ) ერთი ისეთი უსასარგებლოესი სარგებელი არსებობს (სახელდობრ, გამოტოვებული, რაზედაც ახლახან ვლაპარაკობდით), რაც უმთავრესი და უსასარგებლოესია ყველა სხვა სარგებელთან შედარებით და რისთვისაც ადამიანი, თუ საჭირო იქნება, ყველა კანონს დაუპირისპირდება, ანუ გონიერებასაც, ღირსებასაც, სიმშვიდესაც, კეთილდღეობასაც, – ერთი სიტყვით, ყველა ამ მშვენიერსა და სასარგებლო ცნებებს, ოღონდაც მოიპოვოს ეს პირველადი, უსასარგებლოესი სარგებელი, რაც მისთვის უძვირფასესია.

- მაინც რა არის ეგ სარგებელი, - შემანყვეტინებთ თქვენ. - მოითმინეთ, კიდევ განგიმარტავთ. მთავარი ვალამბური კი არ არის, არამედ ის, რომ ეს სარგებელი საუცხოო სწორედ იმიტომ არის, რომ ჩვენს ყველა კლასიფიკაციას ანადგურებს და ყველა სისტემას ამსხვრევს, რაც კი ადამიანთა მოდგმის ტრფიალთ ადამიანთა მოდგმის გასაბედნიერებლად შეუქმნიათ. ერთი სიტყვით, ყველაფერს უპირისპირდება. მაგრამ მანამდე, სანამ ამ სარგებელს დაგისახელებთ, პირადად ჩემი კომპრომეტირება მსურს და ამიტომ უტიფრად ვაცხადებ, რომ ყველა ეს მშვენიერი სისტემა, ყველა ეს თეორია, რაც კაცობრიობას მის ჭეშმარიტ, ნორმალურ ინტერესებს განუმარტავს, რათა ამ ინტერესთა მოპოვებისკენ მისწრაფებამ უმაღლეს კეთილად და კეთილშობილად გადააქციოს, ჯერჯერობით, ჩემი აზრით, მხოლოდ ლოგისტიკაა! დიახ, ლოგისტიკა! დამტკიცება თუნდაც იმ თეორიისა, რომ ადამიანთა მთელი მოდგმა მისივე სარგებლიანობის სისტემის წყალობით განახლდება, ეს ხომ, ჩემი აზრით, თითქმის იგივეა... მაგალითად, ბოკლის[18] კვალდაკვალ რომ ამტკიცო, ცივილიზაცია ადამიანს ალმობიერებს, რის შედეგადაც ნაკლებად სისხლის მწყურვალე ხდება და, მამასადამე, ომში ჩასაბმელად ნაკლებუნარიანიყო. მისი ლოგიკით ეს თითქოს ასეც არის. მაგრამ ადამიანი სისტემისა და განყენებული დასკვნის მიმართ იმდენად მიკერძოებულია, რომ მზად არის, სიმართლე განზრახ დაამახინჯოს, მზად არის, არც დაინახოს რამე და არც გაიგონოს, ოღონდაც თავისი ლოგიკა გაამართლოს. ამ მაგალითს იმიტომ მივმართავ, რომ ეს ძალზე ცხადი მაგალითია. აბა, ირგვლივ მიმოიხედეთ: სისხლი ბღვად მოედინება, თანაც ისეთი მხიარულებით, თითქოს შამპანური იყოს. მაშ ინებეთ, ეს არის ჩვენი მეცხრამეტე საუკუნე, როცა ბოკლი ცხოვრობდა. ეგეც თქვენი ნაპოლეონი - დიადიც და ამჟამინდელიც.[19] ეგეც თქვენი ჩრდილოეთ ამერიკა[20] - სამარადჟამო კავშირი. ეგეც თქვენ, ბოლოს, კარიკატურული მღებვიგ ჰოლშტაინი...[21] ცივილიზაცია ჩვენს არსებაში რას ალმობიერებს? ცივილიზაცია ადამიანში მხოლოდ შეგრძნებათა მრავალმხრივობას გამოიმუშავებს და მეტს არაფერს. ხოლო ამ მრავალმხრივობის განვითარებით ადამიანი ლამის იქამდეც კი მივა, რომ სისხლისღვრაში სიამოვნებას მოიძიებს. ეს ხომ უწინაც ყოფილა. არ შეგიმჩნევიათ, რომ ყველაზე დახვეწილი სისხლისმღვრელნი თითქმის ერთიანად ყველაზე ცივილიზებული ბატონები გახლდნენ, რომელთა ფეხის ფრჩხილის შესადარნიც ვერ იქნებოდნენ სხვადასხვაგვარი ატილები[22] და სტენკა რაზინები,[23] ხოლო თუ ისინი ატილასავით და სტენკა რაზინით ამკარად თვალში საცემნი არ არიან, ეს სწორედ იმიტომია, რომ ძალზე მოხშირდნენ, ძალიან ჩვეულებრივნი არიან და თვალის

მივაჩვიეთ. ყოველ შემთხვევაში, ცივილიზაციის შედეგად ადამიანი უფრო სისხლის მწყურვალე თუ არ გამხდარა, უთუოდ უარეს და უსაძაგლეს სისხლის მწყურვალედ მაინც გადაიქცა, ვიდრე ადრე იყო. ადრე იგი სისხლისღვრაში სამართლიანობას ხედავდა და გასაჟღერებლად დამშვიდებული სინდისით ჟღერდა, ახლა კი სისხლისღვრა თუმცა სისაძაგლედ მიგვაჩნია, მაინც ამ სისაძაგლეს ვჩადივართ, თანაც უფრო მეტად, ვიდრე უნინ. რა არის უარესი? თავად გადაწყვიტეთ. ამბობენ, რომ კლეოპატრა[24] (ბოდის მოგონებით, რომ მაგალითი რომის ისტორიიდან არის) თავის მონა ქალებს მკერდში ოქროს ქინძისთავეებს ურჭობდა და მათი ყვირილითა და კრუნჩხვით ტკბებოდა. მეტყვიით, რომ ეს შედარებით ბარბაროსულ დროს იყო, რომ ახლაც ბარბაროსული დროა, რადგან (კვლავ შედარებით თუ ვიტყვი) ქინძისთავეებს ახლაც ურჭობენ, რომ ადამიანი ამჟამად თუმცა განისწავლა, რომ ბარბაროსულ დროსთან შედარებით ზოგჯერ ზოგ რამეს უფრო ნათლად ჭვრეტდეს, მაგრამ ჯერ კიდევ მთლად ვერ მიეჩვია ისე მოქცევას, როგორც გონიერება და მეცნიერება მიუთითებს. მაგრამ თქვენ მაინც სავსებით დარწმუნებული ხართ, რომ იგი უსათუოდ შეიცვლება, როცა ზოგ-ზოგ ძველ, მავნე ჩვევას მთლიანად მოიშლის, როცა ჯანსაღი აზრი და მეცნიერება ადამიანის ბუნებას სავსებით ახლებურად აღზრდის და ნორმალურად წარმართავს. დარწმუნებული ხართ, რომ ადამიანი შეცდომებს ნებაყოფლობით უკუაგდება და, ასე ვთქვათ, უნებურად არ ისურვებს თავისი ნების გამიჭვნას თავისივე ნორმალური ინტერესებისგან. უფრო მეტიც: ამბობთ, რომ ადამიანს თვით ბუნება განასწავლის (თუმცა ეს, ჩემი აზრით, ფუფუნებაა), რომ, სინამდვილეში, არც ნება აქვს, არც ვაპრიზი და არც არასოდეს ჰქონია, თავად მხოლოდ ფორტეპიანოს კლავიშის[25] თუ ორგანის წკირის მსგავსი რაღაც არის; ამას გარდა, ამქვეყნად ბუნების კანონებიც ხომ არსებობს, ასე რომ იგი რასაც სჩადის, თავისი სურვილით კი არა, არამედ, თავისთავად, ბუნების კანონთა შესაბამისად სჩადის. მამასადამე, ბუნების ამ კანონებს აღმოაჩენენ თუ არა, ადამიანი თავის ქმედებათა გამო პასუხს აღარ აგებს და ცხოვრება ძალზე გაუადვილდება. ადამიანის ყველა ქმედება, თავისთავად, ამ კანონთა მიხედვით მათემატიკურად, 108 000-მდე ლოგარითმების ცხრილივით გაანგარიშდება და კალენდარში იქნება შეტანილი, ანდა უფრო უკეთესი რამ მოხდება, კეთილგანზრახულობის წყალობით მოგვევლინება თანამედროვე ენციკლოპედიურ ლექსიკონთა მაგვარი ერთგვარი გამოცემანი, სადაც ყველაფერი ისე ბუსტად იქნება გამოთვლილი, რომ ამქვეყნად აღარც რაიმე საქციელი იარსებებს და აღარც თავგადასავლები.

მაშინ, - ყოველივე ამას თქვენ ამბობთ, - ახალი ეკონომიკური ურთიერთობანი წარმოიქმნება, სავსებით გამზადებული და ასევე მათემატიკური სიზუსტით გამოთვლილი, ისე რომ მყისიერად გაქრება ყველანაირი პასუხი, სახელდობრ, იმიტომ, რომ მათზე საკითხი ყველანაირად იქნება გაცემული. მაშინ ბროლის სასახლე აშენდება.[26] მაშინ... ერთი სიტყვით, მაშინ ფრინველი კაგანი მოფრინდება,[27] რა თქმა უნდა, არავითარი გარანტია არ იარსებებს (ამას უკვე მე ვამბობ) რომ მაშინ, მაგალითად, უკიდურესი მონყენილობა არ დაისადგურებს (რამეთუ საკეთებელიც აღარაფერი იქნება, როცა ყველაფერი ცხრილით იქნება გაანგარიშებული),სამაგიეროდ, ყოველივე უაღრესად გონივრული შეიქნება.

მონყენილობისგან, რა თქმა უნდა, რაღას არ შეთხზავ! ოქროს ქინძისთავეებს ხომ მონყენილობისგან ურჭობენ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერია. სისაძაგლე ის გახლავთ (ამას ისევ მე მოგახსენებთ), რომ იქნებ ოქროს ქინძისთავეებითაც გაიხარონ. ადამიანი ხომ უგუნურია, ფენომენალურად უგუნური. ანუ თუნდაც სრულებით არ იყოს უგუნური, ისეთი უმაღური იქნება, მსგავსს ვერსად მოიძიებ. მე ხომ, მაგალითად, ოდნავადაც არ გამიკვირდება, თუ მომავალ საყოველთაო კეთილგონიერების ჟამს უეცრად, სრულიად უმიზეზოდ, არაკეთილშობილური ანდა, უკეთესად რომ ვთქვათ, რეტროგრადული და დამცინავი ფიზიონომიის მქონე ჯენტლმენი მოგვევლინება, დოინჯს შემოიყრის და ყველას გვეტყვის: ბატონებო, რა იქნება, რომ მთელ ამ კეთილგონიერებას წიხლი ვკრათ და ერთბაშად გავაცამტვეროთ მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ეს ლოგარითმები ჯანდაბის გზას გაუყენოთ, რათა კვლავ ჩვენი უგუნური ნებით ვიცხოვროთ! ეს კიდევ არაფერია, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ მიმდევრებს უსათუოდ შეიძენს, რამეთუ ადამიანი ასეთი ნიშანთვისების მქონეა. ხოლო ეს ყოველივე ისეთი უმნიშვნელო მიზეზის გამოა, რის ხსენებაც, მგონი, არც კი ღირს, სწორედ იმიტომ, რომ ყოველ ადამიანს ყველგან და ყოველთვის ისე მოქცევა უყვარდა, როგორც მოესურვებოდა და არა ისე,

როგორც გონიერება და სარგებლიანობა უკარნახებდა. სურვილი კი, შესაძლოა, ხანაც უსათუოდ (ეს უკვე ჩემი იდეაა), თავის სარგებლის საწინააღმდეგო ექნეს. საკუთარი ნებსითი და თავისუფალი სურვილი, თუნდაც სრულიად უცნაური კაპრიზი, ზოგჯერ სიგიჟემდე მისული ფანტაზია, დიახაც ეს გახლავთ სწორედ ის გამოტოვებული, უსასარგებლოესი სარგებელი, რაც ვერავითარ კლასიფიკაციაში ვერ თავსდება და რომელიც ყველა სისტემისა და თეორიის გამაცამტვერებელია. იმ ბრძენთა ბრძენებმა საიდან გამოჩხრიკეს რომ ადამიანს მინცდამინც ნორმალური, მაღალბნეობრივი წადილი ესაჭიროება? რანაირად წარმოიდგინეს, რომ ადამიანს უსათუოდ კეთილგონივრულად სასარგებლო წადილი სჭირდება? ადამიანს მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებელი წადილი ესაჭიროება, ეს დამოუკიდებლობა რადაც უნდა დაუჭდეს და სადამდეც უნდა მიიყვანოს. ხოლო წადილი, წადილი ხომ ეშმაკმა უწყის...

VIII

- ხა-ხა-ხა! წადილი ხომ, არსებითად, რომ იცოდეთ, არც არსებობს! - ხარხარით შემაწყვეტიანებთ. მეცნიერებამ ადამიანი ანატომიურად ისე გამოწვლილვით შეისწავლა, რომ ამჟამად ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ წადილი და ეგრეთ წოდებული თავისუფალი ნება სხვა არაფერია თუ არა...

- ბატონებო, მაცადეთ, თავადაც ხომ დანყება ამით მსურდა. ვაღიარებ, რომ შევძინდი კიდევაც. ეს ეს არის უნდა მეყვირა, რომ ეშმაკმა უწყის, წადილს რა ინვესს, ღვთის წყალობით, მეცნიერებაც გავიხსენე და... შევყოვნდი. ჰოდა, ამ დროს თქვენც ალაპარაკდით. თუ როდისმე ჩვენს ყველა წადილთა და კაპრიზთა ფორმულას მართლა მიაგნებენ, ანუ მათ რა ინვესს და, სახელდობრ, რა კანონები წარმოქმნის, როგორ განეწვრიბიან და საით მიემართებიან ამა თუ იმ შემთხვევაში და ასე შემდეგ, ანუ ნამდვილ მათემატიკურ ფორმულას თუ მიაკვლევენ, მაშინ ხომ ადამიანი წადილს უმაღლვე მართლაც შეეშვება, დიახ, აუცილებლად შეეშვება. ცხრილის მიხედვით წადილი რა სასურველია? ამას გარდა, იგი უმაღლვე ადამიანიდან ორგანის წვირად ანდა სხვა ამგვარ რაიმედ გადაიქცევა. სურვილის, ნების და წადილის უქონელი ადამიანი, სხვა რაღა იქნება, თუ არა ორგანის ლილვის წვირი? რა გგონიათ? ალბათობა გამოვთვალოთ, ეს შესაძლოა, მოხდეს თუ არ მოხდეს?

- ჰმ... - გადანყვეტთ თქვენ, - ჩვენი წადილნი უმეტესად მცდარია ჩვენს სარგებლიანობათა მიმართ მცდარი თვალსაზრისის გამო. ნამდვილი სისულელე ზოგჯერ იმიტომ გვსურს, რომ უგუნურობის გამო ეს სისულელე წინასწარ ნავარაუდები ამა თუ იმ სარგებლის მოსაპოვებელ უიოლეს გზად მიგვაჩნია. ხოლო როცა ეს ყოველივე განმარტებული და ქაღალდზე გამოთვლილი იქნება (რაც ძალზე შესაძლებელია, რამეთუ საძაგლობა და უაზრობაა წინასწარ იმის მიჩნევა, რომ ადამიანი ბუნების ზოგიერთ კანონს ვერასოდეს შეიცნობს) მაშინ, რა თქმა უნდა, ეგრეთ წოდებული სურვილები აღარ იარსებებს. თუ წადილი გონებასთან როდისმე იდუმალად სავსებით შეთანხმებული იქნება, მაშინ ხომ კი არ ვისურვებთ, არამედ ვიმსჯელებთ, სახელდობრ იმიტომ, რომ, მაგალითად, გონება თუ შენარჩუნებული გვექნება, უაზროდ ხომ არ ვინდომებთ რაიმეს, გონიერებას მედიდურად ხომ არ შევწინააღმდეგებთ და ჩვენს თავს საზიანოს ვუსურვებთ... ხოლო წადილნი და მსჯელობანი რაკილა თავიდან ბოლომდე ნამდვილად გამოთვლილი იქნება, რამეთუ ჩვენი ეგრეთ წოდებული თავისუფალი ნების კანონებს ხომ როდისმე აღმოაჩენენ, მაშ, ესე იგი, ხუმრობის გარეშე, ცხრილის მსგავსი რაღაც შეიქმნება, ისე რომ, სინამდვილეში, სურვილებს ამ ცხრილის მიხედვით ვიქონიებთ. მე, მაგალითად, თუ როდისმე გამიანგარიშებენ და დამიმტკიცებენ, ვინმეს ბრანი თუ ვუჩვენე, სახელდობრ იმიტომ ვუჩვენე, რომ არ შემეძლო, არ მეჩვენებინა და უსათუოდ ამა და ამ თითით უნდა მეჩვენებინა, მაშინ თავისუფალი ნება როგორღა მექნება, განსაკუთრებით მაშინ, მეცნიერი თუ ვარ და სადმე მეცნიერებათა კურსი მაქვს დამთავრებული? მაშინ ხომ ჩემი ცხოვრების ოცდაათწლიანი გზის გავარაუდება წინასწარ შემეძლება; ერთი სიტყვით, ეს თუ მოგვარდება, მაშინ ხომ საქმნელიც აღარაფერი გვექნება; სულ ერთია, მინც ასე უნდა მოვიქცეთ. საერთოდაც, თავს მოუღალავად უნდა გავუმეოროთ, რომ ბუნება, უსათუოდ, ამა და ამ ნუთში და ამა და ამ ვითარებაში, არაფერს დაგვეკითხება, ეს ასეთნაირად უნდა შევიგუოთ და არა ისე, როგორც ჩვენი ფანტაზია წარმოგვისახავს და თუ ცხრილსა და კალენდარს, თუნდ რეტორტას მაინც ნამდვილად ვესწრაფვით, მაშინ სხვა გზა აღარ გვექნება, რეტორტაც უნდა შევიგუოთ! თორემ ის თავად, უჩვენოდაც იმოქმედებს...

- დიახ, თუმცაღა, აქ უნდა შევყოვნდე! ბატონებო, მოგიბოდიშებთ, ფილოსოფოსობას რომ მოვყევი, ეს იატაკქვეშეთში ორმოცი წლით ყოფნამ გამოიწვია! ნება მიბოძეთ, ფანტაზიას მოვუხმო. ბატონებო, ხომ იცით, გონი ვარგი რამეა, ეს უდავოა, მაგრამ გონი მხოლოდ გონია და ადამიანს მხოლოდ გონის უნარს უკმაყოფილებს, წადილი კი მთელი ცხოვრების გამოვლინებაა, ანუ ადამიანის მთელი ცხოვრებისა გონიანად და თავის მოფხანთანად. ჩვენი ცხოვრება ამ გამოვლინებისას ხშირად თუმცა საძაგელია, მაინც ხომ ცხოვრებაა და არა მხოლოდ კვადრატული ფესვის ამოღება. მე ხომ, მაგალითად, სრულიად ბუნებრივად მსურს იმისთვის ვიცხოვრო, რათა დავიკმაყოფილო ჩემი ყოველგვარი უნარი ცხოვრებისა და არა იმისთვის, რომ მხოლოდ ჩემი გონის უნარს, ანუ ცხოვრების უნართა მხოლოდ ერთ მეოცედს ვიკმაყოფილებდე. გონმა რა იცის? გონმა მხოლოდ ის იცის, რის შეცნობაც მოასწრო (მეტს ალბათ ვერც ვერასოდეს შეიცნობს; ეს თუმცა ვერანაირი მანუგემებელია, მაგრამ მაინც რატომ არ უნდა გამოვთქვათ?), ხოლო ადამიანის არსი ერთიანად მოქმედებს, ყველაფრით, რაც მასშია. შეგნებულად თუ შეუგნებლად და თუმცა ცრუობს, მაგრამ ცხოვრობს. ბატონებო, ვეჭვობ, რომ სიბრაღულით მიცქერით, ერთთავად მიმეორებთ, რომ განსწავლულ, განვითარებულ ადამიანს, ერთი სიტყვით, ისეთს, როგორც მომავლის ადამიანი იქნება, არ შეეძლება, საკუთარი თავისთვის რაიმე უსარგებლო მედიდურად ინდომოს და რომ ეს მათემატიკაა. სავსებით გეთანხმებით, ნამდვილად მათემატიკაა. მაგრამ მეასედ გიმეორებთ, არის მხოლოდ ერთი შემთხვევა, ერთადერთი შემთხვევა, როცა ადამიანს შეუძლია, თავის თავს თუნდაც საზიანო, სულელური, უსულელურესი რამ განზრახ, შეგნებულად უსურვოს, სახელდობრ: რათა უფლება ჰქონდეს, საკუთარი თავისთვის უსულელურესი რამ ინდომოს და ხელფეხებოტილი არ იყოს ვალდებულებით, რომ მხოლოდ ჭკვიანური რამ ისურვოს. ეს ხომ უსულელურესია, ეს ხომ ვაპრიზია და სინამდვილეში, ბატონებო, ჩვენისთანისთვის იქნებ ყოველივეზე მეტად სასარგებლო იყოს, რაც კი ამქვეყნად არსებობს, განსაკუთრებით ზოგიერთ შემთხვევაში. სახელდობრ, შესაძლოა, ყველა სარგებელზე უსასარგებლოესი იყოს მაშინაც კი, როცა ჩვენთვის აშკარად საზიანოა და სარგებლიანობაზე ჩვენი გონის ყველაზე ჯანსაღ დასკვნებს ეწინააღმდეგება, რადგან ასე თუ ისე გვინარჩუნებს უმთავრესსა და უძვირფასესს, ანუ ჩვენს პიროვნებას და ჩვენს ინდივიდუალობას. ზოგნი ამტკიცებენ, რომ ეს სინამდვილეში ადამიანისთვის ყოველივეზე ძვირფასია. წადილი, რა თქმა უნდა, შესაძლოა, გონსაც მოერგოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამას ბოროტად კი არა, ზომიერად გამოიყენებ. ეს სასარგებლო და ზოგჯერ საქებურიც კი გახლავთ. მაგრამ წადილი ძალზე ხშირად და უმეტესადაც კი გონს სავსებით და ჯიუტად ეწინააღმდეგება და... იცით, რომ ესეც სასარგებლო და ზოგჯერ საქებურიც კი არის? ბატონებო, ვთქვათ, ადამიანი უგუნური არ არის. (მართლაცდა, მასზე ამის თქმა ხომ სრულიად შეუძლებელია, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ თუ იგი უგუნური იქნება, მაშინ ჭკვიანი ვინდა უნდა იყოს?) მაგრამ უგუნური თუ არ არის, საშინლად უმადური მაინც გახლავთ! ფენომენალურად უმადურია! ისიც კი მგონია, რომ ადამიანის საუკეთესო განსაზღვრა ეს არის: იგი ორფეხზე მოსიარულე, უმადური არსებაა.[28] მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი არ არის. ეს მისი უმთავრესი ნაკლი არ გახლავთ. მისი უმთავრესი ნაკლი უზნეობაა, გამუდმებული უზნეობა მსოფლიო წარღვნიდან[29] დანყებული შლეზვიგ-ჰოლშტაინის პერიოდამდე. უზნეობა და, მაშასადამე, არაკეთილგონიერებაც. რამეთუ დიდი ხანია ცნობილია, რომ არაკეთილგონიერებას უსათუოდ უზნეობა წარმოქმნის. აბა, თვალი გადაავლეთ კაცობრიობის ისტორიას. რას ნახავთ? დიდებულებას? მართლაც რომ დიდებულებას. თუნდაც, მაგალითად, მარტო როდოსის კოლოსი[30] რად ღირს! ბ-ნი ანაევსკი[31] ტყუილად ხომ არ გვაუწყებს, რომ მასზე ზოგნი ამბობენ ადამიანის ნახელავიაო, ზოგნი კი ამტკიცებენ, თვით ბუნების ხელქმნილიაო. ღვარჭნილობაა? მართლაც ღვარჭნილობაა. თუნდაც მხოლოდ ყველა დროისა და ყველა ხალხის სამხედრო და სამოქალაქო მუნდირები განვიხილოთ. მარტო ეს რად ღირს; ხოლო ვიცმუნდირებთან ერთად ხომ ფეხს წაიმტკრევ. ვერც ერთი ისტორიკოსი ვერას გახდებო. ერთფეროვნებაა? მართლაცდა ერთფეროვნებაა: ერთმანეთს სულ ებრძვიან, ახლაც ებრძვიან, ადრეც ებრძოდნენ და გვიანაც. დამეთანხმებით, რომ ეს უკიდურესი ერთფეროვნებაა. ერთი სიტყვით, მსოფლიო ისტორიაზე ყველაფრის თქმა შეიძლება, ყველაფრისა, რაც კი თავში მოუვა უაღრესად გაღიზიანებულ წარმოსახვას. მხოლოდ იმას ვერ იტყვი, კეთილგონიერული რა არის. პირველსავე სიტყვაზე ენა დაგებმებათ, ასეთი რამ კი ყოველ წუთას შემოგხვდებათ: ამქვეყნად ყოველთვის არიან იმგვარი მწვეთილი და კეთილგონიერი ადამიანები, ისეთი ბრძენთაბრძენნი და ადამიანთა მოღმის

მოყვარულნი, რომელთაც მიზნად დაუსახავთ, მთელი სიცოცხლის მანძილზე ზნეკეთილად და კეთილგონივრულად მოიქცნენ, ასე ვთქვათ, ახლობელთა გზის მანათობელნი შეიქნენ, რათა მათ დაუმტკიცონ, რომ ცხოვრება შესაძლებელია ზნეკეთილადაც და კეთილგონივრულადაც. მერედა რა ხდება? ცნობილია, რომ ამ მოყვარულთაგან მრავალნი, ადრე თუ გვიან, სიცოცხლის მიწურულს თავს ღალატობენ და საარაკო რაღაცას სჩადიან, ზოგჯერ ფრიად სააუგოს.

ახლა კი შეგვეკითხებით: რას უნდა მოელოდეთ ადამიანისგან, ასეთი უცნაური თვისებებით აღჭურვილი არსებისგან? თუნდაც ამა სოფლის სიამენი სრულად მიანიჭოთ, ბედნიერებაში თავიანთეხიანად ისე ჩაძიროთ, რომ ზედაპირზე, როგორც წყალზე, მარტოოდენ ბედნიერების ბუშტუკები ამოხტოდეს, ეკონომიკური დოვლათით ისე აღავსოთ, რომ ძილის, თაფლაკვერების ჭამისა და მსოფლიო ისტორიის შეუნწყვეტლობაზე ზრუნვის გარდა არაფერი ესაჭიროებოდეს, იგი უმაღლვე, მხოლოდ უმაღლესობით, მხოლოდ პასკვილის გამოისობით, სისაძაგლეს ჩაიდენს. თაფლაკვერებსაც კი აღარ ინდომებს და განზრახ მოინებებს ყველაზე დამღუპველ სისულელეს, ყველაზე არაეკონომიურ უაზრობას მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ ყოველგვარ დადებით კეთილგონივრულობას თავისი დამღუპველი, ფანტასტიკური ელემენტი შეურიოს. დიახაც, ფანტასტიკური ოცნების, უბინძურესი სისულელის შენარჩუნებას მოინდომებს მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რათა საკუთარ თავს დაუდასტუროს (თითქოს ეს ძალზე აუცილებელია), რომ ადამიანები ჯერ კიდევ ადამიანები არიან და არა ფორტეპიანოს კლავიშები, რაზედაც თვით ბუნების კანონები უკრავს, მაგრამ იქამდე დაუკრავს, სანამ კალენდრის გარდა სასურველიც აღარაფერი იქნება. უფრო მეტიც, ნამდვილად ფორტეპიანოს კლავიშში თუ გახდება, რასაც ბუნებისმეტყველების მეცნიერებებით და მათემატიკურად დაუმტკიცებენ, მაშინაც კი არ დამოშმინდება და საპირისპირო რაღაცას განზრახ ჩაიდენს მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესობის გამო, სახელდობრ იმიტომ, რომ თავისი გაიტანოს. ხოლო საამისო საშუალებები თუ არ აღმოაჩნდება, მაშინ ნგრევასა და ქაოსს შეთხზავს, მრავალგვარ სატანჯველს შეთხზავს და თავისას მაინც გაიტანს! ქვეყნიერებას წყევლა-კრულვით აიკლებს და რაკილა წყევლა-კრულვა მხოლოდ ადამიანს შეუძლია (ეს კი ის პრივილეგია გახლავთ, რაც მას სხვა ცხოველისგან უმთავრესად განასხვავებს), მხოლოდ და მხოლოდ წყევლა-კრულვით თავისას მართლაც მიაღწევს, ანუ ნამდვილად დარწმუნდება, რომ ადამიანია და არა ფორტეპიანოს კლავიშში! თუ მეტყვით, რომ ეს ყოველივე, ქაოსიც, წყვდიადიც და წყევლა-კრულვაც, შესაძლოა, ცხრილით იქნას გაანგარიშებული, რის შედეგადაც წინასწარი გათვლის შესაძლებლობა ყველაფერს შეაჩერებს და გონი გაიმარჯვებს, მაშინ ადამიანი თავს განზრახ გაიგიჟებს, რათა გონი არ ჰქონდეს და თავისი ასე გაიტანოს! მე ეს მჯერა, ამაზე პასუხს ვაგებ, რადგან ადამიანობის განმსაზღვრელი, ვგონებ, ნამდვილად მხოლოდ და მხოლოდ ის არის, რომ ადამიანი თავის თავს ყოველ წუთას უმტკიცებდეს, წკირი კი არა, ადამიანი ვარო! თუნდაც მთელი თავისი არსების ხარჯზე დაამტკიცებს, თუნდაც ტროგლოდიტობით[32] დაამტკიცებს. ხოლო ამის შემდეგ როგორ არ უნდა ითქვას, რომ ეს ყოველივე არ არსებობს და ჯერჯერობით ეშმაკმა უწყის, ნადილს რა ინვეს...

თქვენ მიყვირით (თუკი დაყვირებას მაღირსებთ), რომ ნებას არავინ მართმევს და მხოლოდ იმაზე ზრუნავენ, როგორმე მოაგვარონ, რომ ჩემი ნება ნებაყოფლობით ჩემს ნორმალურ ინტერესებს, ბუნების კანონებსა და არითმეტიკას დაემთხვეს.

- ეჰ, ბატონებო, საკუთარი ნება სადღა იქნება, როცა საქმე ცხრილზე და არითმეტიკაზე მიდგება, როცა მხოლოდ „ორჯერ ორი ოთხია“ იარსებებს? ორჯერ ორი ხომ ჩემი ნების გარეშეც ოთხი იქნება. ასეთი საკუთარი ნება სად გაგონილა!

IX

ბატონებო, რა თქმა უნდა, ვხუმრობ, თავადაც ვიცი, რომ უხეიროდ ვხუმრობ, მაგრამ ხომ არ შეიძლება, ყველაფერი ხუმრობად მივიჩნიოთ. მე იქნებ კბილთა ღრჯილით ვხუმრობ. ბატონებო, ზოგიერთი საკითხით გავწამდი და განმიმარტეთ. თქვენ, მაგალითად, გინდათ, რომ ადამიანს ძველი ჩვევები მოაშლევინოთ და მისი ნება მეცნიერებისა და საღი აზრის მოთხოვნილებათა შესაბამისად გამოასწოროთ. მაგრამ რატომ გგონიათ, რომ ადამიანის ამგვარად გადაკეთება არა მარტო შეიძლება, არამედ საჭიროცაა? საიდან დაასკვნით, რომ ადამიანის ნადილის გამოსწორება ასე აუცილებელია? ერთი სიტყვით, რატომ

გგონიათ, რომ ამგვარი გამოსწორება ადამიანისთვის ნამდვილად სასარგებლო იქნება? ყველაფერს თუ ვიტყვით, ასე უდავოდ რატომ ხართ დარწმუნებული, რომ გონიერებისა და არითმეტიკის საბუთებით გარანტირებულ, ნამდვილ, ნორმალურ სარგებელთა წინააღმდეგ წაუსვლელობა ადამიანისათვის ყოველთვის უსათუოდ მომგებიანია და მთელი კაცობრიობისთვის კანონიერია? ეს ხომ ჯერჯერობით მხოლოდ თქვენი ვარაუდია. ვთქვათ, ეს ლოგიკის კანონია, მაგრამ კაცობრიობისთვის იქნებ სრულებით არ არის კანონიერი? ბატონებო, იქნებ გგონიათ, რომ გიჟი ვარ? ნება მიბოძეთ, დავსძინო. გეთანხმებით, ადამიანი უპირატესად შემოქმედი ცხოველია, რომელსაც დაკისრებული აქვს, მიზნისკენ შეგნებულად მიისწრაფოდეს და საინჟინრო ხელოვნებაში იღვანოს, ანუ გამუდმებით და უწყვეტლევ გზას იკაფავდეს. ჰოდა, იქნებ სწორედ იმიტომ, გზის გაკაფვა რომ აქვს დაკისრებული, ზოგჯერ გვერდზე გადახვევას მოინდომებს და კიდევ ალბათ იმიტომ, რომ უშუალო მოღვაწეს, საერთოდ რაც უნდა სულელი იყოს, ზოგჯერ აზრად მაინც მოუვა, რომ გზა თურმე თითქმის ყოველთვის სადღაც მიდის და მთავარი ის კი არ არის სად მიდის, არამედ ის, რომ სულ მიდიოდეს და ზნეკეთილი ბავშვი საინჟინრო ხელოვნების უგულებელყოფით დამღუპველ მცონარობას არ მიეცეს, რაც, როგორც ცნობილია, ყველანაირი მანკიერების წარმოშობელია. ადამიანს აღმშენებლობა და გზის გაკაფვა რომ უყვარს, ეს უდავოა. მაშ ნგრევაცა და ქაოსიც ასეთი ჟინით რატომ უყვარს? აი, ეს მითხარით! მაგრამ ამის თაობაზე ორიოდ სიტყვა მეც მინდა, განსაკუთრებულად ვთქვა. ნგრევა და ქაოსი ასე იქნებ იმიტომ უყვარს (ეს ხომ უდავოა, რომ ზოგჯერ ძალიან უყვარს), რომ მიზნის მიღწევისა და აღსაშენებელი შენობის დასრულებისა თვითონვე ინსტიქტურად ეშინია? რა გგონიათ, შენობა იქნებ მხოლოდ შორიდან უყვარს და არა ახლოდან. იქნებ მხოლოდ მისი შექმნა უყვარს და არა იქ ცხოვრება, ხოლო შემდეგ მას მიუჩენს *aux animaux domestiques*[33], ჭიანჭველებს, ცხვრებს და სხვას და სხვას. აი, ჭიანჭველები კი სულ სხვაგვარნი არიან. მათ ამგვარივე საოცარი, საუკუნოდ ურღვევი შენობა აქვთ – ბუდე.

ფრიად პატივსაცემმა ჭიანჭველებმა ბუდით დაინყეს[34] და ალბათ ბუდითვე დაასრულებენ, რის გამოც მათ ერთთავადობასა და დადებითობას უაღრესი პატივი უნდა მიეგოს. ადამიანი კი ფუქსავატი და უმსგავსი არსებაა და, შესაძლოა, მოჭადრაკისნაირად მხოლოდ მიზნის მიღწევის პროცესი უყვარს და არა თვით მიზანი. ჰოდა, ვინ იცის (თავდებად ვერ დადგები), შესაძლოა, მთელი მიზანი მთელ ქვეყნიერებაზე, საითკენაც კაცობრიობა მიისწრაფვის, მხოლოდ და მხოლოდ მიღწევის უწყვეტი პროცესია, სხვაგვარად თუ ვიტყვით, თვით ცხოვრებაა და არა საკუთრივ მიზანი, რაც, რა თქმა უნდა, სხვა არაფერია, გარდა ორჯერ ორი ოთხისა, ანუ ფორმულაა, ხოლო ორჯერ ორი ოთხი, ბატონებო, ცხოვრება კი არა, სიკვდილის დასაწყისია. ყოველ შემთხვევაში, ადამიანს ორჯერ ორი ოთხისა ყოველთვის ეშინოდა, ხოლო მე ახლაც მეშინია. ვთქვათ, ადამიანი მხოლოდ იმას მიელტვის, რომ ორჯერ ორი ოთხს მიაგნოს, ოკვანეებს გადაცურავს, სიცოცხლეს განირავს ამ ძიებისას, მაგრამ მიგნებისა, ნამდვილად პოვნისა, ღმერთმანი, როგორღაც ეშინია. რამეთუ გრძნობს, რომ იპოვის თუ არა, მოსაძიებელი აღარაფერი ექნება. მომუშავენი სამუშაოს როცა დაამთავრებენ, ფულს მაინც მიიღებენ, სამიკიტნოში შევლენ, მერე პოლიციის უბანში თავს ამოყოფენ და მათი მთელი კვირის საქმიანობაც დასრულდება, ადამიანი კი სად წავა? ასეა თუ ისე, ამგვარ მიზანთა მიღწევისას ყოველთვის ერთგვარი უხერხულობა დაემჩნევა ხოლმე. მინაღწევი უყვარს, მიღწევა კი მთლად არა, და ეს, რა თქმა უნდა, ძალზე სასაცილოა. ერთი სიტყვით, ადამიანი კომიკური არსებაა. ყოველივე ეს, როგორც ჩანს, კალამბურის შემცველია. ორჯერ ორი ოთხი კი უკიდურესად უსიამოვნო რამ არის. ორჯერ ორი ოთხი, ჩემი აზრით, თავხედობაა. ორჯერ ორი ოთხი ზღუდეა, დოინტემოყრილი გზას გიღობავთ და იფურთხება. გეთანხმებით, რომ ორჯერ ორი ოთხი საუცხოო რაღაც არის, მაგრამ ყველაფერს თუ შევაქებთ, ორჯერ ორი ხუთიც ზოგჯერ მშვენიერია.

ასე მტკიცედ, ასე მძლეთამძლედ რატომ ხართ დარწმუნებული, რომ მხოლოდ ნორმალური და დადებითი რამ, ერთი სიტყვით, მხოლოდ კეთილდღეობაა ადამიანისთვის სასარგებლო? გონება სარგებელთა თაობაზე ხომ არ ცდება? ადამიანს იქნებ არა მარტო კეთილდღეობა უყვარს? სატანჯველიც იქნებ იმდენადვე უყვარს? მისთვის სატანჯველი იქნებ იმდენადვე მომგებიანია, რამდენადც კეთილდღეობა? ხოლო ადამიანს სატანჯველი ზოგჯერ მთელი ჟინით რომ უყვარს, ეს ხომ უეჭველია. ამისთვის მსოფლიო ისტორიის დამონშებაც აღარ არის საჭირო. თქვენსავე თავს

შეეკითხეთ, თუ ადამიანი ხართ და რაღაც ხანი გიცხოვრიათ. პირადად ჩემი აზრით კი მხოლოდ კეთილდღეობის სიყვარული, ცოტა არ იყოს, უხამსობაა. რიგია თუ ურიგო, ზოგჯერ რაღაცის დამსხვრევა ძალზე სასიამოვნოა. მე ხომ, სახელდობრ, არც სატანჯველს ვემხრობი და არც კეთილდღეობას. მე ვემხრობი... ჩემს ვაპრიზს და მინდა, რომ განმიხორციელდეს, როცა დამჭირდება. სატანჯველი, მაგალითად, ვოდევილებში მიუღებელია. ბროლის სასახლისთვისაც შეუფერებელია. სატანჯველი ეჭვია, უარყოფაა, ხოლო რაღა ბროლის სასახლეა, სადაც რაიმეზე ეჭვი შეგეპარება? მე კი მჯერა, რომ ადამიანი, ნამდვილ სატანჯველზე, ანუ ნგრევასა და ქაოსზე უარს არასოდეს იტყვის. სატანჯველი ხომ ცნობიერების ერთადერთი მიზეზია[35]. თავდაპირველად თუმცა მოგახსენეთ, რომ ცნობიერება, ჩემი აზრით, ადამიანისთვის უდიდესი უბედურებაა, მაგრამ ვიცი, რომ ადამიანს უყვარს და არავითარ დაკმაყოფილებაზე არ გაცვლის. ცნობიერება, მაგალითად, ორჯერ ორზე უსაზღვროდ მაღლა დგას. ორჯერ ორის შემდგომ, რა თქმა უნდა, აღარაფერი რჩება, არც საქმნელი და არც შესაცნობელი. მაშინ შესაძლებელი მხოლოდ ის იქნება, რომ ხუთივე გრძნობა გაიუქმეთ და ჭვრეტას მიეცეთ. ცნობიერებისასაც იგივე შედეგია, ანუ ასევე არაფერი უნდა აკეთო, მაგრამ ხანდახან საკუთარი თავის განკუთვლა ხომ მაინც შეგეძლება, ეს კი გამოგაცოცხლებს. ამგვარი რამ რეტროგადული კი არის, მაგრამ არაფერს ხომ მაინც სჯობია.

X

თქვენ გჯერათ, რომ არის ბროლის სასახლე, რომელიც არასოდეს დაინგრევა, ანუ ისეთია, რომ ვერც ენას გამოუყოფ მაღულად და ვერც ბრანს უჩვენებ ჭიბეში ჩაყოფილი ხელით. ხოლო მე ამ სასახლისა იქნებ სწორედ იმიტომ მეძინია, რომ ბროლისაა, არასოდეს დაინგრევა და ენას მაღულადაც კი ვერ გამოვუყოფ.

ახლა ეს ვთქვათ: სასახლის ნაცვლად საქათმე თუ იქნება და წვიმა დაასხამს, ხოლო მე საქათმეში შევძვრები, რათა არ დავსველდე, საქათმეს სასახლედ ხომ არ მივიჩნევ მადლიერების გამო, რაკიღა წვიმისგან დამიფარა. თქვენ დამცინით, იმასაც კი ამბობთ, ამ შემთხვევაში საქათმე სასახლეაო. მე გიპასუხებთ: - დიახ, თუ მხოლოდ იმისთვის არსებობ, რომ არ დასველდე.

მაშინ რა ვქნათ, თუ ავიხირობ, რომ ადამიანი მხოლოდ ამისთვის არ არსებობს და ცხოვრებას ცხოვრება რომ ერქვას, სასახლეში უნდა ვცხოვრობდე. ეს ჩემი წადილია, ეს ჩემი სურვილია. ამას თავიდან მხოლოდ მაშინ გამომიბერტყავთ, როცა სურვილებს შემიცვლით. მაშ შემიცვალეთ, სხვა რამით მომიხიბლეთ, სხვა იდეალი მომიცით. ჯერჯერობით კი საქათმეს სასახლედ არ მივიჩნევ. თუნდაც ასე იყოს, რომ ბროლის სასახლის არსებობა ბუნების კანონებით შეუძლებელია, გამონაგონია, მხოლოდ ჩემი სისულელის, ჩვენი თაობის ზოგიერთი მოძველებული, არარაციონალური ჩვევების შედეგად შეთხზულია, მაგრამ რა ჩემი საქმეა, თუ შეუძლებელია. განა სულ ერთი არ არის, თუკი ის ჩემს სურვილებში არსებობს, ანდა, უკეთ თუ ვიტყვით, მანამდე იარსებებს, სანამ სურვილი მექნება? იქნებ ისევ დამცინით? თუ გნებავთ, დამცინეთ, მე ყოველგვარ დაცინვას ავიტან, მაგრამ მაინც არ ვიტყვი, რომ გამაძღარი ვარ, როცა მშია. ეს მაინც ვიცი, რომ კომპრომისსა და უწყვეტ პერიოდულ ნულს არ ვიგუებ მხოლოდ იმიტომ, რომ ბუნების კანონებით და ნამდვილად არსებობს. ჩემი სურვილების გვირგვინად არ მივიჩნევ ვაპიტალურ სახლს, რომლის ბინებიც ღატაკ მობინადრეთათვის არის განკუთვნილი, სადაც ისინი ათასწლიანი კონტრაქტით იცხოვრებენ და რომელზედაც კბილის ექიმ ვაგენგეიმის აბრა იქნება მიმაგრებული. სურვილები მომისპეთ, იდეალები წარმიხოცეთ, უკეთესი რამ დამისახეთ და სადაც გინდათ, იქ გამოგყვებით. ალბათ მეტყვით, რომ ჩემთან არაფერი გესაქმებათ. მაშინ მეც ასევე გიპასუხებთ. ჩვენ სერიოზულად ვმსჯელობთ და თუ არაფრად ჩამაგდებთ, თავს არც მე მოგიხრით. მე იატაკქვეშეთი მაქვს.

ჯერჯერობით კი ვარსებობ და სურვილებიც მაქვს. ხელი გამიხმეს ისეთი ვაპიტალური სახლის მშენებლობაზე ერთ აგურს მაინც თუ მივიტან! ყურადღებას ნუ მიაქცევთ იმას, რომ ბროლის სასახლე ახლახან უარყვავი მხოლოდ იმის გამო, რომ ენას ვერ გამოვუყოფ. ეს იმიტომ არ მითქვამს, რომ ენის გამოყოფა ძალიან მიყვარს. იქნებ მხოლოდ იმიტომ გავბრაზდი, რომ ისეთი სახლი, რომელსაც ენას ვერ გამოუყოფ ჩვენში აქამდე არსად არის. პირიქით, ენას მთლიანად ამოვიკვეთდი მადლიერების გამო, თუკი ყველაფერი ისე მოეწყობოდა, რომ ენის გამოყოფა თავადაც არასოდეს მომინდებოდა. რა ჩემი საქმეა, თუ

ყველაფერი ისე ვერ მოეწონა და დატაკათვის განკუთვნილი ბინები უნდა ვიკმაროთ. ასეთ სურვილთა მქონედ რატომ ვარ შექმნილი? ასეთად შექმნილი ნუთუ მართლოდენ იმიტომ ვარ, რათა დავასკვნა, რომ მთელი ჩემი არსება ყალბადქმნილია? ნუთუ მთელი მიზანი ეს არის? არა მჯერა.

თუმცაღა, იცით, რას გეტყვით: დარწმუნებული გახლავართ, რომ ჩვენისთანა იატაკქვეშეთელნი ლაგამამოდებულნი უნდა იყოლიო. იატაკქვეშეთელს თუმცა შეუძლია იატაკქვეშეთში ორმოცი წელი მდუმარედ გაატაროს, მაგრამ გარეთ თუ გამოვა, გარეთ თუ გამოიჭრება, ისე ალაპარაკდება, ისე ალაპარაკდება, ისე ალაპარაკდება...

XI

ბატონებო, დასასრულ მოგახსენებთ: არაფრის ქმნა უმჯობესია! შეგნებული ინერცია უმჯობესია! მაშ იატაკქვეშეთს გაუმარჯოს! თუმცა ვთქვი, რომ ნორმალური ადამიანისა უკიდურესი ბოლმამორევით მშურს, მაგრამ როგორ პირობებშიც იმყოფება, მის ადგილას ყოფნა არ მინდა (თუმცაღა, მისი შური კვლავ მექნება. არა, არა, იატაკქვეშეთი მაინც მომგებიანია!) იქ, ყოველ შემთხვევაში შესაძლოა... ეჰ! ახლა ხომ ვცრუობ! ვცრუობ, რადგან თავადაც ვიცი, როგორც ორჯერ ორი ოთხია, რომ იატაკქვეშეთი სულაც არ არის უკეთესი, არამედ რაღაც სხვაა, სრულიად სხვა, რასაც მიველტვი, მაგრამ ვერა და ვერ მიპოვია[36]! ჭანდაბას იატაკქვეშეთი!

აქ უკეთესი, აი, რა იქნებოდა: თავად მაინც რომ მჯეროდეს იმისა, რაც ახლა დავწერე. ბატონებო გეფიცებით, ერთი სიტყვაც კი არ მჯერა იმ ნაუბრისა, რაც ახლა ჩამოვანიჭნიკე! ანუ კი მჯერა, მაგრამ ამავე დროს, არ ვიცი რატომ, ვგრძნობ, რომ უკანასკნელი თაღლითივით ვცრუობ.

- მაშ ეს ყველაფერი რატომღა დაწერეთ?- მეუბნებით თქვენ.

- აი, რას გეტყვით: რა იქნება, ორმოცი წლით რომ ჩაგამწყვდიოთ და უქმად გამყოფოთ, ორმოცი წლის შემდეგ კი მოვიდეთ, რათა ვნახო, რა დაგემართათ? განა შეიძლება, ადამიანი ორმოცი წელი მართოდმართო დატოვო და უსაქმოდ ამყოფო?

- რა სამარცხვინოა, რა დამამცირებელია! - მეტყვით ალბათ და თავს დამცინავად გაიქნ-გამოიქნევთ. - თქვენ ცხოვრება გწყურიათ და ცხოვრებისეულ საკითხებს აბდაუბდა ლოგიკით თავად წყვეტთ. თქვენი გამოხდომები ასეთი მომაბეზრებელი, ასეთი თავხედურია და ამავე დროს როგორი შიში გიპყრობთ! სისულელეს ლაპარაკობთ და ამით კმაყოფილი ხართ. უტიფრად ლაპარაკობთ, თანაც ამის გამო ერთთავად შიშით კანკალებთ და ბოდიშს იხდით. გვარწმუნებთ, რომ არაფრისა გეშინიათ და ამავე დროს ჩვენი აზრის შეტყობას ლაქუცით ცდილობთ. გვარწმუნებთ, რომ კბილებს აღრჭენთ და ამავე დროს ხუმრობთ, რათა გაგვაცინოთ. იცით, რომ თქვენი ხუმრობანი მახვილგონივრული არ არის, მაგრამ, ცხადია, ამ ხუმრობათა ლიტერატურული ღირსებებით ფრიად კმაყოფილი ხართ. შესაძლოა ბოგჯერ მართლა გატანჯულხართ, მაგრამ თქვენს ტანჯვას პატივს ოდნავადაც არ სცემთ. თქვენი გულ-გონება სიმართლეს კი მეტყველებს, მაგრამ თქვენს არსებას უბიწობა არ გააჩნია. უწვრილმანესი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად სიმართლეს ბერავთ და თვალეში სამარცხვინოდ გვჩრით... რაღაცის თქმა კი მართლა გსურთ, მაგრამ თქვენს საბოლოო სიტყვას შიშის გამო მალავთ, რამეთუ სათქმელად გამბედაობა არ გყოფნით და მხოლოდ ლარული თავხედობა გაგაჩნიათ. ცნობიერებით ტრაბახობთ, მაგრამ მართლოდენ მერყობთ, რამეთუ ჭკუა-გონება კი გიმუშავებთ, მაგრამ თქვენი გული გარყვნილებას მოუცავს, ხოლო უმნიშვნელო გულის უქონლად სრული, წესიერი ცნობიერება ვერ იარსებებს, თქვენი პრანჭვა-გრეხა თავის გამოჩინებაა, რარიგ მოსაბეზრებელია! სიცრუეა, სიცრუეა, სიცრუე!

მთელი თქვენი ნალაპარაკევი, რა თქმა უნდა, ჩემი შეთხზულია. ესეც იატაკქვეშეთიდან გახლავთ. იქ უკლებლივ ორმოცი წელი ჭუჭრუტანაზე ყურმიდებული გისმენდით. ყოველივე თავად შევთხზე, ჩემი გამონაგონია. რაღა გასაკვირია, რომ დავიზიპირე და ლიტერატურული ფორმა მივაღებინე...

მაგრამ ნუთუ მართლა ისეთი გულუბრყვილონი ხართ, რომ წარმოიდგინეთ, თითქოს

ყოველივე ამას დავბეჭდავ და თანაც წაგაკითხებთ? ერთი რამაც არის საკითხავი: „ბატონებად“ მართლაცდა რატომ მოგიხსენიეთ, ისე რატომ მოგმართავთ, თითქოს მართლა მკითხველები იყოთ? ისეთ აღიარებებს, რომელთა წარმოთქმასაც ვაპირებ, არ ბეჭდავენ და სხვებს არ აკითხებენ. ყოველ შემთხვევაში, ასეთი გამბედაობა მე არ გამაჩნია და არც ის მიმაჩნია, რომ უნდა მეჩონდეს. ოღონდ ერთსაც ვიტყვი: გონებაში ერთი ფანტაზია ჩამესახა და, რაღაც უნდა დამიჭდეს, მინდა, რომ განვახორციელო. დიახ, საქმე ასეა.

ყოველი ადამიანის მოგონებანი ისეთ რამეს შეიცავს, რასაც იგი ყველას არ გაუმჟღავნებს, მხოლოდ მეგობრებს თუ გაანდობს. ისეთი მოგონებებიც არსებობს, მეგობრებსაც რომ არ გაანდობ და მხოლოდ საკუთარ თავს გაუმჟღავნებ, თანაც საიდუმლოდ. მაგრამ, ბოლოს, ისეთი მოგონებებიც არსებობს, ადამიანს საკუთარი თავისთვის გამჟღავნებისაც რომ ეშინია და ასეთი მოგონებანი ყოველ წესიერ ადამიანს საკმაოდ უგროვდება. თანაც, ადამიანი რაც უფრო წესიერია, მით უფრო მეტი უგროვდება. ყოველ შემთხვევაში, თავად მე სულ ახლახან გავბედე, ზოგიერთი ადრინდელი თავგადასავალი გამეხსენებინა, რომელთა გახსენებასაც აქამდე ერთგვარი შეშფოთებითაც კი ყოველთვის თავს ვარიდებდი. ხოლო ახლა, როცა არამართო ვიხსენებ, არამედ ჩანერასაც ვბედავ, მინდა, რომ დავადგინო: შესაძლოა, თუ არა, საკუთარ თავთან მაინც მთლად გულახდილი იყო და სრული სიმართლისა არ გეშინოდეს? სიტყვამ მოიტანა და აღვნიშნავ: ჰაინე ამტკიცებს, რომ სარწმუნო ავტობიოგრაფიათა არსებობა თითქმის შეუძლებელია და ადამიანი საკუთარ თავზე უსათუოდ იცრუებს. მისი ამრით, რუსომ, მაგალითად, აღსარებაში თავის შესახებ უთუოდ იცრუა[37], თანაც, პატივმოყვარეობის გამო, შეგნებულად იცრუა. მე მჯერა, რომ ჰაინე მართალია. ძალიან ვარგად ვარ მიხვედრილი, რომ ვაცმა ხანდახან, მხოლოდ პატივმოყვარეობის გამო, შესაძლოა, საკუთარ თავს დანაშაულობანი დასწამოს და იმასაც ძალიან ვარგად ვარ ჩანვდომილი, ეს პატივმოყვარეობა რანაირი შეიძლება იყოს. თუმცადა, ჰაინე იმ ადამიანის შესახებ მსჯელობდა, ვისაც აღსარება საჯაროდ ჰქონდა წარმოთქმული. ხოლო მე მხოლოდ და მხოლოდ ჩემთვის ვწერ და ერთხელ და სამუდამოდ ვაცხადებ, რომ თუკი ისე ვწერ, თითქოს მკითხველს მივმართავდე, ამას მართოდენ თვალსაჩინოებისთვის ვაკეთებ, რადგან ამგვარად წერა მიადვილდება. ეს ფორმაა, მხოლოდ ცარიელი ფორმა, ხოლო მკითხველი არასოდეს მეყოლება, ეს უკვე განვაცხადე...

არ მინდა, ჩემს ნაწერებში თავი რაიმეთი შევიზღუდო. დალაგებასა და სისტემის შექმნას არ შევუდგები. იმას ჩავწერ, რაც გამახსენდება.

ეს ვთქვათ, მაგალითად: თქვენ შეგეძლოთ, მარის მოსადებად გეკითხათ თუ მკითხველს მართლა არ ითვალისწინებთ, მაშინ თავად თქვენთვის რატომ ირჩებით, თანაც ქალაქდზე ანიკნიკებთ, რა საჭიროა ასეთი დათქმანი, დალაგებასა და სისტემის შექმნას არ შევუდგებიო, იმას ჩავწერ, რაც გამახსენდებაო და ასე შემდეგ? რა ახსნა-განმარტებაა? რა მობოდიშებაა?

თუმცადა, აქ მთელი ფსიქოლოგიაა. შესაძლოა, ისიც იყოს, რომ მე, ვთქვათ, მხდალი ვარ. ანდა ის, რომ მსმენელებს ჩემ წინაშე განზრახ წარმოვისახავ, რათა ჩაწერისას მეტი წესიერება ვიქონიო. მიზეზი ათასობით აღმოჩნდება.

ერთი რამეც უნდა ითქვას: წერა, სახელდობრ, რატომ, რისთვის მინდა? მკითხველისთვის თუ არ დავწერდი, ხომ შემეძლო, მხოლოდ ფიქრში გამეხსენებინა და ქალაქდზე არ გადამეტანა?

მოგახსენებთ: ქალაქდზე თქმულს უფრო საზეიმო ელფერი ეწნება, მთაგონება მოემატება, საკუთარი თავის მიმართ უფრო განმსჯელი შევიქნები, სიტყვა მომიძლავრდება. ამას გარდა, შესაძლოა, ჩაწერისას შვება ნამდვილად ვიგრძნო. ახლა, მაგალითად, ერთი ძველი მოგონება მოსვენებას არ მაძლევს. რამდენიმე დღის წინ ცხადად გამახსენდა, მას მერე მომაბეზრებელი მოტივივით ამეკვიატა და აღარ მშორდება. მისი მოშორება კი აუცილებლად მჭირდება. ამგვარი მოგონებანი ასეულობით მაქვს, მაგრამ დროდადრო მათგან რომელიმე გამოიკვეთება და აღარ მასვენებს. რატომღაც მჯერა, რომ თუ ჩავწერ, მაშინ თავს გამანებებს. მაშ რატომ არ უნდა ვცადო?

დაბოლოს, მოწყვნილობა მეუფლება, რადგან ერთთავად უქმად ვარ. ხოლო ჩანანერების კეთება ხომ მართლაც შრომის მაგვარია. ამბობენ ადამიანს შრომა აკეთილშობილებს და პატიოსნებას უნერგავსო. ყოველ შემთხვევაში ამის შანსს ხომ იძლევა.

ახლა თოვლი მოდის, თითქმის სველი, ყვითელი, მღვრიე. გუშინაც თოვდა, წინა დღეებშიც თოვდა. მე მგონი, სველი თოვლის გამო გამახსენდა ის ამბავი, ასე რომ ამეკვიპა და აღარ მშორდება. მაშ ასე, დაე ეს იყოს მოთხრობა სველ თოვლზე[38].

სველი თოვლის თაობაზე

იმუამად მხოლოდ ოცდაოთხი წლისა ვიყავი. მაშინაც უღიმღამოდ, მოუწესრიგებლად და ყველასგან გარიყულად ვცხოვრობდი. ურთიერთობა არავისთან მქონდა, დალაპარაკებასაც კი თავს ვარიდებდი და ჩემს კუთხეში სულ უფრო და უფრო მეტად ვიკუნჭებოდი. სამსახურში, კანცელარიაში, ვცდილობდი, არავისთვის შემეხედა და ძალიან კარგად მახსოვს, რომ თანამშრომლებს არა მარტო ახირებულ ვინმედ მივაჩინდი, არამედ ისიც კი მეჩვენებოდა, რომ ერთგვარი ზიზღითაც კი მიყურებდნენ. ზოგჯერ გავიფიქრებდი, ჩემ გარდა რატომ არავის ეჩვენება, რომ ზიზღით უყურებენ? ჩვენი კანცელარიის ერთ თანამშრომელს ყვავილისგან საშინლად დაკენკილი და თითქოს ავაზაკური სახე ჰქონდა. ასეთი უსახური თუ ვიქნებოდი, მე მგონი, ვერავის შეხედვას ვერ გავბედავდი. მეორეს ისეთი შელახული ვიცმუნდირი ეცვა, რომ მყრალი სუნი უდიოდა. ამ დროს კი ეს ბატონები ოდნავადაც არ კრთებოდნენ არც უხეირო სამოსლის, არც უსახურობის და არც ზნეობის უქონლობის გამო. ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ ამჩნევდა, ზიზღით რომ უცქეროდნენ და თუნდაც შეემჩნიათ, არაფერს დაგიდევდნენ, ოღონდაც მათთვის მრუდე თვალით უფროსობას არ შეეხედა. ჩემთვის ახლა სავსებით ცხადია, რომ თავად მე უსაზღვრო პატივმოყვარეობისა და, მაშასადამე, საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნელობის გამო ჩემს თავს ძალზე ხშირად უკიდურესი უკმაყოფილებით ვუცქეროდი და ამიტომაც ხან რას და ხან რას მივანერდი. მაგალითად, ჩემი სახე მძულდა, მიმაჩნდა, რომ საძაგელი, უხამსი გამომეტყველება მქონდა და ამის გამო, სამსახურში როცა მივდიოდი, თავს ძალას ვატანდი, რომ რაც ძალა შემწევდა, დამოუკიდებელი გამომეტყველება მიმელო, რათა ჩემი უხამსობა არ შეემჩნიათ, თანაც უაღრესი კეთილშობილება გამომეხატა. „ჰო, კარგი, ულამაზო სახე მქონდეს, - ვამბობდი გულში, - სამაგიეროდ, კეთილშობილური, გამომეტყველი და, რაც მთავარია, განსაკუთრებულად ჭკვიანური იყოს“. მაგრამ მტანჯველი ფიქრი მაინც არ მასვენებდა, რომ ასეთი სახის მქონე, ყველა ამ სრულყოფილებათა გამოხატვას ვერასოდეს შევძლებდი. მაგრამ რაც ყველაზე მეტად შემზარავია, ჩემი სახე სულელურად მიმაჩნდა. გულში იმასაც შევეგუებოდი, იმაზეც თანახმა ვიქნებოდი, რომ უხამსი გამომეტყველება მქონოდა, ოღონდაც ჩემი სახე იმავედროულად ძალიან ჭკვიანურად მიეჩნიათ.

ჩვენს კანცელარიაში ყველა მომუშავე, პირველიდან უკანასკნელამდე, რა თქმა უნდა, მძულდა, თანაც მათი თითქოს მეშინოდა კიდევაც. ისიც მომხდარა, რომ ისინი ჩემს ზემდგომებად მიმიჩნევია. მაშინ ასეთი რამ შემართებოდა: ხან მძულდნენ, ხან ზემდგომებად მიმაჩნდნენ. განვითარებული და წესიერი ადამიანი პატივმოყვარე ვერ იქნება საკუთარი თავის მიმართ უსაზღვრო მომთხოვნელობისა და დროდადრო ზიზღისა და სიძულვილის გარეშე. მაგრამ ირგვლივ მყოფნი მძულდნენ თუ ზემდგომებად მიმაჩნდნენ, თითქმის ყველას წინაშე თვალებს ვხრიდი. ცდაც კი ჩამიტარებია: აბა, რომელიმე მათგანს თვალს თუ გავუსწორებდი, მაგრამ ყოველთვის თვალებს პირველი ვხრიდი. ამის გამო ლამის ვცოფდებოდი. საშინლად მეშინოდა აგრეთვე იმისა, რომ სასაცილო არ გამოვჩენილიყავი და ამიტომ მონურად ვაღმერთებდი რუტინას ყოველივეში, რაც გარეგნობას მიესადაგებოდა, საერთო ფერხულში სიხარულით ვებმებოდი და ჩემს არსებაში ყოველგვარი ექსცენტრულობა უაღრესად მაშინებდა. მაგრამ ამას როგორ გავუძლებდი? მე ავადმყოფურად განვითარებული გახლდით, როგორც ჩვენი დროის განვითარებულ ადამიანს მართებს. ისინი ხომ ერთიანად გონებაჩლუნგნი იყვნენ და ერთმანეთს ფარის ცხვრებივით ჰგავდნენ. შესაძლოა, მთელს კანცელარიაში მუდმივად მხოლოდ მე მეჩვენებოდა, რომ მხდალი და მონა ვიყავი.

სწორედ იმიტომ მეჩვენებოდა, რომ განვითარებული გახლდით. თუმცადა, ეს მარტოდენ კი არ მეჩვენებოდა, არამედ ნამდვილად ასეც იყო: მე მხდალი და მონა ვიყავი. ამას ყოველგვარი უხერხულობის გარეშე ვამბობ. ჩვენი დროის ყოველი წესიერი ადამიანი მხდალი და მონაა და მოვალეც არის, რომ იყოს. ეს მისი ნორმალური მდგომარეობაა. ეს ღრმად მწამს. იგი ასეთად არის შექმნილი. აარა მარტო ამჟამად, რაიმე შემთხვევითი ვითარებების გამო, არამედ საერთოდ, ყოველ დროში, წესიერი ადამიანი მხდალი და მონა უნდა იყოს. ეს ბუნების კანონია ყველა წესიერი ადამიანისთვის. თუ რომელიმე მათგანი რაიმეს მიმართ სიმამაცეს გამოიჩინს, ამით თავს ნუ დაიმშვიდებს და ეს ნუ გაიტაცებს: სხვა დროს უსათუოდ ლაჩრულად მოიქცევა. ეს ერთადერთი და სამარადჟამო წესია. სიმამაცის გამომჩენი მხოლოდ სახედრები და მათი ნაშიერნი არიან, მაგრამ ისინიც ასეთი მხოლოდ გარკვეულ ზღუდემდე გახლავან. ისინი ყურადღების მისაქცევი არც არიან, რადგან არაფერს წარმოადგენენ.

მაშინ კიდევ ერთი გარემოება მანუხებდა: სახელდობრ ის, რომ არავის ვგავდი. „მე ერთადერთი ვარ, ხოლო ისინი ყველანი ერთნაირები არიან“, - ვფიქრობდი და საკონებელს ვეძლეოდი.

ეს იმის მაჩვენებელია, რომ მაშინ ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ვიყავი.

საპირისპირო რამაც მომხდარა. კანცელარიაში ყოფნა ხან ისე შემძაგდებოდა ხოლმე, სამსახურიდან შინ დასწვლად ვბრუნდებოდი. მაგრამ უეცრად, ყოველგვარი მიზეზის გარეშე სვეპტიციზმისა და გულგრილობის პერიოდები დამეწყებოდა (მე ყველაფერი პერიოდებად მქონდა) და ჩემს შეუწყნარებლობასა და ზიზღიანობაზე თავად მეცინებოდა, საკუთარ თავს თავადვე ვუსაყვედურებდი რომანტიზმს. ხან დალაპარაკებაც კი არ მინდოდა არავისთან, ხანაც არა მარტო დალაპარაკება მომეპირიანებოდა, არამედ მათთან სამეგობროდაც განვწყობოდი და ზიზღიანობა უცებ რატომღაც გამიქრებოდა ხოლმე. ვინ იცის, ზიზღიანობა იქნებ საერთოდაც არ გამაჩნდა და მხოლოდ ნაძალადევი, წიგნებიდან გამომდინარე იყო? ეს აქამდე ვერ გამირკვევია. ერთხელაც მათ მთლად დავუმეგობრდი, ვესტუმრებოდი ხოლმე, პრეფერანსს ვთამაშობდით, არაყს ვსვამდით, წარმოებაზე ვმსჯელობდით. მაგრამ ახლა ერთი წიაღსვლის ნება მიბოძეთ.

ჩვენ, რუსებს, საერთოდ არასოდეს გვყოლია სულელი, გერმანელი და განსაკუთრებით ფრანგი ბებუნებრივი რომანტიკოსების ნაირნი, რომლებზეც არაფერი მოქმედებს. მათ ფეხქვეშ რომ მიწა ირყეოდეს, მთელი საფრანგეთი ბარიკადებზე იფლიტებოდეს, ნირს თუნდაც ზრდილობის გამო არ შეიცვლიან და ბებუნებრივ სიმღერებს, ასე ვთქვათ, სამარის კარამდე იგალობებენ, რამეთუ სულელები არიან. ჩვენთან, რუსეთში, სულელები არ არიან. ეს ცნობილია. გერმანიისგან სწორედ ამით განვსხვავდებით. მაშასადამე, ბებუნებრივთა მსგავსნი არ გვყვანან. ჩვენმა მაშინდელმა კონსტანჟოგლოთა და პიოტრივანოვიჩთა[39] ამომქექავმა „დადებითმა“ პუბლიცისტებმა და კრიტიკოსებმა ისინი უგუნურად ჩვენს იდეალად მიიჩნიეს, ჩვენს რომანტიკოსებს შეუთხზეს, რომელნიც ისეთვე ბებუნებრივებად მიიჩნიეს, როგორნიც გერმანიასა და საფრანგეთში არიან. პირიქით, ჩვენი რომანტიკოსის თვისებები ბებუნევიზ-ევროპული რომანტიკოსის თვისებათა სრულიად საპირისპიროა და არც ერთი ევროპული საზომი არ მიესადაგება. (ნება მიბოძეთ, რომ ვიხმარო ეს სიტყვა: „რომანტიკოსი“ - ძველთაძველი, დარბაისლური, დამსახურებული და ყველასათვის ცნობილი სიტყვა.) ჩვენი რომანტიკოსის თვისებებია ყველაფრის შეცნობა, ყველაფრის დანახვა და ხშირად უფრო გაცილებით ცხადად დანახვა, ვიდრე ჩვენი ყველაზე დადებითი ბრძენთაბრძენნი ხედავენ, შეუგუებლობა არავისთან და არაფერთან, ამასთანავე არაფერი უნდა ითაკილონ, ყველაფერს გვერდი აუარონ, ყველას დაუთმონ, ყველასთან ტაქტიანად მოიქცნენ, სასარგებლო, პრაქტიკული მიზანი გამუდმებით თვალქვეშ იქონიონ (სახაზინო ბინები, პენსიები, ვარსკვლავები) - ეს მიზანი ენთუზიაზმად და ლირიკული ლექსების ტომებად გარდასახონ. ამავე დროს „მშვენიერიცა და ამაღლებულიც“ თავის არსებაში სამარის კარამდე შეურყვევლად იქონიონ და საკუთარ თავსაც საიუვილერო ნივთივით ბამბაში შეფუთულს ინახავდნენ თუნდაც, ვთქვათ, იმავე „მშვენიერისა და ამაღლებულის“ გულისთვის. ჩვენი რომანტიკოსი დიდი გაქანებისაა და, გარწმუნებთ, ჩვენს გაიძვერათა შორის უპირველესი გაიძვერათ... ამას გამოცდილებითაც ვამბობ. რა თქმა უნდა, ასეა, თუ რომანტიკოსი ჭკვიანია. აბა, რას ვამბობ! რომანტიკოსი ყოველთვის ჭკვიანია. მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ

ჩვენში სულელი რომანტიკოსებიც გამოერეოდნენ ხოლმე, მაგრამ ეს სათვალავში ჩასაგდები არ არის მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ძალ-ღონის გაფურჩქვნის ხანაშივე მთლად გაგერმანელდნენ და თავიანთ იუველურ ნივთთა უფრო მარჯვედ შესანახად სადმე ვაიმარში ანდა შვარცვალდში[40] დასახლდნენ. მე, მაგალითად, ჩემი სამსახურეობრივი საქმიანობა გულწრფელად მიუღდა და მხოლოდ აუცილებლობის გამო არ ვიფურთხებოდი, რადგან თავადაც იქ ვიჯექი და ფულს ამის გამო ვღებულობდი. ჰოდა, არ ვიფურთხებოდი. ჩვენი რომანტიკოსი თუნდაც ჯკუაზე შეიშლება (რაც ძალზე იშვიათად ხდება), ფურთხებას კი არ დაინყებს, თუ სხვა კარიერა არ ეგულება, არც პანღურს უთავაზებენ, საგიჟეთში თუ წაიყვანენ „ესპანელ მეფესავით“, ისიც მაშინ, თუ ძალიან გადაირევა. ჩვენში ხომ მხოლოდ უმწიფონი და ქერაკულულებიანები გიჟდებიან. ხოლო რომანტიკოსთა აურაცხელი რაოდენობა შემდგომში მნიშვნელოვან თანამდებობას იკავებს. არაჩვეულებრივი მრავალმხრივობაა! ურთიერთსაწინააღმდეგო შეგრძნებათა ფლობის როგორი უნარია! მე მაშინაც ეს მანუგეშებდა და ახლაც ამ აზრისა ვარ. ჩვენში ასე მრავლად ამიტომაც არიან „დიდი გაქანების“ მქონენი, რომელნიც უკიდურესი დაცემისასაც კი იღეაღს არ კარგავენ და თუმცა ამ იღეაღისათვის თითქმის არ გაანძრევენ, თუმცა მოურჯულელები ავაზაკები და მძარცველები არიან, თავიანთ იღეაღს მაინც ცრემლმორევით ეთაყვანებიან და შინაგანად არაჩვეულებრივად პატიოსანნი გახლავან. დიახ, ჩვენში ყველაზე მოურჯულელები არამზადა შინაგანად, შესაძლოა, ამაღლებულად პატიოსანიც კი იყოს და ამავე დროს არამზადობაც არ მოიძალოს. ვიმეორებ, ჩვენს რომანტიკოსებში ზოგჯერ ყველაზე საქმიანი თაღლითები (სიტყვა „თაღლითს“ სიყვარულით ვამბობ) გამოერევიან ხოლმე, უეცრად სინამდვილის აღქმის ისეთ უნარს და დადებითობის ისეთ ცოდნას რომ გამოავლენენ, უფროსობასა და ირგვლივ მყოფთ გაოცებისგან ენა რომ ვეღარ მოუბრუნდებათ.

მრავალმხრივობა მართლაც გასაოცარია და, ღმერთმა უწყის, რად გარდაიქმნება შემდგომ ვითარებათა შედეგად და მომავალში რას გვიქადის? მასალა არცთუ ურიგოა! ამას სასაცილო, უბადრუკი პატრიოტიზმი არ მალაპარაკებს. თუმცაღა, იქნებ კიდევაც გგონიათ, რომ ვიცინი. ანდა ვინ იცის, იქნებ პირიქითაც გგონიათ, რომ ნამდვილად ამას ვფიქრობ. ასეა თუ ისე, ბატონებო, თქვენს ორივე აზრს დიდ პატივად და განსაკუთრებული სიამოვნების მომნიჭებლად მივიჩნევ. ხოლო წიაღსვლისთვის ბოდიშს მოგიხდით.

ჩემს ამხანაგებთან, რა თქმა უნდა, არ ვმეგობრობდი, ურთიერთობას ძალიან მალე ვწყვეტდი და მაშინდელი ახალგაზრდული გამოუცდელობის გამო, აღარც ვესალმებოდი, ბურგს ვაქცევდი. თუმცა ეს მხოლოდ ერთხელ მოხდა. საერთოდ კი მუდამ მართო ვიყავი.

შინ უმეტესად ვკითხულობდი. მინდოდა, გარედან მომდინარე შეგრძნებანი ჩამეხშო, გულგონებაში განუწყვეტლივ რომ მიგროვდებოდა. გარედან მომდინარე შეგრძნებათა გამომწვევი კი ჩემთვის მხოლოდ კითხვა გახლდათ. კითხვა ბევრ რამეში მეხმარებოდა - მაღელვებდა, მატკობდა და მტანჯავდა. მაგრამ კითხვა დროდადრო საშინლად მბეზრდებოდა. მოძრაობა მეწადა და მრუმე, მიწისქვეშეთურ, საძაგელ გახრწნილებას ვეძლეოდი. გამუდმებული ავადმყოფური გაღიზიანებულობის გამო ვნებანი მძაფრი და მწველი მქონდა. აღტყინებანი ისტერიკული, ცრემლთა მფრქვეველი და კრუნჩხვის მომგვრელი გახლდათ. კითხვის გარდა არსად წამესვლებოდა - ანუ არაფერი გამაჩნდა, რაც მაშინ ჩემს პატივისცემას გამოიწვევდა და რისკენაც გული გამიწვევდა. ამას გარდა, სევდაც მეუფლებოდა, წინააღმდეგობათა, კონტრასტულობათა წყურვილი მიჩნდებოდა და გახრწნილებას ვეძლეოდი. ახლა ამდენი თავის გასამართლებლად სულაც არ მილაპარაკია. თუმცაღა, არა! ვიცრუე! დიახაც, თავის გამართლება მეწადა. ამას, ბატონებო, გულში ვამბობ. არ მინდა, რომ ვიცრუო. აღთქმული მაქვს.

გახრწნილებას განმართლებით, ღამდამობით, მალულად, შიშით, ბინძურად ვეძლეოდი, სირცხვილის გრძნობა არასოდეს მიწვდებოდა და უსაზიზღრეს წუთებში წყევლა-კრულვას წარმომათქმევინებდა. იატაკქვეშეთს ჩემს არსებაში მაშინ უკვე ვატარებდი. საშინლად მეშინოდა, რომ ვინმეს დავენახე, შევხვედროდი, ვეცნე. სიბნელით მოცულ ადგილებში დავდიოდი.

ერთხელაც, ღამით, ერთ სამიკიტნოსთან ჩავიარე და განათებულ ფანჯარაში დავინახე, რომ იქ მყოფი ბატონები ბილიარდთან ერთმანეთს კიებით დაერივნენ და ერთი მათგანი ფანჯრიდან გადაისროლეს. სხვა დროს ეს ზიზღს მომგვრიდა, მაგრამ მაშინ ისეთი წუთი

მომეველინა, რომ ფანჯრიდან გადასროლილისა შემშურდა, თანაც ისე ძალიან შემშურდა, რომ სამიკიტნოში, საბილიარდოში შევედი. გავიფიქრე, იქნებ მეც წავიჩხუბო და ფანჯრიდან მეც გადაამისროლონ-მეთქი.

მთვრალი არ ვიყავი, მაგრამ სევდა ვაცს ასეთ ისტერიკამდე მიიყვანს! მაგრამ არაფერი მომხდარა. აღმოჩნდა, რომ ისეთი რამის ქმნის შემძლებელი არ ვიყავი, ვინმეს ფანჯრიდან რომ გადავესროლე და იქაურობა უჩხუბრად დავტოვე.

ერთმა ოფიცერმა პირველივე ნუთში დამაშოშმინა.

მე ბილიარდთან გამოუცდელიობის გამო ისეთ ადგილას ვიდექი, გამვლელებს გზას ვუღობავდი. იმ ოფიცერს კი გავლა უნდოდა. მან ხმის ამოუღებლად, გაუფრთხილებლად და განუმარტავად, მხრებში ხელი დამტაცა, ამწია და იმ ადგილიდან, სადაც ვიდექი, სხვა ადგილას გადამაბრძანა, ხოლო თავად გზა ისე განაგრძო, თითქოს არც შევემჩინე. მე ცემასაც ავითანდი, მაგრამ იმის ატანა არაფრით შემეძლო, ერთი ადგილიდან მეორეზე ისე რომ გადამაბრძანა, თითქოს ვერც შემაძინია.

ეშმაკმა უწყის მაშინ რას არ გავიღებდი, რომ ჩხუბი ნამდვილი, უფრო წესიერი, უფრო ღირსეული, ასე ვთქვათ, უფრო ლიტერატურული ყოფილიყო! მე როგორც ბუბს, ისე მომეცქნენ. ის ოფიცერი ათი მტკავლის სიმაღლე იყო, ხოლო მე ტანმორჩილი და გალუული გახლავართ. თუმცაღა, ჩხუბის ატეხვის საბაბი ხელთ მქონდა: ისიც იკმარებდა, წყენა გამომეთქვა და, რა თქმა უნდა, ფანჯრიდან გადაამისროდნენ. მაგრამ გადავიფიქრე და ვარჩიე... გულმოსულად გავუჩინარებულყავი.

სამიკიტნოდან შინ შეცბუნებული და აღელვებული დავბრუნდი და მეორე დღეს გახრწნილება უფრო მოკრძალებულად, უფრო ბეჩავად, უფრო სევდიანად, ლამის თვალცრემლიანად განვაგრძე. მაგრამ მაინც განვაგრძე. თუმცაღა, ნუ გეგონებათ, რომ ოფიცერს სიმხდალის გამო შევეუშინდი: შინაგანად მხდალი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ საქმე საქმეზე მიდგებოდა თუ არა, უსათუოდ სიმხდალეს გამოვიჩენდი, მაგრამ... ნუ გაგეცინებათ, ამას ახსნა აქვს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, საამისო ახსნა გამაჩნია.

ო, ეს ოფიცერი ასეთი თუ იქნებოდა, ვინც დუელზე თანხმდება! მაგრამ არა, იგი სწორედ ერთი იმათგანი (სამწუხაროდ, დიდი ხნის წინ გამქრალთაგანი) გახლდათ, ვინც კიების ტრიალს ანდა გოგოლის, პორუჩიკ პიროგოვისნაირად[41] უფროსებთან ჩივილს არჩევს. დუელზე კი არ წაჰყვება, ხოლო ჩვენისთანასთან, სამოქალაქოსთან დუელს უღირსად მიიჩნევს. საერთოდაც, დუელი უაზრობა, თავისუფლად მოაზროვნეობა, ფრანგული რაღაც ჰგონიათ, შეურაცხყოფის მიმყენებელი კი, განსაკუთრებით ათმტკავლიანები, საკმაოდ ხშირად არიან.

მაშინ სიმხდალე სილაჩრობის გამო კი არა, უსაზღვრო პატივმოყვარეობის გამო გამოვიჩინე. ათმტკავლიანობისა კი არ შემშინებია, ანდა იმისა, რომ მიმტყეპავდნენ და ფანჯრიდან გადაამისვრიდნენ; ფიზიკური გამბედაობა უთუოდ მეყოფოდა, მაგრამ მწეობრივი გამბედაობა მაკლდა. იმისი შემეშინდა, რომ ყველა იქ მყოფი, თავხედი მარკიორიდან მყრალ, ფერიმჭამლებით თავპირდაფარულ, საყელოგაპოხილ მოხელეებამდე, ვერაფერს გაიგებდნენ და დამცინებდნენ, როცა მათ ლიტერატურულ ენაზე შევედავებოდი. რამეთუ ღირსების პუნქტზე, ანუ ღირსებაზე კი არა, არამედ ღირსების პუნქტზე (point d'honneur) ჩვენში დღემდე მხოლოდ ლიტერატურულ ენაზე ლაპარაკობენ. „ღირსების პუნქტი“ ჩვეულებრივ ენაზე არ წარმოითქმება. მე ეჭვიც არ მეპარებოდა (სინამდვილის აღქმა ხომ, რომანტიზმის მიუხედავად, უდავოა!), რომ ყველანი სიცილით მუცლებს დაიხეთქავდნენ, ხოლო ოფიცერი უბრალოდ კი არა, ანუ უწყინარად კი არა, უთუოდ მიმტყეპავდა, ბილიარდის გარშემო პანლურისცემით მათრევდა, გულს მხოლოდ ამის მერე მოიჭერებდა და ფანჯრიდან გადაამისროდა. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, ამით არ დასრულებულა. ეს ოფიცერი ქუჩაში ამის შემდეგ ხშირად შემომხვდებოდა ხოლმე და ვარგად შევისწავლე. თავად ის მცნობდა თუ არა, არ ვიცი. ალბათ ვერ მცნობდა. ეს მრავალი ნიშნით დავასკვენი. ხოლო მე ბრაზით და სიძულვილით ვუცქეროდი და ამ ამბავმა რამდენიმე წელიწადს გასტანა! ბრაზი წლითიწლით მიძლიერდებოდა და მემატებოდა. თავდაპირველად ამ ოფიცრის ვინაობის შეტყობა ნელ-ნელა დავინყე. ეს ძალიან გამიძნელდა, რადგან არავის

ვიცნობდი. მაგრამ ერთხელ ვიდაცამ ქუჩაში გვართ მოუხმო, მე კი მიწებებულოვით უკან მივდევდი და მისი გვარი შევიტყვე. მეორედ ავედევნე, სახლამდე მივყვე, მეზობლად ორშაურაიანი ვაჩუქე და გამოვკითხე სად ცხოვრობდა, რომელ სართულზე, მართო ცხოვრობდა თუ ვინმესთან ერთად და ასე შემდეგ - ერთი სიტყვით, ყველაფერი შევიტყვე, რის შეტყობაც მეზობლისგან შეიძლებოდა. ერთხელაც, თუმცა ლიტერატურულ საქმიანობას არ მივდევდი, უცებ აზრად მომივიდა, ეს ოფიცერი მამხილებლად, კარიკატურულად აღმენერა და მასზე მოთხრობის წერას გატაცებით შევუდექი. ვამხილებდი, ცილსაც ვწამებდი, მისი გვარი ისეთნაირად გადავაკეთე, რომ მიხვედრა უმალ შეიძლებოდა, მაგრამ შემდეგ ფხიბელი მსჯელობით შევცვალე და „ოტერესტვენნიე ბაპისკიში“ [42] გავგზავნე. მაგრამ მაშინ მხილებანი მოდაში არ იყო და ჩემი მოთხრობა არ დაუბეჭდავთ. ეს ძალიან მენწყინა. ზოგჯერ ბოღმა ლამის მახრჩობდა. ბოლოს გადავწყვიტე მეტოქე დუელში გამომენვია. მშვენიერი, გულის მომნადირებელი წერილი დავწერე, ვემუდარებოდი, რომ ბოღიში მოეხადა, ხოლო თუ ბოღიშს არ მოიხდიდა, დუელზე საკმაოდ მტკიცედ მივანიშნებდი. წერილი ისეთნაირად იყო დაწერილი, ოფიცერს „მშვენიერისა და ამაღლებულისა“ რაიმე ოდნავ მაინც თუ გაეგებოდა, ჩემთან აუცილებლად მოირბენდა, კისერზე ჩამომეკონწიალებოდა და დამეგობრებას შემომთავაზებდა. ო, რა კარგი იქნებოდა! ერთმანეთს როგორ შევეთვისებოდით! როგორ შევეთვისებოდით! იგი თავისი წარჩინებულობით დამიცავდა, მე ჩემი განვითარებულობით გავაკეთილშობილებდი... იდეებითაც და სხვა მრავალი რამითაც! ხომ წარმოგიდგენიათ, უკვე თითქმის ორი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც მან შეურაცხმყო და ჩემი გამონვევა უმსგავსი ანაქრონიზმი გახლდათ, მიუხედავად იმისა, რომ წერილში ანაქრონიზმის მიჩქმალვას მარტვედ ვცდილობდი. მაგრამ ღვთის წყალობით (შემოქმედს დღემდე თვალცრემლიანი ვემადლიერები) წერილი არ გამიგზავნია. ჟრჟოლა ამიტანს ხოლმე, როცა გავიფიქრებ, რა შეიძლება მომხდარიყო, წერილს თუ გავუგზავნიდი. უცებ... უცებ სამაგიერო დიდებულად რომ მიმეზლო! უეცრად გონება საუცხოო აზრმა გამინათა. ზოგჯერ, სადღესასწაულო დღეებში, ნაშუადღევს, ნევის პროსპექტზე მზიან მხარეს დავსეირნობდი. ანუ კი არ დავსეირნობდი, არამედ აურაცხელ სატანჯველს, დამცირებასა და ბოღმამორევას განვიცდიდი, მაგრამ მაშინ ალბათ სწორედ ეს მესაჭიროებოდა. გამვლელთა შორის ციყვივით მივსხლტი-მოვსხლტოდი, განუწყვეტლივ გზას ვუთმობდი ხან გენერლებს, ხან კავალერგარდისა და ჰუსართა ოფიცრებს, ხან ბატონკაცებს და გული მტკივნეულად მეკუმშებოდა იმის გამო, ასეთი გაქუცული კოსტიუმი რომ მეცვა და ასე საძაგლად რომ მივსხლტი-მოვსხლტოდი, ეს უმტკივნეულესი სატანჯველი გახლდათ განუწყვეტელ, გაუსაძლისად დამამცირებელი შეგრძნების გამო, რომ ბუზი ვიყავი ამ დიდებულთა წინაშე, საძაგელი, უხამსი ბუზი - ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე განვითარებული, ყველაზე კეთილშობილი - ეს თავისთავად - მაგრამ ყველასთვის გზის დამთმობი, ყველასგან დამცირებული და ყველასგან შეურაცხყოფილი ბუზი. ეს სატანჯველი თავს რატომ მოვიხვიე? ნევის პროსპექტზე რატომ დავდიოდი? არ ვიცი. მაგრამ შესაძლებლობა მომეცემოდა თუ არა, გული იქითკენ მიმიწევდა.

სიამოვნების განცდათა მოზღვავება, რაზედაც პირველ თავში მოგახსენებდით, მაშინ უკვე მენწყებოდა. ოფიცერთან ის ამბავი რომ გადამხდა, მას მერე ნევის პროსპექტისკენ გული უფრო მეტად მიმიწევდა: მას ხომ ხშირად იქ ვხვდებოდი, მასზე ცქერით ხომ მზერას იქ ვიტკობდი. იგი აქ უმეტესად სადღესასწაულო დღეებში დადიოდა. გენერლებსა და დიდმოხელეებს გზას თუმცა ისიც უთმობდა და მათ შორის ისიც ციყვივით მისხლტი-მოსხლტოდა, მაგრამ ჩვენისთანები და ჩვენზე უჩინოები ლამის გაესრისა; მათკენ ისე ჯიქურ მიემართებოდა, თითქოს წინ ცარიელი სივრცე ჰქონდა და გზას არაფრის დიდებით დაუთმობდა. მის მაცქერალს ბრაზი ყელამდე მავსებდა და... წინ როცა შემომეყრებოდა, ყოველთვის განზე ბრაზმორეული მივდგებოდი ხოლმე. გული მეტანჯებოდა იმის გამო, რომ მასთან გათანაბრება ქუჩაშიც კი არ შემეძლო. ხანდახან ლამის სამ საათზეც გამედვიძებოდა და თავს გაცოფებით, ისტერიკულად შევუტევდი: „განზე აუცილებლად პირველი შენ რად მიდგები ხოლმე? რატომ მაინცდამაინც შენ და არა ის? ეს ხომ დაკანონებული არ არის, ეს ხომ არსად წერია? დაე, თანაბრად იყოს, როგორც ხდება ხოლმე, როცა ერთმანეთს თავაზიანი ადამიანები შეეყრებიან: ის გზას სანახევროდ დაგითმობს, შენც სანახევროდ დაუთმობ, ჰოდა, ერთიმეორეს გვერდიგვერდ პატივისცემით ჩაუვლით“. მაგრამ ასე არ ხდებოდა, განზე მაინც მე მივდგებოდი, ხოლო ის ვერც კი შეამჩნევდა, გზას რომ ვუთმობდი. ერთხელაც საოცარი რამ მომაფიქრდა. „რა იქნება, - ვთქვი გულში, - როცა შევხვდები, განზე რომ არ გავდგე? განზე განზრახ არ

გავდგე, თუნდაც მხრის გაკვრა დამჭირდეს? ეს ხომ საუცხოო რამ იქნება!“ შემმართველური აზრი ნელ-ნელა ისე დამეუფლა, რომ მოსვენებას აღარ მაძლევდა. ამაზე განუწყვეტლივ ვოცნებობდი და ნევის პროსპექტზე განზრახ ხშირად დავდიოდი, რათა უფრო ცხადად წარმომედგინა, ამას როგორ ვიზამდი. აღფრთოვანებული გახლდით. ეს განზრახვა სულ უფრო მეტად და მეტად შესაძლებელი მეჩვენებოდა. „რა თქმა უნდა, მხარს მთლად არ გავკრავ, - ვფიქრობდი სიხარულისგან უკვე წინასწარ გაგულკეთილებული, - არამედ, ასე ვთქვათ, განზე არ გავდგები, ისე შევეჭახები, რომ ძალიან მტკივნეული არ იყოს, არამედ, აი, ისე, მხარი მხარს რომ გავკრათ, იმდენად, რამდენადაც ზრდილობიანობით არის განსაზღვრული. ისე რომ, რა ზომითაც ის გამკრავს მხარს, მეც იმ ზომით გავკრავ“. ბოლოს სავსებით გადავწყვიტე. მაგრამ საამისოდ მომზადებას დიდი ხანი დასჭირდა. განზრახვის განსახორციელებლად, უპირველეს ყოვლისა, რიგიანი შესახედაობა უნდა მქონოდა და ჩაცმულობაზე უნდა მეზრუნა. „ვთქვათ, ეს საზოგადოების თვალწინ მოხდა (ხოლო იქ რჩეული საზოგადოებაა: გრაფი ჩაივლის, თავადი ჩაივლის), რიგიანად უნდა იყო ჩაცმული. ეს შთამბეჭდავია და მაღალი საზოგადოების თვალში ერთგვარად მათ ტოლფასოვნად წარმოგაჩინო“. ამის მოსაგვარებლად ხელფასი წინასწარ ავიღე და ჩურკინთან შავი ხელთათმანები და კარგი შლაპა ვიყიდე. შავი ხელთათმანები დარბაისლობის და დახვეწილი მანერების მაჩვენებლად მივიჩნიე ლიმონისფერთან შედარებით, რის ყიდვასაც თავდაპირველად ვაპირებდი. „ძალზე ჭყეტელა ფერია, ვაცს ამით თითქოს თავის გამოჩენა სწადია“. ჰოდა, ლიმონისფერი არ ვიყიდე. ძვლის საკინძებიანი კარგი პერანგი ადრევე მოვამზადე, მაზარამ კი ძალიან დამაყოვნა. მე არცთუ ურიგო, თბილი მაზარა მქონდა, მაგრამ დაბამბული, ენოტისსაყელოიანი გახლდათ და ლაქიას მამგვანებდა. საყელო აუცილებლად უნდა გამომეცვალა და თავის ბენვით შემეცვალა, როგორც ოფიცრებს აქვთ[43]. ამ მიზნით ქარვასლა შემოვიარე და ერთ იაფ, გერმანულ თახვის ბენვს წავანყდი. გერმანული თახვის ბენვი ძალიან მალე გაიქუცება და შეუხედავი გახდება ხოლმე, მაგრამ თავიდან, ახლობაში, ძალიანაც თვალმისასვლელია, თანაც მე მხოლოდ ერთ ჯერობაზე მესაჭიროებოდა. ფასი ვიკითხე და მაინც მეძვირა. საფუძვლიანად დაფიქრების შემდეგ გადავწყვიტე ენოტის საყელო გამეყიდა. თუმცაღა ჩემთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა ვიდევ მაკლდებოდა და ჩემი განყოფილების გამგისაგან, ანტონ ანტონიჩ სეტოჩკინისგან სესხება დავაპირე. იგი უწყინარი, ამასთანავე სერიოზული, დადებითი კაცი გახლდათ, თუმცაღა ფულს სესხად არავის აძლევდა. მაგრამ მე, თავის დროზე, როცა სამსახური დავიწყე, ერთმა თვალსაჩინო პიროვნებამ მასთან განსაკუთრებულად წარმადგინა. საშინლად ვიტანჯებოდი. ანტონ ანტონოვიჩისთვის ფულის თხოვნა შემზარავად, სამარცხვინოდ მეჩვენებოდა. ორი-სამი ღამე ჩემს თვალს რული არ მოჰკარებია. მაშინ საერთოდაც ცუდად მეძინა, ციებ-ცხელებამ ხელი დამრია, გულისცემა ხან მთლად მინელდებოდა, ხანაც საშინლად ამიფართხალდებოდა, ამიფართხალდებოდა! ანტონ ანტონოვიჩმა ჯერ გაიოცა, მერე შუბლი შეიჭმუნა, მერე კი სესხება მაინც გადაწყვიტა და ხელწერილი გამომართვა იმის თაობაზე, რომ უფლება ჰქონდა, ნასესხები ფული ორი კვირის შემდეგ ჩემი ხელფასიდან მიეღო. ამგვარად, ბოლოს ყველაფერი მზად გახლდათ, გაქუცული ენოტის ადგილას მშვენიერი თახვის ბენვი გაბრწყინდა და ნელ-ნელა საქმეს შევუდექი. მაგრამ ჩემი ზრახვის განხორციელებას ერთბაშად ხომ ვერ მივანყდებოდი, ყოველივე განაფულად, სწორედაც ცოტაცოტაობით უნდა მეკეთებინა. თუმცაღა, ვაღიარებ, მრავალი მცდელობის შემდგომ ლამის უკვე სასოწარკვეთილება მეუფლებოდა: ერთმანეთს ვერ შევეჭახებოდით - მორჩა და გათავდა! კარგად არ ვემზადებოდი, თუ არ ვაპირებდი - თითქოს, ჰა და ჰა, უნდა შევეჭახებოდი - მაგრამ ვნახავდი, რომ გზას ისევ მე ვუთმობდი, ის კი ისე ჩაივლიდა, ვერც შემამჩნევდა. მასთან მიახლოებისას ლოცვასაც კი ვინყებდი, რომ ღმერთს ჩემთვის გამბედაობა ჩაენერგა. ერთხელაც, თითქმის გადავწყვიტე, მაგრამ ჩემი მცდელობა მხოლოდ იმით დასრულდა, რომ ფეხებში გავებლანდე, რადგან ბოლო წამს, ორი გოჯის მანძილზე, სულსკვეთება აღარ მეყო. იმან კი სავსებით მშვიდად გადამთელა და მე გვერდზე ბურთივით გადავგორდი. იმ ღამით კვლავ ციებ-ცხელებამ შემიპყრო და ვაბოდებდი. უეცრად ყოველივე საუცხოოდ დასრულდა. წინა ღამით საბოლოოდ გადავწყვიტე, დამღუპველი განზრახვა არ განმეხორციელებინა და ყოველივე უშედეგოდ დამეტოვებინა. ამ მიზნით ნევის პროსპექტზე უკანასკნელად გავედი, რათა მხოლოდ ის მენახა, ყოველივეს უშედეგოდ როგორ დავტოვებდი, უცებ, ჩემი მტრისგან სამი ნაბიჯის დაშორებით, მოულოდნელად გადავწყვიტე, თვალები მოვჭუტე და ჩვენ მხარი მხარს

მაგრად შევაჯახეთ! მე განზე ერთი გოჯითაც არ გავმდგარვარ და ერთმანეთს სავსებით ტოლ-ტოლად ჩავუარეთ! მას ჩემკენ არც გამოუხედავს და თავი ისე დაიჭირა, თითქოს არ შევემჩნევივარ, მაგრამ თავი ასე მხოლოდ დაიჭირა, ეს ნამდვილად მჭერა. დიახ, ეს დღემდე მჭერა! რა თქმა უნდა, მე უფრო მეტად მომხვდა, ის ხომ ჩემზე ღონიერი იყო, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარი ის გახლავთ, რომ მიზანს მივალწიე, ღირსება არ შევილახე, ერთი ნაბიჯიც არ დავუთმე და თავი მასთან თანაბარ სოციალურ დონეზე საჯაროდ დავაყენე. შინ ყოველივეზე სავსებით შურნაძიები დავბრუნდი. აღფრთოვანებული ვიყავი. ვზეიმობდი და იტალიურ არიებს ვმღეროდი. რა თქმა უნდა, იმის აღწერას არ შევუდგები, სამი დღის შემდეგ რა დამემართა. თუ ჩემი ნაწერის პირველი თავი ნაკითხული გაქვთ, შეგიძლიათ, თავადაც მიხვდეთ. ოფიცერი შემდეგ სადღაც გადაიყვანეს. უკვე თოთხმეტი წელია, აღარ მინახავს. ჩემი თვალის ჩინი ნეტავ როგორ არის? ვის თელავს?

II

გახრწნილების პერიოდი დამისრულდა და ჩემი არსება უკიდურესმა ზიზღმა მოიცვა. მონანიების გრძობა დამეუფლა, რის განდევნასაც ვცილობდი: ზიზღი მართლაცდა უკიდურესი მქონდა. თუმცაღა, ნელ-ნელა ამასაც შევეგუე. მე ყველაფერს ვეგუებოდი, ანუ ვეგუებოდი კი არა, ერთგვარი ნებაყოფლობით გადავიტანდი ხოლმე. თუმცაღა, გამოსავალი მომეძებებოდა ყოველივესთან შემრიგებლობისა, ეს გახლდათ თავის გადარჩენა „ყოველივე მშვენიერთა და ამაღლებულით“, რა თქმა უნდა, ოცნებებში. ვოცნებობდი მძაფრად, სამ-სამ თვეს გაბმით, ჩემს კუთხეში შეყუჟული, და, მერწმუნეთ, იმ წუთებში არ ვგავდი იმ ბატონს, გერმანული თახვის ბენვის საყელოს მაზარაზე რომ იკერებდა. უცებ გმირად გარდავიქმნებოდი. იმ ათმტკავლიან პორუჩიკს ჩემთან სტუმრობა თუნდაც მოესურვებინა, მაშინ ფეხსაც არ შემოვადგმევივინებდი. მაშინ იგი აღარც კი მახსენდებოდა. ჩემი ოცნებები როგორი იყო და ამ ოცნებებით თავს როგორ ვიკმაყოფილებდი, ამის თქმა ახლა მიძნელდება, მაგრამ მაშინ ამით ვკმაყოფილდებოდი. თუმცაღა, მე ხომ ამით ნაწილობრივ ახლაც ვკმაყოფილდები. ოცნებები განსაკუთრებული სიტკბოებითა და სიძლიერით გახრწნილების შემდგომ მომეძალეებოდა ხოლმე მონანიებითა და ცრემლებით, წყევლა-კრულვითა და აღმაფრენით. ისეთი დადებითი აღტყინების, ისეთი ბედნიერების წუთებიც კი მქონია, როცა გულ-გონებაში, ღმერთმანი, დამცინავობის ნამცეციც კი არ მომეძებებოდა. იყო რწმენა, იმედი, სიყვარული. საქმე ის არის, რომ მაშინ ბრმად მწამდა, რომ რაიმე სასწაულით, რაიმე გარეგანი ვითარებით ეს ყოველივე განიშლებოდა, გაფართოვდებოდა, უეცრად წარმოჩინდებოდა ჰორიზონტი შესაბამისი ქმედებისა, კეთილისმყოფელი, მშვენიერი და, რაც მთავარია, სავსებით განმზადებული ქმედებისა (სახელდობრ როგორი ქმედებისა - არასოდეს მცოდნია, მაგრამ, რაც მთავარია, სავსებით განმზადებულისა), ჰოდა, ქვეყნიერებას უეცრად თეთრ ცხენზე ამხედრებული და დაფნის გვირგვინით შემკობილი მოვევლინებოდი. მეორეხარისხოვან როლში ყოფნას ვერც კი წარმოვიდგენდი და სწორედ ამიტომაც სინამდვილეში უკანასკნელ როლს ძალზე მშვიდად ვიკავებდი. ან გმირი უნდა ვყოფილიყავი, ან ტალახში ამოგანგლული. საშუალო რამ არ არსებობდა. სწორედ ამან დამღუპა, რადგან ტალახში თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ სხვა დროს გმირი ვიყავი, ხოლო გმირი ტალახის გამამართლებელი გახლდათ! ანუ, ჩვეულებრივ ადამიანს ტალახში ამოგანგვლა ეთაკილება, გმირი კი იმდენად ამაღლებულია, რომ ერთიანად ამოიგანგლება. მაშასადამე, ტალახში ამოგანგვლა შესაძლებელია. აღსანიშნავია, რომ „ყოველივე მშვენიერისა და ამაღლებულის“ მოძალებანი გახრწნილების ჟამსაც მენწვოდა ხოლმე, სახელდობრ მაშინ, როცა მთლად ფსკერზე ვიყავი ჩაძირული, მენწვოდა ცალკეული აფეთქებებით, თითქოს თავს შემახსენებდა, თუმცაღა, ეს აფეთქებანი გახრწნილებას არ სპობდა: პირიქით, თითქოს აძლიერებდა კონტრასტით და ზუსტად იმ რაოდენობით მენწვოდა, რამდენიც კარგ ნაზავს ესაჭიროებოდა. ნაზავი წინააღმდეგობრიობისა და სატანჯველისგან, შინაგანი, გამანამებელი ანალიზისგან შედგებოდა და ეს სატანჯველნი ჩემს გახრწნილებას ერთგვარ პიკანტურობას, აზრსაც კი აძლევდა, - ერთი სიტყვით, კარგი ნაზავის მოვალეობას სავსებით ასრულებდა. ეს ყოველივე ერთგვარი სიღრმის გარეშე არ არსებულია. მაშ რა, უბრალო, უხამს, უშუალო, გადამწერლის გახრწნილებას განა ვიკმარებდი, ამ ტალახს კი ვიტვირთავდი? მაშინ რა მომიხიბლავდა, ქუჩაში დამით რა გამიტყუებდა? არა, მე ყველაფრისგან თავის დასაღწევად კეთილშობილური საძრომი გამაჩნდა...

მაგრამ, ბატონებო, ჩემს ოცნებებში „ყოველივე მშვენიერითა და ამაღლებულით“ თავის გადარჩენისას, რაოდენი სიყვარული განმიცდია, თუმცა ფანტასტიკური სიყვარული, სინამდვილეში რომელიმე ადამიანის მიმართ არასოდეს და არაფრით მიმიზნებულა, მაგრამ ისეთი უკიდევანო, რომ შემდგომში რაიმეს მიმართ მიმიზნების მოთხოვნილებასაც აღარ ვგრძნობდი: ეს ნამეტანი ფუფუნება იქნებოდა. თუმცაღა, ყოველივე სასიკეთოდ დაგვირგვინდებოდა ხოლმე, ზანტად და მოძიბლავად გადაიზრდებოდა ხელოვნებაში, ანუ ყოფიერების მშვენიერ, სავსებით განმზადებულ ფორმებში, რასაც პოეტებსა და რომანტიკოსებს მოურიდებლად ავართმევდი, ჩემს ყოველგვარ მოთხოვნილებებს მივუსადაგებდი და მოვახმარდი. მე, მაგალითად, ყველას ვჭაბნიდი და ყველანი, გაცამტვერებულნი, რა თქმა უნდა, იძულებულნი იყვნენ, ჩემი სრულყოფილებანი ნებაყოფლობით ეღიარებინათ, ხოლო მე ყველას მივუტევებდი. შეყვარებულნიც გახლდით, სახელგანთქმული პოეტიცა და კამერჰერიც, აურაცხელ მილიონებს მოვიხვეჭდი, რასაც მაშინვე ადამიანთა მოდგმას შევნირავედი და მთელი ხალხის წინაშე ვაღიარებდი ჩემს შეცდომებს, რომელნიც, რა თქმა უნდა, უბრალო შეცოდებანი კი არ არის, არამედ უსაზღვროდ მრავალ „მშვენიერსა და ამაღლებულს“ რაღაც მანფრედისებურის[44] შემცველია. ყველანი ცრემლად იღვრებიან და მკოცნიან (სხვაგვარად ხომ რეგვნიბი იქნებოდნენ), ხოლო მე ფეხშიშველი და მშიერ-მწყურვალი მივემართები ახალ იდეათა საქადაგებლად და რეტროგრადებს აუსტერლიცთან ვანადგურებ[45]. შემდეგ მარშს დაუკრავენ, ამნისტია გამოიცემა, პაპი რომიდან ბრაზილიაში წასვლაზე დათანხმდება[46], შემდეგ მთელი იტალიისთვის მეჭლისი გაიმართება ბორგეზს ვილაში, რომელიც კომოს ტბის სანაპიროზეა, ხოლო კომოს ტბას ამ ვითარების გამოისობით რომში საგანგებოდ გადაიტანენ[47]. შემდეგ სცენები ბუჩქებში იქნება და ასე შემდეგ. ეს ვითომ არ იცოდით? ალბათ მეტყვიით, რომ უსაზღვრო აღფრთოვანებათა და ცრემლის ფრქვევათა შემდგომ, რაც თავადვე ვაღიარე, ყოველივე ამის საქვეყნოდ წარმოჩენა ახლა უხამსობა და საძაგლობააო. საძაგლობა რატომ არის? ნუთუ გგონიათ, რომ მე ყოველივე ამის მრცხვენია და ეს ყოველივე, ბატონებო, თქვენს ცხოვრებაში თავად თქვენ განა უფრო სულელურად არ გქონიათ? ამასთანავე, მერწმუნეთ, ზოგი რამ არცთუ ურიგოდ ვქმენი... ყველაფერი კომოს ტბაზე ხომ არ მომხდარა. თუმცაღა მართალნი ბრძანდებით, მართლაც უხამსობა და საძაგლობაა. ყველაზე უფრო საძაგლობა კი ის არის, ახლა თქვენს წინაშე თავის მართლებას რომ მოვყევი. კიდევ უფრო მეტი სისაძაგლეა, ახლა ამას რომ აღვნიშნავ. თუმცაღა, კმარა, თორემ ვეღარასოდეს დავასრულებ: ყოველივე ერთიმეორეზე უსაძაგლესი იქნება...

სამ თვეზე მეტ ხანს გაბმით რომ მეოცნება, ეს არა და არ შემეძლო და საზოგადოებაში გაჭრის დაუოკებელი მოთხოვნილების შეგრძნება მეუფლებოდა. საზოგადოებაში შეჭრად მე ჩემი განყოფილების გამგესთან, ანტონ ანტონიჩ სეტოჩკინთან სტუმრობას ვგულისხმობდი. იგი ჩემი ერთადერთი მუდმივი ნაცნობი გახლდათ და ეს გარემოება ახლა თავადაც მაკვირვებს. მაგრამ მას მხოლოდ მაშინ ვესტუმრებოდი ხოლმე, როცა ასეთი პერიოდები დამიდგებოდა, ხოლო ჩემი ოცნებანი ისეთ ბედნიერებას მიაღწევდა, რომ ადამიანებსა და მთელს ვაცობრიობას აუცილებლად და დაუყოვნებლივ უნდა ჩავხუტებოდი, ხოლო საამისოდ ნამდვილად არსებული ერთი ადამიანი მაინც იყო საჭირო. ანტონ ანტონიჩთან მისვლა სამშაბათობით (მის მიერ დაწესებულ დღეს) შეიძლებოდა. ამის გამო საჭირო იყო მიმიზნება, რომ მთელ ვაცობრიობასთან ჩახუტების მოთხოვნილება ყოველთვის სამშაბათობით მწვეოდა. ანტონ ანტონიჩი ხუთი ქუჩის გადაკვეთასთან, მეოთხე სართულზე, ოთხოთახიან ბინაში ცხოვრობდა. ოთახები პატარ-პატარა, დაბალჭერიანი, მომჭირნეობის უსახური ელფერის მქონე გახლდათ. ანტონ ანტონიჩს ორი ქალიშვილი ჰყავდა. მასთანვე ცხოვრობდა მათი დეიდა, რომელიც სტუმრებს ჩაის მართმევდა ხოლმე. ერთი ქალიშვილი ცამეტი წლისა იყო, მეორე თოთხმეტისა. მათთან თავს ძალზე უხერხულად ვგრძნობდი, რადგან ერთთავად ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ და ხითხითებდნენ. მასპინძელი, ჩვეულებისამებრ, კაბინეტში იჯდა მაგიდასთან მიდგმულ ტყავადაკრულ სავარძელში და რომელიმე თმაჭალარა სტუმარს, ჩვენი ან სხვა უწყების მოხელეს ესაუბრებოდა. ორ-სამზე მეტი, ერთი და იგივე სტუმრის გარდა იქ არასოდეს მინახავს. ისინი აქციზზე, სენატში საჯარო ვაჭრობაზე, ხელფასზე, წარმოებაზე, მის აღმატებულებაზე, თავის მოსაწონებელ საშუალებებზე[48], სხვასა და სხვაზე მსჯელობდნენ. მე მოთმინება მყოფნიდა, მათ გვერდით ოთხ-ოთხი საათი სულელურად ვმჭდარიყავი და მესმინა, როცა საუბარში

ჩაბმას ვერ ვბედავდი და არც შემეძლო. გამოთავყვანებულსა და დადამბლავებულს შუბლი დროდადრო ოფლით მეცვარებოდა, მაგრამ ეს სასიკეთო და სასარგებლო რამ გახლდათ. შინ დაბრუნებული მთელ ვაცობრიობასთან ჩახუტების სურვილის აღსრულებას ერთი ხნით კიდევ გადავდებდი ხოლმე.

თუმცაღა, ერთი ნაცნობი კიდევ მყავდა - ყოფილი თანაკლასელი სიმონოვი. პეტერბურგში ჩემი თანაკლასელები სხვებიც ბევრი იყვნენ, მაგრამ მათთან საერთო არაფერი მქონდა და ქუჩაში აღარც კი ვესალმებოდი. სამსახური იქნებ სწორედ ამიტომაც გამოვიცვალე და სხვა უწყებაში გადავედი, რათა მათთან ერთად არ ვყოფილიყავი და ჩემს საძულველ ბავშვობას ერთბაშად მოვმწყდარიყავი. წყეულიმც იყოს ის სკოლა, ის შემზარავი, კატორღული წლები! ერთი სიტყვით ამხანაგებს მაშინვე ჩამოვშორდი, სკოლას თავი როგორც კი დავაღწიე. ორი-სამი კიდევ შემომრჩა, ვისაც ქუჩაში შეხვედრისას ვესალმებოდი. მათ შორის იყო სიმონოვიც. იგი სკოლაში არაფრით გამოირჩეოდა; წყნარი, მშვიდი გახლდათ, მაგრამ მე მისი ხასიათის დამოუკიდებლობას და პატიოსნებასაც კი ვამჩნევდი. არც ის მგონია, რომ ძალიან გონებაშემბლუდული იყო. მასთან ურთიერთობისას საკმაოდ საამო წუთებიც მქონია, მაგრამ დიდხანს არ შემრჩენია და უეცრად ჩამნისვლია. მას ეს მოგონებანი, როგორც ჩანს, აწუხებდა და, მგონი, სულ შიშობდა, რომ მე ადრინდელ ტონალობას დავუბრუნდებოდი. ვეჭვობდი, რომ ძალიან ვძაგდი, მაგრამ რაკიდა ამ ამბავში მთლად დარწმუნებული არ ვიყავი, მასთან მაინც დავდიოდი.

ერთხელაც, ხუთშაბათს, მარტობას როცა ვედარ ვავუძელი და ვიცოდი, რომ ანტონ ანტონიჩს ამ დღეს კარი ჩაკეტილი ექნებოდა, სიმონოვი გამახსენდა. მისი მეოთხე სართულზე მდებარე ბინისკენ ასვლისას სახელდობრ იმაზე ვფიქრობდი, რომ ამ ვაჟბატონს ჩემი სტუმრობა არ ეპიტნავებოდა და მასთან სულ ტყუილად მივდიოდი. მაგრამ ასეთ რამ ყოველთვის იმით მთავრდებოდა, რომ ამგვარი მოსაზრებანი, თითქმის განზრახ, ორჯოფულ ვითარებაში თავის შერგვისკენ მიბიძგებდა. ჰოდა, ამიტომაც შევედი. მას შემდეგ, რაც სიმონოვი უკანასკნელად ვნახე, თითქმის ერთი წელი იყო გასული.

III

მასთან კიდევ ორი თანაკლასელი დამხვდა. ისინი, როგორც შევატყვე, რაღაც მნიშვნელოვან ამბავზე მსჯელობდნენ. ჩემი მისვლისთვის არც ერთ მათგანს თითქმის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია, რაც ერთობ უცნაური გახლდათ, რადგან მათ რამდენიმე წელია არ შეხვედრივარ. ცხადია, რომ იქ ბუზადაც არავის მივაჩნდი. ასე აბუჩად აგდებული ვიყავი სკოლაშიც, სადაც ყველას ვძულდი. რა თქმა უნდა, მიხვედრილი ვიყავი, რომ მათ ზიზღს ვბადებდი სამსახურებრივი კარიერის წარუმატებლობის გამო და იმის გამოც, რომ ძალიან დავბეჩავდი, უხერო ტანსაცმელი მეცვა და ასე შემდეგ. რაც მათ თვალში ჩემი უუნარობისა და დაკნინებულობის მაჩვენებელი გახლდათ. მაგრამ ასეთ უკიდურეს ზიზღს მაინც არ მოველოდი. სიმონოვს ჩემი მისვლა გაუკვირდა კიდევაც. ჩემი მისვლა ადრეც, მგონი, ყოველთვის აკვირვებდა. ყოველივე ამან საგონებელში ჩამაგდო, სევდამორეული დავჯექი და მივაყურადე, რაზე მსჯელობდნენ.

ისინი სერიოზულად, ლამის ცხარედ ლაპარაკობდნენ გამოსათხოვარი ვახშმის თაობაზე, რის გამართვასაც ეს ბატონები ხვალვე ერთობლივად აპირებდნენ შორეულ გუბერნიაში მიმავალი ამხანაგის, ოფიცრად მომსახურე გვერკოვის პატივსაცემად. მოსიე გვერკოვი სკოლაში შესვლიდან სკოლის დამთავრებამდე ჩემი თანაკლასელიც იყო. იგი განსაკუთრებულად ბედა კლასებში შევიძულე. ქვედა კლასებში მხოლოდ კარგი, მკვირცხლი ბიჭი იყო და ყველას უყვარდა. თუმცაღა, მე ქვედა კლასებშიც მძულდა, თანაც სწორედ იმიტომ, რომ კარგი და მკვირცხლი ბიჭი იყო. იგი მუდამ ცუდად, თანაც სულ უფრო და უფრო ცუდად სწავლობდა, მაგრამ სკოლა მაინც წარმატებით დაამთავრა, რადგან მფარველები ჰყავდა. დამამთავრებელ კლასში როცა გადავედით, მემკვიდრეობა ერგო, ორასი ყმა გლეხი, ხოლო რაკიდა თითქმის ყველანი ღარიბები ვიყავით, ერთთავად გვედიდგულებოდა. იგი უკიდურესად უხამსი, მაგრამ მაინც კარგი ბიჭი გახლდათ, მაშინაც კი, როცა გვედიდგულებოდა. ხოლო ჩვენი კლასელების უმეტესობა, ძალზე მცირედთა გარდა, გარეგნული, ფანტასტიკური მაღალფარდოვნების მიუხედავად, გვერკოვს კუდს უქიცინებდა, თანაც სულ უფრო მეტად და მეტად, როცა იგი უფრო მეტად დიდგულობდა. კუდს რაიმეს გამორჩენის მიზნით კი არ უქიცინებდნენ, არამედ ისე, იმის

გამო, რომ მას ფავორიტულობა ბუნებისგან ჰქონდა მინიჭებული. ამასთანავე ჩვენში დამკვიდრებული აზრით ზვერკოვი სიმარტვისა და კარგი მანერების სპეციალისტად იყო მიჩნეული. ეს განსაკუთრებით მაცოფებდა. მძულდა მისი მჭახე, თავის თავში ეჭვშეუტანლობის გამომხატველი ხმა, თამამად ლაპარაკისას თავისივე, უკიდურესად სულელური მახვილსიტყვაობით თავმომწონეობა. მძულდა მისი ლამაზი, მაგრამ ბრიყვეული სახე (თუმცაღა, ჩემს ჭკვიანურ სახეს მის სახეზე სიამოვნებით გავცვლიდი) და ორმოციანი წლებისთვის დამახასიათებელი თავხედურ-ოფიცრული ფანდები. ჩემს სიძულვილს ინვევდა ისიც, რომ იგი ლაპარაკობდა ქალებში მომავალ წარმატებებზე (ქალებთან ურთიერთობის დანყებას ვერ ბედავდა მანამდე, სანამ ოფიცრის ეპოლეტები არ ჰქონდა, რის მიღებასაც მოუთმენლად მოელოდა) და იმაზე, რომ ყოველ წუთას დუელს გამართავდა. მე თუმცა მუდამ უჩუმარი ვიყავი, მაგრამ მახსოვს, ზვერკოვს როგორ შევები, როცა იგი მოცლილობისას ამხანაგებს მომავალ სასიყვარულო თავგადასავლებზე ემასლაათებოდა. ბოლოს მზეს მიფიცხებული ლეკვივით აცუნდრუკდა და განაცხადა, რომ თავის სოფელში არც ერთ სოფლელ გოგოს ხელმიუკარებლად არ დატოვებდა, რადგან ეს გახლავთ droit de seigneur[49], ხოლო გლეხუჭები შეკამათებას თუ გაუბედავდნენ, ყველას, იმ წვერგაფანჩულ გაიძვერებს, განკეპლავდა და ღალას გაუორმაგებდა. ჩვენმა თახსირებმა ტაში დასცხეს, ხოლო მე შევები სოფლელი გოგოებისა და მათი მამების სიბრალეულის გამო კი არა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ მღილს ტაში დაუკრეს. მაშინ დავჯახნე, მაგრამ ზვერკოვი თუმცა სულელი იყო, მხიარული და თავხედი გახლდათ და ამიტომ სიცილით გული იჭერა. თანაც ისე ხალისიანად, რომ, სიმართლეს თუ ვიტყვით, მთლად ვერ დავჯახნე: სიცილმა გადაწონა. შემდგომში რამდენიმეჯერ კიდევ დამჯახნა, მაგრამ ბრაზმოურევლად, ხუმრობა-ხუმრობით, სასხვათაშორისოდ, სიცილ-სიცილით. მე ეს გულს ბრაზითა და ზიზღით მივსებდა, მაგრამ შეპასუხებას თავს ვარიდებდი. სკოლის დასრულებისას ჩემთან დასაახლოებლად ნაბიჯი გადმოდგა, ზურგი მაინცდამაინც არც მე შემეიქცევია, რადგან მეამა, მაგრამ მალე ერთმანეთს თავისთავად დავშორდით. შემდგომში მის ყაზარმულ-პორუჩიკულ წარმატებებზე, იქაურ ღრეობა-დროსტარებაზე ხმები მომდიოდა. მერე სხვა ხმებიც გაისმა იმის თაობაზე, რომ სამსახურში მიღწევები ჰქონდა. ქუჩაში ახლა აღარ მესალმებოდა და ვეჭვობდი, რომ შიშობდა, თავი არ შეერცხვინა, ჩემისთანა უმნიშვნელო პიროვნებას რომ ესალმებოდა. ერთხელაც თეატრში, მესამე იარუსზე, უკვე აქსელბანდიანი ვნახე. იქ ერთი ხნიერი გენერლის ქალიშვილებს ელოლიავებოდა და ეკოპნიავებოდა. სამიოდ წელიწადში ძალიან მოჩოლფოთდა, თუმცაღა ადრინდებურად საკმაოდ ლამაზი და მარტვე იყო. თანდათან შესუქდა, გაფიჟვინდა, ემჩნეოდა, რომ ოცდაათი წლისა მთლად გაჭირვდებოდა. ჩვენი ამხანაგები ვახშმის გამართვას, აი, ამ გასამგზავრებლად განმზადებული ზვერკოვის პატივისცემად აპირებდნენ. სამი წლის განმავლობაში მასთან ურთიერთობა მათ გამუდმებით ჰქონდათ, თუმცაღა, თავად, შინაგანად, თავი მის თანაბრად არ მიაჩნდათ. ეს უდავოდ მჭერა.

სიმონოვის ორი სტუმრიდან ერთი გახლდათ ფერფიჩინი, გარუსებული გერმანელი, ტანმორჩილი, მაიმუნის პირისახიანი, ყველას მიმართ დამცინავი ტუტუცი, დაბალი კლასებიდანვე ჩემი უბოროტესი მტერი, უხამსი, თავხედი, ბაქია და ერთობ საჩოთირო ამბიციურობის მქონე, თუმცაღა, შინაგანად, რა თქმა უნდა, მხდალი. იგი ერთი იმათგანი იყო ზვერკოვის თაყვანისმცემელთაგან, რომელნიც მოჩვენებითად ეთითლიბაზებოდნენ და მისგან ფულს ხშირად სესხულობდნენ. სიმონოვის მეორე სტუმარი, ტრუდოლუბოვი[50], ბევრი არაფრით გამორჩეული პიროვნება, სამხედრო, ტანმაღალი, გულცივი, საკმაოდ პატიოსანი, მაგრამ ყოველი წარმატებულის წინაშე ქედმოდრეკილი გახლდათ და მხოლოდ აღმასვლაზე მსჯელობა შეეძლო. ზვერკოვს შორეულად ენათესავებოდა, რაც ჩვენს თვალში, თუმცა ეს სისულელეა, ერთგვარ მნიშვნელობას სძენდა. მე მუდამ არარაობად მივაჩინდი, არცთუ თავაზიანად, მაგრამ ასატანად მეპყრობოდა.

- მაშ ასე, რაკილა შვიდ-შვიდი რუბლის დადებას ვაპირებთ, - წამოიწყო ტრუდოლუბოვი, - სამნი ვართ და ოცდაერთი რუბლი მოგროვდება. ჰოდა, კარგად ვივახშმებთ. ზვერკოვი, რა თქმა უნდა, არ გადაიხდის.

- მას ხომ ვეპატიუებით, მაშასადამე, არ გადაიხდის, - დაასკვნა სიმონოვი.

- ნუთუ გგონიათ, - ყოყოჩურად და ცხარედ ჩაერია ფერფიჩინი, როგორც თავისი გენერლის ვარსკვლავებით მოტრახახე თავხედი ლაქია, - ნუთუ გგონიათ, ზვერკოვი ნებას

მოგვცემს, მარტო ჩვენ რომ გადავიხადოთ? თავაზიანობის გამო დაგვთანხმდება, მაგრამ თავის მხრივ ნახევარ დუჟინ შამპანურს ჩამოდგამს.

- ნახევარი დუჟინი ოთხს კიდევაც მოგვჭარბდება, - თქვა ტრუდოლოუბოვმა; ყურადღება მხოლოდ ნახევარ დუჟინს მიაქცია.

- მაშ ასე, სამნი ვართ, ზვერკოვიანად ოთხნი. ხვალ, ხუთ საათზე ჰოტელ დე პარის-ში ოცდაერთი რუბლით მივდივართ, - საბოლოოდ დაასკვნა სიმონოვმა, რომელიც განმკარგულებლად აირჩიეს.

- რატომ ოცდაერთით? - ვთქვი მე ერთობ აღელვებით, თითქმის განანწყენებითაც კი, - თუ მეც გამითვალისწინებთ, ოცდაერთი კი არა, ოცდარვა რუბლი იქნება.

მეგონა, რომ ასეთი უცაბედი და მოულოდნელი შეთავაზება ერთობ ლამაზი იქნებოდა, ისინი ერთბაშად დაიჭაბნებოდნენ და პატივისცემით შემომხედავდნენ.

- განა თქვენც გსურთ? - უკმაყოფილოდ შემეკითხა სიმონოვი, თან თვალი ამარიდა. მან ხომ ჩემი ასავალ-დასავალი ზუსტად იცოდა.

მე იმან გამაშმაგა, რომ ჩემი ასავალ-დასავალი ზუსტად იცოდა.

- ვითომ რატომაც არა? მეც ხომ, მგონი, ამხანაგი ვარ, ჰოდა, უნდა მოგახსენოთ, რომ განანწყენებულაც კი გახლავართ, სათვალავს რომ გამომაკელით, - კვლავ ჩამოვარაკრაკე მე.

- სად მოგძებნიდით? - უხეშად ჩაერია ფერფიჩკინი.

- თქვენ ხომ ზვერკოვთან არასოდეს გიმეგობრიათ, - დაუმატა შუბლშეჭმუხულმა ტრუდოლოუბოვმა. მაგრამ უფრო მეტად გავჭიქდი.

- მე მგონი, ამის განსჯის უფლება არავის აქვს, - შევეკამათე ხმის ვანკალით, თითქოს დიდი ღვთისწყრომა მომხდარიყოს, - იქნებ ახლა სწორედ იმიტომ მსურს, რომ ადრე არ ვმეგობრობდი.

- ვინ რას გაგიგებთ... თქვენი ამაღლებულობა ხომ... - ჩაიცინა ტრუდოლოუბოვმა

- თქვენც ჩაგწერთ, - გადანწყვეტილება მიიღო და მომმართა სიმონოვმა, ხვალ ხუთ საათზე ჰოტელ დე პარის-ში; არ შეგეშალოთ.

- მერე ფული! - ხმადაბლა წამოიწყო ფერფიჩკინმა და სიმონოვს ჩემზე მიანიშნა, მაგრამ აღარ განაგრძო, რადგან სიმონოვიც კი შეცბუნდა.

- კმარა, - თქვა ტრუდოლოუბოვმა და წამოდგა, - თუკი ასე ძალიან მოესურვა, დაე, მოვიდეს...

- ჩვენ ხომ ჩვენი მეგობრული წრე გვაქვს, - გაბრაზდა ფერფიჩკინი და შლაპას ხელი იმანაც წამოავლო, - ეს არაოფიციალური თავშეყრაა. თქვენ იქნებ სულაც არ გვინდობართ...

ისინი წავიდნენ. ფერფიჩკინს ოთახიდან გასვლისას ჩემთვის თავი არ დაუკრავს, ტრუდოლოუბოვმა თავი ოდნავ დახარა ჩემკენ გამოუხედავად. სიმონოვი, ვისთანაც პირისპირ მარტო დავრჩი, განანწყენებული, შეცბუნებული ჩანდა და უცნაურად მიყურებდა. არ დამჭდარა და არც ჩემთვის შემოუთავაზებია, რომ დავმჭდარიყავი.

- ჰმ... ჰო... მაშ ხვალ. ფულის მოცემას ახლა ინებებთ? რათა წამდვილად ვიცოდე, - ჩაიბუტბუტა დარცხვენით.

მე წამოვვინთე, მაგრამ უმაღლესად გამახსენდა, რომ სიმონოვისა თხუთმეტი რუბლი უხსოვარი დროიდან მემართა, რაც თუმცაღა, არასოდეს მაწინყდებოდა, მაგრამ არც არასოდეს ვუბრუნებდი.

- სიმონოვო, თავადაც დამეთანხმებით, რომ არ მეცოდინებოდა, როცა აქ შემოვდიოდი...

და ძალიან ვნუხვარ, რომ დამავინცდა...

- კარგი, კარგი, სულერთია. ხვალ სადილობისას გადაიხდით. მე მხოლოდ მინდოდა, რომ მცოდნოდა... კარგი, კარგი...

იგი გაჩუმდა და ოთახში სიარულს შეუდგა უფრო მეტად განაწყენებული. სიარულისას ქუსლებზე შედგებოდა ხოლმე და უფრო ძლიერად მიტყაპუნობდა.

- ხომ არ გაყოვნებთ? - ვკითხე ორი წუთის დუმილის შემდეგ.

- ოჰ, არა! - იგი უეცრად შეკრთა, - ანუ, მართლაც... დიახ... იცით რა, მე ერთგან უნდა შევიარო... აქვე ახლოს... - დაუმატა ერთგვარი დარცხვენით და ხმაში მობოდიშების გამომხატველება გაურია.

- ოჰ, ღმერთო ჩემო! რატომ არ მით-ხა-რით! - შევძახე გასაოცარი სითამამით, ღმერთმა უწყის, საიდან რომ მომევილინა და ქუდს ხელი წამოვავლე.

- ეს აქვია... ორიოდ ნაბიჯზე, - გაიმეორა სიმონოვმა და წინკარამდე ფაცაფუცით მიმაცილა, რაც სრულებით არ შეეფერებოდა. - მაშ ხვალ ზუსტად ხუთ საათზე! - ჩამომძახა კიბებზე: ფრიად კმაყოფილი გახლდათ, რომ წავედი. ხოლო მე გავშმაგდი.

- რა ეშმაკი შემიჯდა, რას მივეტმასნე - კბილთა ღრჭენით ვამბობდი ქუჩაში მიმავალი, - თანაც ამ სალახანა, ღორ ზვერკოვს! ცხადია, არ უნდა წავიდე, ცხადია, ყველაფერს უნდა მივაფურთხო; რაო, ვალდებული ხომ არა ვარ? სიმონოვს ხვალვე ქალაქის ფოსტით შევატყობინებ...

მაგრამ გაშმაგებული სწორედ იმიტომ ვიყავი, რომ ვიცოდი, უსათუოდ წავიდოდი; განზრახ წავიდოდი, წასვლა რაც უფრო უტაქტო, რაც უფრო სათაკილო იქნებოდა, მით უფრო წავიდოდი.

წასვლის დამაბრკოლებელი შესაბამისი გარემოებაც მქონდა. ფული არ გამაჩნდა. შინ მხოლოდ და მხოლოდ ცხრა რუბლი მედო. მაგრამ შვიდი რუბლი, ყოველთვიური ხელფასი ხვალვე უნდა მიმეცა აპოლონისთვის, ჩემი მსახურისთვის, ვინც ჩემთან შვიდ რუბლად თავისი სასმელ-საჭმლით ცხოვრობდა.

აპოლონს ისეთი ხასიათი ჰქონდა, რომ მიუცემლობა შეუძლებელი გახლდათ. ამ გაიძვერაზე, ჩემს გამწამებელზე როდისმე, შემდგომში მოგიყვებით.

თუმცაღა, ხომ ვიცოდი, რომ მაინც არ მივცემდი და აუცილებლად წავიდოდი.

იმ ღამით უსაძაგლესი სიზმრები მეზმანებოდა. მაშ რა იქნებოდა, მთელი საღამო სკოლაში გატარებულ კატორღულ წელთა მოგონებანი შემომეჭარა და თავიდან ვეღარ მომეშორებინა. იმ სკოლაში შორეულმა ნათესავებმა შემაგდეს, რომლებზედაც დამოკიდებული ვიყავი და რომელთა ასავალ-დასავალი აქამდე არ ვუწყი. შემაგდეს ობოლი, მათი დამუნათებით უკვე დაბეჩავებული, უკვე ფიქრთა ტყვეობაში მოქცეული, უჩუმარი და ყოველივეზე ველურად მომზირალი. ამხანაგები მტრულად შემხვდნენ, ღვარძლიანად და დაუნდობლად დამცინოდნენ იმის გამო, რომ არცერთ მათგანს არ ვგავდი. მაგრამ მე დაცინვათა ატანა არ შემეძლო. მათთან შეგუება არ შემეძლო ისე იოლად, როგორც ისინი ერთმანეთს ეგუებოდნენ. ყველანი უმაღვე შევიძულე და ყველას მფრთხალად გავემიჯნე უკიდურესად თავმოყვარეობაშელახული. მათი უხეშობით აღმფრთხილებული ვიყავი. ისინი ცინიკურად დასცინოდნენ ჩემს პირისახეს, ჩემს ღონდლო აღნაგობას, ამ დროს კი თავად როგორი სულელური სახეების მქონენი იყვნენ! ჩვენს სკოლაში სახის გამოთაყვანება ყველას ერთობ განსაკუთრებულად ენყებოდა და სრულად გარდაექმნებოდა. ჩვენთან რამდენი მშვენიერი ბავშვი შემოდიოდა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მათთვის თვალის შევლებაც კი შეგზარდებოდათ. ჯერ კიდევ თეფესმეტი წლისას ისინი გულის შემადონებლად მაოცებდნენ. მაშინვე მაოცებდა მათი დანვრილმანებული აზროვნება, მათი სულელური საქმიანობა, თამაშობანი და საუბარი. ისეთ აუცილებელ რამეთა მიუხვედრელნი იყვნენ, ისეთი შთამბეჭდავი, განმაცვიფრებელი რამ არ აინტერესებდათ, რომ ისინი ძალაუწებურად ჩემზე ქვემდგომებად მივიჩნიე. ამას შეურაცხყოფილი პატივმოყვარეობა არ მაიძულებდა. თუ ღმერთი გნამთ, გულისამრევი

უსულგულობით ნუ შემეკამათებთ: „თითქოს მე მხოლოდ ვოცნებობდი, ხოლო მათ მაშინვე იცოდნენ, ნამდვილი ცხოვრება რა იყო“. მათ არაფერიც არ იცოდნენ, არც ნამდვილი ცხოვრებისა გაეგებოდათ, ყველაზე აშკარა, თვალშისაცემ სინამდვილეს უსაზღვროდ სულელურად აღიქვამდნენ და მარტოოდენ წარმატების თაყვანისცემას მაშინვე უკვე მიეჩვივნენ. ყოველივე სამართლიანს, მაგრამ დაკნინებულსა და მივიწყებულს გულქვად და სამარცხვინოდ დასცინოდნენ. ჩინი ჭკუა-გონებად მიაჩნდათ. თქვესმეტი წლისანი უკვე თბილ ადგილებზე მსჯელობდნენ. რა თქმა უნდა, ბევრი რამ სისულელით, ცუდი მაგალითით გახლდათ გამოწვეული, რითაც ბავშვობისას და ყმაწვილობისას განუწყვეტლივ იყვნენ გარემოცულნი. ისინი ლამის სიმახინჯემდე ნამხდარნი იყვნენ. რა თქმა უნდა, აქაც ბევრი რამ გარეგნული, უპირატესად ნაძალადევად ცინიკური გახლდათ, რა თქმა უნდა, სინორჩე და უმნიფრობა გამოკრთოდა სინამხდრის მიღმაც, მაგრამ ანცობისას გამოვლენილი მათი სინორჩეც კი ულაზათო იყო. მე ისინი საშინლად მძულდა, თუმცაღა, ალბათ მათზე უარესი გახლდით. ისინიც სამაგიეროს იმითვე მიზღავდნენ და ჩემდამი ზიზღს არ მალავდნენ. მაგრამ მე მათი სიყვარული აღარ მსურდა და მათ დამცირებას გამუდმებით ვესწრაფვოდი. მათი დაცინვანი თავიდან რომ ამერიდებინა, ვარგად სწავლას, რაც კი შემეძლო, განზრახ შევუდექი და პირველ მონაფეთა რიგში შევალწიე. ამან მათზე ბეგავლენა მოახდინა. ამასთანავე ნელ-ნელა მიხვდნენ, რომ მე უკვე ისეთ წიგნებს ვკითხულობდი, რომელთა წაკითხვაც თავად არ შეეძლოთ და ბევრი ისეთი რამ ვიცოდი (რაც ჩვენს სპეციალურ კურსში არ შედიოდა), განაგონიც რომ არ ჰქონდათ. ამას უხიაგად და დამცინავად უცქეროდნენ, მაგრამ ბნეობრივად მემორჩილებოდნენ, მით უმეტეს, რომ ამის გამო ყურადღება მასწავლებლებმაც კი მომაქციეს. დაცინვა შეწყდა, მაგრამ მტრობა დარჩა და ცივი, დაძაბული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ბოლოს თავად ვეღარ მოვითმინე. წლების მატებასთან ერთად ადამიანებთან ურთიერთობის, დამეგობრების სურვილი გამიჩნდა. ზოგიერთთან დაახლოებას შევეცადე, მაგრამ დაახლოება ყოველთვის არაბუნებრივი გახლდათ და მალევე მთავრდებოდა. ერთხელ თითქოს მეგობარიც მყავდა. ოღონდ მაშინ უკვე შინაგანად დესპოტი ვიყავი. მინდოდა, მის გულ-გონებას ზღვარდაუდებლად დავუფლებოდი. მინდოდა, მისთვის გარემომცველი წრის ზიზღი ჩამენერგა. მოვთხოვე, რომ ამ წრეს ქედმაღლურად და საბოლოოდ გამიჭვნოდა. ჟინიანი მეგობრობით ვაშინებდი, ვატირებდი, ვანკალს ვაწყებინებდი. იგი მიამიტი და დამყოლი იყო, მაგრამ მთლად როცა დამემორჩილა, მაშინვე შევიძულე და თავიდან მოვიშორე, - თითქოს მარტოოდენ იმისთვის მჭირდებოდა, რომ მასზე გამარჯვება მომეპოვებინა, მხოლოდ იმისთვის, რომ დამემორჩილებინა. მაგრამ ყველას დამარცხებას ხომ ვერ შევძლებდი; ჩემი მეგობარიც არც ერთ მათგანს არ ჰგავდა და იშვიათი გამონაკლისი გახლდათ. სკოლის დამთავრების შემდეგ, უპირველეს ყოვლისა, ის მოვიმოქმედე, რომ წესით განკუთვნილი სამსახური მივატოვე, რათა ყველანაირი ვაჭირი გამეწყვიტა, წარსულს წყევლა-კრულვით გავმიჯნოდი და გამეცამტვერებინა. ჰოდა, ამის შემდეგ, ეშმაკმა უწყის რატომ, ამ სიმონოვს მივაღდექი!..

ლოგინიდან დილაადრიანად ისეთი აღელვებული წამოვხტი, თითქოს ყოველივე მაშინვე უნდა მომხდარიყო. მაგრამ მჯეროდა, რომ ჩემს ცხოვრებაში რადიკალური გარდატეხა დღესვე აუცილებლად დაიწყებოდა. მიუჩვევლობის გამო თუ იყო, რაც თავი მახსოვს, ყოველი მოვლენისას, თუნდაც უმცირესი მოვლენისას, სულ მეგონა, რომ ჩემს ცხოვრებაში, აი, ახლა კი რაიმე რადიკალური გარდატეხა დაიწყებოდა. თუმცაღა, სამსახურში ჩვეულებისამებრ წავედი, მაგრამ ორი საათით ადრე გავიპარე და შინ მივედი, რათა მოვმზადებულიყავი. ვფიქრობდი, რომ მთავარი იყო, პირველი არ მივსულიყავი, თორემ იფიქრებდნენ, რომ ძალიან მიხაროდა. მაგრამ ასეთი მთავარი რამეები ათასობით იყო და დაუძღურებამდე მალეღვებდა. ჩექმები საკუთარი ხელით კიდევ ერთხელ გავიპრიალე. აპოლონი ჩექმებს დღეში ორჯერ არაფრის დიდებით არ გამიპრიალეებდა, რადგან ეს წესის დარღვევად მიაჩნდა. ამიტომ მე თვითონ გავაპრიალე; ჯაგრისი წინკარში მალულად ავიღე, რათა არ შეემჩნია და არ შევზიზღებოდი. შემდეგ ჩემი ტანსაცმელი გულდასმით დავათვალიერე და დავასკვნე, რომ ყველაფერი დამძველებოდა, გამხუნებოდა, გამცვეთოდა. ძალზე ულაზათო გავხდი. ვიცმუნდირს თითქოს არა უშავდა, მაგრამ ვახშამზე ვიცმუნდირით ხომ არ მივიდოდი. რაც მთავარია, მარვალს ზედ მუხლთან უზარმაზარი ყვითელი ლაქა აჩნდა. წინათგრძნობა მიკარნახებდა, რომ მარტო ეს ლაქა ღირსების ცხრა მეთაედს დამაკარგვინებდა, ისიც ვიცოდი, რომ ამგვარი ფიქრი ძალზე დამამცირებელი იყო. „მაგრამ ახლა ფიქრის დრო აღარ არის,

ახლა სინამდვილე იწყება“, - ვფიქრობდი ილაჯგამწყდარი. ისიც ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ყველაფერს უკიდურესად ვაზვიადებდი. მაგრამ რა უნდა მექნა: თავს ვერა და ვერ მოვერიე და ციებ-ცხელებიანივით ვკანკალებდი. სასონარკვეთილი წარმოვისახავდი, სალახანა ზვერკოვი როგორ ქედმაღლურად, როგორ ცივად შემხვდებოდა; როგორ ჩლუნგად, უაზრო ზიზღით დამინწყებდა ცქერას გონებაჩლუნგი ტრუდოლოუბოვი; რა საძაგლად და თავხედურად ჩაიხითხითებდა მღილი ფერფიჩკინი, რათა ჩემი ათვალწუნებით ზვერკოვს მოლაქუცებოდა. ყველაფერს რა კარგად მიხვდებოდა სიმონოვი და პატივმოყვარესა და სულმდაბალს როგორ შემიზიზღებდა, თანაც, რაც მთავარია, ყოველივე რა კნინი, რა არალიტერატურული, რა უჩინო იქნებოდა. რა თქმა უნდა, ყველაფერს აჯობებდა, თუ არ ნავიდოდ. მაგრამ ყველაზე შეუძლებელი სწორედ ეს გახლდათ: თუ რაიმეში თავს შევრგავდი, ერთიანად გადავეშვებოდი ხოლმე. მერე მთელი სიცოცხლე ჩემივე თავისთვის სულ უნდა მესაყვედურებინა: „რაო, შეშინდი? დიახ ნამდვილად შეშინდი!“ პირიქით, ჟინიანად მინდოდა, იმ ვიგინდარებისთვის დამემტკიცებინა, რომ სრულიადაც არ ვიყავი ისეთი მხდალი, როგორადაც თავი წარმომედგინა. უფრო მეტიც: ლაჩრული ციებ-ცხელების პაროქსიზმისას ვოცნებობდი, რომ მათ დავჯაბნიდი, ვძლევდი, მოვხიბლავდი, თავს შევაყვარებდი, თუნდაც „აზრთა ამაღლებულობითა და უდავო მახვილგონივრულობით“. ზვერკოვს განუდგებოდნენ, განზე დასხდებოდნენ, დადუმდებოდნენ და დაირცხვენდნენ, ხოლო მე ზვერკოვს გავსრესდი. მერე ალბათ შევერიგდებოდი, მისი სადღეგრძელოს შესმისას შენობით მივმართავდი, მაგრამ ყველაზე უფრო საწყენი და საწუხარი ის გახლდათ, მაშინვე რომ ვიცოდი, სავსებით ნამდვილად ვიცოდი, რომ არსებითად, ეს ყოველივე არ მესაჭიროებოდა, სრულებით არ მინდოდა მათი გასრესა, დამორჩილება, მოხიბლვა და მთელი შედეგის საფასურად ამისთვის თუნდაც მიმედნია, თავად ერთ გროშსაც არ გავიღებდი. ო, ღმერთს როგორ ვევედრებოდი, რომ ეს დღე, რაც შეიძლება, მალე გასრულებულიყო! ფანჯარასთან ენით აუნერელი სევდით მივდიოდი, პატარა სარკმელს გამოვადებდი და სველი თოვლის ხშირ ფანტელთა მღვრიე წყვილადს გავყურებდი... ბოლოს ჩემმა უხერო კედლის საათმა ხუთჯერ ჩაიხიხინა. ქუდს ხელი დავტაცე, შევეცადე, აპოლონისთვის თვალი ამერიდებინა, - ის კი დილიდანვე ელოდა, რომ ხელფასს მივცემდი, მაგრამ სიამაყის გამო ამის თაობაზე სიტყვა არ დასცდენია, - მის გვერდით გავსხლტი, გარეთ გავედი და უკანასკნელი ათი შაურით წინასწარ დაქირავებული ეტლით hotel de paris-თან ბატონკაცივით მივქანდი.

IV

წინადღითვე ვიცოდი, რომ პირველი მივიდოდი. მაგრამ მთავარი პირველობა არ ყოფილა.

იქ არათუ არავინ იყო, ჩვენი ოთახიც კი ძლივს მოვძებნე. სუფრა მთლიანად ჯერაც არ გაეშალათ. ამის მიზეზი რა უნდა ყოფილიყო? მსახურებს გამოვკითხე და ბოლოს, როგორც იქნა, შევიტყვე, რომ ვახშამი ხუთ საათზე კი არა, ექვსზე იყო დანიშნული. გამოვკითხვა სამარცხვინოც კი იყო. ჯერ მხოლოდ ექვსის ოცდახუთი წუთი სრულდებოდა. თუ დრო ერთი საათით გადანიეს, ეს ხომ ჩემთვის უნდა შეეცობინებინათ. ქალაქის ფოსტა ხომ ამისთვის არსებობს. რატომ უნდა შევრცხვენილიყავი, ჩემი თავის წინაშე და თუნდაც მსახურების წინაშე. მე ჩამოვჯექი. მსახური სუფრის გამლას შეუდგა. მის გვერდით თავს უფრო განაწყენებულად ვგრძნობდი. ექვსი საათი როცა მოახლოვდა, ანთებული ლამპების გარდა, სანთლებიც შემოიტანეს. თუმცაღა, მსახურს არც მოფიქრებია, რომ სანთლები მაშინ შემოეტანა, როცა მივედი. მეზობელ ოთახში ცალ-ცალკე განცობილ სუფრასთან ვიღაც ორი პირქუში სტუმარი ვახშამობდა. ბრაზიანი შესახედაობა ჰქონდათ და მდუმარედ ისხდნენ. მოშორებით, ერთ ოთახში ძალიან ხმაურობდნენ, თითქმის გაჰყვიროდნენ. მთელი ჯგრო ხარხარებდა, უნმანური ფრანგული შეძახილები გაისმოდა. იქ ქალებთან ერთად ვახშამობდნენ. ერთი სიტყვით, ფრიად ამაზრბენი ვითარება გახლდათ. ასეთი საძაგელი წუთები იშვიათად მქონია, ისე რომ, როცა ისინი ზუსტად ექვს საათზე ერთად შემოვიდნენ, მათი მოსვლა, როგორც განმათავისუფლებლებისა, პირველ წუთს გამიხარდა კიდევაც და კინაღამ გადამავიწყდა, რომ მათთვის განაწყენებით უნდა შემეხედა.

ზვერკოვი, როგორც წინამძღოლი, პირველი შემოვიდა. ყველანი იცინოდნენ. მაგრამ ზვერკოვი ჩემი დანახვისთანავე გაიჯგინა, აუჩქარებლად მომიახლოვდა, ოდნავ, თითქმის კეკლუცად წაიხარა და ხელი ალერსიანად გამომინოდა, თუმცაღა, არცთუ მაინც და მაინც

აღერსიანად, ერთგვარად ფრთხილი, ლამის გენერლური თავაზიანობით, თითქოს ხელის გამოწვდით თავს რაღაცისგან იცავდა. მე, პირიქით, მეგონა, რომ შემოვიდოდა თუ არა, თავისებურად, ჭყლოპინარევი, წვრილი ხმით გადაიხარხარებდა და უმაღვე გაუთავებელ ხუმრობასა და მახვილსიტყვაობას მოჰყვებოდა. წუხანდლიდანვე საამისოდ ვემზადებოდი, ასეთ ქედმაღლურ, ასეთ აღმატებულებრივ მოაღერსებას ვი არ ველოდი. მაშასადამე, ახლა თავი ყოველმხრივ ჩემზე განუზომლად მაღლა მდგომად მიაჩნდა. გენერლური თავაზიანობის გამოჩენით მხოლოდ ის რომ სდომებოდა, რომ გავენანყენებინე, ამას კიდევ არა უშავდა, გავიფიქრე მე, ამის გამო, ასე თუ ისე, ხელს ჩავიქნევდი. მაგრამ თუ ჩემი განანყენება ოდნავადაც არ უნდოდა და ბატისტვინა თავში სერიოზულად შეუჩოქდა იდეა, რომ ჩემზე განუზომლად მაღლა მდგომი იყო და მარტოოდენ მფარველურად უნდა მომპყრობოდა? მხოლოდ და მხოლოდ ამ ვარაუდმა ლამის სული შემეხუთა.

- მე განვცვიფრდი, როცა შევიტყვე, რომ ჩვენთან შემოერთება მოისურვეთ, - წამოიწყო მან ენის მოჩლექითა და ჩიფჩიფით, თანაც სიტყვებს წელავდა, რაც ადრე არ სჩვეოდა. - აქამდე ერთმანეთს არ შევხვედრივართ. თქვენ თავს გვარიდებდით. ამაოდ. ჩვენ არც ისეთი საშიშნი ვართ, როგორც გეჩვენებთ. კარგი, ასეა თუ ისე, მოხარული ვარ, თუ გან-ვა-ახ-ლებთ...

იგი დაუდევრად შეტრიალდა და ქუდი ფანჯრის რაფაზე ჩამოდო.

- დიდი ხანია იცდით? - შემეკითხა ტრუდოლუბოვი.

- ზუსტად ხუთ საათზე მოვედი, როგორც გუშინ დრო დამითქვეს, - ვუპასუხე ხმამაღლა და აფეთქების მომასწავებელი გაღიზიანებით.

- არ შეგიტყობინებია, დრო რომ შევცვალეთ? - მიუბრუნდა ტრუდოლუბოვი სიმონოვს.

- არ შემიტყობინებია, დამავინცდა, - უპასუხა მან ოდნავი სინანულის გარეშე და ჩემთვის არ მოუბოდიშებია, საჭმელ-სასმლის დროულად მოტანის მოსაგვარებლად ისე გაემართა.

- მაშ, უკვე მთელი საათია, რაც აქ ხართ? ოჰ, როგორ მებრალეებით! - დამცინავად შესძახა ზვერკოვმა, რამეთუ მისი ჭკუა-გონებით ეს მართლაც ძალიან სასაცილო უნდა ყოფილიყო. ხოლო სალახანა ფერფიჩკინმა უმაღ ფინიასებური წვნიკი, საძაგელი ხმით გადაიკისკისა. ჩემი საჩოთირო მდგომარეობა მასაც ძალზე სასაცილოდ ეჩვენა.

- ეს სასაცილო სულაც არ არის! - დავეყვირე ფერფიჩკინს სულ უფრო და უფრო გაღიზიანებულმა, - ჩემი ბრალი არ არის, დამნაშავენი სხვები არიან. არაფრად ჩამაგდეს, არ შემატყობინეს. ეს-ეს-ეს... რა უაზრობაა!

- მარტო უაზრობა ვი არა, კიდევ სხვა რაღაც არის, - ჩაიბურტყუნა ტრუდოლუბოვმა. გულუბრყვილოდ გამომექომაგა. - თქვენ ფრიად ღმობიერი ხართ. ეს უბრდელობაა. რა თქმა უნდა განუზრახელი უბრდელობა. სიმონოვმა ეს როგორ... ჰმ!

- მე ასე თუ მომექცეოდნენ, - თქვა ფერფიჩკინმა, - მე ხომ...

- ვერ უთხარით, რომ თქვენთვის რამე მოერთმიათ, - შეანყვეტინა ზვერკოვმა, ანდა ჩვენთვის არ მოგეცადათ და ვახშობა დაგენყოთ.

- დამეთანხმეთ, რომ ეს თქვენი ნებართვის გარეშეც შემეძლო, - მოვუჭერი მე. - რახან ვიცდიდი, იმიტომ ვიცდიდი, რომ...

- ბატონებო, დავსხდეთ, - დაიყვირა ამ დროს შემოსულმა სიმონოვმა, - ყველაფერი მზადაა. მამპანური საუცხოოდ ჩაციებულა... მე ხომ არ ვიცოდი, სად ცხოვრობდით, სად უნდა მომეძებნეთ? - უეცრად მომმართა მე, მაგრამ ისე, რომ ჩემკენ არც გამოუხედავს. ეტყობოდა, რომ ჩემს მიმართ მტრულად იყო განწყობილი. მაშასადამე, გუშინდლის შემდეგ გულში რაღაც ჩაიდო.

ყველანი დასხდნენ. მეც დავჯექი. მაგიდა მრგვალი იყო. ჩემს მარცხნივ ტრუდოლუბოვი დაჯდა, მარჯვნივ სიმონოვი. ზვერკოვი ჩემს პირდაპირ დაბრძანდა. ფერფიჩკინი

ზვერკოვსა და ტრუდოლუბოვს შორის მოთავსდა.

- მით-ხა-ა-რით... დეპარტამენტში მსახურობთ? - თავს არ მანებებდა ზვერკოვი. რაკილა მამჩნევდა, რომ შეცბუნებული ვიყავი და სერიოზულად წარმოიდგინა, რომ უნდა მომფერებოდა, ასე ვთქვათ, უნდა გავემხნეებინე. „რაო, ხომ არ უნდა, რომ თავში ბოთლი ჩავთხლიშო“, - გავიფიქრე გაცოფებულმა. მიუჩვევლობის გამო სიფიცხე არაბუნებრივი სისწრაფით მეუფლებოდა.

- მე... იქ... კანცელარიაში, - ვუპასუხე ნაწყვეტ-ნაწყვეტად, თან თეფშს ჩავყურებდი.

- მერედა... ეს გირჩევნიათ? მი-ი-თხარით, ადრინდელი სამსახურის მიტოვება რამ გა-ა-იძულათ?

- იმან მა-ა-ი-ძულა, რომ ადრინდელი სამსახურის მიტოვება მომესურვა, - სამჯერ უფრო მეტად გავწელე. თავს ვეღარ ვიკავებდი. ფერფიჩკინმა ჩაიფრუტუნა. სიმონოვმა ირონიულად შემომხედა. ტრუდოლუბოვმა ჭამას თავი ანება და ცნობისმოყვარედ ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

ზვერკოვს ეს კი ეჩოთირა, მაგრამ არ შეიმჩნია.

- ჰო-ო-ო, სარჩო როგორი გაქვთ?

- რა სარჩო?

- ანუ ხე-ხელფასი.

- გამოცდას მიტარებთ თუ რა არის!

თუმცადა, ჩემი ხელფასის რაოდენობა მაშინვე დავასახელე და სახეზე აღმურმა ამკრა.

- საკმაოაო, ვერ იტყვი, - მედიდურად თქვა ზვერკოვმა.

- დიახ, კაფე-რესტორნებში ვერ ივახშმებ! - თავხედურად დაუმატა ფერფიჩკინმა.

- მე კი მგონია, რომ ძალზე დარიბულია, - სერიოზულად თქვა ტრუდოლუბოვმა.

- როგორ გამხდარხართ, როგორ შეცვლილხართ... მას შემდეგ... - დაუმატა ზვერკოვმა უკვე გესლნარევად, თავხედური სიბრალულით, თან ამხედ-დამხედა და ჩემი ტანსაცმელიც შეათვალიერა.

- ძალიან ნუ დაირცხვენთ, - ხითხითით წამოიძახა ფერფიჩკინმა.

- მოწყალეო ხელმწიფევ, რომ იცოდეთ, დარცხვენილი სულაც არ გახლავართ, - ავფეთქდი ბოლოს, - გაიგონეთ! აქ, „კაფე-რესტორანში“ ჩემს ხარჯზე ვვახშმობ და არა სხვის ხარჯზე, ყურად იღეთ monsieur ფერფიჩკინო.

- რა თქვით? აქ თავის ხარჯზე ვინ არ ვახშმობს? თქვენ მგონი... - შემომიტია ფერფიჩკინმა. წამოჭარხალდა და თვალეებში გაცეცხლებით ჩამაშტერდა.

- რა ვთქვი და რაც ვთქვი, - ვუპასუხე და ვიგრძენი, რომ შორს შევტოპე, - ჰოდა, ვფიქრობ, რომ გვირჩევნია, უფრო ჭკვიანურად ვილაპარაკოთ.

- როგორც გატყობთ, ჭკუის გამოჩენას აპირებთ!

- ნუ შეშფოთდებით, აქ ეს სრულიად ბედმეტი იქნება.

- ბატონო ჩემო, იმ თქვენს დეპარტამენტში ენად გავრეფას დაჩვეულხართ! გატყობთ, იქ ყოფნისას სიგიჟე ერთიანად მოგრევიათ!

- კმარა, ბატონებო, კმარა! - მბრძანებლურად შეჰყვირა ზვერკოვმა.

- რა უგუნურებაა! - ჩაიბურტყუნა სიმონოვმა.

- ნამდვილად უგუნურებაა, აქ მეგობრულ თავშეყრაზე ვართ, რათა ჩვენს საყვარელ მეგობარს გამგზავრების წინ გზა დავულოცოთ, - წამოიწყო ტრუდოლუბოვმა და მერე მე უხეშად მომმართა, - ხოლო თქვენ ანგარიშის სწორებას მოჰყევით. გუშინ თავი თვითონ შემოგვაჩეჩეთ. ჰოდა, ჰარმონიას ნუ დაგვირღვევთ.

- კმარა, კმარა, - ყვიროდა ზვერკოვი. - ბატონებო, გეყოფათ, ასეთი რამ აქ შეუფერებელია. სჯობია, ახლა იმას მოგიყვეთ, გუშინწინ კინალამ რომ დავექორწინდი.

დაიწყო აბდაუბდა იმის თაობაზე, ეს ვაჟბატონი გუშინწინ კინალამ რომ დაქორწინდა. თუმცაღა, დაქორწინებაზე ერთი სიტყვაც არ თქმულა, მაგრამ მონათხრობში ხან გენერლები გაიელვებდნენ, ხან პოლკოვნიკები, ხან კამერ-იუნკერებიც[51] კი, ხოლო ზვერკოვი მათ შორის ლამის სათავეში ბრძანდებოდა. მოწონების ნიშნად დროდადრო სიცილი იფეთქებდა ხოლმე, ფერფიჩკინი კი ერთთავად ჭყლოპინობდა.

მე ყველას მივაპყნე და დანიხლული, განადგურებული ვიჭეცი.

„ღმერთო ჩემო, განა ეს ჩემი წრეა! - ვფიქრობდი გულმოსული. - მათ წინაშე თავი რანაირ სულელად წარმოვაჩინე! ფერფიჩკინს ხომ ბევრი რამ გავაბედვინე. ამ უგუნურებს ჰგონიათ, რომ დიდი პატივი დამდეს, სუფრასთან გვერდით რომ მიმისვს, იმას კი ვერ მიმხვდარან, რომ პატივი მათ კი არ დამდეს, არამედ ჩემი აქ ყოფნით პატივი მათ მე დავდე! „გამხდარხარო, შეცვლილხარო!“ ტანსაცმელი შემითვალაიერა. ოჰ, ეს წყეული მარვალი! ზვერკოვმა ყვითელი ლაქა ადრევე შეამჩნია... აქ რაღა მინდა! ახლავე, ამწუთასვე უნდა ავდგე, ქუდი ავიღო და სიტყვის უთქმელად წავიდე... ისე შემზიზღდნენ! თუნდაც ხვალ დუელში გასვლა მომიწიოს. გარეწრები! შვიდი რუბლის გამო აქ ხომ არ უნდა დავრჩე. იქნებ ესეც ჰგონიათ... ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ! შვიდი რუბლი არ მენანება! ახლავე წავალ!..“

რა თქმა უნდა, დავრჩი.

ბოღმამორეული ლაფიტსა და ხერესს ვსვამდი.ჭიქას ჭიქაზე ვცლიდი. მიუჩვევლობის გამო მალე შევთვერი, ხოლო თრობასთან ერთად გულჯავრიანობაც მემატებოდა. უცებ მომინდა, ყველანი თავხედურად გამომელანძღა და მერე წავსულიყავი. შესაფერი დრო მომეხელთებინა და თავი გამომეჩინა - თუნდაც ეთქვათ, სასაცილო კი არ არის, მაგრამ ჭკვიანიაო... ჰოდა... ჰოდა... ერთი სიტყვით ეშმაკსაც წაუღია ამათი თავი!

ამღვრეული თვალეები ყველას თავხედურად მოვავლე. მაგრამ მე აღარავის ვახსოვდი. ხმაურობდნენ, გაჰყვიროდნენ, მხიარულობდნენ. მხოლოდ ზვერკოვი ლაპარაკობდა. ყური მივუგდე. იგი ყვებოდა ვიღაც ფაშფაშა ქალზე, ვინც ბოლოს და ბოლოს დაიყოლია (რა თქმა უნდა, წრეგადასულად ცრუობდა), თანაც ამ ამბავში განსაკუთრებულად ეხმარებოდა უახლოესი მეგობარი, ვიღაც თავადიშვილი, სამი ათასი ყმა გლეხის მფლობელი, ჰუსარი კოლია.

- ის თქვენი სამი ათასი ყმა გლეხის მფლობელი კოლია აქ თქვენს გასაცილებლად რატომ არ მოვიდა? - უეცრად ჩავერიე ლაპარაკში. ერთი წუთით ყველანი გაჩუმდნენ.

- თქვენ ახლა უგონოდ მთვრალი ხართ, - ბოლოს, როგორც იქნა, ამოღერდა ტრუდოლუბოვმა და ზიზღით გადმომხედა. ზვერკოვი, როგორც მღილს, მდუმარედ მათვალაიერებდა. მე თვალეები დავხარე. სიმონოვმა შამპანურის ჩამოსხმა სასწრაფოდ დაიწყო.

ტრუდოლუბოვმა ბოკალი ასწია. მას ჩემს გარდა ყველამ მიჰბაძა.

- შენს სადღეგდძელოს ვსვამ და გზას დაგილოცავ! - მჭახე ხმით მიმართა მან ზვერკოვს, - ბატონებო, შევსვათ წარსული წლების, ჩვენი მომავლის სადღეგდძელო, ვაშა!

ყველამ დალია. შემდეგ ზვერკოვს საკოცნელად რიგრიგობით მიეახლნენ. მე არ განვძრეულვარ, ბოკალი ჩემ წინ ხელუხლებლად იდგა.

- რაო, განა დაღევას არ აპირებთ? - მრისხანე ღრიალით შემომიტია მოთმინებადაკარგულმა ტრუდოლუბოვმა.

- მე ჯერ განსაკუთრებულ სადღეგრძელოს ვიტყვი... და მხოლოდ ამის შემდეგ დავლევ, ბატონო ტრუდოლუბოვო.

- საზიზღარი გულბოროტი! - ჩაიბურტყუნა სიმონოვმა.

მე სკამზე გავიმართე, ბოკალს გულფიცხად დავწვდი და რაღაც უჩვეულოსთვის შევემზადე, თუმცაღა ჯერ თავადაც არ ვიცოდი, რას ვიტყოდი.

- silence[52] - შესძახა ფერფიჩინმა, - ვნახოთ, რა ჭკუას გამოავლენს!

ზვერკოვი ფრიად სერიოზულად იცდიდა, ალბათ მიხვდა, რა მოხდებოდა.

- ბატონო პორუჩიკო ზვერკოვო, - დავინწყე მე, - იცოდეთ, რომ მაღალფარდოვანი გამოთქმანი, მაღალფარდოვნად მოლაპარაკენი და წელში გამოყვანილი ვაბები მძულს... ეს გახლავთ პირველი პუნქტი, რასაც მეორე მოჰყვება.

ყველანი შეიშმუშნენ.

- მეორე პუნქტი: მძულს სასიყვარულო თავგადასავლები და სასიყვარულო თავგადასავალთა მომყოლნი! განსაკუთრებით სასიყვარულო თავგადასავალთა მომყოლნი!

- მესამე პუნქტი: მიყვარს სიმართლე, გულწრფელობა და პატიოსნება, - განვაგრძობდი თითქმის მაშინაღურად, რადგან თავადვე შიშისგან გული მეთოშებოდა იმის გამო, რომ ვერ მივმხვდარიყავი, ასე რა მალაპარაკებდა... - მოსიე ზვერკოვო, მე აზრი მიყვარს, ნამდვილი ამხანაგობა მიყვარს, როცა ერთმანეთის თანაბარნი ვართ და არა... ჰმ... მე მიყვარს... თუმცაღა, რატომაც არა? მოსიე ზვერკოვო, თქვენს სადღეგრძელოს მეც შევსვამ. ჩერქები გოგოები მოხიბლეთ, სამშობლოს მტრებს ტყვიით გაუმასპინძლდით და... და... თქვენს სადღეგრძელოს ვსვამ, მოსიე ზვერკოვო!

ზვერკოვი წამოდგა.

- დიდად გმადლობთ, - მითხრა მან თავდახრით.

უკიდურესად შეურაცხყოფილი ჩანდა, გაფითრდა კიდევაც.

- ეშმაკმა წაგიღოთ! - დაიდრიალა ტრუდოლუბოვმა და მაგიდას მუშტი დაჰკრა.

- არა, ასეთი რამის გამო ცხვირ-პირს უუქუავენ! - დაიჭყვიტინა ფერფიჩინმა.

- აქედან გასაგდება! - ჩაიბურტყუნა სიმონოვმა.

- ბატონებო, სიტყვა აღარ დაძრათ, უესტითაც ნურაფერს გამოხატავთ! - მჭახედ შესძახა ზვერკოვმა და მათი აღშფოთება აღკვეთა. - ყველას მადლობას გიხდით, ხოლო ამას თავად ვაჩვენებ, მის ნათქვამს როგორ ვაფასებ.

- ბატონო ფერფიჩინო, ჩემი დაკმაყოფილება ხვალვე მოგიწევთ იმ სიტყვების გამო, რაც ახლა წარმოთქვით! - ხმამაღლა და მედიდურად მივმართე ფერფიჩინს.

- ანუ დუელი? თანახმა გახლავართ, - მიპასუხა მან, დუელში გამოწვევისას უთუოდ ისეთი სასაცილო გახლდით, ჩემი აღნაგობა ამისთვის ისეთი შეუფერებელი ჩანდა, რომ ყველანი, და მათთან ერთად ფერფიჩინიც, სიცილით გაიგუდნენ.

- თავი გაანებეთ! ეგ ხომ უგონოდ მთვრალია! - ზიზღით თქვა ტრუდოლუბოვმა.

- თავს ვერასოდეს ვაპატიებ, ეგ რომ ჩავწერე! - კვლავ ჩაიბურტყუნა სიმონოვმა.

„... არა, აქ ბოლომდე ვიჯდები! - განვაგრძობდი ფიქრს, - ბატონებო, გაგიხარდებოდათ, მე თუ წავიდოდი. მაგრამ არ წავალ. განზრახ ვიჯდები და სმას არ მოვეშვები, იმის საჩვენებლად, რომ არაფრად გაგდებთ. ვიჯდები და დავლევ, იმიტომ, რომ აქ სამიკიტნოა და ფული მაქვს გადახდილი. ვიჯდები და დავლევ, იმიტომ, რომ მდილებად, არარსებულ მდილებად მიმაჩნისართ. ვიჯდები და დავლევ... თუ მოვისურვებ, ვიმღერებ კიდევაც, დიახ,

ვიმღერებ, იმიტომ, რომ უფლება მაქვს... რომ ვიმღერო... ჰმ“.

მაგრამ არ მიმღერია. მარტო იმას ვცდილობდი, რომ არავისთვის შემეხედა და თავი ძალიან დამოუკიდებლად მჭეროდა. მოუთმენლად ველოდი, თავად პირველნი როდის დამელაპარაკებოდნენ. მაგრამ, ვაი რომ, არ დამლაპარაკებია. მე კი იმ წუთას როგორ, როგორ მენადა, რომ მათ შევრიგებოდი! რვა საათი შესრულდა, მერე ცხრაც შესრულდა. ისინი მაგიდიდან აიკრიფნენ და სავარძლებზე გადასხდნენ. ზვერკოვი ტახტზე წამოწვა და ერთი ფეხი პატარა, მრგვალ მაგიდაზე შემოდო. ღვინოც იქით გადაიტანეს. ზვერკოვმა თავის მხრივ სამი ბოთლი მართლაც ჩამოდგა. მე, რა თქმა უნდა, არ მივუნვევივარ. ყველანი ირგვლივ სავარძლებით შემოუსხდნენ, ლამის მოწინებით უსმენდნენ და მის მიმართ სიყვარულს გამოხატავდნენ. „რატომ უყვართ? რატომ უყვართ?“ - ვამბობდი გულში. შემთვრალნი და აღგზნებულნი ერთმანეთს დროდადრო კოცნიდნენ. ლაპარაკობდნენ კავკასიაზე, იმაზე, თუ რა არის ჭემმარიტი ვნება, გალბიკზე[53], უხვშემოსავლიან სამსახურზე, იმაზე, თუ რამდენი შემოსავალი აქვს ჰუსარ პოდხარუენსკის, ვისაც არც ერთი მათგანი პირადად არ იცნობდა, და უხაროდათ, რომ მას დიდი შემოსავალი ჰქონდა, კნენა დ-ს არაჩვეულებრივ სილამაზესა და გრაციოზულობაზე, ვინც არც ერთ მათგანს არასოდეს ენახა. ბოლოს ისიც კი თქვეს, შექსპირი უკვდავიაო.

მე დამცინავად ვიღიმებოდი და ოთახის მეორე, სავარძლების საპირისპირო მხარეს, კედლის გასწვრივ, მაგიდიდან ღუმლამდე მივდი-მოვდიოდი. ყოველნაირად ვცდილობდი, მეჩვენებინა, რომ უიშაოდ ყოფნა შემეძლო. ჩექმის ქუსლებს იატაკზე განზრახ ვაბრაგუნებდი. მაგრამ ამაოდ ვირჯებოდი. ისინი ყურადღებას არ მაქცევდნენ. მე კი მოთმინებით აღვიჭურვე და რვა საათიდან თერთმეტ საათამდე მათ წინ ასე მივდი-მოვდიოდი ერთსა და იმავე ადგილას, მაგიდიდან ღუმლამდე და ღუმლიდან მაგიდამდე. „აი, ასე ვივლი და ამას ვერავინ ამიკრძალავს“. ოთახში შემოსული მსახური რამდენიმეჯერ შემომამჩერდა. აქეთ-იქით სიარულისგან თავბრუ დამეხვა, ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ვაბოდებდი. სამი საათის განმავლობაში სამჯერ გავიოფლე და სამჯერ შემამრა. დროდადრო გულში შემომეჭრებოდა უაღრესად დამგესლავი აზრი, რომ გაივლიდა ათი წელი, ოცი წელი, ორმოცი წელი და ორმოცი წლის შემდეგაც კი ამ უბინძურეს, უსასაცილოეს და უსაშინლეს წუთებს ბიზლით და დამამცირებლად გავიხსენებდი. ნებაყოფლობით ამაზე უსინდისოდ თავის დამცირება შეუძლებელი გახლდათ. ამას თავადაც სავსებით ვგრძნობდი, მაგრამ მაგიდიდან ღუმლამდე და ღუმლიდან მაგიდამდე სიარულს მაინც განვაგრძობდი. „ო, რომ იცოდეთ, რანაირ გრძნობათა და აზრთა უნარი გამაჩნია და როგორი განვითარებული ვარ!“ - გავიფიქრებდი დროდადრო და ამ ფიქრს სავარძლებისკენ მივმართავდი, სადაც ჩემი მტრები ისხდნენ. მაგრამ ჩემი მტრები ისე იქცეოდნენ, თითქოს ოთახში ჩემს ყოფნას ვერ ამჩნევდნენ. ისინი ჩემკენ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ შემობრუნდნენ, სახელდობრ მაშინ, როცა ზვერკოვმა შექსპირზე დაიწყო ლაპარაკი და მე უცებ დამცინავად გადავიხარხარე. ისეთი მოწადინებით, ისე საძაგლად ჩავიფრუტუნე, რომ საუბარი ერთბაშად შეწყვიტეს და ორ წუთს მდუმარედ, სერიოზულად, სიცილის გარეშე მიყურებდნენ, კედლის გასწვრივ, მაგიდიდან ღუმლამდე როგორ მივდი-მოვდიოდი და მათ ყურადღებას ოდნავადაც არ ვაქცევდი. მაგრამ შედეგი ამანაც არ გამოიღო: ისინი არ გამომლაპარაკებია და ორი წუთის შემდეგ კვლავ მიმივიწყეს. თერთმეტი საათი როცა შესრულდა, ზვერკოვი სავარძლიდან წამოდგა.

- ბატონებო, ახლა ყველამ იქითკენ გავწიოთ! - შეჰყვირა მან.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! - აჰყვნენ ყველანი.

მე მკვეთრად შევტრიალდი და ზვერკოვისკენ გავემართე. ისე განამებული, ისე განადგურებული ვიყავი, თუნდაც ყელს გამოვიღადრავდი, ოღონდ ყოველივე დამესრულებინა! ხურვებამემოგზნებულს გაოფლიანებული თმა შუბლსა და საფეთქლებზე მიმწებებოდა.

- ზვერკოვო! გთხოვთ, მომიტევოთ, - ვთქვი მკვეთრად და მტკიცედ, - ფერფიჩკინო, თქვენც მომიტევეთ, ყველამ, ყველამ მომიტევეთ, მე ხომ ყველას განყენინეთ!

- ჰო-ო! დუელი მაშ სათქვენო საქმე არ ყოფილა! - გესლიანად ჩაისისინა ფერფიჩკინმა.

მე გული მტკივნეულად შემეკუმშა.

- არა, ფერფიჩკინო, დუელის არ მეშინია! მზად ვარ, ხვალვე შეგებრძოლო, ოღონდ შერიგების შემდეგ. ამას დაჟინებითაც კი მოვითხოვ და უარს ვერ მეტყვით. მინდა, დაგიმტკიცოთ, რომ დუელის არ მეშინია. ჯერ თქვენ უნდა მესროლოთ, მე კი ჰაერში გავისვრი.

- თავს ინუგეშებს, - თქვა სიმონოვმა.

- მიჰქარავს! - თქვა ტრუდოლუბოვმა.

- ნება მიბოძეთ, გავიარო, რას გადამელობეთ! მაინც რა გნებავთ? - დამცინავად მითხრა ბვერკოვმა. ყველას სახე წამოსჭარხალებოდა, თვალები უელავდათ: ბვერი დალიეს.

- ბვერკოვო, დამეგობრებას გთხოვთ. თუმცა გაგანაწყენეთ, მაგრამ...

- გამანაწყენეთ? თქვ-ვენ! მ-მე! მონყალეო ხელმწიფევ, იცოდეთ, რომ ვერასოდეს და ვერავითარ ვითარებაში თქვენ ჩემს განაწყენებას ვერ შეძლებთ!

- იკმარეთ, თავი რამდენადაც მოგვაბებრეთ და მოგვმორდით! - მხარი აუბა ტრუდოლუბოვმა. - წავიდეთ.

- ბატონებო, ოლიმპია ჩემია, როგორც დავთქვით! - შესძახა ბვერკოვმა.

- არ გედავებით! არ გედავებით! - უპასუხეს სიცილით. მე ჩაწიხლული ვიდექი. ხროვა ოთახიდან ხმაურით გადიოდა.

ტრუდოლუბოვმა რაღაც სულელური სიმღერა წამოიწყო. სიმონოვი რამდენიმე წუთით შეყოვნდა, რათა მსახურებისთვის გროშები ჩამოერიგებინა. მე მასთან უეცრად მივედი.

- სიმონოვო, ექვსი რუბლი მომეცით! - ვუთხარი გაბედულად და თავბეხელაღებულად.

იგი უკიდურესად განცვიფრდა და აზრგამოცლილი თვალები მომაპყრო. ისიც მთვრალი იყო.

- ჩვენთან ერთად წამოსვლას განა თქვენც აპირებთ?

- დიახ!

- ფული არა მაქვს! - მომიჭრა მან ბიზღით, ჩაიცინა და ოთახიდან გასასვლელად გაემართა.

მე მაზარის სახელობე ჩავეჭიდე. ეს კი მართლაც საშინელება გახლდათ.

- სიმონოვო, მე ხომ დავინახე, ფული რომ გქონდათ. უარს რატომ მეუბნებით. განა გარეწარი ვარ? უარს ნუ მეტყვით. რომ იცოდეთ, რომ იცოდეთ, რისთვის გთხოვთ! ამაზეა დამოკიდებული ყველაფერი, ჩემი მომავალი, ჩემი მიზნები.

სიმონოვმა ფული ამოიღო და ლამის მომიგდო.

- აიღეთ, რაკი ასეთი უსინდისო ხართ! - უღმობლად მითხრა და მათ დასაწევად გაეშურა.

ერთ წუთს მართო დავრჩი. იქაურობას თვალი მოვაავლე. მაგიდაზე საჭმლის ნარჩენები ეყარა, იატაკზე სირჩის ნამსხვრევები იყო მიმოფანტული, სუფრაზე ღვინო იყო დაღვრილი, ჰაპიროსის ნამწვები გროვა-გროვად მოჩანდა. თავი სიმთვრალისგან მიბჟუოდა, გული მტანჯველი სევდით მქონდა აღვსილი და, დასასრულ, სულს მიმღვრევდა ის, რომ ლაქიამ ყველაფერი დაინახა, ყველაფერი გაიგონა და ახლა ცნობისმოყვარედ შემომცქეროდა.

- იქ უნდა წავიდე! - შევძახე მე. - ისინი ან დამიჩოქებენ, ფეხქვეშ გამეგებიან და შემევედრებიან, რომ მათთან ვიმეგობრო, ანდა... ანდა ბვერკოვს სილას გავანწნავ!

- აი, ეს დროც დადგა! ეს დროც დადგა! ბოლოს და ბოლოს, სინამდვილესთან შეჯახებამ მომიწია, - ვბუტბუტებდი და კიბებზე კისრისტეხით ჩავრბოდი. - დიახ, ეს არც რომიდან გაძევებული და ბრაზილიისკენ გამგზავრებული პაპი გახლავთ და არც მეჭლისი კომოს ტბაზე!

„გარენარი ვარ! - გამიელვა გულში, - თუკი ახლა ამაზე გამეცინება“.

- დაე, ასე იყოს! - ვუპასუხე საკუთარ თავს. - ახლა ხომ ყოველივე დაღუპულია!

მათი კვალიც გამქრალიყო, მაგრამ არა უშავდა, ხომ ვიცოდი, სადაც წავიდნენ.

პარმალთან მარტო ერთი, ღამით მომუშავე ვანკა[54] იდგა. სველი, თითქოს თბილი თოვლი ჯერ კიდევ ბარდნიდა და სერმიაგი[55] ერთიანად დაფიფქვოდა. ნოტიო ჰაერი სულს მიხუთავდა. მოცუცქნული, გაბურძგნილი, ამლავი ცხენიც დაფიფქულიყო და ხიხინებდა. ეს კარგად მახსოვს. მარხილისკენ გავქანდი, მაგრამ ჩასაჯდომად ფეხი შევდგი თუ არა, გამახსენდა, სიმონოვმა ექვსი რუბლი რანაირად გამომიწოდა, მუხლები მომეკვეთა და მარხილში ტომარასავით ჩავებღართე.

- არა! ბევრი რამის ქმნა მომიწევს, რათა ყველაფერი გამოვისყიდო! - შევძახე გულმდუღარედ, - მაგრამ გამოვისყიდი. თუ არადა, ამაღამვე სული ამომხდება. გასწი!

დავიძარით. თავში ფიქრთა ქარბორბალა მიტრიალებდა.

„ისინი მუხლმოყრით მუდარას არ დამიწყებენ, დავმეგობრდეთო. ეს მირაჟია, უხამსი მირაჟი, უსაძაგლესი, რომანტიკული და ფანტასტიკური მირაჟი; ისევ კომოს ტბა. ამიტომ ბვერკოვს სილა უნდა გავაწნა! მოვალე ვარ, რომ გავაწნა. მამასადამე გადაწყვეტილია. იქით იმიტომ მივეშურები, რომ სილა გავაწნა.“

- გააჭენე!

ვანკამ სადავეები აიქნია.

„შევალ თუ არა, სილას მაშინვე გავაწნავ. სანამ გავაწნავდე, რამდენიმე სიტყვა უნდა ვუთხრა, თუ არ უნდა ვუთხრა? არა! შევალ და უშალ გავაწნავ. ყველანი დარბაზში ისხდებიან, ხოლო ბვერკოვი ოლიმპიასთან ერთად დივანზე იქნება გამხლართული. წყეული ოლიმპია! მან ერთხელ დამინუნა, თანაც სასაცილოდ ამიგდო. ოლიმპიას თმით დავითრევე, ხოლო ბვერკოვს ყურებს ავახევე! არა, სჯობია, ცალი ყურით დავითრიო და ოთახი შემოვატარო. ისინი ალბათ წამომესევიან და ოთახიდან ცემა-ტყეპით გამომავდებენ. ალბათ კი არა, აუცილებლად გამომავდებენ. დაე, ასე იყოს! სილას ხომ პირველი მაინც მე გავაწნავ, წამომწყები ხომ მე ვიქნები; ხოლო ღირსების წესებით მთავარი ეს არის. ის უკვე დაღდასმული იქნება და სილას ცემა-ტყეპით სახიდან ვერ ჩამოირეცხავს; მისი საშველი მხოლოდ დუელია. ვალდებული შეიქნება, რომ შემებრძოლოს. ახლა კი, დაე, მცემონ! დაე, მცემონ ამ უკეთურებმა! ყველაზე მეტს ტრუდოლუბოვი მიბაგუნებს: ის ხომ ძალიან ღონიერია. ფერფიჩკინი ალბათ გვერდიდან წამომეპარება და უსათუოდ თმაში ჩამაფრინდება. დაე, ასე იყოს! მე ხომ იქ ამისთვის მივდივარ. ბატიტვინები, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მიხვდნენ, ყოველივე ეს როგორი ტრაგიკულია. კარისკენ როცა წამათრევენ, მაშინ დავუყვირებ, რომ ჩემი ნეკის ფრჩხილადაც არ ღირან.“

- გააჭენე, გააჭენე, გააჭენე! - დავუყვირე ვანკას. მან ცხენს მათრახი გადაჰკრა. ჩემმა შემზარავმა ყვირილმა შეაკრთო.

„დუელს განთიადისას გავმართავთ, ეს უკვე გადაწყვეტილია. დეპარტამენტსაც გამოვეთხოვები. ფერფიჩკინმა ახლახან დეპარტამენტის ნაცვლად თქვა - ლეპარტამენტიო. კი მაგრამ, პისტოლეტები სად ვიშოვო? რას ვბოდავ? ხელფასს წინასწარ ავიღებ და ვიყიდი. დენთი და ტყვიები? ეს სეკუნდანტების მოვალეობაა. ყველაფერი განთიადამდე როგორ მოესწრება? ანდა სეკუნდანტი სად მოვიძიო? ნაცნობები არ მყავს...“

- აბა, რას ვბოდავ! - შევძახე უფრო მრისხანედ, - რას ვბოდავ!

„ქუჩაში პირველივე შემხვედრი, ვისაც მივმართავ, მოვალეა სეკუნდანტად გამომყვეს, ისევე, როგორც მოვალეა, თუ კაცი იხრჩობა, წყლიდან ამოიყვანოს. ყველაზე ექსცენტრიკული შემთხვევები დასაშვები უნდა იყოს. სეკუნდანტობა ხვალ თვით დირექტორს რომ ვთხოვო, ისიც კი უნდა დამთანხმდეს, თუნდაც რაინდულობის გამო და საიდუმლო არ გათქვას! ანტონ ანტონიჩი...“

რაც მთავარია, თავად მე მთელ ქვეყნიერებაზე ყველაზე აშკარად, ყველაზე ცხადად მქონდა წარმოდგენილი ჩემი ვარაუდების უსაძაგლესი უაზრობა და მედლის უკანა მხარე.

- გააჭენე, გააჭენე, გააჭენე, არამზადავ, გააჭენე!

- ეჰ, ბატონო! - ჩაილაპარაკა გლეხუჭამ.

გული უეცრად გამეთოშა.

„ხომ არ სჯობია... ხომ არ სჯობია... პირდაპირ შინ წავიდე? ღმერთო ჩემო! გუშინ იმ ვახშამზე რატომ მივეტმასნე? არა, შეუძლებელია! მაგიდიდან ღუმელამდე სამი საათი სეირნობა როგორი იყო? ამ სეირნობის საზღაური მათ უნდა გაიღონ! ეს სირცხვილი მათ უნდა ჩამომრეცხონ!“

- გააჭენე!

„ვაითუ, პოლიციის განყოფილებას ჩამაბარონ? ვერ გაბედავენ! სკანდალს მოერიდებიან. ბვერკოვმა ჩემს დასამცირებლად დუელზე უარი რომ თქვას? ნამდვილად ასე იქნება. მაშინ ნახონ, რა სეირს ვაჩვენებ... საფოსტო განყოფილებაში მივეჭრები, საიდანაც ხვალ უნდა გაემგზავროს და ეტლში ფეხს როცა შედგამს, მაზარაში ვწვდები და ჩამოვგლეჯ. მკლავში კბილებს ჩავასობ, ვუკბენ. ყველამ ნახოს, სასონარკვეთილი ადამიანი სადამდე მიიყვანეს! დაე, თავში მუშტები მიბაგუნოს, ხოლო დანარჩენები უკნიდან წამომესივნენ. მე მთელი ხალხის გასაგონად ვიყვირებ: „შეხედეთ, ჩემი ფურთხით სახემოსვრილი ლეკვი ჩერქეზი გოგოების მოსახიბლად მიდის!“

რა თქმა უნდა, ამის შემდეგ ყველაფერი დასრულდება! დეპარტამენტი პირისაგან მიწისა აღიგვება. ხელს მტაცებენ, გამასამართლებენ, სამსახურიდან გამაგდებენ, საპყრობილეში ჩამსვაშენ, გამაციმბირებენ. არა უშავს! თხუთმეტი წლის შემდეგ, როცა საპყრობილიდან გამომიშვებენ, მის მოსაძებნად დატაკი, ჩამოძონძილი წავეთრევი. რომელიმე გუბერნიის ქალაქში მოვწახავ. ის დაცოლშვილებული და ბედნიერი იქნება. მონიფული ქალიშვილი ეყოლება... მივალ და ვეტყვი: „მტარვალო, შეხედე ჩემს ჩაცვივულ ლოყებს, ჩემს ძონძმანძებს! მე ყველაფერი დავკარგე - კარიერა, ბედნიერება, ხელოვნება, მეცნიერება, საყვარელი ქალი, ყოველივე შენი გამოსობით. აი პისტოლეტები. აქ მოვედი, რათა პისტოლეტი დაგახალო და... და შეგინდობ“. მე ჰაერში გავისვრი და ჩემი კვალიც გაქრება...“

კინალამ ავტირდი, თუმცაღა, იმ წუთას ნამდვილად ვიცოდი, რომ ეს ყოველივე სილვიოდან და ლერმონტოვის „მასკარადიდან“ მომდინარეობდა.[56] ჰოდა, უცებ საშინლად შემრცხვა, ისე შემრცხვა, რომ ვანკას ცხენი გავაჩერებინე, მარხილიდან გადავედი და შუა ქუჩაში თოვლში დავდექი. ვანკა გაოცებული მიყურებდა და ოხრავდა.

რა უნდა მექნა? იქ წასვლა არ შეიძლებოდა, სრული უაზრობა გახლდათ და არც წაუსვლელიობა შეიძლებოდა; თორემ რა გამოდიოდა... ღმერთო ჩემო! ყველაფრისთვის ბურგი როგორ უნდა შემექცია! ამდენი დამცირების შემდეგ!

- არა! - შევძახე და კვლავ მარხილში ჩავხტი. - ეს ჩემი ხვედრია, ბედისწერაა! გააჭენე, იქით გააჭენე!

მოუთმენლობისგან მეეტლეს კისერში მუშტი ჩავცხე.

- რას იცემები? - შეჭყვირა გლეხუჭამ, მაგრამ ცხენს მათრახი ისე მაგრად გადაჰკრა, რომ ჯაგლაგმა ტლინკები აყარა.

სჯილი თოვლის ფანტილები ცვიოდა. მკირდი მოვიდიდი. ახლა ამას არად ვაგდებდი.

ყველაფერი მიმავინწყდა, იმიტომ რომ სილის განვნა საბოლოოდ გადავწყვიტე და შეძრწუნებული ვგრძნობდი, რომ ეს აუცილებლად ახლავე მოხდებოდა და ვერავითარი ძალა ველარ შეაჩერებდა. განმარტოებული ფარნები თოვლის ფანტელთა ბინდბუნდში უღიმღამოდ გამოკრთოდა, როგორც მაშხალები გამოკრთის დასაფლავებისას. თოვლი მაზარის ქვეშ, სერთუკის ქვეშ, ჰალსტუხის ქვეშ მიცვიოდა და დნებოდა. მკერდს არ ვიფარავდი, რადგან ყოველივე ისედაც ბოლომოდებული იყო! როგორც იქნა, მივედი. მარხილიდან თითქმის ცნობამიხდილი გადმოვხტი, კიბის საფეხურები ავირბინე და კარზე ხელებისა და ფეხების ბრაგუნი ავტეხე. უმეტესად ფეხებს ვუბრაგუნებდი და მუხლებში ძალა უკიდურესად მელეოდა. კარი ძალიან მალე გამიღეს, თითქოს იცოდნენ, რომ უნდა მივსულიყავი. (სიმონოვი უთუოდ შეატყობინებდა, შესაძლოა, ერთი კიდევ მოვიდესო. აქ წინასწარ შეტყობინება და, საერთოდ, სიფრთხილის გამოჩენა აუცილებელი იყო. ეს ერთი იმ „მოდურ მაღაზიათაგანი“ გახლდათ, რომელნიც პოლიციის ძალისხმევით ამჟამად აღკვეთილია. დღისით ეს მართლა მაღაზია იყო, ხოლო ღამით რეკომენდაციის მქონეებს შეეძლოთ, აქაურობას სტუმრებოდნენ.) მე ჩაბნელებულ დახლს ჩქარი ნაბიჯით ჩავუარე და ნაცნობ დარბაზში შევედი, სადაც მხოლოდ ერთი სანთელი ენთო და გაოგნებული შევჩერდი. იქ არავინ იყო.

- ისინი სად არიან? - შევეკითხე ვიღაცას.

მაგრამ მათ, რა თქმა უნდა, წასვლა-წამოსვლა უკვე მოესწროთ.

ჩემ წინ ადრევე ნაცნობი ქალი, თავად დიასახლისი იდგა და სულელურად იღიმებოდა. ერთი წუთის შემდეგ კარი გაიღო და მეორე ქალი შემოვიდა.

მე ყურადღება არაფრისთვის მიმიქცევია, ოთახში მივდი-მოვდიოდი და, მგონი, საკუთარ თავს ველაპარაკებოდი. თითქოს სიკვდილს გადავურჩი და ამას მთელი არსებით შევიგრძნობდი სიხარულით აღვსილი: მე ხომ სილას გავანწავდი, უსათუოდ, აუცილებლად გავანწავდი! ახლა აქ ისინი აღარ იყვნენ და... ყოველივე გაქრა, ყოველივე შეიცვალა!.. იქაურობა მოვათვალიერე. აზრთა თავმოყრა ჯერაც არ შემეძლო. შემოსულ ქალიშვილს თვალი უნებურად შევაავლე. ჩემს წინ ახალგაზრდა ქალის ნორჩი, ოდნავ ფერმკრთალი, შავი წარბებით მორკალული, სერიოზული და ოდნავი გაკვირვების გამომხატველი სახე გაკრთა. ეს მაშინვე მომეწონა, რამეთუ ღიმილით თუ შემომხედავდა, უთუოდ შემძულდებოდა. თავს ძალა დავატანე და ქალიშვილს მომეტებული დაკვირვებით დავაცქერდი: გონება სრულად ვერა და ვერ მოვიკრიბე. მისი სახე ერთგვარი გულუბრყვილობისა და გულკეთილობის, მაგრამ, ამასთანავე, გასაოცარი სერიოზულობის გამომხატველი მეჩვენა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს აქ მისთვის წამგებიანი გახლდათ და იმ უგუნურთაგან იგი ვერც ერთმა ვერ შეამჩნია. თუმცაღა, ქალიშვილს ლამაზი არ ეთქმოდა, მიუხედავად იმისა, ტანმაღალი, ჯან-ღონიანი და ლაბათიანად აღნაგი რომ იყო. ძალიან უბრალო ტანსაცმელი ეცვა. გული უხამსმა სწრაფვამ შემიძრა და მისკენ ჯიქურ გავემართე...

გზად სარკეში ჩავიხედე, ჩემს აფორიაქებულ, ფერმკრთალ, ღვარძლიან, უხამს, გაბურძვნილ სახეს თვალი ვკიდე და უკიდურესად შესაზიზღი მეჩვენა. „ეს მახარებს კიდევაც, - გამიელვა გულში, - დიახაც, მიხარია, შესაზიზღი რომ ვეჩვენები, ეს სიამოვნებას მანიჭებს...“

VI

... სადღაც, ტიხარს იქით, საათმა ისე ჩაიხიხინა, თითქოს მძლავრად დააწვინენ, თითქოს გუდავდნენ. არაბუნებრივად ხანგრძლივ ხიხინს მოულოდნელად წვრილ, საძაგელ ხმაზე ხშირი რეკვა მოჰყვა - თითქოს უცებ ვიღაც გამოხტაო. ორჯერ ჩამორეკა. მე გამოვფხიზლდი, თუმცა კი არ მძინებია, მხოლოდ ძილ-ბურანში ვიყავი.

ტანსაცმლის უზარმაზარი კარადით, მუყაოს კოლოფებით, ძონძმანძითა და ნაყარნუყარი ტანისამოსით გამოტყედილ ვიწრო და დაბალჭერიან ოთახში თითქმის ბნელოდა. ოთახის კუთხეში მდგარ მაგიდაზე სანთელი სადაცაა ჩაიწვებოდა და დროდადრო აბრიალდებოდა ხოლმე, რამდენიმე წუთში წყვდიადი ჩამოწვებოდა. ძილ-ბურანიდან სწრაფად გამოვეგე და ყოველივე ერთბაშად, ძალდაუტანებლად გამახსენდა, თითქოს დამდარაჯებოდა, რათა ხელახლა შემოეტია. ძილ-ბურანში მყოფსაც კი არა და არ

მცილდებოდა რაღაც წერტილი, მივიწყებას არანაირად რომ არ ემორჩილებოდა და რომლის ირგვლივაც მრუმედ მიტრიალებდა სიზმარეული ჩვენებანი. მაგრამ უცნაური, აი, რა გახლდათ: ყოველივე, რაც იმ დღეს თავს გადაძხდა, ახლა, გამოღვიძებისას, დიდი ხნის გარდასულად მეჩვენა, თითქოს ყოველივესგან დიდი ხნის თავდაღწეული ვიყავი. ჩემი გონება მხუთრს მოეცვა. თითქოს რაღაც თავს დამტრიალებდა, მიჩხიკინებდა, აღმაგზნებდა და არ მასვენებდა. სევდა და ნაღველი გულს კვლავ მივსებდა და ამოხეთქვას ლამობდა. უეცრად ჩემს სიახლოვეს ორი ფართოდ გახელილი, ჩემკენ ცნობისმოყვარედ მომართული და უმძაფრესი დაკვირვებით მომზირალი თვალი დავინახე. ყინულოვანმა, გულისხმიერების უქონელმა, კუშტმა, გამრიყავმა მზერამ გული დამიმძიმა.

გონებაში მრუმე აზრი აღმეძრა, მთელ სხეულში უხამსად დამიარა ისეთი შეგრძნებით, ნესტიან, აშმორებულ იატაკქვეშეთში ჩასვლისას რომ გეუფლება. მაინც და მაინც ახლა ამ ორი თვალის ჩემკენ მომართული მზერა, ცოტა არ იყოს, უჩვეულო გახლდათ. ისიც გამახსენდა, რომ ორი საათის განმავლობაში ამ არსებისთვის ერთი სიტყვაც არ მითქვამს და ეს საჭიროდ სრულებით არ მიმიჩნევია. ეს ცოტა ხნის წინ რატომღაც მომწონდა კიდევაც. ხოლო ახლა უცებ ცხადად წარმომესახა უგუნური, საზიზღარი, ობობასებური წადილი გარყვნილებისა, რაც უსიყვარულოდ, უხეშად და სამარცხვინოდ იწყება პირდაპირ იმით, რითაც ნამდვილი სიყვარული გვირგვინდება. ერთმანეთს ასე დიდხანს ვუყურებდით, იგი თვალებს არ ხრიდა და მზერას არ ცვლიდა, ისე რომ ბოლოს რატომღაც შევძრწუნდი.

- რა გქვია? - ვკითხე უხალისოდ, რათა ყოველივე სწრაფად დამესრულებინა.

- ლიზა, - მიპასუხა მან თითქმის ჩურჩულით, მაგრამ ძალზე უკმეხად და მზერა ამარიდა.

მე ერთხანს ვდუმდი.

- დღეს ისეთი ამინდია... თოვს... საძაგელი ამინდია! - ჩავილაპარაკე ლამის ჩემთვის, ხელი თავქვეშ ამოვიდე და ჭერს ავაცქერდი.

ის არ გამომპასუხებია. ყოველივეს უხამსობის ელფერი დაჰკრავდა.

- აქაური ხარ? - ვკითხე ერთი წუთის შემდეგ თითქმის ბრაზიანად და თავი მისკენ ოდნავ მივაბრუნე.

- არა.

- სადაური ხარ?

- რიგელი, - მიპასუხა უხალისოდ.

- გერმანელი ხარ?

- რუსი ვარ.

- დიდი ხანია რაც აქ ხარ?

- სად?

- ამ სახლში.

- ორი კვირაა. - იგი სულ უფრო უხალისოდ ლაპარაკობდა. სანთელი მთლად ჩაქრა და მის სახეს ველავ ვხედავდი.

- დედ-მამა გყავს?

- დიახ... - არა... - მყავს.

- სად არიან?

- იქ... რიგაში.

- რა ხალხია?
- რა ვიცი...
- რა იცი, რას ქვია? რა წოდებისანი არიან?
- მეშჩანები არიან.
- სულ მათთან ცხოვრობდი?
- დიახ.
- რამდენი წლის ხარ?
- ოცისა.
- მათგან რატომ წამოხვედი?
- რა ვიცი...

ეს „რა ვიცი“ იმას ნიშნავდა, მომეშვი, გული ნუ გამინწყალეო. ჰოდა, გავჩუმდით.

ღმერთმა უწყის, რატომ არ მივდიოდდი. უხალისობა და მოწყენილობა თავადაც სულ უფრო მეტად მეუფლებოდა. დღევანდელმა შთაბეჭდილებებმა გონებაში თავისით, ჩემდაუნებურად, უთავბოლოდ ჩამირბინა. უცებ ერთი სცენა გამახსენდა, დილას ქუჩაში რომ ვნახე, როცა სამსახურისკენ ჩაფიქრებული მივძუნძულებდი.

- დღეს კუბო გამოჰქონდათ და კინაღამ ხელიდან გაუვარდათ, - უცებ ხმამაღლა ჩავილაპარაკე უნებურად, ლაპარაკის წამონწყება სულაც არ მსურდა.

- კუბო?
- დიახ, სენნაიაზე, სარდაფიდან ამოჰქონდათ.
- სარდაფიდან?
- სარდაფიდან კი არა, სარდაფის სართულიდან... ხომ იცი... ქვემოთ რომ არის... უხეირო სახლებში... იქაურობა ატალახებული იყო. ნაგვით სავსე ვინრო ქუჩა საზიზღრად ყარდა.

სიჩუმე.

- დღეს დასაფლავება საძაგლობაა! - კვლავ წამოვინყე მხოლოდ იმიტომ, რომ ჩუმად არ ვყოფილიყავი.

- საძაგლობა რატომ არის?
- თოვს, ნუნუხია... (დავამთქნარე.) - სულ ერთია, - თქვა მან ცოტა ხანს დუმილის შემდეგ.
- არა, საძაგლობა... (ისევ დავამთქნარე.) მესაფლავები ალბათ ილანძღებოდნენ, რადგან თოვლში სველდებოდნენ. ხოლო საფლავში წყალი იდგა.
- საფლავში წყალი რატომ იდგა? - მკითხა მან ერთგვარი ცნობისმოყვარეობით, მაგრამ ადრინდელზე უფრო უხეშად და უხალისოდ. რაღაცამ თითქოს სალაპარაკოდ შემეგულიანა.
- დიახ, წყალი იდგა, ფსკერზე, ექვსი გოჯის სიმაღლეზე. ვოლკოვოზე ერთ საფლავსაც ვერ ამოთხრი ისე, შიგ წყალი რომ არ ჩადგეს.

- რატომ?

- როგორ თუ რატომ? იქაურობა წყლით არის გაძეძგილი. ჭაობიანი ადგილია. ჰოდა, კუბოს პირდაპირ წყალში ჩაუშვებენ ხოლმე. თავად მინახავს... ბევრჯერ...

(ერთხელაც არ მინახავს, ვოლკოვოზე ერთხელაც არ ვყოფილვარ, მართო გაგონილი მქონდა, ასეთ რაღაცას ჰყვებოდნენ.) - ნუთუ შენთვის სულ ერთია, როცა მოკვდები?

- რატომ უნდა მოკვდეთ? - მიპასუხა მან, თითქოს თავის დაცვა ენადა.

- როდისმე ხომ მოკვდები? წელანდელი მიცვალებულივით. ისიც... ვიღაც ქალიშვილი... ჭლექისგან მოკვდა.

- გოგო საავადმყოფოში უნდა მომკვდარიყო... (მაშ ესეც იცის, - გავიფიქრე მე, თანაც კი არ თქვა ქალიშვილიო, არამედ გოგოო.) - დიასახლისის ვალი ჰქონდა, - ვუთხარი მე. შედავების ხალისი თანდათან მემატებოდა, - ჰოდა, მანამდე ემსახურებოდა, სანამ ჭლექი სულს ამოხდიდა. მეეტლეები ჯარისკაცებს ამ ამბავს უყვებოდნენ. როგორც ჩანს, ქალიშვილის ნაცნობები იყვნენ, იცინოდნენ. თანაც მისი სულის მოსახსენიებლად სამიკიტნოში წასვლას აპირებდნენ. (აქაც ბევრი ვიცრუე.) დუმილი. ხანგრძლივი დუმილი. იგი არც კი შერხეულა.

- რაო, საავადმყოფოში სიკვდილი ვითომ უმჯობესია?

- განა სულ ერთი არ არის? ვითომ რატომ უნდა მოკვდეთ? - დაუმატა გაღიზიანებულმა.

- ახლა თუ არა, მერე ხომ მოკვდები?

- თუნდაც მერე რატომ უნდა მოკვდეთ...

- რატომ დაიმიტომ! ახლა ახალგაზრდა ხარ, თვალტანადი, ნორჩი. ფასს ამის გამო გღებენ. ამგვარი ცხოვრებით ერთ წელიწადში ასეთი აღარ იქნები. ჩამოტყნები.

- ერთ წელიწადში?

- ასეა თუ ისე, ერთ წელიწადში ნაკლები ფასი გექნება, - განვაგრძე ღვარძლიანად. - ჰოდა, აქედან სადმე, სხვა სახლში, უფრო დაბლა გადახვალ. კიდევ ერთი წელი გავა და მესამე სახლში გადაინაცვლებ. სულ უფრო დაბლა და დაბლა, ხოლო შვიდი წლის შემდეგ უკვე სენნაიას სარდაფს მიაღწევ. ამას კიდევ არა უშავს. უბედურება ის არის, ამას გარდა, რაიმე სენი თუ შეგეყარა, ვთქვათ, მკერდი დაგიუძღურდა... ან გაციებისგან, ან სხვა რამისგან. ასეთი ცხოვრებისას სენი გაგიუარესდება, ძვალ-რბილში გაგიჭდება და ველარ მოიშორებ. ჰოდა, მოკვდები.

- მოკვდევები და მოკვდეთ, - მიპასუხა უკვე მთლად ბრაზმორეულმა და სწრაფად შეირხა.

- მენანება.

- ვინ გენანება?

- სიცოცხლე მენანება.

დუმილი.

- საქმრო გყავდა? ჰა?

- ეს რაში გესაჭიროებათ?

- არ ჩაგეძიები. რა ჩემი საქმეა. რას ბრაზობ? რა თქმა უნდა, უსიამოვნებანი გექნებოდა. რა მესაქმება? მაგრამ მენანები.

- გენანები?

- დიახ, მენანები...

- მერე რა... - წაიჩურჩულა ოდნავ გასაგონად და კვლავ შეირხა.

უმაღ ბრაზი მომერია. რა ამბავია! მე უწყინრად ველაპარაკები, ეს კიდევ...

- რას ფიქრობ? კარგ გზას ადგახარ?

- არაფერსაც არ ვფიქრობ

- ეგ არის უბედურება, რომ არ ფიქრობ. გონს მოეგე. სანამ დრო არის. ხოლო დრო ჯერ გაქვს. ჯერ ახალგაზრდა ხარ, თვალტანადი, ვინმეს შეიყვარებ, გათხოვდები, ბედნიერი იქნები.

- ბედნიერი ყველა გათხოვილი არ არის, - უმალ მომიჭრა მან უხეშად.

- ბედნიერი, რა თქმა უნდა, ყველა არ არის. მაგრამ აქ ყოფნას მაინც სჯობია. ბევრად სჯობია. სიყვარული თუ გექნება, ბედნიერების გარეშეც იცხოვრებ. გაჭირვებული ცხოვრებაც კარგია. ამქვეყნად ყოფნა კარგია, როგორც არ უნდა ცხოვრობდე. ხოლო აქ არაფერია... სიბინძურის გარდა. ფუი!

მე თავი ზიზღით მივაბრუნე. ახლა მხოლოდ გულგრილი დამრიგებლობით არ ველაპარაკებოდი, რასაც ვამბობდი, გრძნობიერად ვამბობდი და ვცხარობდი. ჩემს კუთხეში ნაფიქრალის, ნააზრევის გამოთქმას ვესწრაფოდი. გულ-გონებაში რაღაც აღმეგზნა, რაღაც მიზანი ჩამესახა.

- ისე ნუ შემომხედავ, როგორც მისაბაძ ვინმეს. მე იქნებ შენზე უარესიც ვარ. თუმცაღა, აქ მთვრალი მოვედი, - თავი სასწრაფოდ მაინც ვიშარტლე. - ამასთანავე, კაცი ქალისთვის მისაბაძი სრულებით არ არის. ეს სხვადასხვა რამაა. მე თავს კი ვითითხნი და ვიბინძურებ, მაგრამ არავის მონა არა ვარ. მერე რა, აქ თუ ვიყავი, წავალ და აქაურობას გავერიდები. ყველაფერს ჩამოვიფერთხავ და გარდავიქმნები. ხოლო შენ თავიდანვე მონა ხარ. დიახ, მონა ხარ! ყველაფერს გასცემ, მთელ შენს არსებას. ამ ხუნდების გაგლეჯას მერე თუ მოინდომებ, ვეღარ შეძლებ. ხუნდები სულ უფრო და უფრო მძლავრად შემოგესალტება, ეს ისეთი წყეული ხუნდებია. ვიცი, ეს რაც არის. სხვას აღარაფერს გეტყვი, მაინც ვერ მიხვდები. აბა, ახლა მითხარი: დიასახლისის ვალი ხომ გაქვს? აი, ხომ ხედავ! - დავუმატე, თუმცა მას პასუხად არაფერი უთქვამს და მხოლოდ ჩუმად, გაფაციცებით მისმენდა: -აი, როგორ ხუნდებში ხარ მოქცეული! თავს ვეღარასოდეს დააღწევ, ისეთ დღეში ჩაგაგდებენ. ეს იგივეა, ეშმაკს სული რომ მიჰყიდო...

... ამასთანავე, მე ხომ... რა იცი, იქნებ შენნაირი უბედური ვარ და, ბოლმამორეული, სიბინძურეს განზრახ ვეტანები. დარდის ჩასაკლავად ხომ სვამენ: ხოლო მე დარდის ჩასაკლავად აქ მოვედი. აბა, მითხარი, აქ კარგი რა არის: ერთმანეთს ცოტა ხნის წინ როცა შევხვდით, სიტყვა არ დაგვიძრავს, მერე ტყუირით დამინყე თვალიერება, მეც ასევე გათვალისწინებდი. სიყვარული განა ასეთია? ადამიანები განა ერთმანეთს ასე უნდა ეპყრობოდნენ? ეს ხომ უსაქციელობაა!

- დიახ! - მკვეთრად და აჩქარებით დამიდასტურა მან. ამგვარმა აჩქარებით დადასტურებამ განმაცვიფრა კიდევაც. მაშასადამე, შესაძლოა, ეს აზრი გონებაში მასაც უტრიალებდა, როცა მათვალიერებდა? მაშასადამე, ზოგი რამის გააზრების უნარი მასაც შესწევს? „ეშმაკმა დალახვროს, ეს ერთგვაროვნება საინტერესოა, - ვთქვი გულში ლამის კმაყოფილებით. - ასეთ ახალგაზრდას მეტი არც მოეთხოვება!“

მე უპირატესად თამაშმა გამიტაცა.

მან თავი ჩემკენ უფრო ახლოს მოაბრუნა და, როგორც სიბნელეში მომეჩვენა, მკლავს დააყრდნო. შესაძლოა, მათვალიერებდა. როგორ ვნანობდი, რომ არ შემეძლო, მისთვის თვალებში ჩამეხედა. მესმოდა, ღრმად რომ სუნთქავდა.

- აქ რატომ ჩამოხვედი? - წამოვინყე უკვე ერთგვარი მბრძანებლობით.

- ისე...

- დედ-მამასთან ერთად ცხოვრება ხომ ძალიან კარგია! საკუთარ ბუდეში თავს თბილად, ლაღად გრძნობ.

- იქ ყოფნა თუ უარესია?

„მხარი უნდა ავუბა, - გამიელვა გულში, - სენტიმენტალობით ვერას გავხდები“.

თუმცაღა, ამ აზრმა გამიელვა თუ არა, გეფიცებით, მის მიმართ ინტერესი უკვე აღმედრა. ამასთანავე, მოდუნებული და საამისოდ განწყობილი ვიყავი. სიცრუე და გრძობიერება ერთმანეთს რა იოლად ეთვისებიან!

- მაშინ ვერაფერს იტყვი! - საჩქაროდ ვუპასუხე. - რაღა არ ხდება. ეჭვიც არ მეპარება, რომ ვიღაცამ გაგანაწყენა და შენს წინაშე სხვები უფრო არიან დამნაშავენი, ვიდრე შენ ხარ დამნაშავე სხვათა წინაშე. მე ხომ არაფერი ვიცი, თავს რა გადაგხდენია, მაგრამ შენისთანა ქალიშვილი თავისი ნადილით აქ ნამდვილად არ მოხვდებოდა.

- მაინც რანაირი ქალიშვილი ვარ? - ჩაილაპარაკა მან ძლივს გასაგონად, მაგრამ მე გავიგონე.

„ემმაკმა დალახვროს, რას ვეპირფერები. რა სისაძაგლეა. ანდა იქნებ კარგიც არის...“ იგი დუმდა.

- იცი რა, ლიბა, მე ჩემს თავზე გეტყვი! ბავშვობისას ოჯახი რომ მეჩონოდა, ასეთი არ ვიქნებოდი, როგორიც ახლა ვარ. ამაზე ხშირად ვფიქრობ. როგორი გაჭირვებულებიც არ უნდა ვყოფილიყავით, მაინც მტრებთან, უცხოებთან ხომ არ ვიქნებოდი, დედ-მამასთან გავიზრდებოდი. წელიწადში ერთხელ მაინც ხომ მომესიყვარულებოდნენ, ის მაინც ხომ მეცოდინებოდა, რომ ჩემიანებთან ვიყავი. ოჯახში რომ არ გავზრდილვარ, უთუოდ ასეთი ამიტომ შევიქენი... უგრძობელი.

ცოტა ხანს კიდევ შევიცადე.

„ალბათ ვერაფერს მიმიხვდა, - ვფიქრობდი მე, - მორალის კითხვა რა სისულელეა“.

- მამა რომ ვყოფილიყავი და ქალიშვილი მყოლოდა, ქალიშვილი უთუოდ ვაჟებზე მეტად მეყვარებოდა. - წამოვინყე მიკიბულ-მოკიბულად, მის გასართობად. უნდა ვალიარო, რომ ვწითლდებოდი.

- ამას რად მეუბნებით?

ჰო, მაშასადამე, მისმენს!

- ისე, რავიცი, ლიბა, მისმინე: ერთ ვაცს ვიცნობდი - მკაცრი ვაცი იყო, პირქუში, ქალიშვილს კი უჩოქებდა, ხელ-ფეხს უკოცნიდა, ესიყვარულებოდა. ქალიშვილი საღამოს წარმოდგენაზე ცეკვავდა, ხოლო ის ხუთი საათი ფეხმოუცვლელად იდგა და თვალს არ აშორებდა; გაგიჟებამდე უყვარდა. მე ეს არ მაკვირვებს. დაღლილ ქალიშვილს მკვდარივით როცა ეძინა, მამა ღამით გაიღვიძებდა, მძინარეს ჯვარს გადასახავდა და კოცნიდა. თავად გაზინთული სერთუკი ეცვა, ყველას მიმართ ძუნწი იყო, ქალიშვილისთვის კი უკანასკნელ კაპიკსაც არ დაიშურებდა, ძვირფას საჩუქრებს უძღვნიდა და სიხარულით ცას ეწეოდა, თუკი რაიმეს მოაწონებდა. ქალიშვილები მამებს დედებზე უფრო მეტად უყვართ და ისინიც მამისეულ კერაზე ნებივრად ცხოვრობენ. მე ჩემს ქალიშვილს ალბათ არ გავათხოვებდი.

- მაშ რას იზამდი? - მკითხა ლიბამ და ოდნავ ჩაიციხა.

- ღმერთმანი, ვიჭვინებდი. ჩემი ქალიშვილი ვიღაც სხვას უნდა კოცნიდეს? ვიღაცა მამაზე მეტად უნდა უყვარდეს? ამის წარმოდგენა გულს მიმძიმებს. ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა. ბოლოს ყველანი, რა თქმა უნდა, გონს მოეგებიან. ხოლო მე სანამ გავათხოვებდი, თავს იმით გავინამებდი, რომ ყველა სასიძოს დავინუნებდი. ბოლოს კი მაინც იმას მივათხოვებდი, ვისაც ქალიშვილი შეიყვარებდა. მამები ხომ ყველაზე მეტად იმას აითვალწუნებენ, ვინც მათ ქალიშვილს უყვარს. ეს ნამდვილად ასეა. ამის გამო ბევრ ოჯახში დავიდარაბა ატყდება ხოლმე.

- ზოგნი კი თავიანთ ქალიშვილებს სიხარულით გაყიდიან, იმის ნაცვლად, რომ ღირსეულად გაათხოვონ.

ჰო! გასაგებია!

- ლიზა, ეს წყეულ ოჯახებში ხდება, სადაც არც ღმერთი სწამთ და არც ერთმანეთი უყვართ, - მგზნებარედ ავყევი მე, - ხოლო სადაც სიყვარული არ არის, იქ არც გონიერება გააჩნიათ. მართალია, ასეთი ოჯახები არის, მაგრამ მე ასეთ ოჯახებზე არ ვლაპარაკობ. შენ, როგორც ჩანს, შენს ოჯახში სიკეთე არ გინახავს და ასე იმიტომ ლაპარაკობ. მამ ნამდვილად უბედური ყოფილხარ. ჰმ... ასეთ რამეს უმეტესად სიღარიბე იწვევს.

- ბატონებს განა უკეთესი ცხოვრება აქვთ? პატიოსანი ადამიანები, თუნდ ღარიბნი იყვნენ, ბედნიერად ცხოვრობენ.

- ჰმ... დიახ. შესაძლოა. ლიზა, ადამიანი მხოლოდ თავის გასაჭირს ხედავს, ბედნიერებას კი ვერ ამჩნევს. თუ კარგად დაუკვირდება, ნახავს, რომ ყველანაირ ხვედრს უნდა მოელოდეს. ხომ შესაძლოა, რომ ოჯახში ღვთის შეწევნით ყველაფერი რიგზე იყოს. ქმარი კარგი გამოგადგეს, უყვარდე, თავს გველებოდეს, გვერდიდან არ გშორდებოდეს. ასეთი ოჯახი ბედნიერია. ზოგჯერ გაჭირვებულნიც კი თავს კარგად გრძნობენ. ხოლო გასაჭირს ვინ არ გამოივლის? როცა გათხოვდები, თავად გამოცდი. ვთქვათ, ცოლად იმას გაჰყევი, ვინც გიყვარს, პირველ ხანებში რაოდენი ბედნიერება მოგეველინება? განუწყვეტლივ. პირველ ხანებში ქმართან ნაჩხუბებაც კი სასიკეთოდ დამთავრდება. ზოგი ქალი ისეთია, ქმარი რაც უფრო ძლიერ უყვარს, მით უფრო ხშირად ეჩხუბება. ნამდვილად. ერთ ასეთ ქალს ვიცნობდი: „რაკი ძალიან მიყვარხარ, უნდა გაგტანჯო კიდევაც და ამას უნდა გრძნობდეო“. იცი თუ არა, ვინც უყვართ, განზრახ რომ აწამებენ? ამას უმეტესად ქალები სჩადიან. ასეთი ქალი გულში ამბობს: „სამაგიეროდ მერე ისე მეყვარები, ისე მოგეალერსები, რომ არა უშავს, ახლა რომ გტანჯავ“. ახლობლები სიხარულით შემოგცქერიან, თავს საუცხოოდ გრძნობთ, მხიარულობთ, მშვიდობიანად ცხოვრობთ, პატიოსნად... ზოგი ძალზე ეჭვიანია. ერთ ქალს ვიცნობდი. ქმარი სადმე რომ წავიდოდა, მოთმინებას კარგავდა, ღამით სახლიდან გავარდებოდა და დაეძებდა: იქ ხომ არ არის, იმ სახლში, იმ ქალთან? ეს ძალზე ცუდია. თავადაც იცის, რომ ცუდია, გული ეწურება, იტანჯება, თანაც უყვარს. ყოველივე სიყვარულის გამო ემართება. მერედა, რა კარგია, ნაჩხუბებულთა შერიგება, ქმართან ბრალის აღიარება, მიტევება! თავს ორივენი რა კარგად გრძნობენ, რა ნაამებნი არიან, თითქოს ერთმანეთს ახლალა შეხვდნენ, ხელახლა დაქორწინდნენ, სიყვარული ხელახლა ჩაესახათ. არავინ, არც ერთმა სულიერმა არ უნდა იცოდეს, ქმარსა და ცოლს შორის რა ხდება, თუკი მათ ერთმანეთი უყვართ. როგორი ნაჩხუბებულნიც უნდა იყვნენ, განმსჯელად მშობელ დედასაც არ უნდა მოუხმონ და ერთიმეორეზე სასაყვედურო არაფერი თქვან. თავიანთი განმსჯელნი თავად უნდა იყვნენ. სიყვარული ღვთაებრივი საიდუმლოა და ყველას თვალთაგან ფარული უნდა იყოს, რაც უნდა მოხდეს. ეს უწმინდესია, უკეთესია. ერთმანეთის პატივისმცემელნი უფრო მეტად არიან, ხოლო პატივისცემა ბევრი რამის საფუძველია. თუკი ერთმანეთი უყვარდათ, სიყვარულით დაქორწინდნენ, სიყვარული რატომ უნდა დაკარგონ? ქორწინების პირველი სიყვარული თუმცა გადაივლის, მაგრამ შემდგომი სიყვარული უმჯობესი იქნება ერთმანეთს სულიერად შეერწყმიან, ყველაფერს ერთობლივად გააკეთებენ, ერთმანეთთან დაფარულ-დამალული არაფერი ექნებათ. შვილები როცა ეყოლებათ, მაშინ ხომ ყველანაირი გასაჭირი ბედნიერებად მოეჩვენებათ: ოღონდაც ერთმანეთი უყვარდეთ და შეუდრეკელნი იყვნენ. მაშინ შრომაც გამამხიარულებელია, შვილების გულისთვის ლუკმაპურს მოიკლებენ და ესეც სიხარულს მიანიჭებთ. შვილებს ხომ მერე ამის გამო ეყვარებათ. ამით ხომ საკუთარ თავს სამომავლოს უმზადებ. შვილები გებრძებიან, გრძნობ, რომ მათთვის მაგალითის მიძეცი, მათი მხარში მდგომი ხარ. როცა მოკვდები, ისინი შენგან ჩანერგილ გრძნობათა და აბრთა მქონენი, შენი მსგავსნი იქნებიან. მაშასადამე, ეს დიადი მოვალეობაა. მამ დედა და მამა უფრო მეტად ერთსულოვანნი რატომ არ უნდა იყვნენ? ამბობენ, შვილების ყოლა მძიმე ტვირთიაო. ამის თქმა როგორ შეიძლება? ეს ღვთიური ბედნიერებაა! ლიზა, პატარა ბავშვები გიყვარს? მე უბოძოდ მიყვარს. აბა, მისმინე: შენ ლოყებდაჟღაჟა ბიჭუნას ძუძუს აწოვებ. გული რომელ ქმარს არ აუფართხალდება, როცა ხედავს, ცოლი მის შვილს როგორ დახარის. ბავშვი ლოყებდაჟღაჟაა, ფუნჩულაა, ფოფინობს, ნებივრობს, ხელ-ფეხი გათქვირებული აქვს, ფრჩხილები სალუქი, პატარ-პატარა, ისეთი პატარა, სასაცილო სანახავია, ისე იმზირება თითქოს ყველაფერი გაეგებოდეს. ძუძუზე ხელს გითათუნებს და ისე წოვს, გეთამაშება. მამა ახლოს მოდის - ბიჭუნა ძუძუს მოეშვება, მამისკენ შეტრიალდება, გაუცინებს და კვლავ ძუძუს მიუბრუნდება, კბილები ამოსჭრია და დედას ძუძუზე უკბენს, თანაც გეზად შეხედავს: „ნახე, როგორ გიკბინეო!“ განა არის ამაზე მეტი ბედნიერება, სამნი - ცოლი, ქმარი და ბავშვი ერთად რომ არიან? ასეთი წუთების განცდა

ბევრ რამე გაპატიებინებს. არა, ლიბა, ცხოვრება როგორ უნდა, ჯერ თავად უნდა ისწავლო და სხვები მერე დაადანაშაულო.

„ასეთი მონათხრობებით უნდა მოგათვინიერო! - გავივლე გულში, თუმცაღა, ღმერთმანი, გზებით ვლაპარაკობდი და უცებ გავნითლდი. - ვაითუ, ახლა გადაიხარხაროს, მაშინ თავს რით ვუძველო?“ ამ აზრმა გამაშმაგა. ლაპარაკის გასრულებისას მართლა გავცხარდი და ახლა თავმოყვარეობა როგორღაც შემეღაბა. დუმილმა დიდხანს გასტანა. ისიც კი მინდოდა, რომ მისთვის ხელი წამეკრა.

- ეს რანაირად... - უცებ წამოიწყო ლიბამ და შეჩერდა.

მაგრამ მე ყველაფერს მივხვდი: მის ხმას უკვე სხვაგვარი ჟღერადობა ჰქონდა, მკვეთრი, უხეში და შეუპოვარი კი არა, როგორც ცოტა ხნის წინ, არამედ ერთგვარად მორბილებული და დამორცხვებული, ისერიგად დამორცხვებული, რომ მის წინაშე უცებ თავადაც დავიმორცხვე, თავი თითქმის დამნაშავედ ვიგრძენი.

- რა თქვი? - შევეკითხე ალერსნარევი ცნობისმოყვარეობით.

- თქვენ...

- რა?

- თქვენ... ისე ლაპარაკობთ, როგორც წიგნებშია, - მითხრა მან და მის ხმაში კვლავ თითქოს დამცინავობა გამოკრთა.

ამ შენიშვნამ გული მატკინა. ამას არ ველოდი.

ვერ მივხვდი, რომ იგი დამცინავობით ინიღბებოდა, რომ ეს ბოლო ფანდია მორცხვი, უმნიშვნლო ადამიანებისა, რომელთა სულის დაუფლებას უხეშად და მომაბეზრებლად ცდილობენ, რომელნიც უკანასკნელ წუთამდე არ მორჩილდებიან და თქვენს წინაშე გრძნობის გამოხატვას ერიდებიან. ამას უნდა მივმხვდარიყავი თუნდაც იმიტომ, რომ მან დამცინავობის გამოხატვა რამდენიმეჯერ სცადა გაუბედავად და ბოლოს ძლივს გამოთქვა, რასაც ფიქრობდა. მაგრამ ვერ მივხვდი.

„მაცადე“, - გავიფიქრე ბრაზმორეულმა.

VII

- ეჰ, კარგი რა, ლიბა, წიგნი რა სახსენებელია, როცა თავად მე, გარედან მოსულს, ისედაც გული მემღვრევა. არათუ მემღვრევა, გულიდან ახლა ეს ყოველივე ამომეფრქვია. ნუთუ, ნუთუ თავადაც აქაურობა არ გეზიზღება? არა, როგორც ჩანს, ჩვევას დიდი ძალა აქვს! ეშმაკმა უწყის, ჩვევა ადამიანს რად გადააქცევს. ნუთუ სერიოზულად გგონია, რომ არასდროს დაბერდები, მუდამ მიმზიდველი იქნები და აქ სამარადჟამოდ გამყოფებენ? იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ აქ ყოფნა სისაძაგლეა... თუმცაღა, შენი ამჟამად აქ ყოფნის თაობაზე, აი, რას გეტყვი: ახლა თუმცა ახალგაზრდა, სანდომიანი, თვალტანადი, გულითადი, მგრძნობიარე ხარ, მაგრამ, რომ იცოდე, წელან როცა გამოვფხიზლდი, აქ შენთან ერთად ყოფნამ ზიზღი მომგვარა! აქ მთვრალი თუ შემოეხეტება. ხოლო სხვაგან თუ იქნებოდი, სხვაგან თუ იცხოვრებდი, როგორც წესიერი ხალხი ცხოვრობს, მაშინ კი არ აგეტორღილებოდი, არამედ შეგიყვარებდი, შენთან არათუ საუბარი, შენი შემოხედვაც კი გამახარებდა, კართან დაგიდარაჯდებოდი, შენს წინაშე მუხლს მოვიყრიდი, ჩემს საცოლედ წარმოგისახავდი და ამას დიდ პატივად მივიჩნევდი, შენზე რაიმე უწმინდურს გულში არ გავივლებდი. აქ კი, ხომ ვიცი, მართო თითი რომ დაგიქნითო, გსურს თუ არა გსურს, ჩემს ნებას უნდა დაჰყვე, მე კი არ უნდა დაგეკითხო, შენ რას მოინდომებ, არამედ შენ უნდა დამეკითხო. უკანასკნელი გლეხუჭაც კი, როცა ვინმეს მოჭამაგირედ დაუდგება, მთლად არ დაემორჩილება, რადგან იცის, რომ მოჭამაგირეობის ყავლი გაუვა. ყავლი შენ განა გაგაჩნია? აბა, დაფიქრდი, აქ რას გასცემ? რას უმორჩილებ? სულს უმორჩილებ, სულს, რის მფლობელიც აღარ ხარ! სულს უმორჩილებ სხეულთან ერთად! შენს სიყვარულს ყოველ ლოთს ათელვინებ! დიახ, სიყვარულს! ხოლო სიყვარული ხომ ყოველივეზე უმეტესია, ბრილიანტია, ქალწულის საუნჯე! ამ სიყვარულის მოსაპოვებლად ვინმე ხომ სულს დადებს, თავს განირავს[57]. ამჟამად კი შენს სიყვარულს რა ფასი ადევს?

შენ მთლიანად, ერიანად გაყიდული ხარ და შენი სიყვარულის მოპოვება რაღა საჭიროა, როცა ყოველივე უსიყვარულოდაც შესაძლებელია. დაფიქრდი, ქალიშვილისთვის ამაზე უმეტესი დამცირება განაღა არსებობს? გამიგონია, რომ თქვენ, უგუნურებს, იმით გამშვიდებენ, რომ უფლებას გაძლევენ, საყვარელი იყოლიოთ. ეს ხომ თვალთმაქცობაა, მოტყუებაა, დაცინვაა, თქვენ კი იჭერებთ. იმ შენს საყვარელს სინამდვილეში განა უყვარხარ? არა მჯერა. რანაირად ეყვარები, როცა იცის, რომ შეუძლიათ, ყოველ წუთს დაგიძახონ და ჩამოგაცილონ. ბილწია, თუ ამას მოგაჩვენებს! განა ოდნავად მაინც პატივს გცემს? მასთან საერთო რა გაქვს? გძარცვავს და თანაც დაგცინის - ეს გახლავს მთელი მისი სიყვარული! კიდევ არა უშავს, თუ არა გცემს. იქნებ კიდევაც გცემს. ასეთი ვინმე თუ გყავს, აბა, შეეკითხე, ცოლად თუ შეგირთავს? არ მოგერიდება და ახარხარდება, თუ არ მოგაფურთხებს და არ მიგბეგვავს - თავად კი იქნებ გროშადაც არ ღირს. რა გგონია, თავს აქ რის ფასად იღუპავ? ყავას რომ გასმევენ და მაძღრისად გაჭმევენ? რატომ გაჭმევენ? პატიოსან ქალს ასეთი ლუკმა ყელში არ გადასცდება, როცა იცის, რატომაც აჭმევენ. აქ ვალში ხარ, სულ ვალში იქნები, ბოლომდე ვალში იქნები, სანამ სტუმრები არ აგითვალწუნებენ. ეს კი მალე მოხდება. ახალგაზრდობის იმედად ნუ იქნები. აქ ყოველივე ელვის უსწრაფესად ხდება. ჰოდა, აქედან გაგაგდებენ. თანაც მარტო გაგაგდებენ კი არა, მანამდე შარის მოდებას დაგინყებენ, საყვედურით აგავსებენ, გამოგლანხდავენ, თითქოს ამ საბუდრის მფლობელს ჯანმრთელობა შენ კი არ შეაღიე, სინორჩე და სულის სინმინდე მუქთად კი არ მიაფლანგე, არამედ იგი თითქოს თავად დააქციე, გააღატაკე, გაძარცვე. ხოლო მხარში ამოდგომას ნურავისგან ელი: შენი აქაური საამხანაგო, შენთან ერთად აქ მყოფი ქალიშვილები შენვე შემოგიტყვენ, რათა საბუდრის მფლობელს აამონ, მისი გული მოიგონ, რადგან აქ ყველანი დამონებულნი ხართ, სინდის-ნამუსი და შემბრალებლობა, დიდი ხანია, დაკარგული აქვთ, გადაგვარდნენ. ამ სინამხდრებზე უარესი, უსაძაგლესი, მეტად დამამცირებელი, დამაკნინებელი, შეურაცხმყოფელი რამ ხომ ქვეყნად არც არსებობს. აქაურობას ყველაფერს შესწირავ უსაზღაუროდ - ჯანმრთელობასაც, სინორჩესაც, იმედებსაც და ოცდაორი წლისა ოცდაათი წლისას დაემგვანები, ამას გარდა, ღმერთს მადლობა მიუძღვენი, თუ არ დასნეულდები. ვაითუ, იმასაც ფიქრობ, რომ აქაური მოვალეობა შრომა კი არა, დროს ტარებაა! ამაზე უმძიმესი და უფრო მეტად კატორღული შრომა ამქვეყნად არ არის და არც არასოდეს ყოფილა. ისიც კმარა, რომ გული ცრემლით გვესება. თანაც სიტყვას ვერ დაძრავ, ვერც კი წამოიკნავლებ, როცა აქედან გაგაგდებენ, ისე წახვალ, როგორც დამნაშავე. მეორე ადგილას გადახვალ, მერე მესამე ადგილას, მერე კიდევ სადღაც და ბოლოს სენნაიას მიაღვები. იქ კი ცემას უსათუოდ იწვნევ. ცემა იქაური თავაზიანობაა. იქაურ სტუმარს მოალერსებაც კი ცემის გარეშე არ შეუძლია. არ გჯერა, რომ იქ ასეთი სისაძაგლეა? როდისმე წადი, იქნებ თავადაც წახო. მე იმ სახლის წინ, კართან, ერთი ქალი ახალი წლის დამდეგს ვნახე. გასამასხრებლად იმის გამო გამოავდეს, რომ ძალიან ბღაოდა, რათა ცოტათი გათოშილიყო, და კარი მიუკეტეს. დილის ცხრა საათზე უკვე უზომოდ გამომთვრალი, თმაგანწილი, ნახევრად შიშველი და ნაცემ-ნაბეგვი იყო. სახეგაფითრებულს და თვალებჩალურჯებულს ცხვირიდან და კბილებიდან სისხლი სდიოდა: რომელიღაც მეეტლემ ის-ის იყო მიბეგვა. ნაცემი ქვის კიბებზე ჩამოჯდა, ხელში დამარილებული თევზი ეჭირა; ბღაოდა, თავის „ხვედრს“ დასტიროდა და თევზს კიბის საფეხურებს უხათქუნებდა.

კიბესთან მეეტლეებს და მთვრალ სალდათებს თავი მოეყარათ და აპამპულეებდნენ. არ გჯერა, რომ შენც ასეთი შეიქნები? არც მე მინდა, რომ დავიჯერო. თუმცაღა, რა იცი, იქნებ სწორედ ის ქალი, დამარილებული თევზი რომ ეჭირა, აქ საიდანღაც ათი თუ რვა წლის წინ ჩამოვიდა ნორჩი, ქერუბიმივით უმწიკვლო, უმანკო, უბოროტო, ყოველი სიტყვის თქმამზე წითლდებოდა, იქნებ შენსავით ისიც ამაყი, ბუტია, სხვათაგან განსხვავებული, დედოფალივით მომხირალი იყო და თავადაც იცოდა, რა ბედნიერება ელოდა იმას, ვინც მას შეიყვარებდა და ვისაც ის შეიყვარებდა. მაგრამ ნახე, რით დაასრულა? რა იცი, იქნებ იმ წუთს, როცა თევზს კიბის ტალახიან საფეხურებზე უხათქუნებდა მთვრალი და თმაგანწილი, იქნებ იმ წუთს ახსენდებოდა ადრინდელი, მამისეულ სახლში გატარებული უმწიკვლო წლები, როცა ჯერ კიდევ სკოლაში დადიოდა, ხოლო მეზობლის ვაჟი გზაზე უდარაჯებდა, ეფიცებოდა, რომ სიცოცხლის ბოლომდე ეყვარებოდა, თავის ბედს მის ბედთან გადააჯაჭვავდა. მაშინ დათქვეს, რომ ერთმანეთი საუკუნოდ ეყვარებოდნენ და ჯვარს დაიწერდნენ, როცა გაიზრდებოდნენ! არა, ლიბა, ბედს უნდა უმადლოდე, თუ სადმე კუნჭულში, სარდაფში, როგორც ამასწინანდელი ქალი ჭლეჩისგან სწარაფად მოკვდები. შენ თქვი, საავადმყოფოში? კარგი - წაგიყვანენ, მაგრამ საბუდრის დიასახლისს კიდევ

თუ ესაჭიროები? ჭლექი სხვაგვარი სენია. ციებ-ცხელება არ გახლავს. სნეული ბოლო ნუთამდე იმედით სულდგმულობს და ამბობს, ჯანმრთელი ვარო. თავს ინუგეშებს. დიასახლისსაც ეს უნდა. სხვა ფიქრს გულში ნურც გაივლებ, ეს ასეა: სული ხომ მიჰყიდე, ფულიც გმართებს, მაშ წამოკნაველებასაც ვერ გაბედავ. ხოლო სიკვდილი კარს როცა მოგადგება, ყველა მიგატოვებს, ყველანი ზურგს შეგაქცევენ, რადგან შენგან აღარაფერს გამოელოიან. გისაყვედურებენ კიდევაც, რომ ადგილი უქმად გიკავია, სიკვდილს აგვიანებ. წყალს ისე არ მოგანოდებენ, ლანძღვა-გინება თუ არ დააყოლეს: „შე წუნკალო, აღარ ჩაძაღლდები, არ გვაძინებ, კვნესი, სტუმრებს გულს უღონებო“. უდავოდ ასეა, ამგვარი ნათქვამი თავად მომისმენია. მომაკვდავს სარდაფის ყველაზე აყროლებულ კუთხეში მიგაგდებენ - წყვდიადში, სინესტეში. მარტოდმარტო მიგდებულს რა ფიქრები მოგეფლინება? მოკვდები და ვიღაც-ვიღაცანი სასწრაფოდ შეგამზადებენ, ბუბლუნით, მოუთმენლად; საიქიოსკენ მიმავალ გზას არავინ დაგილოცავს, ერთ ამოოხვრასაც კი არავინ გამოიმეტებს, ოღონდაც თავიდან რაც კი შეიძლება, მალე მოგიშორონ. გეტაში ჩაგჭედავენ და გამოგასვენებენ, როგორც დღეს ის საცოდავი ქალი გამოასვენეს, შენი სულის მოსახსენიებლად სამიკიტნოში შევლენ. საფლავში წუმპეა, სიბინძურე, სველი თოვლი - თოვა შენი გულისთვის ხომ არ შეწყდება? „ჩაუშვი, ვანიუხა; ნახე, ესეც იმასავით თავდაყირა ჩაყირავდა. თოკი დაიმოკლე, დაუდევარო“. - „ასედაც არა უშავს“. - „რას არა უშავს? ვერ ხედავ, გვერდულად რომ წევს? განა ესეც ადამიანი არ იყო? ჰო, კარგი, მიწა მიაყარე“. შენს გამო დიდხანს დავასაც არ ინდომებენ. ატალახებულ ლურჯ თიხას ხელდახელ მოგაყრიან და სამიკიტნოსკენ გაეშურებიან... ამქვეყნად შენი ხსოვნა ამით დასრულდება. სხვათა საფლავებზე შვილები, მამები, ქმრები მიდიან, ხოლო შენს საფლავს ერთი ცრემლიც არ დაეცემა, არც ვინმე ამოიოხრებს, არც აღაპს გადაგიხდებიან, მთელი ქვეყნიერებიდან შენთან არასოდეს არავინ მოვა; შენი სახელი აღიგვება პირისაგან მიწისა, თითქოს არასდროს არსებობდი და არც დაბადებულხარ! მიცვალებულთა წამოდგომისას, იმ წუმპესა და ჭაობში, ღამით თუნდაც კუბოს სახურავს უბრაგუნე: „კეთილო ხალხო, ამომიშვით, რომ ქვეყნიერებაზე ვიცხოვრო! მე ვცხოვრობდი, ცხოვრება კი არ მიხილავს, ჩემი სიცოცხლე ჩაიძონდა: სენნაიაზე სამიკიტნოში ჩანთქეს; კეთილო ხალხო, ამომიშვით, რომ ქვეყნიერებაზე ერთხელ კიდევ ვიცხოვრო!..“

მე უკვე ისეთი პათოსით ვლაპარაკობდი, ლამის ყელის სპაზმები დამეწყო და... უეცრად შევჩერდი, შეშინებული წამოვდექი, თავი მფრთხალად დავხარე და გულაძგერებულმა სმენა გავამახვილე. შეკრთომის მიზეზი კიდევაც მქონდა.

რა ხანია, ვგრძნობდი, რომ ლიზას სული ერთიანად შევუძარი და გული გავუპე. ამაში რაც უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, მით უფრო მეტად მეწადა, მიზნისთვის სულ უფრო მალე და სულ უფრო ძლიერად მიმელწია. თამაშმა გამიტაცა, თამაშმა; თუმცაღა, არამარტო თამაშმა...

ვიცოდი, რომ შებოჭილად, ღვლარჯნილად, მწიგნობრულადაც კი ვლაპარაკობდი. ერთი სიტყვით, ლაპარაკი მხოლოდ ისე შემეძლო, „როგორც წიგნებშია“. მაგრამ ამის გამო არ ვწუხდი. ხომ ვიცოდი, წინათგრძნობა მქონდა, რომ გამიგებდნენ და თვით ამგვარი მწიგნობრულობა ჩემს მიზანს წაადგებოდა კიდევაც. მაგრამ ახლა, როცა ეფექტს მივალნიე, შევშინდი. არა, ასეთი სასონარკვეთილების მოწმე არასოდეს ვყოფილვარ! ლიზა პირქვე იწვა და ბალიშში სახეჩამხობილს ორივე ხელი ბალიშის კიდებზე შემოეჭდო. მკერდი ლამისაა, გასკდომოდა, ნორჩი სხეული, როგორც კრუნჩხვისას, ერთიანად უთრთოდა. მკერდში ჩაგუბებული ქვითინი ყელში აწვებოდა და ღრიალით ამოხეთქავდა ხოლმე. ამ დროს ბალიშში უფრო ღრმად ჩაემხობოდა. არ უნდოდა, რომ მისი ქვითინი აქ ვინმეს გაეგონა და შეეტყო, როგორ იტანჯებოდა. ბალიშს კბილებით ჩააფრინდა, მკლავზეც იკბინა და დაისისხლიანა (ეს მერე ვნახე); ხანაც განწილ თმას თითებს ჩასჭიდებდა და ძალის დატანებით ჩაყურდებოდა, სულს შეიგუბებდა და კბილებს კბილებზე აჭერდა. მე რაღაცის თქმა წამოვიწყე, მინდოდა, დამემშვიდებინა, მაგრამ ვიგრძენი, რომ ვერ შევძლებდი. ჰოდა, უცებ თავადაც ჟრჟოლამ ამიტანა და თითქმის თავზარდაცემულმა წასასვლელად მზადება ხელების ცეცებით, სასწრაფოდ დავინწყე. ბნელოდა და თუმცა ძალიან ვცდილობდი, ეს სწრაფად მაინც ვერა და ვერ მოვახერხე. უეცრად ხელში ასანთის კოლოფი და სასანთლე მომხვდა ხელუხლებელი სანთლით. ოთახი შუქმა გაანათა თუ არა, ლიზა უცებ წამოჭდა და სახემოდრეცილი, ლამის გიჟური ღიმილით უაზროდ შემომამჩერდა. მე წინ ჩამოვუჭექი და ხელებზე ხელები ჩავჭიდე. იგი

გონს მოვიდა, ჩემკენ წამოიწია, უნდოდა, რომ შემომტდომოდა, მაგრამ ვერ გაბედა და ჩემს წინაშე თავი წყნარად დახარა.

- ლიზა, ჩემო მეგობარო, მე სულ ამაოდ... მომიტყევე, - წამოვიწყე, მაგრამ მან თითები ხელეებში ისე მძლავრად ჩამჭიდა, რომ მივხვდი, შეუფერებელ რაღაცას ვამბობდი და აღარ განვაგრძე.

- ლიზა, აი ჩემი მისამართი. ჩემთან მოდი.

- მოვალ... - ჩაიჩურჩულა მან მტკიცედ, კვლავ თავდახრილმა.

- ახლა კი წავალ, მშვიდობით... ნახვამდის.

მე წამოვდექი, ისიც წამოდგა და სახე ერთიანად წამოუჭარხლდა, შეკრთა, სკამზე გადადებულ თავშალს დასწვდა, მხრებზე და მკერდზე ნიკაპამდე მოიხვია, მერე კვლავ მტკივნეულად გაიღიმა, განითლდა და უცნაურად შემომხედა. მე შევშფოთდი, წასასვლელად, გასაძურწავად ავიჩქარდი.

- მოიცადეთ, - მითხრა მან უცებ უკვე წინვარში ვართან მისულს, მაზარაზე ხელი მტაცა და შემაჩერა, სანთელი ფაცაფუცით დადგა და გაიქცა, ალბათ რაღაც გაახსენდა, ანდა რაიმე უნდა მოეტანა და ჩემთვის ეჩვენებინა. სანამ გასაქცევად შეტრიალდებოდა, სახე კვლავ წამოუჭარხლდა, თვალები აუელვარდა, ხოლო ბაგებზე ღიმილი გადაეფინა - ეს რას მოასწავებდა? მე ძალაუნებურად ვუცდიდი. იგი ერთი წუთის შემდეგ დაბრუნდა და ისე შემომხედა, თითქოს რაღაცის გამო პატიებას ითხოვდა. სახე და მხერა წელანდელისნაირი - პირქუში, უნდობელი, უდრეკი აღარ ჰქონდა. მის თვალთაგან ახლა თხოვნა და სილბო, ამასთანავე მიმნდობლობა, ალერსიანობა, მოკრძალებულობა გამოკრთოდა. ასე ბავშვები უცქერიან იმას, ვინც ძალიან უყვართ და ვისაც რაღაცას შესთხოვენ. მისი მშვენიერი, თაფლისფერი, მკვირცხლი თვალები სიყვარულის გამოხატვის შემძლეც გახლდათ და უკიდურესი სიძულვილისაც.

ჩემთვის არაფერი განუმარტავს, თითქოს ვინმე უმაღლესი არსება ვიყავი და განმარტების გარეშეც ყველაფერი უნდა მცოდნოდა, ქალაღი ისე გამომიწოდა. ამ წუთას სახე მიამიტური, თითქმის ბავშვური გულუბრყვილობით გაუბრწყინდა. ქალაღი გავშალე. ეს გახლდათ მასთან მედიკოსი სტუდენტის თუ ვიღაც ამგვარის გამოგზავნილი წერილი. ძალზე მაღალფარდოვანი, ფერადოვანი, მაგრამ ფრიად მოკრძალებული სიყვარულის ახსნა. გამონათქვამები ახლა აღარ მახსენდება, მაგრამ ძალიან კარგად მახსოვს, რომ მაღალსიტყვაობაში ჭეშმარიტი გრძნობა გამოკრთოდა, რასაც ვერ გააყალბებ. წერილი ბოლომდე როცა ჩავიკითხე, ლიზას მგზნებარე, ცნობისმოყვარული და ბავშვურად მოუთმენელი მხერა შემომეფეთა. მან თვალები შემომამტერა და სულწასულად მელოდა, რას ვეტყობდი. რამდენიმე სიტყვით, სხაპასხუპით, მაგრამ სიხარულისა და სიამაყის გამომხატველად განმიმარტა, რომ სადღაც საცეკვაო საღამოზე იყო ერთ ოჯახში, „ძალიან, ძალიან კარგ ოჯახში, სადაც მისი ამბავი არ იცოდნენ, სრულებით არ იცოდნენ“. მითხრა, აქ ხომ სულ ახლახანს ჩამოვედი, დარჩენას არ ვაპირებ და აუცილებლად წავალ, ვალს როგორც კი გადავიხდით.

- ჰოდა, ის სტუდენტი იქ იყო, მთელი საღამო მეცეკვებოდა, მესაუბრებოდა, თურმე აღრევე, რიგაში, ბავშვობისასვე მიცნობდა, ერთად გვითამაშია, ოღონდ ძალიან დიდი ხნის წინ, ჩემი მშობლებიც სცნობია, მაგრამ ამ ამბავზე არაფერი-არაფერი-არაფერი იცის, აზრზედაც არ არის! მეორე დღეს კი (სამი დღის წინ) ნაცნობ ქალიშვილს, ვისთან ერთადაც საცეკვაო საღამოზე ვიყავი მისული, ეს წერილი გამოატანა... და... სულ ეს არისო.

თხრობა როცა დაასრულა, მოელვარე თვალები მორცხვად დახარა.

საბრალო ქალი ამ სტუდენტის წერილს ისე ინახავდა, როგორც საუნჯეს და ამ ერთადერთი საუნჯის მოსატანად გაიქცა, რადგან არ უნდოდა, ისე წავსულიყავი, რომ არ შემეტყო, ისიც პატიოსნად და გულწრფელად რომ უყვარდათ და მასაც მოკრძალებით ელაპარაკებოდნენ. ამ წერილის წილხვედრი ალბათ ის გახლდათ, რომ ზარდახმაში დებულებიყო და შედეგი არ მოჰყოლოდა. მაგრამ მაინც მჯერა, რომ წერილს იგი მთელი სიცოცხლე საუნჯესავით, სიამაყისა და თავის გამართლების მიმნიჭებლად შეინახავდა,

ხოლო ახლა ასეთ წუთს გაიხსენა და მომიტანა, რათა ჩემს წინაშე სიამაყე მიამიტად წარმოეჩინა, თავის გასამართლებელი საბუთი ჩემთვისაც წარმოედგინა და ჩემი შექება დაემსახურებინა. მე არაფერი მითქვამს, ხელი ჩამოვართვი და გარეთ გამოვედი. წასვლა მოუთმენლად მენადა... მთელი გზა ფეხით გავიარე, თუმცა სველი თოვლი კვლავ ბარდნიდა. გატანჯული ვიყავი, დათრგუნული, საგონებელში ჩავარდნილი. მაგრამ საგონებელში ჩავარდნილს ჭეშმარიტება უკვე წარმომიჩნდა. უხამსი ჭეშმარიტება.

VIII

თუმცაღა, ამ ჭეშმარიტების აღიარება არ მიჩქარია.

დილას, გამომეღვიძა თუ არა რამდენიმე საათის ღრმა ძილის შემდეგ, მთელ გუშინდელ დღეს თვალი უმაღლ გადავავლე და გამაოცა ჩემმა სენტიმენტალურობამ, ლიზასთან რომ გამოვიჩინე სიბრალულის ძრწოლით გამოხატვისას. „დიაცური ნერვების აშლილობა მომეძალა, ფუ! - დავასკვენი ამის თაობაზე. - მისთვის ჩემი მისამართი რამ მიმაცემინა? რა უნდა ვქნა, თუ მოვა? თუმცაღა, დაე, მოვიდეს, არა უშავს რა...“ მაგრამ, ცხადია, უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ეს არ იყო. ბვერკოვისა და სიმონოვის თვალთახედვაში ჩემი რეპუტაცია სასწრაფოდ უნდა გადაემერჩინა. აი, მთავარი რა გახლდათ. ხოლო ლიზა ამ დილას ფაცაფუცში მთლად გადამავენიცდა.

უპირველესად სიმონოვისთვის გუშინდელი ვალი დაუყოვნებლივ უნდა გადამეხადა. გადავწყვიტე, თავზე ხელი ამელო და ანტონ ანტონოვიჩისგან თხუთმეტი რუბლი მესესხა. იგი იმ დილას, თითქოს განზრახ საუცხოო გუნებაზე იყო და ფული როგორც კი ვთხოვე, მაშინვე მომცა. ეს ისე გამიხარდა, ხელწერილზე ხელს როცა ვაწერდი, თამამად, თავმომწონედ მოვუყევი, გუშინ hotel de paris-ში მეგობრებთან ერთად ვიქეიფე, ამხანაგი, შეიძლება ითქვას, ბავშვობის მეგობარი გავაცილეთ; ის თავანწყვეტილი მოქეიფე, ნებიერი და, რა თქმა უნდა, რიგიანი ჩამომავლობისაა, საკმაოდ დიდი ქონებისა და ბრწყინვალე კარიერის მქონეა, გონებამახვილია, სანდომიანია, მოარშიყეა; ჰოდა, ნახევარი დუჟინის ზედმეტად დაღევაძ მოგვინია და... ამასთანავე ეს ყველაფერი ძალზე ხალისიანად, ყოველგვარი რიდის გარეშე, თვითკმაყოფილებით ჩამოვარაკრავე.

შინ დაბრუნებულმა სიმონოვს ბარათი დაუყოვნებლივ მივწერე.

აქამდე სიამეს მგვრის ჩემი წერილის ჭეშმარიტად ჯენტლმენური, გულახდილი, უწყინარი ტონის გახსენება. ჩემი თავი ყველაფერში მარჯვედ და კეთილშობილურად, თანაც, რაც მთავარია, ზედმეტი სიტყვების გარეშე დავადანაშაულე. თავს იმით ვიმართლებდი, თავის გამართლების უფლება თუ კიდევ გამაჩნდა, რომ სმას სრულიად მიუჩვეველი ვიყავი და პირველივე ჭიქამ დამათრო, რომელიც (თითქოს) დავლიე მათ მოსვლამდე, როცა hotel de paris-ში ხუთი საათიდან ექვს საათამდე ვიცდიდი. ბოდიშს უპირატესად სიმონოვს ვუხდიდი. მასვე ვთხოვდი, ჩემი ახსნა-განმარტებანი ყველასთვის გადაეცა, განსაკუთრებით ბვერკოვისთვის, რომელსაც, „თითქოს სიზმარივით მახსოვდა“, მგონი, ვაწყენინე. ისიც დავემატე, რომ ყველას თავად ვეახლებოდი, მაგრამ თავი მტკიოდა, უფრო მეტად კი, მრცხვენოდა. განსაკუთრებით კმაყოფილი დავრჩი „ერთგვარი სიმსუბუქისა“, ლამის დაუდევრობისა (თუმცაღა სავსებით თავაზიანისა), რაც ჩემს ნაწერს უეცრად დააჩნდა და მათ ყოველგვარ მტკიცებაზე უკეთ, ერთბაშად მიახვედრებდა, რომ „გუშინდელ სისაძაგლეს“ საკმაოდ უმფოთველად აღვიქვამდი, განადგურებული სრულიადაც არ გახლდით, როგორც ალბათ იმ ბატონებს ეგონათ და, პირიქით, ისე აღვიქვამდი, როგორც თავისი თავის თავდაჯერებულად პატივისმცემელ ჯენტლმენს შეეფერება. ანუ სასაყვედუროც არაფერი მქონდა.

- აქ ხომ მარკიზის თავანწყვეტილობაც კი არის[58]! - თავს ვიწონებდი, როცა ბარათი გადავიკითხე, - იმის გამო, რომ განვითარებული და განათლებული ვარ! სხვანი ჩემს ადგილას ვერ მოისაზრებდნენ, გასაჭირისგან თავი როგორ დაეღწიათ, ხოლო მე თავი დავიძვრინე და არხეინად ვარ, სწორედ იმიტომ, რომ „ჩვენი ღროის განათლებული და განვითარებული კაცი გახლავართ“. ეს ხომ გუშინ ღვინის სმისგან დამემართა. ჰმ... არა, ღვინის სმისგან არ დამმართნია. არაყი ხომ სულაც არ დამიღევი, როცა მათ ხუთი საათიდან ექვს საათამდე ვუცდიდი. სიმონოვთან გასაგზავნ ბარათში ვიცრუე, უსინდისოდ ვიცრუე, მაგრამ ამის გამო ახლა არ მრცხვენია.

თუმცაღა, ყველაფრისთვის მიმიფურთხებია! მთავარია, რომ თავი დავიძვრინე.

ბარათში ექვსი რუბლი ჩავდე, დავბეჭდე და აპოლონს ვთხოვე, რომ სიმონოვისთვის მიეტანა. აპოლონმა როცა შეიტყო, რომ ბარათში ფული იდო, ჩემდამი მოკრძალებით განეწყო და ბარათის წაღებაზე დამთანხმდა. საღამოთი სასეირნოდ გავედი. ნაბახუსევზე თავი კიდევ მტკიოდა და მიბჟუოდა. მაგრამ რაც უფრო საღამოვდებოდა და ბინდი რაც უფრო მუქდებოდა, მთაბეჭდილებანი და მათთან ერთად აზრებიც მით უფრო მეცვლებოდა და მეზღანდებოდა. ჩემს არსებაში, გულისა და სინდისის სიღრმეში, რაღაც არ ქრებოდა, გაქრობა არ ენადა და უზომო სევდით მავსებდა. უპირატესად ყველაზე ხალხმრავალ, სამრეწველო ქუჩებზე, მეშჩანსკაიაზე, სადოვაიაზე, იუსოპოვის ბაღთან დავეხეტებოდი. ამ ქუჩებზე აღმა-დაღმა სიარული ყოველთვის განსაკუთრებით შებინდებისას მიყვარდა, სწორედ მაშინ, როცა სამუშაოს დასრულების შემდეგ ტალღად მოდიოდნენ შინ მიმავალი, შენუხებული, ლამის ბრაზის გამოშხატველი სახის მქონე მუშები და ხელოსნები. სწორედ ეს უნიათო ალიაქოთი და უსახური პროზაულობა მომწონდა. ამჯერად ქუჩის ფორიაქი უფრო მეტად მაღიზიანებდა. თავს ვერა და ვერ მოვერიე. გულში რაღაც მტკივნეულად მომიზღვავდა და აღარ მინელდებოდა. შინ მთლად ნერვებაწენილი დავბრუნდი, გულს თითქოს რაღაც დანაშაული მიმძიმებდა.

ის აზრი გამუდმებით მტანჯავდა, რომ ლიზა მოვიდოდა. უცნაური ის გახლდათ, რომ გუშინდელი მოგონებებიდან ლიზას გახსენება განსაკუთრებით, გამორჩეულად მანამებდა. სხვა ყოველივე საღამოს დადგომამდე უკვე მთლიანად მიმავიწყდა, ხელი ჩაქნეული მქონდა და სიმონოვთან გაგზავნილი ბარათით კმაყოფილება ჯერაც არ გამწვანებოდა. ლიზას გამო კი კმაყოფილი არ გახლდით. მხოლოდ მის გამო ვიტანჯებოდი. „რა უნდა ვქნა, თუ მოვა? - ვფიქრობდი განუწყვეტლივ. დიდი ამბავი, კარგი, მოვიდეს. სათაკილო მხოლოდ ის არის, რომ ნახავს, როგორ ვცხოვრობ. გუშინ მის წინაშე თავი გმირად წარმოვაჩინე... ახლა კი, ჰმ! საძაგლობაა, ასე რომ დავკნინდი. ჩემს ბინაში სიღატაკეა. გუშინ ასეთი ტანსაცმლით ვახშამზე რამ წამიყვანა? ჩემი მუშამბის დივნიდან ნეჭაა გამოჩრილი! ხალათი ხომ ისეთი მაქვს, არ ჩაიცმება! მთლად დაძონძილია... ჰოდა, ლიზა ყველაფერს ნახავს. აპოლონსაც ნახავს. ეს პირუტყვი ლიზას ალბათ შეურაცხყოფს. აუხირდება, რათა გამაღიზიანოს. ხოლო მე, რა თქმა უნდა, ჩვეულებისამებრ, სიმხდალეს გამოვიჩენ, ლიზას წინ ცუნცულს დავინყებ, ხალათის კალთებს მოვიფარებ, ტუჩებს ღიმილით ყურებამდე გავიხევი. ოჰ, რა სისაძაგლეა! ხოლო უმთავრესი სისაძაგლე ეს არ არის! აქ სხვა რამ არის უმთავრესი, უსაძაგლესი, უსაზიზღრესი! დიახ, უსაზიზღრესი! ისევ უღირსობის, სიცრუის ნიღაბი უნდა მოვირგო!..“

ამ აზრამდე რომ მივედი, ავპილპილდი: „უღირსობა რატომაა? რანაირი უღირსობაა? გუშინ გულწრფელად ვლაპარაკობდი. მახსოვს, რომ ნამდვილი გრძნობით ვიყავი აღვსილი. მინდოდა, რომ მის გულში კეთილშობილური გრძნობა აღმედრა... კარგია, რომ ატირდა, ეს სასიკეთოდ იმოქმედებს...“

მაგრამ მაინც ვერა და ვერ დავმშვიდდი.

მთელი იმ საღამოს განმავლობაში, როცა უკვე შინ დავბრუნდი, ცხრა საათის შემდეგაც კი, როცა ლიზა სავარაუდოდ აღარ შეიძლებოდა რომ მოსულიყო, იგი მაინც სულ თვალწინ მედგა და, რაც მთავარია, სულ ერთსა და იმავე ვითარებაში მახსენდებოდა. გუშინდლიდან, სახელდობრ, ერთი მომენტი განსაკუთრებული სიცხადით წარმომესახებოდა: როცა ოთახი ასანთით გავანათე და მისი ფერმიხდილი, მოღრეცილი სახე და ტანჯვის გამოშხატველი მზერა დავინახე. იმ წუთას რა შესაბრალისი, როგორი არაბუნებრივი, როგორი მოღრეცილი ღიმილი ჰქონდა. მაშინ არ ვიცოდი, რომ თხუთმეტი წლის შემდეგაც კი მაინც სწორედ ეს შესაბრალისი, მოღრეცილი, უმისამართო ღიმილი გამახსენდებოდა, ლიზას იმ წუთას რომ ჰქონდა.

მეორე დღეს უკვე მზად ვიყავი, ეს ყოველივე უაზრობად, ნერვიულობისგან გამონწვეულად, ხოლო, რაც მთავარია, გაზვიადებულად მიმეჩნია. ეს ჩემი სუსტი მხარე ყოველთვის შეცნობილი მქონდა და ამისი ზოგჯერ ძალიან მეშინოდა: „ყველაფერს ვაზვიადებ და ამის გამო მოვიკოჭლებ“, - გულში ვიმეორებდი ჟამიდან ჟამამდე. მაგრამ მაინც, „ლიზა ალბათ მაინც მოვა“ - აი მისამღერი, რითაც ჩემი მაშინდელი მსჯელობანი მთავრდებოდა. ისეთი აფორიაქებული ვიყავი, რომ ზოგჯერ გავცოფდებოდი ხოლმე: „მოვა! აუცილებლად მოვა!“

- შევძახებდი და ოთახში გავრბი-გამოვრბოდი, - დღეს თუ არა, ხვალ მოვა, უსათუოდ მომძებნის! ასეთია ამ უმანკო გულის მქონეთა წყეული რომანტიზმი! ო საზიზღრობავ, ო უგუნურობავ, ო შეზღუდულობავ, „სადაგელი სენტიმენტალური სულის მქონეებისავ“! ეს რა ძნელი მისახვედრია, განა ეს ძნელი მისახვედრია?“ - აქ კი თავად ვჩერდებოდი, თანაც ძალზე შეცბუნებული.

„ამასთანავე რა ცოტა რამის თქმა არის საჭირო, - გამიელვებდა გონებაში, - როგორი მცირედი იდილია (თანაც მოჩვენებითი, წიგნისმიერი, შეთხზული იდილია) არის საჭირო, რათა ადამიანის სული და გული შენებურად შემოაბრუნო. ო უმანკოებავ, ნიადაგის უმნიკვლოებავ!“

ზოგჯერ გავიფიქრებდი, რომ მასთან თავად მივსულიყავი, „ყველაფერი მომეთხრო“ და მეთხოვა, რომ ჩემთან არ მოსულიყო. მაგრამ ამას გავიფიქრებდი თუ არა, ისეთი ბრაზი მომეძალეობდა, რომ „წყეულ“ ლიბას გავქელავდი, ჩემს სიახლოვეს უცებ რომ გამოჩენილიყო, გამოვლანძღავდი, მივაფურთხებდი, გავაგდებდი, სილას გავანწავდი!

თუმცაღა, გავიდა ერთი დღე, ორი დღე, სამი დღე, ლიბა კი არ მოდიოდა. ჰოდა, თანდათან ვმშვიდდებოდი. განსაკუთრებით ცხრა საათის შემდეგ გავმხნევედებოდი და გავხალისდებოდი ხოლმე, ზოგჯერ კი ოცნებაც მომევიწინებოდა, თანაც საკმაოდ ტკბილი ოცნება: „მაგალითად, ლიბას სწორედ იმით ვიხსნი, რომ ჩემთან ივლის, ხოლო მე ვესაუბრები... განვაფიქრებ, განვანათლებ. ბოლოს შევამჩნევ, რომ შევეყვარდები, მხურვალედ შევეყვარდები. ხოლო მე თავს მოვაჩვენებ, რომ ამას ვერ მივმხვდარვარ (თუმცაღა, არ ვიცი, ეს რატომ უნდა მოვაჩვენო, ალბათ შესაღამაზებლად). ბოლოს იგი უბოროდ დარცხვენილი, დამმვენებული, თრთოლვით და ქვითინით ჩემ წინაშე მუხლებზე დაემხო და მეტყვის, რომ მე მისი მხსნელი ვარ და ამქვეყნად ყველაზე მეტად ვუყვარვარ. მე გავოცდები, მაგრამ... „ლიბა, - ვეტყვი შემდეგ, - ნუთუ გგონია, რომ შენს სიყვარულს ვერ ვამჩნევდი? ყველაფერს ვხედავდი, ყველაფერს მიხვდი, მაგრამ ვერ ვხედავდი, რომ შენს გულს თავდაპირველად მე დავუფლებოდი, რადგან შენზე გავლენა მქონდა და ვშიშობდი, რომ მადლიერების გამო თავს განზრახ აიძულებდი, ჩემი სიყვარულისთვის სიყვარულითვე განზრახ გეპასუხა, გულში ნაძალადევად აღძრავდი გრძნობას, რაც, შესაძლოა, არ გაგაჩნდა, ხოლო მე ეს არ მსურდა, რადგან ასეთი რამ... დესპოტიზმია... ეს არადელიკატურია (ერთი სიტყვით, ერთგვარად ევროპული, ჟორჟ-სანდისებური, ენით აუნერული, კეთილშობილური სინატიფით გადავამლაშე...) მაგრამ ახლა, ახლა შენ ჩემი ხარ, ჩემი ქმნილება, უმანკო, მშვენიერი არსება... ჩემი მშვენიერი მეუღლე. მერე ცხოვრებას ვიწყებთ, უცხოეთში მივემგზავრებით და ასე შემდეგ“, მოკლედ ეს ოცნება თავადვე ზიზღს მგვრიდა და იმით ვასრულებდი, რომ თავს ვილანძღავდი.

„ამ უნამუსოს ხომ არც გამოუშვებენ, - ახლა ამას გავიფიქრებდი, - იმათ ხომ, მგონი, გარეთ იოლად არ უშვებენ, მით უმეტეს საღამოობით (რატომღაც მეგონა, რომ იგი საღამოთი, სახელდობრ, შვიდ საათზე უნდა მოსულიყო). თუმცაღა, მითხრა, იქ მთლად უღელდადგმული არა ვარ, განსაკუთრებული უფლებანი მაქვსო. მაშასადამე, ჰმ! ეშმაკმა დალახვროს, მოვა, უსათუოდ მოვა!“

კიდევ ვარგი იმჟამად აპოლონი უხეშობით მართობდა. მოთმინებას მაკარგვინებდა! ის ჩემი სატანჯველი, ბედისწერით მოვლენილი სასჯელი გახლდათ. ერთმანეთს წლიდან წლამდე ვგესლავდით და იგი მძულდა. ღმერთო ჩემო, რანაირად მძულდა. მთელ სიცოცხლეში, მგონი, ასე არავინ მძულებია, განსაკუთრებით ზოგიერთ წუთს. ხანდაზმული კაცი იყო, მედიდური, დროდადრო თერძობდა. რატომღაც ვეზიზღებოდი, თანაც უსაზღვროდ და მედიდურად მეპყრობოდა. თუმცაღა, ყველას მედიდურად ეპყრობოდა. მის მოთეთრო, უფერულ, გადავარცხნილ-გადატკეცილ თმას, შუბლზე ჩამონეულ, გაბუებულ, ზეთნაცხებულ კოკს,[59] ერთთავად ჩამოჩაჩულ ქვედა ტუჩს მეხედავდით თუ არა, უმაღლ იგრძნობდით, რომ თქვენ წინაშე იყო არსება, ვისაც თავისი უპირატესობა არასოდეს ეეჭვებოდა. ეს გახლდათ უკიდურესი პედანტი, ამქვეყნად ვინც კი შემხვედრია, თანაც ისეთი თავმოყვარე, მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელს რომ შეეფერებოდა. თავის ყოველ ღილზე, ყოველ ფრჩხილზე იყო შეყვარებული - სიყვარულით დასციცინებდა! მე დესპოტურად მეპყრობოდა, ძალზე იშვიათად მელაპარაკებოდა, ხოლო როცა შემომხედავდა, ჯიქურ, მედიდური თვითკმაყოფილებით მიცქეროდა და დამცინავი მხერით შემათვალისწინებდა, რაც ჩემს გაცოფებას იწვევდა. თავის მოვალეობას

ისე ასრულებდა, თითქოს ჩემდამი უდიდესი მოწყალების გამღები იყო. თუმცაღა ჩემთვის თითქმის არაფერს აკეთებდა და თავი მოვალედ არც მიაჩნდა, რომ ეკეთებინა. უეჭველი გახლდათ, რომ ამქვეყნად ყველაზე უტუტუცესად მივაჩნდი და „ჩემს სიახლოვეს მხოლოდ იმიტომ იტანდა“, რომ ყოველთვიურად ხელფასის მიღება შეძლებოდა. თანახმა იყო, თვეში შვიდ რუბლად, „არაფერი ეკეთებინა“. ამის გამო მე ბევრი ცოდვა მიმეტევება. სიძულვილი ბოგჯერ ისე მომეძალებოდა, მისი ფეხის ხმის გაგონებაც კი კრუნჩხვას მგვრიდა. ხოლო განსაკუთრებით მისი ჩლიფინი მეზიზღებოდა. ენა ზომამე ცოტათი გრძელი ჰქონდა, თუ რაღაც ამგვარი სჭირდა, ამიტომ ერთთავად ჩლიფინებდა, ენის მოჩლექით ლაპარაკობდა და, მგონი, ამით დიდად ამაყობდა, ეგონა, რომ ეს განსაკუთრებულ ღირსებას მატებდა. ლაპარაკობდა წყნარად, დინჯად, ბურგს უკან ხელებმემოწყობილი და თვალედახრილი. განსაკუთრებით ვცოფდებოდი, როცა ტიხარს იქით დავითნის კითხვას დაიწყებდა. ამ კითხვის გამო დიდი დავიდარაბა გამოვიარე. მას კი საღამოობით უსაზღვროდ უყვარდა კითხვა წყნარი, თანაბარი ხმით, წამღერებით, როგორც მიცვალებულს უკითხავენ ხოლმე. საინტერესოა, რომ მან კიდევაც ამით დაასრულა: ამჟამად მიცვალებულებს დავითნს ქირით უკითხავს, ამასთანავე ვირთაგვებს ხოცავს და ვაქსს ამზადებს. მაგრამ მაშინ თავიდან ვერ მომეშორებინა, თითქოს ჩემს არსებასთან ქიმიურად იყო შერწყმული. ამასთანავე ჩემგან წასვლას თავად არაფრის დიდებით დათანხმდებოდა. მე შამბრგარნში[60] ვერ ვიცხოვრებდი. ჩემი ბინა ჩემი ნაჭუჭი, ჩემი ფუტლარი გახლდათ, რაშიაც მთელ კაცობრიობას ვემალებოდი, ხოლო აპოლონი, ეშმაკმა უწყის რატომ, ამ ბინის კუთვნილად მიმაჩნდა და შვიდ წელიწადს ვერა და ვერ მოვიშორე.

მისთვის ორი-სამი დღით ხელფასის დაგვიანება შეუძლებელი რამ გახლდათ. ისეთ ამბავს ამიტყებავდა, აღარ ვიცოდი, სად გავქცეულიყავი. მაგრამ იმ დღეებში ყველაზე ისე ვიყავი გაბრაზებული, რომ გადავწყვიტე, აპოლონი რატომღაც დამესაჯა და ხელფასი ორი კვირა არ მიმეცა. ამას დიდი ხნის, ორი წლის წინვე ვაპირებდი მხოლოდ იმიტომ, რომ ველარ გაეხედა მედიდურად მომპყრობოდა და დამემტკიცებინა, რომ თუ მოვისურვებდი, ყოველთვის შევძლებდი მისთვის ხელფასი არ მიმეცა. გადავწყვიტე, მისთვის ეს არ მეთქვა და სიტყვა განზრახ არ დამეძრა, რათა მისი ამპარტავნობა დამეძლია და იძულებული გამეხადა, ხელფასის თაობაზე თავად დამლაპარაკებოდა. მაშინ უჭრიდან შვიდ რუბლს ამოვიღებდი, ვაჩვენებდი, რომ განზრახ მქონდა გადადებული, მაგრამ „არ მინდოდა, დიახ, არ მინდოდა, მისთვის ხელფასი მიმეცა, იმიტომ არ მინდოდა, რომ ასე მსურდა“, რადგან ეს „ჩემი - ბატონის ნება-სურვილი გახლდათ“, იმიტომ არ მინდოდა, რომ იგი პატივს არ მცემდა, იმიტომ, რომ უხეში იყო, მაგრამ თუ მოწინებით მთხოვდა, გულს მოვილობოდი და მივცემდი, თუ არადა, ორ კვირას მომიცდიდა, სამ კვირას მომიცდიდა, მთელ თვეს მომიცდიდა...

ძალიან ბრაზმორეული კი ვიყავი, მაგრამ მაინც აპოლონმა გაიმარჯვა. თავის შეკავება ოთხ დღესაც ვერ შევძელი. მან იმით დაიწყო, რითაც ყოველთვის იწყებდა ამგვარ ვითარებაში, რადგან ამგვარი ვითარებანი ადრეც ყოფილა, ნაცადი ჰქონდა (ალვნიშნავ, რომ ეს ყოველივე ვუნყოფი, მისი გარეწრული ტაქტიკა ზეპირად ვიცოდი), სახელდობრ, იმით იწყებდა, რომ უმკაცრეს მზერას მომაპყრობდა და რამდენიმე წუთს თვალს არ მომაცილებდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა შინ დაბრუნებულს შემხვდებოდა, ანდა შინიდან გასვლისას მიმაცილებდა. თუ ამ მზერას გავუძლებდი და მოვაჩვენებდი, რომ მის შემოხედვას ვერ ვამჩნევდი, ადრინდებულად მდუმარედ იწყებდა მომდევნო ტანჯვა-წამებებს. უეცრად, ყოველგვარი საბაბის გარეშე, ჩემს ოთახში წყნარად, ნელი ნაბიჯით შემოვიდოდა, როცა რაღაცას ვსაქმიანობდი, ანდა ვკითხულობდი, კართან გაჩერდებოდა, ერთ ხელს ბურგს უკან ამოიდებდა, ფეხს განზე გადგამდა და ამჯერად მართო მკაცრს კი არა, ზიზღის გამომხატველ მზერას მომაპყრობდა. თუ, ვთქვათ და, შევეკითხებოდი, რა გინდა-მეთქი? - არაფერს მიპასუხებდა, ჭიქურ ყურებას რამდენიმე წამს კიდევ განაგრძობდა, ტუჩებს განსაკუთრებულად, მრავალმნიშვნელოვნად მოკუმავდა, ნელ-ნელა შეტრიალდებოდა და თავის ოთახში აუჩქარებლად შევიდოდა. ორი საათის შემდეგ უცებ კვლავ გამოვიდოდა და კვლავ ჩემთან შემოვიდოდა. ხან ისე ვიყავი გაცეცხლებული, აღარც ვეკითხებოდი, რა უნდოდა, თავს სწრაფად და მბრძანებლურად ავწევდი და მეც ჭიქურ მივაშტერდებოდი. ერთმანეთს ორიოდ წუთს ასე ვუყურებდით. ბოლოს იგი ნელა და მედიდურად შეტრიალდებოდა და კვლავ ორი საათით მომშორდებოდა.

თუ ამით ვერაფერს შთამაგონებდა და არ დავმორჩილდებოდი, უცებ ოხვრას დაიწყებდა, თან მიყურებდა და თან ხანგრძლივად, ღრმად ოხრავდა, თითქოს ამგვარი ოხვრით ჩემი ბნეობრივი დაცემის უკიდევანობას გამოხატავდა. რა თქმა უნდა, ყოველივე იმით დასრულდებოდა, რომ საბოლოოდ მძლევდა. მე გავცოფდებოდი, ავყვირდებოდი, მაგრამ დასასრულ მაინც იძულებით ვაკეთებდი იმას, რის გამოც დავიდარაბა გვექონდა გამართული.

ამჯერად „მკაცრ მზერათა“ მანევრები ჩვეულებისამებრ დაიწყო თუ არა, უმაღვე გავცეცხლდი და გააფთრებით შევუტიე.

- შეჩერდი! - დავეყვირე გაშმაგებით, როცა ბურგს უკან ხელშემოდებული ნელა, მდუმარედ შეტრიალდა, რათა თავისი ოთახისკენ წასულიყო, - შეჩერდი! უკან დაბრუნდი, უკან დაბრუნდი-მეთქი! - ალბათ ისე არაბუნებრივად დავიღრიალე, რომ შემოტრიალდა და გაოცებით შემომაცქერდა. თუმცაღა, ხმა მაინც არ ამოუღია, რაც ასერიგად მაცოფებდა.

- როგორ ბედავ, რომ უკითხავად შემოდინხარ და ასე მიყურებ? მიპასუხე!

მაგრამ მან მშვიდად შემომხედა, ნახევარ წუთს მიცქირა და კვლავ წასასვლელად შეტრიალდა.

- შეჩერდი! - დავიღრიალე და მისკენ გავექანე, - ფეხი არ მოიცვალო! ასე. ახლა მიპასუხე: რატომ შემოხვედი და რატომ მიყურებდი?

- თუ ახლა გინდათ, რომ რამე მიბრძანოთ, ჩემი მოვალეობა ბრძანების შესრულებაა, - მიპასუხა მან ჩლიფინით, წყნარად და აუჩქარებლად, მერე კვლავ გაჩუმდა, წარბები აზიდა და თავი ერთი მხრიდან მეორე მხარეს გადახარა. თანაც ყოველივე შემზარავი სიმშვიდით მოიმოქმედა.

- ამას არ გეკითხები, ამას არ გეკითხები, ჯალათო! - დავეყვირე ბრაზისგან აცახცახებულმა. - თავად გეტყვი, ჯალათო, აქ რისთვისაც შემოდინხარ: ხედავ, რომ ხელფასს არ გაძლევ, ამპარტავნობისგან თავი ვერ მოგიდრეკია და ვერ გითხოვია. ამის გამო ბრიყვული მზერით მანამებ, მტანჯავ და ვერ მიმხვდარხარ, ჯალათო, ეს როგორი სირეგვნეა, სირეგვნეა, სირეგვნეა, სირეგვნეა, სირეგვნეა!

მან კვლავ ხმაამოუღებლად შეტრიალება დააპირა, მაგრამ ხელი ვტაცე.

- ყური მიგდე, - ვუთხარი ყვირილით, - აი, ფული, ხედავ, აი, ფული! (მაგიდის უჯრიდან ფული ამოვიღე) აქ შვიდი რუბლია, მაგრამ არ მოგცემ, მა-ნამ-დე არ მოგცემ, სანამ მოწინებით არ შემოხვალ, დანაშაულის აღიარებით თავს არ დახრი და პატიებას არ მთხოვ. ხომ გაიგონე!

- ეს არ მოხდება! - მიპასუხა მან არაბუნებრივი თავდაჯერებულობით.

- მოხდება! - შევეყვირე მე. - ვფიცავ, რომ მოხდება!

- პატიების სათხოვნელი არაფერი მაქვს, - ისე განაგრძო მან, თითქოს ჩემი ყვირილი არც გაეგონოს, - იმიტომ, რომ „ჯალათი“ თავად მიწოდეთ, რის გამოც ყოველთვის შემიძლია, უბანში მივიდე და შეურაცხყოფისთვის გიჩივლოთ.

- წადი! მიჩივლე! - დავიღრიალე მე, - ახლავე გასწი, ამ წუთას, ამ წამს: მაგრამ მაინც ჯალათი ხარ! ჯალათი! ჯალათი! - მაგრამ მან მხოლოდ შემომხედა, მერე შეტრიალდა, ჩემს ძახილს ყური აღარ ათხოვა და თავისი ოთახისკენ აუჩქარებლად ისე გაემართა, უკან აღარ მოუხედავს.

„ლიზას რომ არ გადავყროდი, ამგვარი რამ არ მოხდებოდა!“ - დავასკვენი გულში. მერე ერთ წუთს გავჩერდი და მასთან, ფარდის იქით, მედიდურად თავანული, მაგრამ გულაძგერებული შევედი.

- აპოლონ! - ვუთხარი დინჯად და ხმის აუმაღლებლად, მაგრამ სულშეხუთულად, - უბნის ზედამხედველთან ახლავე, დაუყოვნებლივ წადი!

იგი უკვე მაგიდას მისჯდომოდა, სათვალე გაეკეთებინა და რაღაცის კერვას შესდგომოდა, მაგრამ ჩემი ბრძანება გაიგონა თუ არა, უცებ ჩაიცინა.

- ახლავე, ამ წუთას წადი! თორემ ვერც წარმოიდგენ, რას დაგმართებ!

- ნამდვილად სრულ ჭკუაზე არა ხართ, - მითხრა მან ჩიფჩიფით, აუჩქარებლად, ისე, რომ თავი არც აუნწვია და ნემსში ძაფის გაყრას მიუბრუნდა, - სად გაგონილა, ვაცი უფროსობასთან საკუთარ თავს უჩიოდეს? ხოლო მუქარაზე გეტყვით, რომ თავს ტყუილად ნუ აიტკივებთ, არაფერსაც არ მოიმოქმედებთ.

- გასწი! - დავიკვივლე მე და მხარში დავწვდი. ვიგრძენი, რომ წამიც და გავარტყამდი. ამ დროს კი არ გამიგონია, რომ წინკარში შემომავალი კარი წყნარად, ნელა გაიღო, ვილაც შემოვიდა, შეჩერდა და შეცბუნებულმა შეგვათვალა. მე იქით გავიხედე, გული სირცხვილისგან გამიკრთა და ჩემს ოთახში შევვარდი. იქ ორივე ხელი თმაზე ვიტაცე, თავი კედელს მივაყრდნე და გავილურსე.

ორი წუთის შემდეგ აპოლონის ფეხის ხმა გავიგონე. იგი ოთახში ნელა შემოვიდა.

- თქვენთან ვილაც ქალია მოსული, - მითხრა მან, ძალზე მკაცრად შემომხედა, მერე განზე გადგა, ოთახში ლიზა შემოუშვა, მაგრამ წასვლას არ აპირებდა, დამცინავად გვათვალა.

- წადი! წადი! - ვუბრძანე თავგზააბნეულმა. ამ დროს ჩემმა საათმა დაიჟღერია და შვიდჯერ ხიხინით დარეკა.

IX

ლიზას წინაშე დათრგუნული, ნირნამხდარი, თავლაფდასხმული ვიდექი და, მგონი, ვიღიმებოდი, დაძონძილი ბამბის ხალათის კალთებით მუხლებს ვაივავლახით ვიფარავდი, ზუსტად ისე, როგორც ახლახან სულიერად განადგურებულმა წარმოვისახე. აპოლონი თავს გვედგა ორ წუთს და წავიდა, მაგრამ ამის გამო შვება არ მიგრძენია. ყველაფერზე უარესი კი ის იყო, რომ ლიზამ უცებ დაიმორცხვა, რასაც არ ველოდი. რა თქმა უნდა, ჩემმა შემყურემ დაიმორცხვა.

- დაჯექი, - ვუთხარი ანგარიშმიუცემლად და სკამი მაგიდასთან მივუდგი, თავად კი დივანზე ჩამოვჯექი. იგი უმაღლვე მორჩილად დაჯდა და შემომამტერდა. აშკარა გახლდათ, რომ ჩემგან ახლა რაღაცას მოელოდა. მე სწორედ ამ მიაბიტურმა მომლოდინეობამ გამამშაგა, მაგრამ თავი შევიკავე.

ლიზას თავი ისე უნდა დაეჭირა, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა, თითქოს ყოველივე ჩვეულებრივად ხდებოდა, ხოლო მან... იდუმალად ვიგრძენი, რომ ამას არ შევარჩენდი.

- ლიზა, შენ უცნაურ ვითარებაში შემესწარი, - წამოვიწყე ბორძიკით, თანაც ვიცოდი, რომ სახელდობრ ასე არ უნდა დამეწყო.

- არა, არა, ისეთი ნურაფერი გეგონება! - შევძახე, როცა შევამჩნიე, რომ უცებ განითლდა, - ჩემი სიღატაკისა არ მრცხვენია... პირიქით, სიღატაკე მემამყება კიდევაც. მე ღატაკი, მაგრამ კეთილშობილი ვარ... ღატაკი შეიძლება კეთილშობილი იყოს, - ვბუტბუტებდი უთავბოლოდ. - ჩაის დალევ?

- არა... - წამოიწყო მან.

- მოიცა!

მე წამოვხტი და აპოლონისკენ გავექანე. სადმე ხომ უნდა გავძურწულიყავი.

- აპოლონ, - ავჩურჩულდი სწრაფად და აღგზნებით, თანაც მაგიდაზე შვიდი რუბლი დავუდგი, აქამდე მუჭაში რომ მქონდა ჩაბღუჯული, - აჰა, შენი ხელფასი. ხომ ხედავ, რომ გაძლევ, სამაგიეროდ უნდა მიშველო: სამიკიტნოდან ჩაი და ათი ორცხობილა სასწრაფოდ მომიტანე. თუ წასვლას არ ინდომებ, გულს მომიკლავ! შენ არ იცი, ეს რა ქალია... იქნებ რაღაც გგონია... მაგრამ ხომ არ იცი ეს რა ქალია!..

აპოლონი მუშაობას უკვე შესდგომოდა, სათვალე გაეკეთებინა და ნემსი მოემარჯვებინა. ნემსი არც დაუდვია, ფულს თვალი ისე შეავლო. ჩემკენ არ გამოუხედავს და არც პასუხი გაუცია, კვლავ ნემსის ყუნწში ძაფის გაყრას ცდილობდა. მე სამიოდე წუთს ვუცდიდი, თავს ვედექი a la Napoleon[61] გულხელდაკრებილი. საფეთქლები ოფლით მქონდა დაცვარული, ვგრძნობდი, რომ გაფითრებული ვიყავი. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ასეთ დღეში მყოფი შევებრალე. ნემსის ყუნწში ძაფი, როგორც იქნა, გაუყარა, ნელა წამოდგა, სკამი გვერდზე ნელა გასწია, სათვალე ნელა მოიხსნა, ფული ნელა დათვალა, ბოლოს პირი მოაბრუნა და არც შემოუხედავს, ისე შემეკითხა, მთელი ულუფა წამოვიღო? ოთახიდანაც ნელა გავიდა. ლიზასთან წამოსასვლელად როცა გამოვბრუნდი, გზად გავიფიქრე, იქნებ ასე, როგორც ვარ, ხალათის ამარა გავიქცე, სადმე გადავიკარგო და მერე რა მოხდება, აღარ დაგიდევთ-მეთქი. ჩემს ოთახში როცა შევედი, კვლავ დივანზე ჩამოვჯექი. ლიზა მოუსვენრად მიცქეროდა. რამდენიმე წუთს ვდუმდით.

- მოვკლავ! - უცებ შევყვირე და მაგიდას მუშტი ისე მძლავრად დავარტყი, რომ სამელნიდან მელანი გადმოშხეფდა.

- ოჰ, რა დაგემართათ! - შესძახა შემკრთალმა ლიზამ.

- მოვკლავ! მოვკლავ! - გავვიოდი და მაგიდას მუშტს გაშმაგებით ვუბაგუნებდი, თანაც ვიცოდი, რომ ასერიგად გაშმაგება უგუნურება გახლდათ.

- ლიზა, შენ ხომ არ იცი, ეს ჯალათი რა დღეში მაგდება. ის ჩემი ჯალათია. ახლა ორცხობილის მოსატანად არის წასული. ის ხომ...

უეცრად ცრემლები წამსკდა. ნერვიული შეტევა დამეწყო. სლუკუნსა და სლუკუნს შორის სირცხვილი გულს მითუთქავდა, მაგრამ თავის შეკავება არ შემეძლო. ლიზა შეშინდა.

- რა დაგემართათ! რა დაგემართათ! - გაიძახოდა და თავს დამტრიალებდა.

- წყალი, წყალი მომანოდე, აგერ იქ არის! - ვბუტბუტებდი მისუსტებული ხმით, თუმცა ვიცოდი, არც წყალი მესაჭიროებოდა და არც მისუსტებული ხმით უნდა მებუტბუტა. მაგრამ თავი ბრდილობის გულისთვის მოვიავადმყოფე. თუმცაღა, შეტევა წამდვილად მქონდა.

ლიზამ წყალი მომიტანა. დაბნეული მიყურებდა. იმ წუთას აპოლონმა ჩაი შემოიტანა. უცებ მომეჩვენა, რომ ეს ჩვეულებრივი, პროზაული ჩაი იმჟამინდელი ვითარებისთვის ძალზე შეუფერებელი, უმცირესი რაღაც იყო და გავნითლდი. ლიზა აპოლონს შეშინებული უცქეროდა. ხოლო აპოლონი ოთახიდან ისე გავიდა, ჩვენთვის არც შემოუხედავს.

- ლიზა, გეზიზღები? - ვუთხარი გულმდუღარედ და ჭიქურ შევხედე, მოუთმენლობისგან ვთრთოდი, ისე მენადა, რომ შემეტყო, რას ფიქრობდა.

იგი შეცბუნდა და პასუხის გაცემა ვერ შეძლო.

- ჩაი დალიე! - ვუთხარი ბრაზიანად. ჩემს თავზე ვბრაზობდი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჯოხი იმაზე უნდა გადამეტეხა. გული მის მიმართ ისეთი მრისხანებით ამევსო, ალბათ მოსაკლავადაც არ დავინდობდი. რათა მასზე შური მეძია, გულში დავიფიცე, რომ არ დაველაპარაკებოდი, ერთ სიტყვასაც არ ვეტყოდი.

„ყველაფრის მიზეზი ის არის“, - ვფიქრობდი ბოლმიანად.

ჩვენმა დუმილმა ათიოდე წუთს გასტანა. ჩაი მაგიდაზე პირდაუკარებლად იდგა. მე ისე გავშმაგდი, რომ გადავწყვიტე, ჩაის დალევა განზრახ არ დამეწყო, რათა იგი უფრო მეტად გამეწამებინა. ხოლო მას ეუხერხულებოდა, რომ ჩაის სმას თავად შედგომოდა. საგონებელში ჩავარდნილმა რამდენიმეჯერ სევდიანად შემომხედა. მე ჭიუტად ვდუმდი. უმთავრესი მტანჯველი, რაღა თქმა უნდა, თავად გახლდით, რადგან სავსებით გაცნობიერებული მქონდა ჩემი ბრიყვული გაბოროტების სისაზიზღრე, მაგრამ თავს ვერ მოვრეოდი.

- მინდა... იქიდან... მთლად წამოვიდე, - წამოიწყო მან, რათა დუმილი რამენაირად დაერღვია. ო, საბრალო! ასეთ წუთს, ისედაც სულელურ წუთს, ჩემნაირ უგუნურთან

ლაპარაკი ამით არ უნდა დაეწყო. მისი უგერგილობის, მისი უსარგებლო პირდაპირობის გამო გული სიბრალულით მეც კი გამეწურა. მაგრამ რაღაც საზიზღრობამ სიბრალული მაშინვე დამითრგუნა, პირიქით, კიდევ უფრო წამაქება: ნუ გედარდება, თუნდაც მთელი ქვეყნიერება დაქცეულაო! ხუთი ნუთი კიდევ გავიდა.

- ხელი ხომ არ შეგიშალეთ? - წამოიწყო მან გაუბედავად, ძლივს გასაგონად და წამოდგა.

მაგრამ შეურაცხყოფილი ღირსების პირველივე გაელვებამ ისე გამამძვინვარა, რომ მყისვე შევუტიე: - ერთი ეს მიბრძანე, ჩემთან რატომ მოხვედი? - წამოვინწყე სულშეხუთულმა ისე, რომ არც გამიაზრებია, ჩემი ნათქვამი ლოგიკური იყო თუ არა. მინდოდა, ყოველივე ერთბაშად, სულმოუთქმელად დამესრულებინა და არც იმაზე მიბრუნებია, რით დავინწყებდი.

- რატომ მოხვედი? მიპასუხე! მიპასუხე! - გავკვირდი გამმაგებით. - თავად გეტყვი, ქალბატონო, რატომაც მოხვედი. იმიტომ მოხვედი, რომ მაშინ შემბრალებდ გელაპარაკებოდი. ჰოდა, განებივრდი და მოგესურვა, რომ ისევ „შემბრალებდ გელაპარაკო“. მაშ იცოდე, დიახ, იცოდე, რომ მაშინ დაგცინოდი. ახლაც დაგცინი. რას კანკალებ? დიახ, დაგცინოდი! მე შეურაცხმყვეს, ვახშამზე. იმათ შეურაცხმყვეს, თქვენთან ჩემამდე რომ მოვიდნენ. ხოლო მე თქვენთან იმიტომ მოვედი, რომ ერთი იმათგანი, ოფიცერი, მიმებეგვა. მაგრამ ეს ვერ მოვახერხე, რადგან გამასწრეს. ჯავრი ვინმეზე ხომ უნდა ამომეყარა, გული მომეოხებინა! შენ გადამეყარე და ბრაზი შენზე გადმოვანთხიე, დაგცინე. მე დამამცირეს და მინდოდა, რომ ვინმე მეც დამემცირებინა. ფეხქვეშ გამთელეს და ამის გამო, მეც მოვინდომე, რომ ვინმეზე შემბრძანებულა... აი, რა მოხდა. ხოლო შენ გეგონა, რომ მაშინ შენს სახსნელად განზრახ მოვედი, ხომ ასეა? ეს გეგონა? თქვი, ეს გეგონა?

ვიცოდი, რომ შესაძლო იყო, ლიბას თავგება აბნეოდა და ყველაფერს გამონვლილვით ვერ მიმხვდარიყო. მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ არსებითს ძალიან კარგად მიხვდებოდა. ასედაც მოხდა. იგი გაფითრდა, რაღაცის თქმა ეწადა, ბაგე ავადმყოფურად მოებრიცა, მაგრამ თითქოს მოცელესო, სკამზე დაენარცხა. მერე ერთთავად პირდაღებული, თვალებდაჭყეტილი მისმენდა, შიშისგან ბარდაცემული კანკალებდა. ცინიზმმა, ჩემი ნათქვამის ცინიზმმა დათრგუნა.

მე წამოვხტი, მის წინ გავრბი-გამოვრბოდი და გავკვირდი: - შენი ხსნა მინდოდა? რისგან ხსნა მინდოდა? თავად იქნებ შენზე უარესი ვარ. როცა გამოძღვრავდი, რატომ არ მომახალე: „შენ თვითონ ჩვენთან რატომ მოხვედი? შენი ჭკუის სწავლება ვის რად უნდა?“ ძალაუფლების მოპოვება მენადა, შენი გათამაშება მინდოდა, მსურდა, რომ ამეტირებინე, დამემცირებინე, შენი ისტერიკა მინდოდა - აი, მაშინ რა მენადა! მაგრამ მაშინ თავადაც ხომ წავიფორხილე, რადგან უვარგისი ვარ, დავფრთხი და, ეშმაკმა უწყის რატომ, მისამართი სულელურად მოგეცი. ხოლო შემდეგ, შინ დაბრუნებამდე, გზადვე, ამ მისამართის გამო ლანძღვა-გინებით აგიკელი. მძაგდი იმის გამო, რომ გატყუებდი. იმის გამო, რომ მხოლოდ სიტყვათა რახარუხი ავტეხე, ოცნება წარმოგისახე, სინამდვილეში კი იცი, რა მინდა? თავიდან რომ მომწყდე. მხოლოდ ეს მნადია! სიმშვიდე მჭირდება. იმისათვის, რომ არ მანუხებდნენ, მთელ ქვეყნიერებას ახლავე გროშ-კაპიკად გავყიდი. ქვეყნიერება დაიქცევა, ჩაის თუ არ დავლევ? მე კი ამას ვიტყვი: თუნდაც მთელი ქვეყნიერება დაიქცეს, ოღონდ მე ჩაის მუდამ ვსვამდე. იცოდი ეს, თუ არ იცოდი? მე კი ვიცი, რომ გარეწარი, არამზადა, თავკერძა და უქნარა ვარ. სამი დღე ვკანკალებდი შიშით, რომ მოხვიდოდი. იცი, ამ სამ დღეს ყველაფერზე მეტად რა მანუხებდა? ის, რომ მაშინ თავი გმირად წარმოგისახე, შენ კი უცებ ნახავდი, რომ ლატაკის დაძონძილი, საზიზღარი ხალათი მაცვია. წელან გითხარი, სილატაკისა არ მრცხვენია-მეთქი, მაგრამ იცოდე, რომ მრცხვენია, ყოველივეზე მეტად მრხვენია, ყველაფერზე მეტად მეშინია, იმაზე მეტად, რომ მექურდა, იმიტომ რომ ისეთი პატივმოყვარე ვარ, თითქოს გატყავებული ვიყო და ჰაერიც კი მტკივნეულად მეხებოდეს. ნუთუ ახლაც ვერ მიხვდი, რომ არასოდეს გაპატიებ იმას, რომ მაშინ შემომესწარი, როცა ეს ხალათი მეცვა და აპოლონს ავი ძაღლივით დავეძგერე. მხსნელი, ყოფილი გმირი ჩემს ლაქიას ქეციანი, ბანჯგვლიანი ფინიასავით ვულრენდი, ის კი დამცინოდა! იმასაც არასოდეს გაპატიებ, წელან ცრემლებს სირცხვილნაჭამი დედაკაცივით რომ ვაფრქვევდი! ახლა შენ წინაშე რასაც ვაღიარებ, ამასაც არასოდეს გაპატიებ! დიახ, ყველაფერზე პასუხისგება შენ მოგიწევს, იმიტომ რომ გზად შენ

გადამეყარე, იმიტომ რომ გარენარი ვარ, იმიტომ რომ ყველაზე წუნკალი, ყველაზე სასაცილო, ყველაზე წვრილმანი, ყველაზე სულელი, ყველაზე შურიანი ვარ ამქვეყნად ყველა ჭია-მატლზე, რომელნიც ჩემზე უკეთესნი სრულებითაც არ არიან, მაგრამ, ეშმაკმა უწყის რატომ, არასოდეს არაფრისა რცხვენიათ, ხოლო მე ყველა წვინტილიანმა უნდა ჩამიწვიპურტოს. ასეთია ჩემი ხვედრი! რა მედარდება, თუ ჩემი ნალაპარაკვიდან ვერაფერს გაიგებ! რა მედარდება, იქ დაიღუპები თუ არ დაიღუპები? იცი თუ არა, შენი სიძულვილით გული იმის გამო რომ მევსება, აქ რომ ხარ და ჩემს ნალაპარაკვს ისმენ? კაცი ხომ მთელ სიცოცხლეში გულს ასე ერთხელ თუ ამოიბერტყავს, თანაც მხოლოდ ისტერიკისას!.. სხვა რაღა გინდა? ყოველივე ამის შემდეგ თავს რაღატომ მადგახარ, რატომ მტანჯავ, რატომ არ მიდიხარ?

მაგრამ ამ დროს უცნაური რამ მოხდა.

მე წიგნისმიერად ფიქრსა და წარმოსახვას ისე ვიყავი ნაჩვევი, ამქვეყნად ყველაფერს ისე წარმოვიდგენდი, როგორც ოცნებით წინასწარ ვთხზავდი, რომ ეს უცნაური ვითარება ერთბაშად ვერ აღვიქვი. აი, რა მოხდა: ჩემგან შეურაცხყოფილი და დამცირებული ლიბა ბევრად მეტს მიხვდა, ვიდრე მე წარმოვისახავდი. იგი მიხვდა იმას, რასაც ქალი ყოველთვის, უპირველეს ყოვლისა, მიხვდება, თუ მისი სიყვარული გულწრფელია. სახელდობრ, იმას მიხვდა, რომ მეც უბედური ვიყავი. სახეზე შიშისა და წყენის ნაცვლად სევდანარევი გაოცება გამოეხატა. როცა თავს არამზადა და გარენარი ვუწოდე და ცრემლები წამსკდა (მთელი ტირადა ცრემლების ფრქვევით წარმოვთქვი), სახე აუთრთოლდა. უნდოდა, რომ წამომდგარიყო და შევეჩერებინე, ხოლო როცა დავასრულე, ყურადღება იმას კი არ მიაქცია, რომ ვუყვიროდი: „აქ რა გინდა, რატომ არ მიდიხარ-მეთქი!“ - არამედ იმას, რომ მე ამ ყველაფრის თქმა უთუოდ ძალიან მიძიმდა. საბრალო ქალი ისეთი დაბეჩავებული იყო, თავი ჩემთან შედარებით ისეთ კნინად მიაჩნდა, რომ არც გაბრაზება შეეძლო და არც განაწყენება. უცებ დაუოკებელი აღტყინება დაეუფლა, სკამიდან წამოხტა, ჩემკენ მოილტვოდა, მაგრამ მოკრძალების გამო ფეხი ვერ გადმოდგა და ხელები გამომინოდა. მაშინ გული მეც ამიფართხალდა. იგი ჩემკენ უცებ გამოქანდა, ხელები კისერზე მომხვია და ატირდა. მეც თავი ველარ შევიკავე და ისე ავქვითინდი, როგორც არასდროს ავქვითინებულვარ...

- მე არ შემადლებინეს... არ ძალმიძს... გულკეთილი რომ ვიყო! - ძლივს ამოვთქვი, მერე დივანთან მივედი, პირქვე დავემხე და თხუთმეტ წუთს ისტერიკამორეული ვქვითინებდი. ლიბა ჩემკენ დაიხარა, მომეხვია და გაირინდა.

თუმცაღა, ისტერიკას ხომ უნდა გაევილო. ჰოდა (მე ხომ შესაზიზღ სიმართლეს ვწერ), დივანზე პირქვე დამხობილი და ტყავის გაქუცულ ბალიშში თავჩარგული თანდათან, უნებურად, მაგრამ მკაფიოდ შევიგრძნობდი, რომ ახლა მომერიდებოდა, თავი ამენია და ლიბასთვის თვალი გამესწორებინა. რისა მრცხვენოდა? არ ვიცი, მაგრამ მრცხვენოდა. აფორიაქებულ გონებაში გამიელვა ფიქრმა, რომ ჩვენი როლები საბოლოოდ შეიცვალა: გმირი ახლა ლიბა იყო, ხოლო მე ბუსტად ისეთივე დამცირებული და გაქედილი არსება გახლდით, როგორიც იგი იმ ღამით, ოთხი დღის წინ იყო... ეს აზრი გონებას მიბურღავდა, როცა დივანზე პირქვე ვინეჭი.

ღმერთო ჩემო, ნუთუ მაშინ მისი მშურდა?

არ ვიცი, ეს აქამდე ვერ დავასკვენი, ხოლო მაშინ, რა თქმა უნდა, ამის განსაზღვრა უფრო ნაკლებად შემეძლო. მე ხომ ისე ვერ გავძლებ, ვინმეზე თუ არ ვიმძლავრებ და ტირანულად არ მოვეპყრობი... თუმცაღა, მსჯელობით ხომ ვერაფერს განვმარტავ და, მამასადაამე, მსჯელობას უნდა მოვეშვა.

ბოლოს, როგორც იქნა, შებორკილობა დავძლიე და თავი წამოვწიე. როდისმე ხომ მაინც უნდა წამოვმართულიყავი... ჰოდა, დღემდე დარწმუნებული ვარ: სწორედ იმის გამო, ლიბასთვის თვალის გასწორებისა რომ მრცხვენოდა, გულში უცებ ახალი გრძნობა აღმედრა... მასზე გაბატონების, მისი დაუფლების წყურვილი მომეძალა. თვალები ვნების ცეცხლით წამომეგზნო და ხელები მძლავრად მოვუჭირე. იმ წუთას იგი როგორ მძულდა და თანაც მისკენ როგორ მივილტვოდი! ერთი გრძნობა მეორეს აძლიერებდა. ეს ლამის შურისძიება გახლდათ! ლიბას სახეზე თავდაპირველად თითქოს შეცბუნება, ლამის შიში

გამოეხატა, მაგრამ მხოლოდ ერთ წამს. იგი აღფრთოვანებით და მხურვალედ მომეხვია.

X

თხუთმეტი წუთის შემდეგ ოთახში გაშმაგებული და მოთმინებადაკარგული გავრბი-გამოვრბოდი, ფარდასთან ყოველ წუთას მივდიოდი და ლიზას ჭუჭრუტანიდან ვუყურებდი. იგი იატაკზე იჯდა, თავი სანოლისკენ დაეხარა და ალბათ ტიროდა. მაგრამ არ მიდიოდა. ეს მაღიზიანებდა. ამჯერად მან ყველაფერი იცოდა. მე საბოლოოდ შეურაცხვეყავი, მაგრამ... მოსაყოლიც აღარაფერია. იგი მიხვდა, რომ ჩემი ვნების წამოგზნება, სწორედაც რომ შურისძიება, მისი შემდგომი დამცირება იყო და ჩემს აღრინდელ, თითქმის უნიადაგო სიძულვილს, ახლა უკვე პიროვნული, მისდამი შურით აღძრული სიძულვილი დაემატა... თუმცაღა, არ ვამტკიცებ, რომ მან ეს ყოველივე მკაფიოდ შეიცნო, სამაგიეროდ სავსებით მიხვდა, რომ მე გარეწარი ვარ და, რაც მთავარია, მისი სიყვარულის უნარი არ გამაჩნია.

ვიცი, რომ მეტყვიან, რომ ეს შეუძლებელია, - შეუძლებელია, რომ ადამიანი ასეთი გულბოროტი, ასეთი უგუნური იყოს, როგორც მე ვარ. ალბათ იმასაც დაუმატებენ, შეუძლებელია, ლიზა რომ არ შეეყვარებოდა, ანდა მისი სიყვარული მაინც არ დაგეფასებინაო. შეუძლებელი რატომ არის? ჯერ ერთი, შეყვარება იმიტომ არ შემეძლო, რომ, კიდევ ვიმეორებ, ჩემთვის სიყვარული ტირანულად მოპყრობას, ზნეობრივ უპირატესობას ნიშნავდა. მთელ სიცოცხლეში სხვაგვარი სიყვარულის წარმოდგენაც კი არ შემეძლო და ახლა ზოგჯერ ვფიქრობ, რომ სიყვარული სიყვარულის საგნისგან ნებაყოფლობით უფლების მოცემაა მასზე ტირანული მოპყრობისა. იატაკქვეშეთში ოცნებისას სიყვარულს მხოლოდ ქიშპობად წარმოვისახავდი, ყოველთვის მძულვარებით ვინყებდი და ზნეობრივი დამორჩილებით ვასრულებდი, ხოლო შემდეგ აღარ ვიცოდი, დამორჩილებულს როგორ მოვქცეოდი. აქ დაუჭერებელი რა არის, როცა თავი ზნეობრივად ისე გავიხრწენი, ცოცხალ ცხოვრებას ისე გავემიჯნე, რომ იმის გამო ვუსაყვედურე და შევარცხვინე, ჩემთან იმიტომ მოხვედი, გინდოდა, „შემბრალედ დაგლაპარაკებოდი-მეთქი“, მაგრამ ვერ მიხვდები, რომ სულაც არ მოსულა იმისთვის, შემბრალედ რომ დავლაპარაკებოდი, არამედ იმისთვის მოვიდა, რომ ვყვარებოდი, რამეთუ ქალისთვის სიყვარული მოიცავს მკვდრეთით აღდგენასაც, დაღუპვისგან ხსნასაც და აღორძინებასაც... დიახ, სხვაგვარად ვერც გამოვლინდება. თუმცაღა, იგი არც ისე ძალიან მძულდა, როცა ოთახში გავრბი-გამოვრბოდი და ფარდის ჭუჭრუტანაში ვიცქირებოდი. აუტანლად მხოლოდ ის მტანჯავდა, აქ რომ იყო. მინდოდა თვალთაგან გამქრობოდა. „სიმშვიდე“ მენადა, იატაკქვეშეთში მარტო დარჩენა მენადა. „ცოცხალმა ცხოვრებამ“ ისე დამთრგუნა, რომ მიუჩვეველს სუნთქვა მეკვროდა.

მაგრამ რამდენიმე წუთი კიდევ გავიდა, ლიზა კი წამოდგომას არ აპირებდა, თითქოს გონმიხდილი იყო. უსინდისობა მეყო და ფარდაზე ხმადაბლა მივეუკავუნე, რათა გამეხსენებინა... იგი უეცრად წამოფრთხილდა, ადგილს მოსწყდა და თავმლის, შლაპის, ქურქის წამოსაკრეფად გაექანა, თითქოს ჩემგან სადღაც გადახვეწა ეწადა... რამდენიმე წუთის შემდეგ ფარდის იქიდან ნელა გამოვიდა და მწუხარედ შემომხედა. მე ბრაზიანად ჩავიციინე, თუმცაღა ნაძალადევად, მოსაჩვენებლად და მის მხერას თვალი ავარიდე.

- მშვიდობით, - მითხრა ხმადაბლა და კარისკენ გაემართა.

მასთან უცებ მივირბინე, ხელში ხელი ვტაცე, თითები გავაშლევინე და ჩავუდე... მერე მოვამუჭინე. შემდეგ უმაღვე შევტრიალდი და ოთახის მეორე კუთხისკენ სწრაფად გავსხლტი, რათა მისთვის თვალი ამერიდებინა.

თავდაპირველად მინდოდა მეცრუა - დამეწერა, რომ ეს თავგზააბნეულმა უნებურად, უცაბედად, გაუაზრებლად, სულელურად ვქმენი. მაგრამ არ მინდა, ვიცრუო და ამიტომ პირდაპირ ვამბობ, რომ ხელი გავუშალე და გულდრძოდ ჩავუდე... ამის ქმნა მაშინ მოვიფიქრე, როცა ოთახში გავრბი-გამოვრბოდი, ხოლო იგი ფარდის იქით იჯდა. მაგრამ დანამდვილებით, აი, რა შემიძლია, რომ ვთქვა: ეს სისასტიკე განზრახ კი ჩავიდინე, მაგრამ გულის ბრახვით კი არა, გონების სიბილწით ვქმენი. სისასტიკე ისეთი ნაძალადევი, ისეთი გონებისმიერი, განზრახ შეთხზული, წიგნისმიერი გახლდათ, რომ თავად ერთ წუთსაც ვერ მოვითმინე, - ჯერ კუთხეში თვალის გასარიდებლად გავსხლტი, ხოლო შემდეგ ლიზას სირცხვილმოდალეული და სასონარკვეთილი გავეკიდე. წინკარიდან გასასვლელი კარი

გამოვადე და მივაყურადე.

- ლიზა! ლიზა! - ჩავძახე კიბეზე, მაგრამ გაუბედავად, ხმამიღვით...

ლიზას არ უპასუხია. მეჩვენებოდა, რომ მისი ფეხის ხმა ბოლო საფეხურებიდან მომესმოდა.

- ლიზა! - დავუძახე უფრო ხმამაღლა.

ლიზას არც ახლა უპასუხია. მაგრამ იმ ნუთას ქვემოდან შემომესმა გარეთა, ქუჩაში გამავალი, მჭიდროდ დახურული მინის კარი მძიმედ, ღრჭიალით რომ გაიღო და მერე მოჭახუნდა. ჭახუნი კიბეზე ამოგრიალდა.

ლიზა წავიდა. ოთახში დაფიქრებული დავბრუნდი. საშინლად გულდამძიმებული ვიყავი. მაგიდასთან, იმ სკამის გვერდით, სადაც იგი იჯდა, უაზროდ თვალგამტერებული დავდექი. ერთი ნუთი გავიდა. უცებ შევკრთი: პირდაპირ ჩემ წინ, მაგიდაზე, დავინახე... ერთი სიტყვით, დაჭმუჭნული, ლურჯი ხუთრუბლიანი დავინახე, სწორედ ის, ერთი ნუთის წინ ხელში რომ ჩავუჭყუნე. ეს ის ხუთრუბლიანი იყო. სხვა ვერც იქნებოდა, რადგან ამის გარდა ფული არ მქონია. მამ ლიზამ მაგიდაზე დაგდება იმ დროს მოასწრო, როცა ოთახის მეორე კუთხეში გავსხლტი.

რაო, განა ველოდი, რომ იგი ამას იზამდა? განა ველოდი? არა. მე ისეთი ეგოისტი ვიყავი, ადამიანთა პატივისცემა მართლა იმდენად არ გამაჩნდა, რომ ვერც წარმოვიდგენდი, რომ ამას იზამდა. ახლა კი გულმა ვეღარ გამიძლო. ერთი წამის შემდეგ ჩაცმა გაშმაგებით დავიწყე. ფაცაფუცით ჩავიცვი, რაც ხელთ მომხვდა და ლიზას დასანევად ქუჩაში გავიჭერი. იგი მანამდე ორასი ნაბიჯის გავლასაც ვერ მოასწრებდა.

ირგვლივ მდუმარება დამკვიდრებულიყო, თოვლის ფანტელები თითქმის პერპენდიკულარულად ცვიოდა და ტროტუარსა და ქუჩას ბენარივით ეფინებოდა. ერთი გამვლელიც არსად ჩანდა, ერთი ბგერაც არ მოისმოდა. ფარნები უნიათოდ და უსარგებლოდ ციალებდა. გზაჯვარედინამდე ორასი ნაბიჯი გავირბინე და შევჩერდი.

„სად წავიდა? რატომ გავდევენე? რატომ? მის წინაშე უნდა დავმხობილიყავი, მონანიებით ავქვითინებულიყავი, ფეხები დამეკოცნა და პატიებას შევვედრებოდი! აი, ეს მენადა. გული ლამის გამსკდომოდა და ამ ნუთს გულგრილად ვერასოდეს, დიახ, ვერასოდეს გავიხსენებ. თუმცაღა, რატომ? - განვაგრძობდი ფიქრს. - განა შესაძლო არ არის, ხვალვე შევიძულო იმის გამო, რომ დღეს ფეხები დავუკოცნე? განა ბედნიერებას მივანიჭებ? განა დღეს კვლავ, მეასედ არ შევიტყვე რა კაციც ვარ? განა არ გავტანჯავ?!“

მე თოვლში ვიდექი, მღვრიე წყვილიადს გავცქეროდი და ამის თაობაზე ვფიქრობდი.

„განა უკეთესი არ იქნება, განა უმჯობესი არ იქნება, - ოცნებას ვეძლეოდი უკვე შემდეგ, შინ დაბრუნებული და გულისტკივილს ამ ოცნებით ვიყუჩებდი, - განა უმჯობესი არ იქნება, თუ ახლა შეურაცხყოფას სამუდამოდ გაიყოლებს? შეურაცხყოფა ხომ განწმენდაა, უმძაფრესი და უმტკივნეულესი შეგრძნებაა! მე ხომ ხვალვე ავკაცობით სულს მოვუნამლავდი და გულს დავუმდურავდი. შეურაცხყოფა კი მის არსებაში აწი არასოდეს ჩაკვდება და რაგინდ საზიზღარი უნდა იყოს სიბინძურე, რაც მოელის, შეურაცხყოფა აღამაღლებს და განწმენდს. სიძულვილით... ჰმ... იქნებ მიტევებითაც... თუმცაღა ეს ყოველივე განა შვებას მოჰგვრის?“

მართლაც ასეა: ახლა ერთ ამოა შევითხვას დავსვამ: რა არის უმჯობესი - იაფფასიანი ბედნიერება თუ ამაღლებული სატანჯველნი? მითხარით, რა არის უმჯობესი?

თავში ასეთი ფიქრები მიტრიალებდა, როცა იმ საღამოს შინ ვიჭექი და მწუხარებისგან სული მიქრებოდა. ამდენი ტანჯვა არასოდეს განმიცდია და არც ამდენი რამ მომინანიებია. ჩემი ბინიდან ქუჩაში როცა გავიჭერი, განა შეიძლებოდა, ოდნავი ეჭვი მაინც არსებულიყო, რომ შუაგზიდან არ დავბრუნდებოდი? ლიზა აღარასოდეს შემხვედრია და არც მის ასავალ-დასავალზე მსმენია რაიმე. იმასაც დავუმატებ, რომ დიდხანს გახლდით კმაყოფილი ფრაბით შეურაცხყოფასა და სიძულვილზე, იმის მიუხედავად, რომ მაშინ სევდამ ლამის დამასნეულა.

ახლაც კი, ამდენი წლის შემდეგ, ეს ყოველივე ძალიან ცუდად მახსენდება. ბევრი რამ ძალიან ცუდად მახსენდება, მაგრამ... „ჩანაწერები“ ამით ხომ არ დავამთავრო? მე მგონი, შევცდი, წერას რომ შევუდექი. ყოველ შემთხვევაში, სულ მრცხვენოდა მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ამ მოთხრობას ვწერდი: მამასადამე ეს ლიტერატურა კი აღარ არის, გამოსასწორებელი სასჯელია. ხანგრძლივი თხრობა, მაგალითად, იმის თაობაზე, ჩემი არსებობა იატაკქვეშეთის კუნჭულში ზნეობრივი გახრწნით, სახსრების უკმარობით, ცოცხალი ცხოვრებისგან გადაჩვევით და პატივმოყვარული ღვარძლიანობით როგორ მიედინებოდა, ღმერთმანი, საინტერესო არ არის. რომანს გმირი ესაჭიროება, ხოლო აქ განზრახ არის თავმოყრილი ყველა თვისება ანტიგმირისთვის და, რაც მთავარია, ეს ყოველივე უკიდურესად უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, რამეთუ ცხოვრებას ყველანი გადავეჩვიეთ, ყველანი მეტად თუ ნაკლებად მოვიკოჭლებთ. ისე გადავეჩვიეთ, რომ ზოგჯერ ნამდვილი, „ცოცხალი ცხოვრების“ მიმართ ერთგვარი ზიზღი გვეუფლება და ამის გამო ვერ აგვიტანია, როცა შეგვახსენებენ. იქამდე ვართ მისულნი, რომ ნამდვილი „ცოცხალი ცხოვრება“ ლამის შრომად, თითქმის სამსახურადაც კი მიგვაჩნია და ყველანი ვაღიარებთ, რომ წიგნისმიერად ცხოვრება გვიჭობს. დროდადრო რას ვფაცვიფუცობთ, რას ვჟინიანობთ, რას მოვითხოვთ? თავადაც არ ვიცით. ჩვენთვის ხომ უარესი იქნება, ჟინიან მოთხოვნებს თუ აღგვისრულებენ. აბა, შეეცადეთ, აბა, მაგალითად, ცოტათი მეტი დამოუკიდებლობა გვიბოძეთ, რომელ ჩვენგანსაც გინდათ, ხელები გაგვისხენით, საქმიანობის სივრცე გაგვიფართოვეთ, მეურვეობა შეასუსტეთ... ჩვენ ხომ... გარწმუნებთ, ჩვენ ხომ უმალ შეგვედრებით, რომ მეურვეობა აღგვიდგინოთ. ვიცი, რომ შესაძლოა, ამის გამო განმირისხდეთ, ფეხები დამიბაკუნოთ. ილაპარაკეთ მხოლოდ საკუთარ თავზე, მხოლოდ თქვენს უბადრუკობაზე იატაკქვეშეთში და არ გაბედოთ ამის თქმა: „ჩვენ, ყველანიო“. ბატონებო, მოითმინეთ, „ჩვენო“ რომ ვამბობ, ამით თავს არ ვიმართლებ. ჩემს თავზე კი მოგახსენებთ: მე ხომ ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ უკიდურესობამდე მივიყვანე ის, რისი მიყვანაც თქვენ ნახევრამდეც ვერ გაბედეთ, ამასთანავე თქვენს სიმხდალეს კეთილგონიერებად მიიჩნევდით და თავს ამით ინუგეშებდით, თავს ამით იტყუებდით. ისე რომ, მგონი, თქვენზე უფრო „ცოცხალი“ გახლავართ. გულ-გონება გაიმახვილეთ! ჩვენ ხომ ისიც კი არ ვიცით, ეს ცოცხალი სად არსებობს, რა არის და რა ეწოდება? მარტონი რომ დაგვტოვოთ, უნიგნოდ რომ დაგვტოვოთ, უმალვე თავგზა აგვებნევა - არ გვეცოდინება, რას მივეკედლოთ, რას ჩავებლაუჭოთ, რა გვიყვარდეს და რა გვძულდეს, პატივი რას ვცეთ და რა შევიზიზღოთ! ადამიანებად ყოფნაც კი, ნამდვილი, საკუთარი სხეულისა და სისხლის მქონე ადამიანებად ყოფნაც კი გვიმძიმს, გვეჩოთირება, სამარცხვინოდ მიგვაჩნია და რაღაცნაირ, არარსებულ, ზოგად ადამიანებად ყოფნისკენ მივისწრაფვით. მკვდრადშობილნი ვართ, უკვე დიდი ხანია ცოცხალი მამები აღარ წარმოგვშობენ და ეს სულ უფრო და უფრო მოგვწონს. გაგვიტკბა კიდევაც. მალე იმასაც გამოვიგონებთ, რომ იდეისგან ვიშვათ. მაგრამ კმარა. „იატაკქვეშეთიდან“ წერა აღარ მინდა...

თუმცადა, ამ პარადოქსალისტის „ჩანაწერები“ აქ არ მთავრდება. მან თავი ვერ დაიოკა და წერა განაგრძო. ჩვენ კი გვგონია, რომ, შესაძლოა, შევჩერდეთ.

[1] „იატაკქვეშეთის ჩანაწერები“ პირველად ჟურნალ „ეპოქაში“ დაიბეჭდა 1864 წელს. განმარტებებში ფ. დოსტოევსკის ნაწარმოებებიდან ციტატები მოტანილია მისი თხზულებების სრული კრებულიდან, რომელიც ოცდაათ ტომად გამოსცა გამომცემლობა „ნაუკამ“ 1971-1990 წლებში. „იატაკქვეშეთის ჩანაწერები“ დაბეჭდილია ამ გამომცემის მეხუთე ტომში.

[2] ჩანაწერთა ავტორიცა და თვით ჩანაწერებიც, რა თქმა უნდა, გამოგონილია. მიუხედავად ამისა, ასეთი პიროვნებანი, შემთხვევლნი ამგვარი ჩანაწერებისა, არამარტო შესაძლოა, რომ არსებობდნენ, არამედ უსათუოდ უნდა იყვნენ ჩვენს საზოგადოებაში, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებებს, რაშიაც საერთოდ ჩვენი საზოგადოება ჩამოყალიბდა. მე მსურდა საზოგადოების წინაშე წარმომესახა ჩვეულებრივზე თვალსაჩინო ერთ-ერთი ნიმუში ცოტა ხნის წინ გარდასული დროისა. ეს აქამდე მოღწეული თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელია. ამ მონაკვეთში, რომელსაც „იატაკქვეშეთი“ აქვს სათაურად, ეს პიროვნება თავის თვალსაზრისს საკუთარ თავს სთავაზობს და თითქოს იმ მიზეზთა გარკვევა სურს, რის შედეგადაც ეს მიზეზები ჩვენს ყოფას მოეწვლინა და უსათუოდ უნდა მოვლინებოდა. მომდევნო მონაკვეთში უკვე

ნამდვილი „ჩანაწერები“ იქნება წარმოდგენილი ამ პიროვნებისა, მისი ცხოვრების ზოგიერთ მოვლენაზე.

ფიოდორ დოსტოევსკი

[3] ...არ ვმკურნალობ და არც არასოდეს მიმკურნალა, თუმცა მედიცინასა და ექიმებს პატივს ვცემ...- გმირის ნათქვამი მომდინარეობს ბიბლიის იობის წიგნიდან. მრავალტანჯული იობის განკურნვა მის ირგვლივ მყოფთაგან ვერავინ შეძლო. იგი მეგობრებს, რომელნიც მისი სატანჯველის არსს ვერ მიმხვდარიყვნენ, უვარგის მკურნალებს უწოდებს: „თქვენ კი სიცრუის მთხზველები ხართ, უვარგისი მკურნალნი ხართ ყველანი“ (იობი. 13;4).

[4] ...ახლა ორმოცი წლის ვარ...- გმირი ორმოცი წლისაა, თუმცაღა, შემდგომში არაერთხელ გაიმეორა, რომ საკუთარი თავი თავად განირა ორმოც წელიწადს იატაკქვეშეთში ყოფნისთვის, რომ იგი ვიღაცამ ორმოცი წლით ჩატოვა იატაკქვეშეთში. ორმოც წელიწადს გმირის ყოფნა იატაკქვეშეთში შეიძლება ისრაელის ძეთა ორმოცლიან ხეტიალს შეეფარდოს.

[5] ...მხოლოდ ბელურებს ვაფრთხობდი...- „ბიძიას სიზმარში“ (1859) ფ. დოსტოევსკი ამ გამოთქმას ხმარობს იმ ადამიანის მიმართ, ვისაც თავისი შესაფერი ადგილი არ უკავია: „ჩემი აზრით, იგი, რა ხანია, ბოსტანში ბელურებს უნდა აფრთხობდეს“ „ის უვარგისობისა და გამოუსადეგარობის გამო სოფელში გადაკარგეს“. „იატაკქვეშეთის ჩანაწერებში“ ეს გამოთქმა განმარტოებული, სხვათათვის გამოუსადეგარი ადამიანის მიმართ არის გამოყენებული.

[6] კოლეგიის ასესორი - VIII კლასის სამოქალაქო ჩინი - სარგებელთა და პატივთა გადანაწილებისას VI-VIII კლასის ჩინოვნიკთა მდგომარეობა IX-XIV კლასის ჩინოვნიკთა მდგომარეობიდან განსხვავდებოდა. ბიუროკრატიულმა სახელმწიფომ ადამიანთა ურთიერთობის „ვერტიკალი“ შექმნა. ამ უზარმაზარ იერარქიულ კიბეზე განსაზღვრულ ადგილას მყოფი მოხელე მის შეცვლას ესწრაფოდა. დოსტოევსკის მოთხრობის - „ორეულის“ (1846) გმირი ტიტულარული მრჩეველი, IX კლასის ჩინოვნიკი იყო. მას შურდა თავისი მეტოქისა, რომელმაც სამსახურში ცოტა ხნის წინ გადაასწრო და კოლეგიის ასესორი გახდა. „იატაკქვეშეთის ჩანაწერების“ გმირს მოთხრობის პირველ, „ეგზისტენციალურ“ ნაწილში ჩინები არ აინტერესებს, ხოლო მეორე „იდეოლოგიურ“ ნაწილში ძალიან ააფორიაქა რეგლამენტირებულმა გარემოებამ (ურთიერთობა ოფიცერთან, ზვერკოვთან).

[7] ...თავის გამქნევ-გამომქნევლებზე...- გამოთქმა მომდინარეობს 43-ე ფსალმუნის მე-15 მუხლიდან: „იგავად გვაქციე ხალხებს შორის, თავის გასაქნევ-გამოსაქნევად ერებს შორის“.

[8] „...ყოველივე მშვენიერისა და ამაღლებულისა...“ - ამ ცნებათა ურთერთშეხამება XVIII საუკუნის ესთეტიკური ტრაქტატებიდან მომდინარეობს.

[9] ...დიდსულოვნება...- ეს ცნება წარგვაგზავნის ა. პუშკინის მოთხრობის, „გასროლის“ გმირის, სილვიოს გამონათქვამთან: „დამეთანხმებით, რომ იარაღის ამორჩევის უფლება რაკილა მექონდა, მისი სიცოცხლე ჩემს ხელთ იყო, ხოლო ჩემს სიცოცხლეს საფრთხე თითქმის არ ემუქრებოდა: ამიტომ შემეძლო, ჩემი ზომიერება მხოლოდ და მხოლოდ დიდსულოვნებისთვის მიმეწერა, მაგრამ არ მინდა, რომ ვიცრუო“. აგრეთვე ამ ნაწარმოების ფინალურ ეპიზოდთანაც, სადაც სილვიოს გადანყვეტილება, რომ მურაცხმყოფელს არ ესროლოს, მის მიმართ დიდსულოვნების გამოჩენასაც შესაძლებელს ხდის. მოთხრობა „გასროლამ“ განსაკუთრებული როლი შეასრულა ფ. დოსტოევსკის რამდენიმე ნაწარმოებში: „ორეული“, „იატაკქვეშეთის ჩანაწერები“, „თვინიერი“ და სხვა.

[10] ...რეტორტიდან...- აზრი გმირის ექსპერიმენტული წარმოშობის თაობაზე ეხმაურება „დანაშაულსა და სასჯელს“ (1866). რაზუმინინი რასკოლნიკოვს კიცხავს: „თქვენ სპერმაცეტიული საცხით ხართ შექმნილი, ხოლო ძარღვებში სისხლის ნაცვლად შრავი გიდგათ!“.

[11] ...l'homme de la nature et de la verite - გმირის ნათქვამის წყარო ფრანგი ფილოსოფოსის ჟ.ჟ. რუსოს (1712-1778) სიტყვებია „აღსარების“ პირველი წიგნიდან: „je veux montrer a mes sembeadles un homme dans toute la verite de la nature, et cet homme, ce sera moi“ (მე მსურს ჩემს თანამოძმეებს ადამიანი თავისი ჭეშმარიტი ბუნებით ვაჩვენო - და ეს ადამიანი მე ვიქნები!).

[12] ...საზიზღარ, მყრალ იატაკქვეშეთში ჩვენი შეურაცხყოფილი, ნაგვემი და გამასხრებული თავვი...- იატაკქვეშეთის ცნებას ფ. დოსტოევსკი უკავშირებს ა. პუშკინის „ძუნწი რაინდის“ გმირის, ალბერის სიტყვებს: „დაე, მამაჩემი აიძულონ, ისე მომეპყრას, როგორც ძეს თვისას და არა როგორც თავვს, იატაკქვეშეთში შობილს...“

[13] ...მაიმუნისგან ხარ წარმოშობილი ...- გმირი წარმოსახულ მოსაუბრეს ჩ. დარვინის თეორიაზე მიუთითებს. 1862 წელს ფ. დოსტოევსკის და მისი ძმის ჟურნალ „ვრემიაში“ დაიბეჭდა ნ. სტრახოვის სტატია „ცუდი ნიშნები“, სადაც ავტორი საბუნებისმეტყველო მეცნიერებისთვის დარვინის იდეის მნიშვნელობას მაღალ შეფასებას აძლევდა, მაგრამ ამბობდა, რომ საზოგადოებათმცოდნეობაში ამ მოძღვრების გადატანას უნდა მორიდებოდნენ.

[14] ...ნაირგვარ ვაგენგეიმთა მეშვეობით...- აქ ლაპარაკია კბილის ექიმ ვაგენგეიმებზე. 1860-იან წლებში პეტერბურგში ამ გვარის მქონე რვა კბილის ექიმი იყო.

[15] ...შენაპანი (ფრ. Chenapan) - უქნარა, ცუდლუტი.

[16] ...ლაფიტი (ფრ. Lafite) - წითელი ღვინო ერთგვარი.

[17] ...მხატვარმა, მაგალითად, გეს სურათი დახატა...ავტორმა დაწერა „როგორც გენებოთ...“ - იგულისხმება ნ. გეს ნახატი „საიდუმლო სერობა“, რომელიც პირველად 1863 წელს იქნა გამოფენილი ხელოვნების აკადემიის საშემოდგომო გამოფენაზე. ამ სურათს დადებითი შეფასება მისცა მ. სალტიკოვ-შჩედრინმა და ფ. დოსტოევსკის პოლემიკური გამოხედომა მისკენ არის მიმართული

[18] ჰენრი ტომას ბოკლი (1821-1862) - სახელგანთქმული ინგლისელი ისტორიკოსი. იგი თავის მიზნად ადამიანთა მოდგმის განვითარების ზოგად კანონთა მოძიებას ისახავდა.

[19] ...ეგეც თქვენი ნაპოლეონი - დიადიც და ამჟამინდელიც...- ნაპოლეონ I ბონაპარტი - ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე და დიდი მხედართმთავარი. ნაპოლეონ III, ლუი ნაპოლეონ ბონაპარტი (1808-1873) - საფრანგეთის იმპერატორი (1850-1870) - თავისი დიადი ბიძის უხეირო ასლი.

[20] ...ეგეც თქვენი ჩრდილოეთ ამერიკა - სამარადუამო კავშირი...- ლაპარაკია ჩრდილოეთ ამერიკაში ინგლისის კოლონიათა განმათავისუფლებელ ბრძოლაზე (1775-1783), რაც ამერიკის შეერთებული შტატების შექმნით დასრულდა.

[21] შლევვიგ-ჰოლშტაინი - გერმანული საჰერცოგო დანიის საზღვართან 1773 წელს დანიის პროვინცია გახდა. 1864 წელს პრუსია-დანიის ომის შემდეგ პრუსიამ შეიერთა. „ჩანაწერთა რვეულში“ ფ. დოსტოევსკი წერს: „თუ ავსტრია პრუსიის მფარველობაში მოექცევა, ეს სახეიროდ არ დასრულდება. დროთა განმავლობაში იგი პრუსიის შემადგენლობაში შევა შლევვიგ-ჰოლშტაინივით“.

[22] ატილა - ჰუნთა ტომების ბელადი, რომელმაც რომის აღმოსავლეთ იმპერიაში 443, 447, 448 წლებში ამოხრებელი ლაშქრობები განახორციელა.

[23] სტენკა რაზინი (სტეპან რაზინი) - დონელი კაზაკი, რუსეთში 1667-1671 წლებში გლეხთა ომის წინამძღოლი.

[24] კლეოპატრა - კლეოპატრა VII - ეგვიპტის დედოფალი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 69-30 წლებში.

[25] ...თავად მხოლოდ ფორტეპიანოს კლავიშის...მსგავსი რაღაც არის...- მსჯელობა მომდინარეობს ფრანგი ფილოსოფოსის, დიდროს (1713-1784) გამონათქვამიდან: „ჩვენ

გრძნობებისა და მეხსიერების მქონე ინსტრუმენტები ვართ, ჩვენი გრძნობანი კლავიშებია, რომელსაც გარემომცველი ბუნება ახმთანებს და რომელნიც ხშირად თავისითაც ახმთანდებიან“.

[26] ...მაშინ ბროლის სასახლე აშენდება...- ბროლის სასახლე არქიტექტორ ჯ. პაკსტინის პროექტით ლონდონში 1851 წელს აშენდა და იქ 1851-1862 წლებში გამოფენები იმართებოდა.

[27] ფრინველი ვაგანი მოფრინდება...- ეს ფრინველი, განსაკუთრებული ფრენის მანერით გამორჩეული, ნახსენებია „მკვდარი სახლის ჩანაწერებში“.

[28] ...ორ ფეხზე მოსიარულე არსება...- „ძმებ კარამაზოვებში“ ორ ფეხზე მოსიარულედ ქათამია ნახსენები: „სმერდიაკოვი უმდაბლესი ბუნების მქონეა და მხდალია. იგი მხოლოდ მხდალი კი არა, ორ ფეხზე მოსიარულე, ერთად თავმოყრილი ყველა სიმხდალეთა, თუკი რამ ქვეყნიერებაზე არსებობს. ქათმის ნაშობია“.

[29] მსოფლიო წარღვნა - ძველი აღთქმის მიხედვით ღმერთმა წარღვნა უმძიმეს ცოდვათა სასჯელად მოავლინა და „ცისქვეშეთში ყოველი ხორციელი“ განყვიტა „მართალი, სრული კაცის“ ნოესა და მისი ოჯახის, აგრეთვე, „ყოველგვარი ხორციელის“ თითო წყვილის გარდა.

[30] როდოსის კოლოსი - ჰელიოსის ქანდაკება, ანტიკური ხელოვნების ძველი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 285 წლისა, მიწისძვრამ დაანგრია ჩვენს წელთაღრიცხვამდე 224 წელს.

[31] ...ბ-ნი ანაევსკი...- ა. ანაევსკი (1788-1866) - თანამედროვეთაგან გრაფომანად მიჩნეული ლიტერატორი, იგი სულ ცდილობდა, ნაკითხობა, კერძოდ, ანტიკური კულტურის ცოდნა წარმოეჩინა.

[32] ...ტროგლოდიტობით...- ტროგლოდიტი - მღვიმეში მცხოვრები პირველყოფილი ადამიანი.

[33] შინაური ცხოველები (ფრანგ.) [34] ...ჭიანჭველებმა ბუდით დაიწყეს...- იდეალური საზოგადოებრივი წყობილების უტოპიურ წარმოდგენებზე ნიმუშად ჭიანჭველების ბუდე ფ. დოსტოევსკის მოხსენიებული აქვს სტატიაში „ბატონი შჩედრინი ანდა ნიჰილიზმთან განხეთქილება“ (1864): „ჭიანჭველებმა, უსუსურმა არსებებმა, თვითგადარჩენის, ანუ ფაშვისთვის, ადამიანთა სამარცხვინოდ, ჭიანჭველების ბუდე, ანუ სოციალური წყობილების უმაღლესი იდეალი გამოიგონეს“.

[35] ...სატანჯველი ხომ ცნობიერების ერთადერთი მიზებია...- სატანჯველზე გმირის ეს და სხვა გამონათქვამები ბიბლიის იობის წიგნს უკავშირდება, სადაც ნათქვამია: „ადამიანი სატანჯველად იბადება და ნაპერწკლებით მალლა მისწრაფვის“ (იობი. 5.7).

[36] ...იატაკქვეშეთი სულაც არ არის უკეთესი, არამედ რაღაც სხვაა, სრულიად სხვა, რასაც მიველტვი, მაგრამ ვერა და ვერ მიპოვია! - იატაკქვეშეთელის მსჯელობა ბიბლიაში არსებულ გამონათქვამს უკავშირდება: „როგორც ირემი მიილტვის წყლის ნაკადულებისკენ, ისე მოილტვის ჩემი სული შენსკენ, ღმერთო!“ (ფს. 41.2).

[37] ...ჰაინე ამტკიცებს, რომ სარწმუნო ავტობიოგრაფიათა არსებობა თითქმის შეუძლებელია...რუსომ, მაგალითად, აღსარებაში თავის შესახებ უთუოდ იცრუა...- ჰაინრიხ ჰაინე - გერმანელი პოეტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი (1797-1856). იგი წერს: „საკუთარ თავზე დახასიათების დაწერა არამართო უხერხული, არამედ შეუძლებელი გახლავთ. გათავხედებული კოპნია ვიქნებოდი, ჩემს კარგ თვისებებს უხეშად თუ წარმოვაჩენდი, ხოლო იმ ნაკლთა ჩამოთვლას თუ შევუდგებოდი, რაც უთუოდ ვიცი, რომ მაქვს, მაშინ ნამდვილად სულელი ვიქნებოდი. ამას გარდა, თავის თავზე სიმართლის თქმას ვერავინ შეძლებს, ძალიანაც რომ მოინადინოს. ეს ვერავინ შეძლო - ვერც ნეტარმა ავგუსტინემ და ვერც ჟან ჟაკ რუსომ, - განსაკუთრებით ჟან ჟაკ რუსომ, ვინც თავს ბუნებისა და სამართლიანობის შვილს უწოდებდა, როცა, არსებითად, თანამედროვეებზე ბევრად ცრუ და არაბუნებრივი იყო. იგი ისეთი ამაყი გახლდათ, რომ ღირსებებსა და მშვენიერ

ქმედებებს ვერ მიიწერდა, პირიქით, საკუთარ თავზე საძაგელი რაღაცები შეთხზა, რათა თავი შეერცხვინა...(პ. ჰაინე „ადიარებანი“).

[38] ...მოთხრობა სველ თოვლზე...- ფ. დოსტოევსკის სველი თოვლის სახე პეტერბურგს, ნაჭუჭს, გმირის სულიერ და ფიზიკურ სიდუხჭირეს უკავშირდება. „დანაშაულსა და სასჯელში“ ვკითხულობთ: „მიყვარს, - განაგრძობდა რასკოლნიკოვი, - მიყვარს არღნის მოსმენა შემოდგომის სუსხიან, ჩამობურულ და ნესტიან საღამო ჟამს, უსათუოდ ნესტიან ჟამს, როცა ყველა გამვლელი ავადმყოფურად გაფითრებულია...როცა ქარი არ ქრის, სველი თოვლის ფანტელები მვეულად ცვივა და ფანტელებს მიღმა გაზის ფარნები ციმციმებს...“.

[39] ...კონსტანუოგლოთა და პიოტრ ივანოვიჩთა...- ლაპარაკია ნ. გოგოლის „მკვდარ სულებში“ (1852) წარმოსახულ სამაგალითო მემამულე კონსტანუოგლოზე და ი. გონჩაროვის რომანის „ჩვეულებრივი ისტორიის“ (1847) გმირ, პიოტრ ივანოვიჩ ადუევზე, რომელიც კეთილგონიერებითა და პრაქტიკული საქმიანობით გამოირჩეოდა.

[40] ...სადმე ვაიმარში ანდა შვარცვალდში...- ვაიმარი - საქსენ-ვაიმარ-აიზენახის საჰერცოგოს დედაქალაქი. აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ი.ვ. გოეთე, ფ. შილერი, მ. ვილანდი, ი. ჰერდერი. XIX ს-ის დასაწყისში ლიტერატურული ცენტრი, სადაც ლიტერატორები ევროპის ყოველი კუთხიდან ჩადიოდნენ. შვარცვალდი - მთიანი მხარე გერმანიის სამხრეთ-დასავლეთში. რომანტიკოს ე. გოფმანის რამდენიმე ნაწარმოების მოქმედების ადგილი.

[41] ...გოგოლის პორუჩიკ პიროგოვისნაირად...- პორუჩიკ პიროგოვს სურს, შეურაცხმყოფელებს სამაგიერო გადაუხადოს და გენერალთან მისვლას დააპირებს, მაგრამ მალევე დაშოშმინდება.

[42] „ოტეჩესტვენნიე ბაპისკი“ - რუსული ყოველთვიური ჟურნალი, სადაც თვით ფ. დოსტოევსკიმ ბევრი ნაწარმოები გამოაქვეყნა.

[43] ...მე არცთუ ურიგო, თბილი მაზარა მქონდა, მაგრამ დაბამბული, ენოტის საყელოიანი გახლდათ და ლაქიას მამგვანებდა. საყელო აუცილებლად უნდა გამომეცვალა და თახვის ბენვით შემეცვალა, როგორც ოფიცრებს აქვთ...- ამ ეპიზოდში ნაწარმოების გმირი გოგოლის მოთხრობის, „მაზარის“ გმირის მსგავსად, საყელოს შერჩევის გამო არის აფორიაქებული. „იატაკქვეშეთის ჩანაწერების“ გმირი კოლეგის ასესორია და საიმისო სახსარი გააჩნია, რომ თავის თავს ნება მისცეს, უფრო ძვირი - ენოტის ან თახვის ბენვის საყელო შეიძინოს.

[44] ...რაღაც მანფრედისებურის...- იგულისხმება ჯ. ბაირონის ფილოსოფიურ-სიმბოლური პოემის, „მანფრედის“ გმირი.

[45] ...რეტროგრადებს აუსტერლიცთან ვანადგურებ...- 1805 წლის 5 დეკემბერს ნაპოლეონ I-მა ავსტრია-რუსეთის არმიები აუსტერლიცთან სასტიკად დაამარცხა. ამ გამარჯვებამ საფრანგეთის ახალი სამხედრო სისტემის უპირატესობა წარმოაჩინა.

[46] ...პაპი რომიდან ბრაზილიაში წასვლაზე დათანხმდება...- 1809 წლის 17 მაისს ნაპოლეონ I-მა დეკრეტი გამოსცა, რომლითაც რომი და პაპის მთელი სამფლობელო საფრანგეთის იმპერიასთან შეერთებულად გამოცხადდა. პაპი პიუს VII ბადრაგით სამხრეთ საფრანგეთში გაამგზავრეს.

[47] ...შემდეგ მთელი იტალიისთვის მეჭლისი გაიმართება ბორგებს ვილაში, რომელიც კომოს ტბის სანაპიროზეა, ხოლო კომოს ტბას ამ ვითარების გამოსობით რომში საგანგებოდ გადაიტანენ...- კამილო ბორგეზე ნაპოლეონ I-ის დის, პოლინას მეუღლე იყო. მის ვილაში, რომში, 1806 წელს საფრანგეთის იმპერიის გამოცხადების ზემოთ გაიმართა. კომოს ტბა იტალიის ალპებშია.

[48] ...მის აღმატებულებაზე, თავის მოსაწონებელ საშუალებებზე...- ნაწარმოების გმირის ნათქვამებში მოიხსენიება ნ. კოროვკინის ვოდევილი „მისი აღმატებულება, ანუ თავის მოწონების საშუალებანი“, რომელიც 1839 წელს დაიწერა და 1860 წლამდე პოპულარული

გახლდათ.

[49] droit de seigneur - მფლობელის უფლება (ფრ.). შუა საუკუნეებში ფეოდალური ადათ-წესი პირველი ღამის უფლებისა.

[50] ტრუდოლუბოვი - ნაწარმოების მთავარ გმირს სახელი არა აქვს. სახელისა და გვარის მქონე პერსონაჟები, საერთოდ, ცოტანი არიან: ლიზა, აპოლონი, ზვერკოვი, სიმონოვი, ფერფიჩკინი, სეტოჩკინი, ტრუდოლუბოვი - „მეტყველი გვარი“. გავიხსენოთ ფ. დოსტოევსკის გამონათქვამი ასეთი გვარების თაობაზე. აი, რას წერს იგი „ძველი მელოდრამებისა და რომანების“ უარყოფით პერსონაჟზე, რომელსაც სახელიც შესატყვისი აქვს, „...იგი ბოროტმოქმედი დედის მუცელშივე იყო. მისი წინაპრები ალბათ გრძნობდნენ, ქვეყნიერებას როგორი გარეწარი მოევლინებოდა და თავიანთი შთამომავლის სოციალური მდგომარეობის შესაფერისი გვარი შეირჩიეს. ამ გვარის გაგონებისთანავე მიხვდებოდით, რომ ამ კაცს მსხვერპლისთვის ყელის გამოსატრელად დანა მომარჯვებული ჰქონდა“. „იატაკქვეშეთის ჩანაწერებში“ „მეტყველ გვარს“ ირონიული უღერადობა აქვს: „ტრუდოლუბოვს...მხოლოდ აღმასვლაზე მსჯელობა შეეძლო“. იგულისხმება კარიერის მატება.

[51] კამერ-იუნკერი - დაბალი წოდება, დაბალი წოდების მქონე პიროვნება.

[52] წყნარად! (ფრანგ.) [53] გალბიკი - ბანქოს აზარტული თამაში

[54] ...მართო ერთი, ღამით მომუშავე ვანკა...- ვანკა - მეეტლე, უმეტესად გლეხი, ჯაგლაგი ცხენისა და უხეირო საზიდრის მქონე, ქალაქში საშოვრის საძიებლად ჩამოსული.

[55] სერმიაგი - უხეში, შინაწესოვი, შეუღებავი მაუდის ხიფთანი.

[56] ...ეს ყოველივე სილვიოდან და ლერმონტოვის „მასკარადიდან“ მომდინარეობდა...- იხ. განმარტება 7. მ. ლერმონტოვის დრამამ „მასკარადმა“, ისევე, როგორც პუშკინის მოთხრობამ „გასროლამ“ დოსტოევსკის რამდენიმე ნაწარმოებში განსაკუთრებული როლი შეასრულა.

[57] ...ამ სიყვარულის მოსაპოვებლად ვინმე ხომ სულს დადებს, თავს განირავს...- გმირი ამახინჯებს იესოს გამონათქვამს. იოანეს სახარებაში ვკითხულობთ: „არავის აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დადებს თავისი მეგობრებისთვის“ (იონა, 15;13).

[58] ...აქ მარკიზის თავანყვეტილობაც კი არის...- იგულისხმება ფრანგი მწერალი დონასიენ ალფონს ფრანსუა, გრაფი დე სადი (1740-1814), ვისი ლიტერატურული ფსევდონიმი მარკიზი დე სადია. მან რომანებში აღწერა სქესობრივი ურთიერთობანი, როცა ერთი პარტნიორის დაკმაყოფილება მეორის მორალური შეურაცხყოფით მიიღწევა. „იატაკქვეშეთის ჩანაწერების“ გმირი მარკიზ დე სადის საქციელზე მითითებით თავის უზნეობაზე მიუთითებს.

[59] კოკი - შუბლზე ჩამონეული თმის ბლუჯა.

[60] ...მე შამბრგარნში ვერ ვიცხოვრებდი...- გმირი მიუთითებს, რომ ავეჯით განწყობილ ოთახებში (ფრანგ. Chmabres-garnies) ცხოვრების შესაძლებლობა არა აქვს.

[61] ნაპოლეონისებურად (ფრანგ.)